

საქართველოს განათლების მეცნიერებათა
აკადემია

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ონლაინ სწავლება კოვიდ
19–ის პირობებში და განათლების სისტემა“

20 ნოემბერი, 2021, საქართველო, თბილისი

Academy of Educational Sciences of Georgia

International Scientific Conference “Online Learning Under the
Conditions of Covid-19 and Educational System”

20 November 2021 Georgia, Tbilisi

საქართველოს განათლების მეცნიერებათა
აკადემია

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ონლაინ სწავლება კოვიდ
19–ის პირობებში და განათლების სისტემა“

20 ნოემბერი, 2021, საქართველო, თბილისი

Academy of Educational Sciences of Georgia

International Scientific Conference “Online Learning Under the
Conditions of Covid-19 and Educational System”

20 November 2021 Georgia, Tbilisi

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

ზურაბ ხონელიძე – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ავთანდილ ასათიანი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანაპრეზიდენტი

ლია მენტეშაშვილი – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ლუბა ბიბილეიშვილი – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი

იმერი ბასილაძე – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ყარამან ფალავა – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

გელა ყიფიანი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ინდირა მაგანია – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ლელა თავდგირიძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ვაჟა გიგაური – პედაგოგიკის დოქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ლევან ჯინჯიხაძე – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

მარინა ხუანკალი – ესპანეთი, ბასკეთის უნივერსიტეტის პროფესორი

ირინა მატიაში – უკრაინა, ტ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

სანდრა პლოტა – ლატვია, კულტურის ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი

სარედაქციო საბჭო

ნათელა ვასაძე – აკადემიკოსი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი

ზურაბ ხონელიძე – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ავთანდილ ასათიანი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანაპრეზიდენტი

ლია მენტეშაშვილი – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ლუბა ბიბილეიშვილი – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი

რეზო ბალანჩივაძე – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ზურაბ ცუცქირიძე – პროფესორი, პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პედაგოგიკური და პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური კვლევის მიმართულების კოორდინატორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

პაატა ქურდაძე – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

მერაბ ბერიძე – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების აკადემიის წევრი

თემურ ჯაგოდნიშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ლია ახალაძე – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

თამაზ კარანაძე – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ეკატერინე ბაკრაძე – შავი ზღვის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ირინა კუდლინსკა-პოლონეთი, ბიდგომის ეკონომიკის უნივერსიტეტის პროფესორი

რეგინე კარველიენე – ლიეტუვა, ვილნიუსის უნივერსიტეტის პროფესორი

ლალა ახმეტოვა – აზერბაიჯანი, ბაქოს ადამიანთა უფლებების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი

Organizing Committee of the Conference

Zurab Khonelidze - Professor, President of the Academy of Educational Sciences of Georgia, Rector of Sokhumi State University

Avtandil Asatiani - Professor of Georgian Technical University, Co-President of the Academy of Educational Sciences of Georgia

Lia Menteshashvili - Professor, Vice-President of the Academy of Educational Sciences of Georgia

Luba Bibileishvili - Professor, Academician-Secretary of the Academy of Educational Sciences of Georgia

Imeri Basiladze - Professor of Kutaisi Akaki Tsereteli State University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Karaman Pagava - Professor of Tbilisi State Medical University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Gela Kipiani - Professor of the Georgian Technical University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Indira Dzagania - Professor of Sokhumi State University, Vice-President of the Georgian Academy of Education

Lela Tavdgiridze - Professor of Batumi Shota Rustaveli State University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Vazha Gigauri - Doctor of Pedagogy, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Levan Jinjikhadze - Associate Professor of Sokhumi State University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Marina Juankali - Spain, Professor at the University of the Basque Country

Irina Matias - Ukraine, Professor at T. Shevchenko State University

Sandra Plota - Latvia, Rector of the Institute of Culture, Professor

Editorial Board

Natela Vasadze - Academician, Honorary President of the Georgian Academy of Education

Zurab Khonelidze - Professor, President of the Academy of Educational Sciences of Georgia, Rector of Sokhumi State University

Avtandil Asatiani - Professor of Georgian Technical University, Co-President of the Academy of Educational Sciences of Georgia

Lia Menteshashvili - Professor, Vice-President of the Academy of Educational Sciences of Georgia

Luba Bibileishvili - Professor, Academician-Secretary of the Academy of Educational Sciences of Georgia

Rezo Balanchivadze - Professor of Caucasus International University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Zurab Tsutskiridze - Professor, Coordinator of Pedagogical and Pedagogical-Psychological Research at the Scientific Research Institute of Pedagogy, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Paata Kurdadze - Associate Professor of Gori State Teaching University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Merab Beridze - Professor of Samtskhe-Javakheti State University, Member of the Georgian Academy of Education

Temur Jagodnishvili - Professor of the Georgian Technical University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Lia Akhaladze - Associate Professor of Sokhumi State University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Tamaz Karanadze - Emeritus Professor, Tbilisi Ivane Javakhishvili State University, Member of the Georgian Academy of Education

Ekaterine Bakaradze - Professor at the International Black Sea University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

Irena Kudlinska - Poland, Professor at Bydgoszcz University of Economics

Regina Carveli - Lithuania, Professor at the University of Vilnius

Lala Akhmetova - Azerbaijan, Deputy Director of the Baku Institute of Human Rights, Professor

შინაარსი

რეზო ბალანჩივაძე – ონლაინ სწავლება, როგორც სწავლების თანამედროვე ფორმა.....	8
პაატა ქურდაძე, თამარ რემიშვილი, სოფიო ყირიმელი – ონლაინ სწავლების ფსიქოლოგიური ასპექტები.....	14
ყარამან ფაღვა, ირმა კორინთელი, ელენე ფაღვა – Covid-19-ის პანდემიის პირობებში საგანმანათლებლო რეგულაციებისა და შეზღუდვების ზეგავლენა ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობაზე (წინასწარი მონაცემები).....	22
ნოდარ ბარამიძე – აქსელერაცია და პიროვნული ქცევა სკოლამდელ ასაკში	30
იმერი ბასილაძე, ნინო ჭოხონელიძე, ნინო ყანჩელი – On-Line სწავლება და კორონავირუსით (Covid-19) გამოწვეული პრობლემები (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე).....	35
ლალი ბოჭორიშვილი, მანანა თოფურია – უმაღლეს სასწავლებლებში ონლაინ სწავლების თავისებურებები, თეორია და პრაქტიკა	40
მაია ახვლედიანი, ლალი აბდალაძე – თანამედროვე გამოწვევები – დამოუკიდებელი აზროვნებისა და ღირებულებების სწავლების შესახებ.....	46
იაგორ ბალანჩივაძე – ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები.....	51
თეიმურაზ გიორგაძე, მამული ბუჭუხიშვილი – ფასილიტაციის როლი საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის.....	58
ომარ ცხადაძე – მოსწავლეთა იმუნიტეტის ამალგების მნიშვნელობა კოვიდ-19-ის პირობებში	62
იზოლდა ჩხობაძე, სოფიო მორალიშვილი – მობილური ტექნოლოგიები ინგლისური ენის სწავლებაში	69
დავით ჯალაღონია, იური პაპასქუა – განათლება და დასაქმება: გამოწვევები, გადაწყვეტის გზები.....	75
სოფიო მორალიშვილი, მაია ახვლედიანი – კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება და ინტეგრირება სწავლა – სწავლების პროცესში	86
თემურ ჯაგოდნიშვილი – თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლების ზოგიერთი თავისებურებანი	91
ვაჟა დანელია – დისტანციური სწავლების ისტორიისა და თანამედროვეობის ზოგიერთი ასპექტი	96
აკაკი ზოიძე – ოჯახი, თემი, სააღმზრდელო დაწესებულება	103
ნატო ქობულაძე – ხარისხიანი განათლება და ბავშვთა უფლებები	114
ნანა გოგიჩაშვილი – ონლაინ სწავლების ფსიქოლოგიური მახასიათებლები.....	118
ლევან ჯინჯიხაძე – დისტანციური სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები. კომუნიკაციურ-თანამშრომლობითი სწავლების მნიშვნელობა.....	128
ლიუდმილა ბეჟენარუ, დანიელა კოჯოკარუ, ბოგდან კონსტანტინ ნეკულაუ – გამოწვევები და გადაწყვეტილებები რუმინეთის საგანმანათლებლო სივრცეში ...	135
სვეტლანა ტერ-მინასოვა – განათლება უცხოურ ენებზე უმაღლეს სკოლაში Covid-19-ის პანდემიის პირობებში.....	142
მარინე აროშიძე, ინდირა მაგანია – ონლაინ სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები.....	149

Content

Rezo Balanchivadze - Online Learning as a Modern Form of Teaching.....	8
Paata Kurdadze, Tamar Remishvili, Sophio Kirimeli - Psychological Aspects of Online Learning	14
Karaman Pagava, Irma Korinteli, Elene Pagava - Effect of COVID-19-related Academic Regulations and Restrictions on Child and Adolescent Health (Preliminary Data)	22
Nodar Baramidze - Acceleration and Personal Behavior in Preschool Age.....	30
Imeri Basiladze, Nino Tchokhonelidze, Nino Kancheli - On-Line Teaching and Problems Caused by Coronavirus Outbreak (Covid-19) (based on the experience of Akaki Tsereteli State University)	35
Lali Bochorishvili, Manana Topuria - Peculiarities, Theory and Practice of Online Teaching in Higher Educational Institutions.....	40
Maia Akhvlediani, Lali Abdaladze - Contemporary Challenges - Teaching Independent Thinking and Values in Higher Education	46
Iagor Balanchivadze - Challenges Related to Online Learning and Ways to Solve Them.....	51
Teimuraz Giorgadze, Mamuli Buchukhishvili - The Role of Facilitation in Leading the Educational Process.....	58
Omar Tskhadadze - The Importance of Boosting Pupils' Immunity Under Covid-19.....	62
Izolda Chkhobadze, Sophio Moralishvili - Mobile Technologies in English Language Teaching (ELT)	69
David Jalaghonia, Yuri Papaskua - Education and Employment: Challenges, Solutions	75
Sophio Moralishvili, Maia Akhvlediani - Developing and Integrating Critical Thinking Skills in Teaching and Learning	86
Temur Jagodnishvili - Some Peculiarities of Modern University Education	91
Vaja Danelia - Some Aspects of the History and Modernity of Distance Learning.....	96
Akaki Zoidze - Family, Community, Educational Institution	103
Nato Kobuladze - Quality Education and Children's Rights.....	114
Nana Gogichashvili - Psychological Characteristics of Online Learning.....	118
Levan Jinjikhadze - Pros and Cons of Distance Learning. The importance of Communicative-Collaborative Learning	128
Ludmila Bejenaru, Daniela Cojocaru, Bogdan Constantin Neculau – School and education during the pandemic: challenges and solutions in the Romanian educational space	135
Svetlana Ter-Minasova Foreign language education at the level of higher education in the Context of the Covid-19 pandemic.....	142
Marine Aroshidze, Indira Dzaganian – Pros and Cons of Online Learning	149

ონლაინ სწავლება, როგორც სწავლების თანამედროვე ფორმა

ონლაინ სწავლება დისტანციური სწავლების ერთ-ერთი თანამედროვე ფორმაა. იგი გულისხმობს სწავლებას კომპიუტერისა და ინტერნეტის მეშვეობით.

ონლაინ სწავლება, ცხადია, განსხვავდება ტრადიციული სწავლებისაგან, რაც მასწავლებლისა და მოსწავლის /მოსწავლეების/ უშუალო, ცოცხალ ურთიერთობას გულისხმობს კლასსა ან სალექციო აუდიტორიაში.

ტრადიციული სწავლების მთელი მომხიბვლელობა ისაა, რომ მასწავლებელს საშუალება აქვს თვალებში უცქიროს მოსწავლეს, უშუალოდ აღიქვას მისი დამოკიდებულება, მისი მოწონება ან არ მოწონება იმ ტექსტისადმი, რომელსაც ჰყვება მასწავლებელი, მისი დამოკიდებულება თანაკლასელებისა ან თანაკურსელებისადმი. ტრადიციული სწავლების დროს მასწავლებელი, როგორც ცოდნის გადამცემი, როგორც მოძღვარი, ხოლო მოსწავლე, როგორც ცოდნის მიმღები, როგორც შეგირდი, ერთ გარემოში, ერთ სივრცეში არიან და ისეთი ურთიერთობა მყარდება მათ შორის, რომ ვერავითარი სხვა ურთიერთობა მას ვერ შეედრება. ამიტომ იყო, რომ ტრადიციულმა სწავლებამ საუკუნეებს გაუძლო და მისი შეცვლა არც არავის მოუხდომებია.

მაგრამ სამყაროში შეუცვლელი არაფერია. ყველაფერი იცვლება, ვითარდება, წინ მიდის. დიალექტიკის ეს კანონი უნივერსალური კანონია და შესაბამისად, ტრადიციული სწავლების ფორმაც არ აღმოჩნდა შეუცვლელი. გაჩნდა სწავლების ისეთი ახალი ფორმა, როგორიცაა დისტანციური სწავლება, რომლის ერთ-ერთი ფორმა, როგორც უკვე ვთქვით, არის ონლაინ სწავლება.

ონლაინ სწავლების მთავარი განსხვავება ტრადიციული სწავლებისაგან ისაა, რომ იგი ერთ დროში კი ხორციელდება, მაგრამ არა ერთ სივრცეში. ასეთი სწავლება არათუ ერთ კლასში, ან ერთ აუდიტორიაში არ მიდის, არამედ შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ ქალაქსა და ქვეყანაში, სადაც არის კომპიუტერი და ინტერნეტი.

არიან ადამიანები, რომელთაც ჰგონიათ, რომ სწავლების დისტანციური ფორმა იძულებითი ფორმაა, კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა. დისტანციური სწავლება ჯერ კიდევ მაშინ გავრცელდა, როცა კოვიდის ხსენება საერთოდ არ იყო.

როგორც google იტყობინება, დისტანციური სწავლების სათავედ შეიძლება 1728 წელი მივიჩნიოთ, როცა პირველად Boston Gazette-ში გაჩნდა განცხადება, რომლითაც ვიღაც მასწავლებელი ეძებდა მსურველს, რომელსაც იგი კვირაში ერთხელ გადაუგზავნიდა მასალებს გასაცნობად. სამწუხაროდ, ამ შეტყობინების გაგრძელება აღარ არის ცნობილი. არავინ იცის, მიაგნო თუ არა მასწავლებელმა ასეთ მსურველს. სამაგიეროდ, დანამდვილებით ვიცით, რომ ეს ფორმა მე-19 საუკუნეში ამოქმედდა საფოსტო სისტემის დახვეწის შემდეგ. კერძოდ, 1840-იან წლებში დიდ ბრიტანეთში ისააკ პიტმანმა ფოსტის მეშვეობით პირველად 1858 წელს დაწერა ოფიციალური დისტანციური სწავლება. მას შემდეგ, XIX საუკუნის შუა წლებიდან XX საუკუნის ბოლომდე, ეს სისტემა უფრო და უფრო იხვეწებოდა და ვითარდებოდა, თუმცა მან მხოლოდ კომპიუტერისა და ინტერნეტის ფართოდ გავრცელების შემდეგ მოიკიდა ფეხი.

Google-ში დისტანციური სწავლების ფართოდ გავრცელების უამრავი მასალაა მოტანილი. მრავალთაგან სულ რამდენიმეს დავასახელებ: პირველი: 2005 წელს 3,2 მილიონმა ამერიკელმა სტუდენტმა /თუ მეტმა არა/ ერთი სემესტრი მაინც დისტანციური სწავლით დახურა და მეორე: 2006 წლის მონაცემებით, აშშ-ს ყველაზე დიდმა სასწავლო დაწესებულებებმა თავისი სტუდენტების 96%-ს რაიმე სახის ელექტრონული კურსი შესთავაზა.

შეგახსენებთ, რომ 2005 და 2006 წლებში კოვიდის ხსენებაც არ იყო.

თავისთავად ცხადია, კოვიდ-19-ის ეპიდემიამ დააჩქარა დისტანციური სწავლების პროცესი, მაგრამ დისტანციური სწავლების გავრცელების უმთავრესი მიზეზი კოვიდ-19 არ ყოფილა. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ კოვიდ-19 სულაც რომ არ გავრცელებულიყო, ონლაინ სწავლება მაინც გავრცელდებოდა და გაფართოვდებოდა.

თავის მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ ონლაინ სწავლებაზე უარის თქმა და ტრადიციული სწავლებისაკენ სრული მიბრუნება მაშინაც კი არ მოგვიწევს, კოვიდ-19 სულაც რომ აღიგავოს მიწისაგან პირისა. იმის მიუხედავად, კოვიდ-19 დიდხანს გაგრძელდება თუ მალე დასრულდება, დისტანციური სწავლება, კერძოდ, ონლაინ სწავლება დღითიდღე გაფართოვდება და თანდათან ჩაენაცვლება ტრადიციულ სწავლებას. როგორც ამბობენ, ჯინი ამოშვებულია ბოთლიდან და მას ბოთლში ვეღარავინ ჩააბრუნებს. დრო ონლაინ სწავლების სასარგებლოდ და ტრადიციული განათლების საწინააღმდეგოდ მუშაობს.

მაინც რა უპირატესობა გააჩნია ონლაინ სწავლებას ტრადიციულ სწავლებასთან შედარებით?!

ტრადიციული სწავლება ძალიან დიდ დროსა და ხარჯებთან არის დაკავშირებული. კერძოდ, იგი დაკავშირებულია, ვთქვათ, სოფლიდან ქალაქში გადასახლებასთან, მშობლების, ბებია-ბაბუის, და-ძმის, თანატოლების, თანასოფლელების დატოვებასთან, და უფრო ხშირად ისეთ ძვირ ქალაქში გადასახლებასთან, როგორიც /ჩვენ შემთხვევაში/ თბილისია და აქ ბინის ქირაობასთან, დამოუკიდებელ ცხოვრებასთან, ყოველდღიურად საზოგადოებრივი ტრანსპორტის ცვლასთან, სათანადო ჩაცმა-დახურვასთან და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებთან /კინოში, თეატრში, კონცერტებზე წასვლასთან/ არის დაკავშირებული. და ყველაფერი ეს ასე გრძელდება 4-5 წლის განმავლობაში, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ტრადიციული სწავლება შედარებით დაბალი ცოდნის მოცემას გულისხმობს, რადგან 4-5 წლის შემდეგ განათლება დიპლომის აღებით წყდება და ზოგჯერ მთავრდება კიდევ, რადგან უმეტესწილად აღარ გრძელდება საკუთარ თავზე მუშაობა, ანუ ის, რასაც „თვითგანათლება“ ჰქვია უმეტესად ისე ხდება, რომ დიპლომიანი ფიზიკოსი, ქიმიკოსი, მათემატიკოსი ან აგრონომი უკეთეს შემთხვევაში იწყებს თავისი სპეციალობით მუშაობას და წყდება წიგნს, აღარ ვითარდება, წინ არ მიდის, კმაყოფილდება იმ ცოდნით, რაც მან მიიღო უმაღლეს სასწავლებელში. არის კიდევ ერთი უხერხულობა: თუ ზემონახსენები სტუდენტი დღის დასწრებულზე სწავლობს, ის ვერ წყდება თავის სასწავლებელს და ვერ იწყებს მუშაობას. ეს მაშინ, როცა ონლაინ სწავლების შემთხვევაში სწავლების პროცესი არ წყდება მთელი ცხოვრების განმავლობაში, რასაც LLL /Lifelong Learning/ ჰქვია. აქ სტუდენტი ყოველდღიურად იძენს ცოდნასა და განათლებას, ყოველდღიურად იზრდება, მუდმივად იმის საქმის კურსშია, თუ რა სიახლე ხდება თავის სპეციალობაში.

ონლაინ სწავლება იძლევა იმის საშუალებას, რომ ადამიანმა კიდევ იმუშაოს და კიდევ ისწავლოს. მე პირადად მყავს სტუდენტები, რომლებიც მთხოვენ-მალე ვაპასუხებინო სემინარი, რადგან სამსახურიდან მაბარებენ მასალას.

აქვე ვიტყვი, რომ, როცა მე მათ ვთხოვე გაეცათ პასუხი კითხვაზე: როგორ სწავლებას ანიჭებენ უპირატესობას -ტრადიციულ სწავლებას, თუ ონლაინ სწავლებას, აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა ჯგუფში უპირატესობას ანიჭებენ ონლაინ სწავლებას. მართალია, განსხვავება დიდი არაა, მაგრამ მაინც არის ონლაინ სწავლების სასარგებლოდ. და ეს ხდება არა მარტო ჩემს

ჯგუფში ან ზოგადად ჩვენს ქვეყანაში, არამედ ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორც არის აშშ, იაპონია, ჩინეთი და ევროკავშირის ქვეყნები.

ისინი, ვინც ონლაინ სწავლებას უჭერენ მხარს, სათანადოდ ვერ აცნობიერებენ იმ დიდ ნაკლს, რაც აქვს ონლაინ სწავლებას. ეს ის არის, რომ არ ხერხდება თანაკურსელებთან ურთიერთობა და მათ გარკვეულ ნაწილთან დამეგობრება. ონლაინ სწავლებით დაკავშირებულმა სტუდენტებმა არ იციან ერთმანეთის დაბადების დღეები, ერთობლივი ექსკურსიები, სტუდენტური ზეიმები, საერო და რელიგიური დღესასწაულების ერთად აღნიშვნა და მრავალი სხვა. ამრიგად, მე პირადად ონლაინ სწავლების ყველაზე დიდნაკლად მიმაჩნია ადამიანთა ურთიერთგაცივება და საერთოდაც, გრძნობების, განცდების, ემოციების, სითბოს, სიყვარულის დაქვეითება. სამწუხაროდ, ვერც მასწავლებლისადმი /ლექტორისადმი/ სიყვარულით უტოლდება ონლაინ სწავლება ტრადიციულ სწავლებას და ესეც სრულიად ბუნებრივია. ძნელია სტუდენტს შეაყვარო თავი, როცა ცოცხალ ადამიანთან კი არა, არამედ მის გამოსახულებასთან აქვს ურთიერთობა და თუმცა ყოველი ჩემი ლექცია და სემინარი კოლექტიური „მადლობის“ გადახდით თავდება, ეს ის მაინც არაა, როცა ამ მადლობას გასხივებულ-გაბრწყინებული თვალების შუქი ახლდა წლების განმავლობაში.

დისტანციური სწავლება ან ონლაინ სწავლება ნელა, თანდათანობით ადამიანებს აქცევს მანქურთებად, Homo faber-ებად, ამსგავსებს მათ მანქანებს, ავტომატებს, ანუ აყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომელსაც ფილოსოფოსები „ადამიანთა ურთიერთგაუცხოებას“ უწოდებენ.

ასეთ სიტუაციაში ისევ გენატრება ტრადიციული სწავლება, გინდა მისკენ მიბრუნება, რადგან ადამიანი სოციალური არსებაა და საზოგადოებასთან ურთიერთობის გარეშე მას ცხოვრება არაფრად უღირს.

ასეთ სიტუაციაში მით უმეტეს წარმოუდგენელია ლაპარაკი ეროვნულ სკოლაზე, ეროვნულ განათლებაზე, ეროვნულ ცნობიერებაზე, ეროვნული სიამაყის და ღირსების გრძნობაზე. არადა, თუ ეროვნულობას ვერ აღვზრდით თითოეულ ჩვენ მოწაფესა და სტუდენტში, მაშინ ჩვენ, უკეთეს შემთხვევაში, მივიღებთ მცოდნე ადამიანს, მაგრამ უსამშობლო, უეროვნებო ადამიანს, ანუ მსოფლიო მოქალაქეს, რომლისთვისაც ეროვნული მიკუთვნებულობა შუა საუკუნეებისაკენ მიტრიალებას და ჩამორჩენილობასა და პროვინციალიზმს ნიშნავს.

ჩემი აზრით, ამ მდგომარეობის დასაძლევად აუცილებელია სასწავლო მასალის შინაარსში ეროვნული თემების, ეროვნული საკითხების შეტანა.

გაგიზიარებთ ჩემს მოკრძალებულ გამოცდილებას ამ საქმეში:

ვასწავლი რა „ფსიქოლოგიას“, მე არა მარტო ცალკეულ ფსიქიკურ ფენომენებზე ვესაუბრები ჩემს სტუდენტებს, არამედ იმასაც ვავალებ, რომ მთელი ეს ცოდნა გამოიყენონ საკუთარი თავის სწორად შეფასებასა და სწორად მართვაში, რომ პირველ რიგში ჩამოყალიბდნენ წესიერ ადამიანებად, შეიმუშაონ სწორი ღირებულებითი ორიენტაცია და მსოფლმხედველობრივი პოზიცია. ამის შესაძლებლობას მათ ის ვითარება აძლევს, რომ, აქვს რა ადამიანს ცვალებადი ბუნება, შეუძლია თავისი თავი აქციოს იმად, რადაც უნდა, რომ აქციოს! განსხვავებით ნებისმიერი სხვა ცხოველისაგან, ადამიანი ადამიანად თავიდან კი არ იზადება, არამედ სოციალურ გარემოში ყალიბდება ასეთად. ამიტომ ამბობენ, რომ „ადამიანის არსებობა წინ უსწრებს მის არსს“ /სარტრი/. იგივე სარტრი ამაში ხედავს ადამიანის თავისუფლებას /მაგრამ ეს უკვე სხვა მსჯელობის თემაა/.

რაც შეეხება ეროვნული ცნობიერების აღზრდას, ამ მიზნით სასწავლო მასალას ვამატებ ერთ ახალ თემას: „ქართული ეროვნული ხასიათი“ და ამ თემის ფარგლებში ვიხილავ ქართველი ადამიანის ხასიათის ისეთ ნიშნებს, როგორებიცაა: „ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა“, „სწრაფვა თავისუფლებისაკენ“, „ქართული სტუმართმოყვარეობა“, „ქართული რელიგიური ტოლერანტობა“, „ძუძუმტეობა“, „მოყვასისადმი თავდადება“, „ქალის კულტი“, „წიგნიერებისადმი სწრაფვა“ /ვგულისხმობ „ვეფხისტყაოსნის“ მზითვეში გატანებას/ და ა.შ. და ა.შ. შესაბამისად, უამრავ

მასალას ვიღებ ქართული მხატვრული ლიტერატურიდან და საქართველოს ისტორიიდან და სტუდენტებსაც ვავალებ, რომ კიდევ ერთხელ გადაიკითხონ ეს მასალა.

როცა ამ ეროვნულ თვისებებზე ვლაპარაკობ, იქვე ხაზს ვუსვამ, რომ ეს მარტო ქართველთათვის კი არაა დამახასიათებელი, არამედ ეს თვისებები ქართველს უბრალოდ სხვა ერისა და ეროვნების ადამიანებთან შედარებით უფრო მეტად აქვს წარმოჩენილი/ასე მაგალითად, არცერთ სხვა ერისა და ეროვნების ადამიანებს არა აქვს თავისი მიწა-წყლის ისეთი მონატრება, ანუ ნოსტალგია როგორც ქართველს. ხომ ფაქტია, რომ ქართველი კაცი, რაგინდ მდიდარი და წარმატებული არ უნდა იყოს საზღვარგარეთ, არსად არ არის ბედნიერი თავისი ქვეყნის გარეთ/.

ახლა მოკლედ უნდა შევეხო ჩვენი კონფერენციის თემის: „ონლაინ სწავლება კოვიდ 19-ის პირობებში და განათლების სისტემა“ მეორე ნაწილს, ანუ განათლების სისტემას. პირველ რიგში დავსვამ კითხვას: რა ვითარებაა დღეს ქართულ განათლების სისტემაში? მოგეხსენებათ, ახლა ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ქართული განათლების რეფორმა ჩაიშალა, რომ ტყუილა გაიფანტა ამ საქმის გამოსწორებისათვის გაცემული მილიონები, რომ დღეს განათლებაში დიდი კრიზისია. მარტო მე მაქვს ამ თემაზე 15-ზე მეტი სტატია დაბეჭდილი ჟურნალ-გაზეთებში. ამ წერილების სათაურები თავისთავად ამბობენ სათქმელს. დავასახელებ ზოგიერთ მათგანს: „განათლების რეფორმა როგორც ქართული სკოლის მზის ჩასვენება“, „ეროვნული განათლება საფრთხეშია“, „დიახ, კრიზისი, ოღონდ კრიზისი, ზნეობაში, აღზრდასა და განათლებაში“, „რატომ ვამბობთ უარს აღზრდაზე“ /ცვლის თუ არა განათლება აღზრდას/, „განათლების რეფორმის მთავარი ნაკლი მისი არაეროვნულობა“, „თანამედროვე განათლების რეფორმის შუქ-ჩრდილები“ და ა.შ. ამას უნდა დავუმატოთ უპასუხოდ დარჩენილი 4 უმწვავესი ღია წერილი უშუალოდ განათლების მინისტრებისადმი.

მაგრამ, სამწუხაროდ, ვითარება არ იცვლება. ზოგი ამ კრიზისულ ვითარებას კოვიდ-19-ს აბრალებს, რაც მხოლოდ ნაწილობრივ არის სწორი.

ჩემი აზრით, კოვიდ-19-მა კი არ ჩააფლავა ქართული განათლების სისტემა, არამედ იმ შეცდომებმა, რაც განათლების სამინისტრომ დაუშვა ამ საქმეში. ეს შეცდომები იმდენია, რომ მათი სერიოზული ანალიზი ერთი მოხსენების ფარგლებში, შეუძლებელია. ამიტომ მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლი:

ყველაზე დიდი ზიანი განათლების სისტემას იმან მიაყენა, რომ ხელისუფლებამ და განათლების სამინისტრომ სრული იგნორირება გაუკეთეს განათლების დარგის სპეციალისტებს, მათ მეცნიერულ დასკვნებს და იგი /სამინისტრო/ არსებითად უცხოელი ექსპერტების დასკვნებს დაეყრდნო. ეს ის უცხოელი ექსპერტები არიან, რომლებმაც არაფერი იცოდნენ ქართული პედაგოგიკური მეცნიერების გამოცდილებისა და, ალბათ, არც არაფერი სმენოდნენ მსოფლიო პედაგოგიკის კლასიკოსის იაკობ გოგებაშვილის, არც მსოფლიოში სახელგანთქმული ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძისა და დიდი ილია ჭავჭავაძის და სხვათა შესახებ, ხოლო, მერე მხრივ, მიიჩნევდნენ რა საქართველოს განვითარებად ქვეყნად, საქართველოს განათლებას ის მოდელი მოარგეს, რომელიც განვითარებადი ქვეყნებისთვის ჰქონდათ გამზადებული.

მეცნიერულად დაუსაბუთებელი იყო განათლებისა და უმაღლესი სკოლის კანონები, რომლებიც 2004 და 2005 წლებში მიიღო სახელმწიფომ. ორივე ამ კანონს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აწერდა ხელს. ამ კანონების შეუსაბამობას განათლების სამინისტროს ცალკეულ დებულებებთან კარგად ასაბუთებს ქალბატონი მანანა ნიკოლაიშვილი თავის სატელევიზიო საავტორო გამოსვლებში „ობიექტივში“ /ამ საკითხს მან გადაცემათა დიდი ციკლი მიუძღვნა/.

ერთ-ერთი მთავარი ნაკლი ამ კანონებისა /განსაკუთრებით უმაღლესი განათლების კანონისა/ის იყო, რომ მან ფაქტიურად უარი თქვა აღზრდაზე და მთელი აქცენტი გადაიტანა განათლებაზე. არადა, „განათლების“ ცნება არ არის „აღზრდის“ ცნების იდენტური ცნება.

უფრო მეტიც, განათლება ვერ ცვლის აღზრდას. მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანი შეიძლება იყოს განათლებული, ნაკითხი, უაღრესად განსწავლული, ბევრი ენის მცოდნე, მაგრამ არ იყოს კარგად აღზრდილი ზნეობრივი პიროვნება. მით უმეტეს, იგი არ გულისხმობს ამ პიროვნების ეროვნულობას.

თუ, ვთქვათ, მე ვცდები და სამინისტრო უარს არ ამბობს აღზრდაზე, მაშინ სად წავიდა აღზრდის თეორია - პედაგოგიკა, რატომ ამოაგდო იგი 2010 წლის 3 დეკემბრის ბრძანებულებით ბატონმა შაშკინმა სასწავლო დისციპლინებიდან ისე, რომ იგი დღემდე აღარავის აღუდგენია. სად არის, რატომ გააუქმეს განათლების სამინისტროსთან არსებული პედაგოგიკის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტი, სად არის, რატომ გააუქმეს სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტი, სად არის, რატომ გააუქმეს ყველა უნივერსიტეტთან არსებული პედაგოგიკის კათედრები?! სად არის, რატომ არ მზადდება პედაგოგის სპეციალობაში კადრები?! ან საიდან მოიტანეს მეცნიერებისთვის სრულიად მიუღებელი ტერმინი „მასწავლებლობის მაძიებელი“,

რატომ არ არის, მაგალითად, „ინჟინრობის მაძიებელი“, „ექიმობის მაძიებელი“, „აგრონომობის მაძიებელი“ და ა. შ. რატომ არ შეიძლება, რომ ინჟინრობის, ექიმობის ან აგრონომობის მაძიებელი ადამიანი 2 წელიწადში გახდეს ინჟინერი, ექიმი, ან აგრონომი?! ხოლო პედაგოგიკაში ეს შეიძლება?!

არადა, ხომ ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ აღზრდის გარეშე ადამიანის ნაშიერი ადამიანად ვერ იქცევა. აღზრდის გარეშე, როგორც ფილოსოფოსები ამბობენ, ადამიანი ადამიანობის კანდიდატია მხოლოდ და არა ნამდვილი ადამიანი. ეს მარტო ჩვენ კი არ ვიცით, არამედ იმანაც კარგად იცის, ვინც „აღზრდა“ ამოაგდო სასწავლო დისციპლინებიდან და „განათლების“ ცნებაში შეიტანა. მაგრამ ასეთი მანიპულაცია თვალში ნაცრის შეყრაა და მეტი არაფერი. რაგინდ არ უნდა გავაფართოოთ „განათლების“ ცნება იგი „აღზრდის“ ცნებას ვერ მოიცავს თავის შიგნით, რადგან ეს ორი სხვადასხვა ცნებაა.

მე არ ვიცი, რა ვითარება იყო ამ მხრივ იურისპრუდენციაში, მაგრამ იურისტებმა ის მაინც მოახერხეს, რომ იუსტიციის მინისტრმა მრჩევლად აიყვანა იურიდიულ საქმეთა საუკეთესო მცოდნე ბატონი მინდია უგრეხელიძე. მსგავსი რამ, წესით, სხვა სფეროებშიც უნდა განხორციელდეს. სხვა შემთხვევაში თავიდან ვერ ავიცილებთ იმ კურიოზებს, რომელთაც საგანმანათლებლო სფეროში ჰქონდა და აქვს ადგილი. საქმე ეხება თემებს: როდის, რომელ ასაკში უნდა შეიყვანონ მშობლებმა ბავშვი სკოლაში, რომელი ასაკიდან შეიძლება ბავშვმა დაიწყოს ორი ენის შესწავლა ერთდროულად, საჭირო იყო თუ არა მე-12 კლასის დამატება, ანუ 18 წლის მომწიფებული ყმაწვილის სკოლის მოწაფეობა?! საჭირო იყო თუ არა, ან რა ფუნქცია უნდა შეესრულებინა სკოლაში მანდატურის სამსახურის შემოღებას და მრავალი სხვა.

მოკლედ რომ შევაჯამოთ დღევანდელი ვითარება, მდგომარეობა ასეთია: ნაცვლად იმისა, რომ იცვლებოდა უვარგისი კანონები, ერთიმეორის მიყოლებით იცვლებიან მინისტრები, მდგომარეობა განათლებაში კი კვლავ უცვლელი რჩება, „აღზრდა“ კვლავ ზედმეტად არის მიჩნეული იმ სამინისტროს საქმიანობაში, რომელიც სწავლა-აღზრდის საქმეს უნდა ემსახურებოდეს. შედეგი?! შედეგი, სხვას რომ თავი დავანებოთ, ნინოწმინდის პანსიონის ხელმძღვანელის მეუფე სპირიდონის აღმამფოთებელი საქციელი და ამ უმსგავს საქციელზე განათლების მინისტრის მიხეილ ჩხენკელის სრულიად გაუგებარი და მიუტევებელი დუმილია.

განათლების რეფორმის შემოღებისას ჩვენში ფართოდ იყო გავრცელებული მოწოდება: „ჩავწვდეთ ამერიკის სულს“. ჩვენი პასუხი ამ მოწოდებაზე ასეთია: თავი დავანებოთ „ამერიკის სულს“, ამას თავად ამერიკელები ჩვენზე კარგად მოუვლიან. ჩვენს სულს, ჩვენს ქართველობას მივხედოთ, ჩვენს უნიკალურ და უძველეს კულტურას ვუპატრონოთ, ჩვენს ტრადიციებსა და ადათ-წესებზე ვიზრუნოთ, ჩვენს საგალობლებსა და პოლიფონიურ სიმღერებს მოვუაროთ და ასე უსასრულოდ!

რეზიუმე

ონლაინ სწავლება დისტანციური სწავლების ერთ-ერთი თანამედროვე ფორმაა. იგი, ცხადია, განსხვავდება ტრადიციული სწავლებისაგან, რაც მასწავლებლისა და მოსწავლის უშუალო, ცოცხალ ურთიერთობას გულისხმობს კლასსა ან სალექციო აუდიტორიაში.

ონლაინ სწავლება, განსხვავებით ტრადიციული სწავლებისაგან, ერთ დროში ხორციელდება, მაგრამ არა ერთ სივრცეში. სივრცედ აქ ნებისმიერი ადგილი შეიძლება იგულისხმებოდეს, სადაც არის კომპიუტერი და ინტერნეტი.

არიან ადამიანები, რომელთაც ჰგონიათ, რომ სწავლების დისტანციური ფორმა იძულებითი ფორმაა, კოვიდ 19 პანდემიით გამოწვეული, მაგრამ ეს ასე არაა. დისტანციური სწავლება ჯერ კიდევ მაშინ გავრცელდა, როცა კოვიდის ხსენება არ იყო.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ონლაინ სწავლება იძლევა იმის საშუალებას, რომ სტუდენტმა კიდევაც იმუშაოს და კიდევაც ისწავლოს მთელი ცხოვრების განმავლობაში /LLL/, იგი უპირატესიც კია ტრადიციულ სწავლებასთან შედარებით.

ჩემი სტუდენტების უმრავლესობა ონლაინ სწავლებას ანიჭებენ უპირატესობას.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული სწავლება, დისტანციური განათლება, დისტანციური სწავლება, ონლაინ განათლება/სწავლება, შერეული სწავლება, ჰიბრიდული სწავლება, ტრადიციული განათლება.

Rezo Balanchivadze

Associate Professor
of Caucasus International
University
Georgia, Tbilisi

Online Learning as a Modern Form of Teaching Summary

Online learning is one of the up-to-date forms of distant learning. It is clear that it differs from the traditional learning that means direct, face-to-face relation between a teacher and a student in the classroom or in the lecture hall.

Online learning, unlike traditional learning is carried out in the same time but not in the same space. The space here means any place equipped with a computer and internet.

Many people consider distant learning to be a forced form of learning caused by pandemic era of Covid-19. This opinion is wrong. Distant learning was spread even when there was no mention of Covid19 in the world.

Considering the fact that online learning gives the students opportunity to work and study in terms of Life-Long-Learning, we can judge it as a certain advantage compared to traditional learning.

The majority of my students give preference to online learning.

Key words: e-learning, distance education, distance learning, online education/learning, traditional learning, blended learning, hybrid learning.

პაატა ქურდაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის
ასოცირებული
პროფესორი

თამარ რემიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი

სოფიო ყირიმელი

სოციალური ფსიქოლოგიის
მაგისტრი
საქართველო, გორი

ონლაინ სწავლების ფსიქოლოგიური ასპექტები

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, დისტანციური სწავლება საკლასო და სააუდიტორიო სწავლების ფორმისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. დისტანციური, ანუ იგივე ონლაინ სწავლება ტრადიციული სწავლების ფორმისაგან განსხვავებით ხასიათდება რიგი ფსიქოლოგიური თავისებურებებით. სანამ კონკრეტულად თავისებურებებზე ვისაუბრებდეთ, მანამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ დისტანციური სწავლების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია.

დისტანციური სწავლება სათვეებს იღებს XVIII საუკუნის ბოლოდან, როდესაც დიდ ბრიტანეთში ისააკ პიტმანმა შემოიღო ეგრეთწოდებული „კორესპონდენტური სწავლება“ სტუდენტ ტელეგრაფისტებისათვის, სადაც მსმენელები იღებდნენ სასწავლო მასალას და ასევე აბარებდნენ გამოცდებს საფოსტო კავშირებით. შემდეგ XIX- საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ში ანა ტიკნორმა ჩამოაყალიბა ქალების სწავლება ფოსტის მეშვეობით. განსაკუთრებით წარმატებული იყო 1874წ. ვილიამ რეინ ჰაპერის მიერ ორგანიზებული სწავლების სისტემა აშშ-ს შტატ ილინოისში კორესპონდენტთა სავტორო პროგრამის სახით. 1906 წელს დაიწყო დისტანციური სწავლება ფოსტის მეშვეობით აშშ-ს შტატ ვიკსონის უნივერსიტეტში. 1911 წელს დაარსდა ავსტრალიაში კვინსდის უნივერსიტეტში ონლაინ სწავლების კურსები. 1914 წელს მოხდა კორესპონდენტული ხასიათის დისტანციური სწავლების ორგანიზება ავსტრალიასა და კანადაში. 1939 წელს დაარსდა ბავშვთა განათლების ცენტრი საფრანგეთში. 1960 წელს სსრკ-ში იხსნება პირველი ონლაინ სწავლება უნივერსიტეტებში. 1969 წელს დაარსდა ეგრეთ წოდებული “Open University” დიდ ბრიტანეთში. 1979 წელს ჩინეთში ამოქმედებულ იქნა რადიო და ტელე სწავლება. 1988 წლიდან იწყება საერთაშორისო ონლაინ სწავლების პირველი ნაბიჯები „სკოლა ელექტრონული ფოსტის სახით (სსრკ-აშშ) შორის [10, 53-6]. 1980 წლიდან იწყება პერსონალური კომპიუტერების ხანა და მათი ჩართვა დისტანციურ სწავლებაში.

დღეისათვის გვაქვს ონლაინ სწავლების რამდენიმე ფორმა, რომლებიც ძირითადად იყოფიან ორ ნაწილად: ონლაინ სწავლება სინქრონულად და ასინქრონულად. მათ შორის მოტივაციისა და დაინტერესების ხარისხის მიხედვით გვაქვს ერთმანეთისაგან მსგავსი და ასევე განსხვავებული ფსიქოლოგიური თავისებურებანი. მსგავსში მოიაზრება ის თავისებურებანი, რაც საერთოდ დამახასიათებელია ონლაინ სწავლებისათვის, ხოლო განსხვავებულში ის თავისებურებანი, რომელნიც გამომდინარეობენ ამ სწავლებათა ორგანიზაციის სხვადასხვაობებიდან.

ონლაინ სწავლება ალბათ თანდათანობით გააგრძელებს თავის განვითარებას გლობალიზაციისა და ტექნიკური პროგრესის განვითარებასთან ერთად, მაგრამ მსოფლიო პანდემიამ დააჩქარა ეს პროცესი რის გამოც, ონლაინ სწავლება კოვიდ პანდემიის პირობებში მეტად აქტუალური და სასიცოცხლო მნიშვნელობის გახდა. ამან გამოიწვია ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ასეთი სახის სწავლების სწრაფი იმპულსური რეალიზება. ეს უკანასკნელი კი მოითხოვს ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური პლატფორმიდან გაძლიერებულ სწრაფ შესწავლას, რადგან სასწავლო პროცესი სპონტანურად გადადის დისტანციურ სწავლებაზე, როდესაც თითქმის არ არსებობს ასეთი სასწავლო პროცესის სწავლის ორგანიზაციის ფორმები და სწავლის მეთოდика. ის ძირეულად განსხვავებულია მანამდე არსებული ონლაინ სწავლების ხასიათისაგან. ასეთი იძულებითი გადასვლა ონლაინ სწავლებაზე რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული. და მისი ფსიქოლოგიური ასპექტები მკვეთრად განსხვავდება არა მარტო ტრადიციული საკლასო, საუდიტორიო სწავლების ფსიქოლოგიური ასპექტებისაგან, არამედ ის ასევე განსხვავდება წინასწარ დაგეგმილ და შესწავლილ ონლაინ სწავლების ფსიქოლოგიური ასპექტებიდან. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ ონლაინ სწავლების ძირითადი თავისებურებების შემდეგი საკითხები: 1. მასწავლებელთა და მოსწავლეთა დამოკიდებულება ახალი ინფორმაციული პლატფორმებისა და ტექნოლოგიების გამოყენებისადმი; 2. მასწავლებელთა და მოსწავლეთა სივრცულ გაყოფასთან დაკავშირებული საკითხები; 3. პიროვნულ-ემოციური კომუნიკაციის ტრადიციული ფორმისაგან განსხვავებული ახალი სიტუაცია; 4. მასწავლებელთა დამოკიდებულება ეგრეთწოდებულ მედიაგანათლებასთან; 5. ტრადიციული მეთოდის სწავლებასთან დაკავშირებული მოტივაციისაგან განსხვავებით, ონლაინ სწავლებისათვის საჭირო მაღალი ხარისხის მოტივაციის აუცილებლობა; 6. გლობალიზაციის სოციალიზირების დაჩქარება.

მასწავლებელთა და მოსწავლეთა დამოკიდებულება ახალი ინფორმაციული პლატფორმებისა და ტექნოლოგიების გამოყენებისადმი. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევართა ერთი ჯგუფი კომპიუტერულ ტექნოლოგიებს განიხილავს, როგორც ადამიანის შინაგან სამყაროში შეჭრას, რასაც თან სდევს კოგნიტური და ემოციონალური ცვლილებები. ამ პროცესებს შეიძლება მოჰყვეს ადრეული ღირებულებების გადაფასება, ადამიანის მსოფლმხედველობითი შეხედულებების ერთგვარი გადამოწმება, გადახედვა, კერძოდ საკუთარი „მე“-ს ადგილის და როლის შესახებ სამყაროში (7). ჩვენი აზრით ამ პრობლემის დაძლევა მიმდინარეობს შედარებით უმტკივნეულოდ, რაც განპირობებულია ნანოტექნოლოგიების სწრაფი ტემპის განვითარებით და ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში მასიურად შემოსვლით (მხედველობაში გვაქვს თანამედროვე მობილური ტელეფონები, რომლებიც კომუნიკაციის და ინფორმაციის მიღების თანამედროვე უნიკალური საშუალებაა, როგორც ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი), რასაც, უნდა აღინიშნოს, მოზარდმა თაობამ უფრო სწრაფად აუღო აღღო. ვიდრე მათმა მშობლებმა და პედაგოგებმა. ამდენად ახალი სასწავლო ელექტრონული პლატფორმებისადმი, ისეთებისადმი, როგორებიც არის „ზუმი“ და „თიმსი“ მოსწავლეთა დამოკიდებულება შეიძლება შევაფასოთ დადებითად. რაც შეეხება კოგნიტურ და ემოციონალურ ცვლილებებს, ამას რა თქმა უნდა ადგილი აქვს და ის ცალკე ღრმა საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს.

მოსწავლეთა და მასწავლებელთა სივრცულ გაყოფასთან დაკავშირებული პრობლემები. ტრადიციული სასწავლო პროცესი მოითხოვს რიგ სასწავლო პირობებს, ისეთებს როგორიცაა სასწავლო გარემო. ცნობილია, რომ სასწავლო გარემოში მოიაზრება ფიზიკური სასწავლო გარემო. მაგალითად, ლოუტონი (1999) გამოჰყოფს ობიექტურ და სუბიექტურ ფიზიკურ გარემოს. ობიექტური ფიზიკური გარემოა ყველაფერი უსულო, რაც პიროვნების გარშემოა და შესაძლებელია მისი დათვლა ან გაზომვა. სუბიექტური ფიზიკური გარემო არის ობიექტური ფიზიკური გარემოს ელემენტების ტრანსფორმირება ინდივიდისთვის კოგნიტურ ან

აფექტურ მნიშვნელობად და ფუნქციად, ანუ სუბიექტური ფიზიკური გარემო ინდივიდის და ობიექტური ფიზიკური გარემოს ურთიერთქმედებაა. ბრონფენბრენერის განვითარების ეკოლოგიურ თეორიაზე დაფუძნებული კვლევების თანახმად, თითოეული ნივთი კონკრეტული აქტივობისკენ გვიბიძგებს, ხოლო გარემოს სტრუქტურად ამისი ბარიერები, ბილიკები გარკვეულ მიმართულებას აძლევს ან ზღუდავს მოძრაობას და აქტივობას [1, 138]. პირამიდის მოდელის [Fox et al., 2003; Hemmeter, Ostrosky, & Fox, 2006] თანახმად ფიზიკური გარემო ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ბავშვის სოციალური და ემოციური კომპეტენციისთვის. ფიზიკური გარემოს მართვით შეგვიძლია პრობლემური ქცევების პრევენცია და შემცირება. ფიზიკურ გარემოს ზემოთქმულიდან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა კოგნიტური უნარების კონცენტრირებაში, რაც მასწავლებელს ეხმარება მოცემულ რეალურ ეფექტურ სივრცულ გარემოში კლასის მართვაში, გაკვეთილის პროცესში მოსწავლეთა ემოციების მართვაში, სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის კონტროლში. ეს ყველაფერი კომპიუტერის ეკრანის მიღმა ტრადიციული საკლასო სააუდიტორიო სივრცისაგან განსხვავებულ ნახევრად ვირტუალურ გარემოსა და სივრცეში მოითხოვს კოგნიტური და ემოციური მახასიათებლების შეცვლილ მდგომარეობას, როგორც მოსწავლისგან ასევე მასწავლებლისგან, რაც მეტად მკვეთრად არის გამოხატული სინქრონული ონლაინ სწავლების ფორმისათვის. ეს მდგომარეობა ჩვენ ზემოთ გამოვყავით, როგორც პიროვნულ-ემოციური კომუნიკაციის ტრადიციული ფორმისაგან განსხვავებული ახალი სიტუაცია, სადაც სასწავლო ფიზიკური გარემო მკვეთრად განსხვავებულია რეალური საკლასო ფიზიკური გარემოსგან. ეს უკანასკნელი მოითხოვს მოსწავლისაგან პიროვნული თვისებების გააქტიურებას, განსაკუთრებით ნებისყოფის, მიზანზე კონცენტრაციის, ემოციების განსხვავებულ გამოხატვას და ინდივიდუალიზმის გაზრდილ ფაქტორებს. აქ შესაძლებელია მოსწავლეს განუვითარდეს ემპათიის უკმარისობა, სხვა ადამიანთა ანუ განცდების შეგრძნების უკმარისობა, მათი რეაქციის დაბალი დონე თანაკლასელთა ემოციებზე და მდგომარეობაზე შემეცნების პროცესში. ასევე კომპიუტერთან მრავალწლიანი ურთიერთობა მკვლევართა ერთი ნაწილისაზრით ზრდის პიროვნების მიდრეკილებას კონფლიქტებისა და ეგოცენტრიზმისაკენ. ამ ცნებას პიაჟე იყენებდა, ბავშვის ფსიქიკური მდგომარეობის დასახასიათებლად, რაც გულისხმობს ინდივიდის მიერ სხვა ადამიანის თვალსაზრისის გააზრების უუნარობას. ეგოცენტრულობას ბავშვი კოგნიტური განვითარების წინა ოპერაციულ სტადიაზე იძენს, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო სხვა ბავშვებთან თამაშის დროს ხდება, მაშინ როცა ბავშვი საკუთარ თავთან უფრო მეტს საუბრობს ვიდრე დანარჩენებთან. იგი ფიქრობს, რომ სხვებიც იმავეს გრძნობენ და ხედავენ, რასაც თვითონ, საკუთარი პოზიციიდან. ადრეული ბავშვობისთვის დამახასიათებელი ეგოცენტრიზმისგან განსხვავებულია მოზარდობის ასაკში გამოვლენილი ეგოცენტრიზმი. განარჩევენ მის ორ ფორმას. პირველია წარმოსახვითი აუდიტორია, რომელიც გულისხმობს მოზარდის დარწმუნებულობას, რომ გარშემო ყველა ისევეა დაინტერესებული მისით, როგორც თვითონ-საკუთარი თავით, ხოლო ეგოცენტრიზმის მეორე ფორმაა პიროვნული ფაბულა, რომელიც გამოიხატება მოზარდის აღქმაში, რომ მისი გრძნობები და აზრები უნიკალურია და მხოლოდ მას ახასიათებს [6, 108]. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი აზრით მასწავლებლებს სკოლის დაწყებით საფეხურზე დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ მშობლებისათვის.

მოსწავლეთა დამოკიდებულება მედიაგანათლებასთან. ამ მიმართებით მოსწავლეთა აზრი გაორებულია. ერთი მხრივ მოსწავლეები თვლიან, რომ ონლაინ სივრცეში, ანუ ინტერნეტში მეტი

რესურსია და ამასთანავე თვალსაჩინოება უფრო მეტია, ვიდრე ტრადიციული სწავლებისას; მაგრამ მათ უფრო ეხალისებათ და მოსწონთ რეალურ გარემოში ჩატარებული გაკვეთილი. ის მოსწავლეები, რომელნიც უპირატესობას ანიჭებენ რეალურ გარემოში მიმდინარე სასწავლო პროცესს, აქცენტს აკეთებენ იმ მომენტზე, რომ იდეალური ვარიანტი იქნება სასწავლო პროცესის ფორმებში ეგრეთწოდებული შერეული გაკვეთილი, ანუ გაკვეთილი ჩატარებული რეალურ გარემოში კომპიუტერული და ინტერნეტ რესურსების ჩართვით, რაც სამწუხაროდ ქართულ სინამდვილეში ჯერ-ჯერობით ისევ არ ატარებს მასიურ ხასიათს (მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ მართალია ინტერნეტით და კომპიუტერებით სკოლები არის უზრუნველყოფილი, მაგრამ სკოლას არ გააჩნია სმარტ დაფები, ხოლო პროექტორი, ორი სამია, რაც არ არის საკმარისი). პრობლემა გვაქვს მოსწავლეთა ოჯახების მხრიდანაც კომპიუტერებისა და ლეპტოპების რესურსის ნაკლებობით. გარკვეული მოსწავლეები იძულებულნი არიან ონლაინ გაკვეთილზე ჩაერთონ ტელეფონით. პრობლემაა იმ შემთხვევაშიც, თუ ოჯახში ერთი ლეპტოპია, ხოლო მოსწავლე რამდენიმე სხვადასხვა კლასებში.

მოსწავლეთა მოტივაცია, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, გადამწყვეტი ფაქტორია მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართვისა და ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. მოგეხსენებათ მოტივაცია გვაქვს ძირითადად ორი სახის: შინაგანი და გარეგანი. აქედან ორივე მეტად მნიშვნელოვანია. შინაგანი მოტივაცია ეს პიროვნული შემეცნებითი ინტერესებიდან, პიროვნული “მე“-დან მომდინარე ინტერესია, ხოლო გარეგანი თვით წარმოჩინების, წახალისების, მოწინავე პოზიციებზე ყოფნის, ცხოვრებისეული კეთილ მდგომარეობის მიღწევის სურვილიდან მომდინარე.

მოტივაციის ამ ორივე ფორმას ძირითადად მართავს მიზანი, ინდივიდის სწრაფვისა დაიკავოს საზოგადოებაში, სოციალურ უკეთესი სიტუაციური მდგომარეობა, რაც მომდინარეობს ადამიანური შინაგანი თვისებიდან გაეცეს ტკივილს და ისწარაფოს სიამოვნებისაკენ, უკეთესი ცხოვრებისაკენ, იყოს ცხოვრებაში მატერიალურად უზრუნველყოფილი და არა მარტო მატერიალურად. ასეთი მოტივაცია დაკავშირებულია ნებისყოფასთან, რომლის გამომუშავებაშიც დიდი მნიშვნელობა გააჩნია მიზნის დასახვას და მისკენ ლტოლვას, დაუღალავ შრომას მის მისაღწევად.

რაც უფრო სანუკვარი და ძვირფასია მიზანი, მით უფრო მეტია ინდივიდის პიროვნების ნებელობითი ძალისხმევა. საბოლოო ჯამში ამ ძალისხმევას მიზნის მიღწევის დიდი ინტერესი და აქედან გამომდინარე მაღალი მოტივაცია განაპირობებს. ეს ზოგადად; ეხლა რაც შეეხება მოსწავლის მოტივაციას. იგი უნდა აღვზარდოთ პირველ რიგში ოჯახში, სკოლამდელ დაწესებულებებში, სკოლის ყველა საფეხურზე, ყველა გაკვეთილზე, უმაღლეს სკოლაში და ა.შ. ცხოვრებისათვის მზადების მოტივით. აქედან გამომდინარე, მოსწავლეში სწავლის მოტივაციის აღზრდა, საერთო აღმზრდელობითი მუშაობის ქვაკუთხედს წარმოადგენს, ნებელობითი ძალების განვითარებასთან ერთად.

მოტივაცია არის საფუძველი განწყობისა. მოგეხსენებათ დიმიტრი უზნაძის მიხედვით განწყობა არის სუბიექტის მდგომარეობა, რომელიც განსაზღვრავს მის მზაობას კონკრეტული ქცევის შესასრულებლად. ნებისმიერ ქცევას, აუცილებლად წინ უსწრებს განწყობის აღმოცენება. განწყობა არის ფსიქოფიზიკური მზაობის მდგომარეობა [2, 9], ხოლო რადგან სწავლა ადამიანური გონებრივი ქმედებიდან ერთ-ერთი ურთულესი პროცესია, ანუ პროცესი შემეცნებისა, ის მოითხოვს განსაკუთრებულ განწყობას, რომელსაც სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია, როგორც ეს ნაწილობრივ ზემოთაც აღვნიშნეთ ამას დიდად ეხმარება

ეფექტური სასწავლო გარემო, დადებითი ემოციური სივრცე, სადაც ყველაფერთან ერთად უმნიშვნელოვანესია ცოცხალი კონტაქტები მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის და ასევე კონტაქტები ამხანაგებთან, თანაკლასელებთან თანმხლები ემოციური ასპექტებით. სწორედ ეს სასწავლო სივრცე მასწავლებლის ხელმძღვანელობით არის მნიშვნელოვანი განწყობის შექმნაში და მის შენარჩუნებაში, ნებისყოფის წრთობაში, სადაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჩაბმულობა სასწავლო პროცესში ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობებით. ონლაინ სწავლებაში როგორ კარგ დონეზე არ უნდა წარმართოთ იგი მაინც, ეს პროცესი ეკრანის მღმა მიმდინარეობს და ვირტუალურს, თუ არა ნახევრად ვირტუალურ ხასიათს ატარებს, მოსწავლის კოგნიტური ძალებისადმი. იგი აღიქმება, როგორც რეალურისგან, ბუნებრივისაგან განსხვავებული სივრცე და რა თქმა უნდა აქ უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო მოსწავლეთა მოტივირებისა და სასწავლო განწყობის შესაქმნელად და შენარჩუნებისათვის. ამიტომაც, რომ მასწავლებელი ონლაინ გაკვეთილზე უფრო მეტად იხარჯება და აქ მას უფრო მეტი ძალისხმევა სჭირდება სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვისათვის. ეს ყველაფერი უმთავრესად დაკავშირებულია კომენსკის ბუნებისშესაბამისობის სწავლაში გამოყენების პრინციპთან [5, 90]. მოგეხსენებათ ამ პრინციპს დიდი მნიშვნელობა აქვს შემეცნებაში და საწვლის პროცესში, იგი კუნთუცისგან მომდინარეობს. ონლაინ სწავლება, საშუალო სკოლაში გარკვეულწილად არის სასწავლო პროცესი ბუნებრივი, რეალური პროცესისაგან მოწყვეტილი, რაც უკვე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით პრობლემაა და მოითხოვს რეალური პროცესისაგან განსხვავებულ მიდგომას. იმისათვის, რომ ონლაინ სწავლება წარმართოთ წარმატებულად, საჭიროა იგი მაქსიმალურად მიუახლოვოთ რეალურს, ხოლო, თუ რამდენად შევძლებთ ამას ესეც მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული, სადაც რა თქმა უნდა ლომის წილი მოდის მასწავლებლის ცოდნასა და გამოცდილებაზე და სათანადო რესურსების წვდომაზე. შესასწავლი საკითხიდან გამომდინარე მასწავლებლის ყურადღება ძირითადად მიმართული უნდა იყოს ამ ახალი სიტუაციის ფსიქო-პედაგოგიური ასპექტების ახლებურად გააზრებაში, რომელიც დამახასიათებელია ონლაინ სწავლებისათვის, ანუ მოკლედ, რომ ვთქვათ ონლაინ სწავლების ფსიქოლოგიური ასპექტები თანდათან პრაქტიკასთან ერთად უნდა გამოგვევითოდ. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა კოგნიტური უნარების გააქტიურება, მისი მაქსიმალური მიახლოება რეალური სიტუაციის აღქმის მოდელთან, რაც მოითხოვს მოსწავლეთა მოტივაციისა და განწყობის ახლებურად დანახვას და ისეთი სასწავლო მეთოდებისა და გზების ძიებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს მოსწავლეთა კოგნიტური უნარები და ძალები, ხატოვნად, რომ ვთქვათ, მოსწავლის გონებამდე მისასვლელი შეგრძნებითი არხები ისეთნაირად გავაძლიეროთ, რომ მათ გაატარონ მაქსიმალურად ინფორმაციული იმპულსები. ცხადია ამის მიღწევა შესაძლებელია მოსწავლის გონების მაქსიმალური კონცენტრაციის ფონზე, გაძლიერებული მოტივაციით, ინტერესით და ნებელობითი ძალებით.

რაც შეეხება გლობალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, აქ რა თქმა უნდა საინტერნეტო რესურსების ფლობა, სათანადო ინფორმაციის მოძიება მინიშვნელოვნად უწყობს ხელს ისეთ მნიშვნელოვან სოციალურ მოვლენას, როგორიცაა გლობალიზაცია. ონლაინ სწავლება ამ მიმართებით იძლევა უნიკალურ საშუალებას - სტუდენტმა ახალგაზრდობამ ისწავლოს საზღვარგარეთ, საერთაშორისო სივრცეში და დაეუფლოს სათანადო სპეციალობას, კვალიფიკაციას მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში. გაიცნოს მათი მოწინავე ტექნოლოგიები და დადებითი წარმატებული გამოცდილება ეკონომიკისა და ქვეყნის ფუქციონერების. ეს უკანასკნელი ადრე თუ გვიან გამოიღებს თავის შედეგს ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციაში

საერთაშორისო სივრცესთან, როორც თანასწორი და თანატოლი ინტელექტუალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში.

არსებობს კვლევები, რომლის მიხედვითაც ასინქრონული, წინასწარ სტრუქტურირებული დისკუსიები, ფორუმები, დროში გაწერილი მკაფიო ინსტრუქციები და ინდივიდუალური უკუკავშირი საუკეთესო სტრატეგიებია ონლაინ რეჟიმში სწავლებისთვის [10]. მიუხედავად იმისა, რომ განმავითარებელი შეფასება ბევრს რთულად წარმოუდგენია ონლაინ სასწავლო სივრცეში, ასეთი პედაგოგიკური მეთოდების მოძიება შესაძლებელია მულტიმედია საშუალებების გამოყენებით. ინდივიდუალური უკუკავშირის პრაქტიკის დანერგვა ონლაინ სწავლების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად მიიჩნევა; ეს მოითხოვს სტუდენტთა აქტივობების მუდმივ კონტროლს, დისკუსიებს და ფორუმებისთვის თვალყურის აქტიურად დევნებას [Gikandi, 2011]. Cook&Steinert-მა [2013] დაასკვნეს, რომ ონლაინ კურსები განსაკუთრებით წარმატებულია, როცა ის შეიცავს კოლაბორაციის ასპექტებს, ჯგუფურ სავარჯიშოებს და სოციალურ ინტერაქციას. Darabi და სხვები (2013) ამბობენ, რომ ასევე დიდი გავლენა აქვს პედაგოგიურად მდიდარ მრავალფეროვან სასწავლო ინსტრუქციებს და მულტიმედია რესურსებს. თუმცა, ამავდროულად მნიშვნელოვანია, საჭიროების შემთხვევაში, ინსტრუქტორის როლის დელეგირება. მაგალითად, ფორუმებში დისკუსიების დროს, საჭიროების შესაბამისად, მოდერაცია ინსტრუქტორმა სტუდენტებს უნდა მიანდოს. Gašević (2014) და სხვები ამტკიცებენ, რომ ასეთ დისკუსიებში ინსტრუქტორის პირდაპირი ჩარევის გარეშე, შეიძლება უკეთეს შედეგს მივაღწიოთ. ეს რამდენად რეალურია ამას დრო გვიჩვენებს [4].

საინტერესო კვლევა ჩატარდა ინდონეზიაში. კვლევებში მონაწილეობდა 30000 სტუდენტი. ამ კვლევებით გამოიკვეთა ის ფსიქოლოგიური ასპექტები, რომლებიც გავლენას ახდენენ სტუდენტებზე; ა) მოწყენილობა, სევდა; ბ) შფოთვა განსაკუთრებით მცირე შემოსავლიანი ოჯახების სტუდენტებზე. გ) ემოციური აშლილობა, ბევრი დავალებების გამო, რომელსაც სტუდენტები თვლიან არაფრის მომცემად და არა ეფექტურად.

ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, რომელიც ჩატარდა ბაკალავრიატის ბიზნეს კურსის სტუდენტებზე, ამოწმებდა სტუდენტების მიერ ონლაინ სწავლებისას გადაცემული მასალის აღქმას, რომელსაც სტუდენტები ასრულებდნენ ონლაინ სასწავლო საკლასო დისკუსიის დაწყებამდე. შედეგებმა აჩვენა, რომ მონაწილეებმა არჩევით კურსებში ონლაინ მოდულები გაცილებით უფრო დადებითად შეაფასეს, ვიდრე სავალდებულო კურსებზე [Smart, Cappel, 2006].

USA karl.smart@cmich.edu james.cappel@cmich.edu

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, როგორც ამას რიგი მკვლევარები გამოჰყოფენ ონლაინ სწავლების რეალურ სწავლებასთან მიახლოებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხები:

- ონლაინ სწავლება უნდა ითვალისწინებდეს კოლაბორაციული სწავლების ელემენტებს და ჯგუფურ სავარჯიშოებს, რაც ხელს შეუწყობს ონლაინ „თემის“ ჩამოყალიბებას;
- ყველაზე გავრცელებული მიდგომა ინტერაქციული სასწავლო პროცესისთვის არის სტრუქტურირებული, წინასწარ განსაზღვრული ონლაინ დისკუსიების /ფორუმების ორგანიზება კონკრეტულ სასწავლო თემებთან დაკავშირებით;
- ინსტრუქტორის როლი სტრუქტურირებულ დისკუსიაში არის ძალიან მნიშვნელოვანი, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში ინსტრუქტორმა უნდა მოახდინოს როლების დელეგირება და ფორუმის/ დისკუსიის მოდერაცია სტუდენტებს უნდა გადასცეს;
- ინსტრუქტორს უნდა შეეძლოს დროული და ინდივიდუალური განმავითარებელი შეფასების მიწოდება სტუდენტებისთვის;

- ინსტრუქტორის ცოდნა და უნარები უნდა იყოს მოქნილი და პასუხობდეს სტუდენტების საჭიროებებს;

- სასწავლო მასალა და ინსტრუქციები უნდა იყოს ვიზუალურად ინტერაქციული; სასურველია მულტიმედია რესურსების გამოყენება დავალების გასამრავალფეროვნებლად [ge. Itstep.org/blog/].

დაბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ეს უნდა ემსახურებოდეს ვირტუალურ ონლაინ სწავლების მიახლოებას რეალურ ტრადიციულ სასწავლო პროცესთან. პროცესთან სადაც ძირითადი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ონლაინ სწავლების ფსიქოლოგიური ასპექტების, განსაკუთრებით ისეთ საკითხებს როგორებიც არის:

- კომპიუტერული სწავლების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური პრობლემები;
- სასწავლო პროცესში მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულება;
- ადამიანის ტექნიკურ-საინფორმაციო ტექნიკასთან დიალოგის პრობლემები;
- ონლაინ სწავლებისას სასწავლო პროცესში წარმოშობილი პრობლემების თავისებურებანი;
- მოსწავლეთა ონლაინ სწავლებისას მოტივაციის და ნებელობითი საკითხები;
- ფსიქოლოგიურ-შემეცნებითი ბარიერების პრობლემა;
- ონლაინ სწავლებისადმი კოგნიტური მიდგომის საკითხები;
- სასწავლო მასალის აღქმის ემოციონალური ფაქტორები.

ამ საკითხების გათვალისწინება და მათზე მუშაობა მოითხოვს მასწავლებელთა და მოსწავლეთა ახლებურ დამოკიდებულებას სასწავლო პროცესის ორგანიზაციულ და მეთოდურ მოწყობასთან დაკავშირებით, რაც მოითხოვს მოსწავლეთა მშობლებიდან და მთელი საზოგადოებიდან და სახელმწიფო სტრუქტურებიდან აქტიურ მხარდაჭერას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო, თბილისი 2015წ., გვ.138.
2. დიმიტრი უზნაძე, განწყობის თეორია, გამომც. საქართველოს „მაცნე“, თბილისი, 2018წ., გვ.9.
3. პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი აკადემიკოსი ნათელა ვასაძე, თბილისი, 1998, გვ.90.
4. ონლაინ სწავლება ახალი პარადიგმის ძიებაში - Paradigma.
5. Васильева И В Психолого-педагогические средства преодоления познавательных барьеров в дистанционном обучении М, 2003.
6. Минаков А. В. Психодогические особенности лиц склонных к Интернет-зависимости. М. 2018, ст. 118.
7. Моросанова В. И. Стил саморегуляции поведения (ССПЬ). М. 2004.
8. karl.smart@cmich.edu james.cappel@cmich.edu
9. Borokhovski et al., 2012; Darabi et al., 2013.
10. Irawan A.W., Dwisona, Lestari M. (2020). Psychological Impacts of Students on Online learning During the Pandemic COVID-19. Indonesian Journal of Learning Education and Counseling. 07(1); 53-6.
11. Smart K. L, Cappel J.J. 2006. Students' Perceptions of Online Learning: A Comparative Study. Journal of Information Technology Education Volume 5.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ონლაინ სწავლების ჩამოყალიბებისა და განვითარების მოკლე ისტორია. ერთმანეთისგან გამოყოფილია სტუდენტთა და სკოლის მოსწავლეთა ონლაინ სწავლების თავისებურებანი. საუბარია, როგორც სინქრონულ, ასევე ასინქრონულ ონლაინ სწავლების ორგანიზების შესახებ. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ონლაინ სწავლების ფსიქოლოგიურ ასპექტებზე, სადაც გამოკვეთილია ონლაინ სწავლებისას მოსწავლეთა და სტუდენტთა სასწავლო სივრცესთან დაკავშირებული საკითხები. სტატიაში დიდი ყურადღება ეთმობა ონლაინ სწავლების სასწავლო შემეცნებით ასპექტებს, მოსწავლეთა და სტუდენტთა კოგნიტური უნარების გააქტიურებას და სწავლის მოტივაციის საკითხებს. სტატიის ბოლოს მოცემულია რეკომენდაციები, როგორც უნივერსიტეტის სტუდენტთა, ასევე მოსწავლეთა ონლაინ სწავლების ორგანიზებისა და მეთოდის შესახებ, სინქრონული და ასინქრონული ონლაინ სწავლების ფორმებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ონლაინ სწავლება, მოსწავლე, სტუდენტი, სკოლა, უნივერსიტეტი.

PaataKurdadze

Associate Professor at Gori
Teaching University

Tamar Remishvili

PhD Doctor of Social Sciences

SophioKirimeli

Master of Social Psychology
Georgia, Gori

Psychological Aspects of Online Learning Summary

Short history of formation and development of online learning is discussed in the article. The online learning peculiarities of university and school students are differentiated. There are discussions about synchronous as well as asynchronous online learning forms. The main focus is on psychological aspects of online learning, where some issues of university and school students' learning environments are highlighted. Greater attention is paid to cognitive aspects of online learning, activation of students' cognitive skills and some questions of learning motivation. At the end of the article recommendations are provided regarding the methods and organization of online learning for both school and university students. Some recommendations are also given for synchronous and asynchronous online learning forms.

Key words: on line learning, pupil, student, school, University.

ყარამან ფალავა¹, ირმა კორინთელი¹,

ელენე ფალავა²

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტი, ბავშვთა და
მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტი

²თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი
ჯანდაცვის და ბიოსტატისტიკის
დეპარტამენტი
საქართველო, თბილისი

COVID-19-ის პანდემიის პირობებში საგანმანათლებლო რეგულაციებისა და შეზღუდვების ზეგავლენა ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობაზე (წინასწარი მონაცემები)

საკითხის აქტუალობა: ახალი კორონავირუსული ინფექციით გამოწვეული დაავადება თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. 2019 წლიდან დღემდე ინფიცირებულთა რაოდენობამ 179 მილიონს გადააჭარბა. სამწუხაროდ, მატულობს ლეტალობის მაჩვენებელიც, 2021 წლის 25 ივნისის მონაცემებით COVID-19-ით გარდაცვლილთა რაოდენობა 3 მილიონზე მეტია [10]. კორონავირუსული ინფექცია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში გავრცელდა და ნეგატიურად იმოქმედა როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ისე ქვეყნების ეკონომიკურ მდგრადობასა და განვითარებაზე [8].

ამ ეტაპზე, კორონავირუსული ინფექციის გავრცელების შესაჩერებლად ყველაზე ეფექტურ საშუალებად ითვლება ინდივიდუალური უსაფრთხოების ღონისძიებები, სოციალური დისტანცირება, მობილობის შეზღუდვა და ვაქცინაცია. მსოფლიოს მასშტაბით ვაქცინირებულთა რაოდენობა მატულობს, რაც დადებითი პროგნოზის გაკეთების საშუალებას იძლევა. დღევანდელი მდგომარეობით ვაქცინის 2 დოზა მიღებული აქვს მსოფლიოს მოსახლეობის 10.4%-ს [3]. მიუხედავად ამისა, მთელი რიგი ქვეყნებისთვის ვაქცინა ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი, არ არის განსაზღვრული ვაქცინის საბოლოო ეფექტურობის საკითხი. კორონავირუსი მუდმივად სხვადასხვა სახის მუტაციას განიცდის, წარმოიქმნება ახალი შტამები, რომელიც ცვლის დაავადების უკვე არსებულ მიმდინარეობას და გამოსავალს [6]. გაურკვეველია შემუშავებული ვაქცინების ეფექტურობაც ახალი შტამების მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ვაქცინაციასთან ერთად პირადი უსაფრთხოების დაცვა და მოსახლეობის მობილობის შემცირება კვლავ აქტუალურია.

უსაფრთხოების დაცვისა და მობილობის შეზღუდვის მიზნით, პანდემიის მიმდინარეობისას ქვეყნებში დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები. მათ შორის, აღსანიშნავია განათლების სფეროში დაწესებული შეზღუდვები, რაც მიზნად ისახავს ბავშვთა და მოზარდთა სოციალურ დისტანცირებასა და მობილობის შეზღუდვას, მეცადინეობების ონლაინ ფორმატში გადატანის გზით [1,2].

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში 2019-2021 სასწავლო წლების განმავლობაში მეცადინეობები ძირითადად ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა. სტუდენტებს და სკოლის მოსწავლეებს სწავლება მოუწიათ სახლის პირობებში, საკლასო ოთახების მიღმა.

აღნიშნულმა გარემოებამ მობილობა შეამცირა და კორონავირუსის გავრცელების პროცესზელი შეუშალა, ამავე დროს უზრუნველყო სწავლების პროცესის უწყვეტობა [4,5]. თავის მხრივ, ონლაინ მეცადინეობის ფორმატმა შეამცირა ბავშვების და მოზარდების ყოველდღიური აქტივობა და შეცვალა მათი ჩვეული ცხოვრების წესი. ისინი უზშირესად იმყოფებოდნენ სახლში, როგორც სწავლების პროცესში, ისე საშინაო დავალებების მომზადების დროს.


ჩვეული ყოველდღიური აქტივობის უეცარმა შეცვლამ გამოიწვია მოსწავლეების და სტუდენტების ცხოვრების ადინამიურ რეჟიმზე გადასვლა. ისინი უფრო მეტ დროს უთმობენ კომპიუტერულ ტექნიკას. შეამცირეს თანატოლებთან კონტაქტი და ფიზიკური აქტივობა. დღის უმეტეს ნაწილს ატარებენ გარე სივრცისგან შეზღუდულ შენობა-ნაგებობების პირობებში [7].

ყოველივე ზემოაღნიშნულმა, შესაძლებელია, გავლენა მოახდინოს ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობაზე, რაც, სავარაუდოდ, მომავალში სხვადასხვა ფსიქო-ემოციური ან სომატური დაავადების განვითარებას ან გამწვავებას შეუწყობს ხელს.

კვლევის მიზანი და ამოცანები: ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოში, COVID-19-ის პანდემიის პირობებში დაწესებული ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო შეზღუდვების ზეგავლენის შესწავლა ბავშვებისა და მოზარდების ჯანმრთელობაზე. დასახული იყო შემდეგი ამოცანები: 1) დაწესებული შეზღუდვების გავლენის დადგენა ბავშვების და მოზარდების ჯანმრთელობაზე; 2) რა ფორმით გამოვლინდა იგი; 3) უპირატესად რომელ ორგანოთა სისტემებზე იქონია გავლენა; 4) ექსპერტული შეხედულების ჩამოყალიბება შეზღუდვების ზოგადი ეფექტების შესახებ.


კვლევის მეთოდები და მასალები: კვლევის დიზაინი იყო ერთმომენტის კვლევა. საკვლევ პოპულაციას წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები და საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლები, შერჩეული „თოვლის გუნდის“ პრინციპით თბილისის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და საჯარო სკოლაში. ჩვენს მიერ მომზადდა კითხვარი, რომელიც 14 დახურულ კითხვას მოიცავდა. კითხვარში ასახული იყო შემდეგი საკითხები: აისახა თუ არა პანდემიის პირობებში დაწესებული ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო შეზღუდვები ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობაზე, თუ აისახა რა ფორმით, რომელ სომატურ დაავადებაზე იქონია დადებითი თუ უარყოფითი გავლენა, იმოქმედა თუ არა ფსიქო-ემოციურ სფეროზე და გამოიწვია თუ არა ქცევითი დარღვევები, რა გავლენა მოახდინა ქრონიკული დაავადებების მქონე პირების ჯანმრთელობაზე. გახდა თუ არა საჭირო ექიმის დამატებითი კონსულტაცია და ა.შ. არასრულწლოვანი რესპოდენტების კითხვარი შევსებული იყო მშობლის მიერ. გამოკითხვა ჩატარდა ანონიმურად, პიროვნების მაიდენტიფიცირებელი არც ერთი მონაცემი არ იყო აღრიცხული. მიღებული შედეგების დამუშავება და ანალიზი განხორციელდა Microsoft Excel-ის პაკეტით. რაოდენობრივი ანალიზის მიზნით გამოყენებული იყო Pivot tables, Sum, Count, Average, Vlookup ფორმულები. სულ გამოკითხული იყო 67 სტუდენტი და საჯარო სკოლის 104 მოსწავლის მშობელი.

კვლევის შედეგები და მათი განხილვა. სტუდენტების და სკოლის მოსწავლეების მშობლების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა საგულისხმო შედეგები. გამოკითხული სტუდენტების 45.6% და სკოლის მოსწავლეების მშობლების 57.5% თვლის, რომ დაწესებულმა ადმინისტრაციულმა და საგანმანათლებლო შეზღუდვებმა მოახდინა გამოხატული გავლენა ბავშვებისა და მოზარდების ჯანმრთელობაზე; თუ რა ფორმით გამოვლინდა იგი - შედეგები მოცემულია N1 დიაგრამაზე.




დიაგრამა N1: რას სახის გავლენა მოახდინა შეზღუდვებმა მოსწავლეების და სტუდენტების ჯანმრთელობაზე.

რაც შეეხება დაწესებული შეზღუდვების დადებით და უარყოფით გავლენას ორგანოთა სისტემებზე, მოსწავლეების და სტუდენტების გამოკითხვის შედეგად მიღებული შედეგები მოცემულია დიაგრამა N2 და N3-ზე.



დიაგრამა N2: COVID-19 პანდემიის დროს დაწესებული შეზღუდვების გავლენა მოსწავლეების ჯანმრთელობაზე (ჩივილები სხვადასხვა სისტემის მხრივ)



დიაგრამა N3: COVID-19-ის პანდემიის დროს დაწესებული შეზღუდვების გავლენა სტუდენტების ჯანმრთელობაზე (ჩივილები სხვადასხვა სისტემის მხრივ)

საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლების 37.8% თვლის, რომ პანდემიის პირობებში გამოვლენილი უარყოფითი ჩივილები არის საშუალო სიმძიმის და ნაწილობრივ საჭიროებს ექიმის ჩარევას.

განსხვავებულია სტუდენტების აზრი, მათი 41.4% თვლის, რომ პანდემიის პირობებში გამოვლენილი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არის მსუბუქი და ექიმის დახმარებას არ საჭიროებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დაწესებული შეზღუდვების გავლენა სტუდენტების და მოსწავლეების ფსიქო-ემოციურ სფეროზე. ორივე ჯგუფში გამოვლინდა უარყოფითი გავლენა. სტუდენტების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი იყო 63.5%, ხოლო მოსწავლეებში 53.6%.

მოსწავლეების მშობლების მნიშვნელოვანი ნაწილი (42.6%) აღნიშნავს, რომ სასკოლო ოთახებში სწავლების შეწყვეტის შემდეგ ბავშვები გახდნენ უფრო მეტად აგრესიული, პრეტენზიული, ზედმეტად ემოციური და კონფლიქტური. მხოლოდ 21.7% თვლის, რომ მათი შვილები გახდნენ უფრო მშვიდი, მოსიყვარულე და მეგობრული. მსგავსი ტენდენცია გამოვლინდა სტუდენტების გამოკითხვის შედეგად.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე მაინც, მოსწავლეებსა და სტუდენტებში ე.წ. „კორონაფობია“ პრაქტიკულად არ შეგვხვდრია.

კითხვარში გამახვილებული იყო ყურადღება ფიზიკურ აქტივობაზე. გამოკითხული მოსწავლეების მშობლების 44.2% და სტუდენტების 37.5% თვლის რომ შემცირდა მათი ყოველდღიური ფიზიკური აქტივობა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით მოსწავლეების 77.2% უფრო მეტ დროს უთმობს კომპიუტერულ ტექნიკას ვიდრე პანდემიამდე პერიოდში. მსგავსი შედეგი გამოვლინდა სტუდენტების შემთხვევაშიც. მათი 73.8% თვლის, რომ მეტ დროს უთმობს კომპიუტერულ ტექნიკას შეზღუდვების პერიოდში.

მოსწავლეების მშობლების 11.6% და სტუდენტების 8.4% აღნიშნავდა ქრონიკული დაავადებების არსებობას. კოვიდ პანდემიის დროს დაწესებულმა შეზღუდვებმა და ონლაინ სწავლებაზე გადასვლამ, გამოკითხვის თანახმად, ნეგატიურად იმოქმედა არსებული ქრონიკული დაავადებების მიმდინარეობაზე. მოსწავლეების შემთხვევაში უარყოფითი გავლენა გამოვლინდა 37.3%-ში, ხოლო სტუდენტების შემთხვევაში 47.1%-ში.

ჩვენი კვლევის გამოვლენილი შედეგების მიხედვით შესაძლებელი გახდა პასუხი გაგვეცა ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე - COVID-19-ის პანდემიის პირობებში არსებულმა შეზღუდვებმა მოახდინა თუ არა ზეგავლენა სტუდენტების და მოსწავლეების ჯანმრთელობაზე. დადგინდა შემდეგი ტრენდები: პოზიტიური ეფექტი გამოვლინდა დერმატოლოგიურ, სასუნთქი სისტემის და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოების დაავადებებზე. სავარაუდოდ ეს, შესაძლებელია, განპირობებული იყოს სკოლებსა და უნივერსიტეტებში მობილობის შემცირებით, რაც ამცირებს ალერგენებთან და პათოგენურ მიკროორგანიზმებთან კონტაქტს და შესაბამისი ჩივილების გამოხატულებას, კერძოდ, კანის ქავილს, გამონაყარს, ხველას, სურდოს, ცემინებას და ა.შ. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ონლაინ მეცადინეობის დროს სტუდენტები და მოსწავლეები ძირითადად იმყოფებოდნენ სახლში, მშობლების მეთვალყურეობის ქვეშ და მეტნაკლებად გაუმჯობესდა მათი კვების რაციონი. გახდა შედარებით დაბალანსებული. ამან დადებითად იმოქმედა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნორმალურ ფუნქციობაზე და შეამცირა ამ მხრივ არსებული ჩივილები - ყაბზობა, დიარეა და სხვა.

ონლაინ მეცადინეობების ჯანმრთელობაზე მოქმედი უარყოფითი ეფექტებიდან გამოიკვეთა ნეგატიური გავლენა მხედველობის ორგანოებზე, ძვალ-სახსროვან და ენდოკრინულ სისტემაზე. ეს ფაქტი შესაძლებელია პროვოცირებული იყოს ონლაინ მეცადინეობის პირობებში ადინამიურ რეჟიმზე გადასვლით, ნაკლები ფიზიკური აქტივობით, უმოძრაობით და კომპიუტერულ ტექნიკასთან მეტი კონტაქტით. ცალკე გვინდა გამოვყოთ ნეგატიური ეფექტი ნერვულ სისტემასა და ფსიქო-ემოციურ სფეროზე. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას შემდეგი გარემოებებით; ონლაინ მეცადინეობა მოითხოვს გამართულ ტექნიკურ რესურსს (კომპიუტერს, ინტერნეტს) სამწუხაროდ, საქართველოს ცალკეულ რეგიონებში, დედაქალაქის ჩათვლითაც, მოსწავლე ახალგაზრდობისთვის არ არის ხელმისაწვდომი აღნიშნული რესურსი, რაც შესაძლებელია გამხდარიყო თანატოლების მხრიდან დამამცირებელი გამოხმაურების და დაბალი თვითშეფასების გამმაფრების მიზეზი. ეს ფაქტი, სავარაუდოდ, ნეგატიურად აისახა ცალკეულ ინდივიდებზე და გამოიწვია გუნება-განწყობის დაქვეითება, დეპრესია ან აგრესია მშობლებისა და ოჯახის სხვა წევრების მიმართ. მეორე მხრივ, ონლაინ მეცადინეობის მიმდინარეობის პროცესში შეიძლება წარმოიშვას ტექნიკური პრობლემა, დროებით შეწყდეს კონტაქტი კლასთან, რაც მოზარდის ისედაც მოწყვლად ემოციურ სფეროზე ნეგატიურად აისახება და იწვევს აგრესიის გამოვლინებას (ხელს ურტყამს კომპიუტერს, ყვირის, ცდილობს სწრაფად პრობლემის გამოსწორებას). ზოგიერთი მოსწავლე შედარებით უფრო ძნელად ახდენს საკუთარი ცოდნის დემონსტრირებას, მაგრამ აქვს ამის დიდი სურვილი. მათთვის ონლაინ მეცადინეობის ფორმატი შეიძლება გახდეს კიდევ უფრო მეტად დამაბრკოლებელი, რაც ასევე ნეგატიურად აისახება მათ ემოციურ სფეროზე. უჩნდებათ არასრულფასოვნების და დაუკმაყოფილებლობის განცდა. ეს ყოველივე განსაკუთრებით მძაფრდება იმ შემთხვევაში, როცა ვერ იღებენ სასურველ შეფასებას.

მოსწავლეების და სტუდენტების ფსიქო-ემოციურ სფეროზე ნეგატიურად მოქმედებს ოჯახის წევრების მხრიდან არასათანადო ქცევა ონლაინ სწავლების პროცესში, კერძოდ ხმაური, გადაადგილება და თუნდაც მეცადინეობის პროცესის მოსმენა და თვალის დევნება. ეს შესაძლოა იწვევდეს დამატებით სტრესს. ეს და სხვა მსგავსი გარემოებები ნეგატიურად მოქმედებს ფსიქო-ემოციურ სფეროზე და აისახება ქცევის დარღვევებში. რაც შეიძლება გახდეს მიზეზი ძილის დარღვევების, დამაბვის, თავის ტკივილის, ზოგ შემთხვევაში კრუნჩხვისა და ა.შ. პანდემიის

პირობებში არსებულმა შეზღუდვებმა, ასევე ნეგატიურად იმოქმედა ქრონიკული დაავადებების მქონე პირებზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული უარყოფითი ეფექტებით გამოწვეული მდგომარეობები ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროებს ექიმის ჩარევას და მკურნალობას. ეს ფაქტი ვერ ჩაითვლება პოზიტიურად განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, ვინაიდან ერთი მხრივ კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევაში გაართულებს ბავშვის და მოზარდის ჯანმრთელობას და მეორე მხრივ გაზრდის დატვირთვას ჯანდაცვის სფეროზე.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ საგანმანათლებლო შეზღუდვების დროს გამოყენებული ონლაინ მეცადინეობის ფორმატი ამ ეტაპზე, ითვლება უალტერნატივოდ და წარმოადგენს ყველაზე გამართლებულ საშუალებას პანდემიის პირობებში სწავლების პროცესების უწყვეტობის შესანარჩუნებლად. ზოგადად ონლაინ მეცადინეობები პანდემიამდე პერიოდშიც გამოიყენებოდა, როგორც დისტანციური სწავლების მეთოდი. მართალია, სწავლების ეს მეთოდი ცალკეული ქვეყნებისთვის აქტუალური მხოლოდ პანდემიის პირობებში გახდა, თუმცა მსოფლიოში იგი დიდი ხანია გავრცელებული და მიჩნეულია ეფექტური სწავლების საშუალებად [9].

ჩვენს მიერ მიღებული შედეგები მსგავსია მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევის შედეგებისა. ავტორთა აზრით, ონლაინ მეცადინეობა ნამდვილად ითვლება ამ ეტაპზე უალტერნატივო საშუალებად, თუმცა თან ახლავს უარყოფითი გავლენა ბავშვების და მოზარდების ჯანმრთელობაზე განსაკუთრებით კი ფსიქო-ემოციურ სფეროზე [5,7]. ჩვენი კვლევის შედეგად უფრო ფართოდ იყო განხილული შეზღუდვების გავლენა ბავშვების და მოზარდების ჯანმრთელობაზე, როგორც სომატურ, ისე ფსიქო ემოციური კუთხით. ამ ეტაპზე, კვლევა წარმოდგენილია წინასწარი შედეგების სახით. გრძელდება გამოკითხვის პროცესი და ვფიქრობთ, საბოლოო შედეგები უფრო უკეთ დაგვანახებს პანდემიის პირობებში დაწესებული შეზღუდვების გავლენას ჯანმრთელობაზე.

დასკვნები და რეკომენდაციები: ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პანდემიის პირობებში ონლაინ მეცადინეობას ამ ეტაპზე არა აქვს ალტერნატივა და წარმოადგენს სწავლების უწყვეტობის შენარჩუნების ყველაზე ეფექტურ საშუალებას. სასურველია გათვალისწინებულ იქნას მისი უარყოფითი გავლენა მოსწავლე ახალგაზრდობის ჯანმრთელობაზე. ამ მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი რეკომენდაციები:

- მოსახლეობის, უმეტესად მშობლების ზუსტი და რაციონალური ინფორმირება პანდემიის პირობებში დაწესებული შეზღუდვების ნეგატიურ ეფექტებზე. სასურველია აღნიშნული ინფორმაცია იყოს პოპულარულ ენაზე შექმნილი და განმარტებული. შეიცავდეს მხოლოდ საჭირო, კონკრეტულ, სპეციფიკურ ინფორმაციას. ვინაიდან მოსახლეობის და მშობლების ჰიპერინფორმირებულობა და არამიზნობრივად მიწოდებული სამედიცინო ინფორმაცია გაზრდის დაძაბულობას, ზოგიერთ შემთხვევაში გამოიწვევს უსაფუძვლო შიშს და გაზრდის ექიმებთან არამიზნობრივ მიმართვიანობას. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო ნეგატიურად იმოქმედებს პანდემიის პირობებში ისედაც გადატვირთულ ჯანდაცვის სისტემაზე.
- რეკომენდებულია ონლაინ მეცადინეობების ფორმატის სწორი დაგეგმვა და განხორციელება, დროის და ტექნიკური რესურსის სწორი მენეჯმენტი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემუშავდეს სპეციალურად ონლაინ სწავლებისთვის განკუთვნილი სასწავლო სილაბუსი, სადაც კარგად იქნება გაწერილი მეცადინეობის პროცესი სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რათა გეგმაზომიერად მოხდეს სასწავლო მასალის მოცულობის მიწოდება სწრაფად და ეფექტურად ათვისებისთვის.

- სასურველია მოხდეს პედაგოგ-მასწავლებლების გადამზადება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, სასწავლო პროცესის სწორედ დაგეგმვა, სტუდენტის/მოსწავლის ცოდნის დონის ობიექტური შეფასება, თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენება და სხვა.
- რეკომენდებულია პირველადი ჯანდაცვის რგოლის ოჯახის და სკოლის ექიმების მიზანმიმართული ჩართულობა პანდემიის პირობებში ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის, დაავადებების პროფილაქტიკის და პრევენციის პროცესში. ექიმთან ვიზიტის დროს ყურადღება გამახვილდეს იმ ჩივილებზე, რომელიც შესაძლებელია გამოვლენილიყო შეზღუდვების პირობებში. მაღალი რისკის ინდივიდებში, რომელთაც აღნიშნებათ სხვადასხვა სომატური თუ ფსიქო-ემოციური დარღვევების მიმართ მიდრეკილება, სასურველია შემუშავდეს პრევენციის და პროფილაქტიკის ღონისძიებები.
- საჭიროების შემთხვევაში შეზღუდვის დაწესების წინ, სახელმწიფო სტრუქტურებმა სასურველია გაითვალისწინონ ის მოსალოდნელი საფრთხეები, რაც შესაძლებელია გახდეს პანდემიის პირობებში, ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის მეორადად გაუარესების მიზეზი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ali, Wahab (2020). Online and Remote Learning in Higher Education Institutes: A Necessity in Light of COVID-19 Pandemic Higher Education Studies, v10 n3 p16-25.
2. Bao, W. (2020). COVID-19 and online teaching in higher education : A case study of Peking University. March, 113–115.
3. Coronavirus (COVID-19) vaccine statistics data, Our World In Data <https://ourworldindata.org/covid-vaccinations?country=GEO>.
4. Fetters, M. D., and J. F. Molina-Azorin. 2020. “Call for Papers for a Special Issue on COVID-19 and Novel Mixed Methods Methodological Approaches During Catastrophic Social Changes.” Journal of Mixed Methods Research 14 (3): 281–287.
5. Hongyan Guan et al, 2020, The Lancet Child & Adolescent Health, Promoting healthy movement behaviours among children during the COVID-19 pandemic, Volume 4, issue 6, p-418.
6. Lu R. et al. February 22, 2020, Genomic characterization and epidemiology of 2019 novel coronavirus: implications for virus origins and receptor binding, The Lancet, Volume 395, issue 10224, p.565-574.
7. Michiel A. J. Luijten, et al. 2021, The impact of lockdown during the COVID-19 pandemic on mental and social health of children and adolescents, Quality of Life Research, online published: <https://doi.org/10.1007/s11136-021-02861-x>
8. McKee Martin, Stuckler David, 2020, If the world fails to protect the economy, COVID-19 will damage health not just now but also in the future, Nature Medicine, 26, p. 640–642.
9. Shailendra Palvia, 2018, Online Education: Worldwide Status, Challenges, Trends, and Implications, Journal of Global Information Technology Management, Volume 21, Issue 4, 233-241.
10. World Health Organization, WHO Coronavirus (COVID-19) Dashboard. <https://covid19.who.int/>

რეზიუმე

კვლევის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოში, COVID-19-ის პანდემიის პირობებში დაწესებული სასწავლო რეგულაციებისა და შეზღუდვების ზეგავლენის შესწავლა მოსწავლე-ახალგაზრდობის ჯანმრთელობაზე.

მასალები და მეთოდები: კვლევა იყო ერთმომენტიანი. გამოყენებული იყო კითხვარი, რომელიც მოიცავდა კითხვებს ონლაინ სწავლების ჯანმრთელობაზე მოქმედი ეფექტების შესაფასებლად. სულ გამოკითხული იყო 67 სტუდენტი და 104 საჯარო სკოლის მოსწავლის მშობელი, შერჩეული „თოვლის გუნდის“ პრინციპით.

კვლევის შედეგები: COVID-19-ის პანდემიის პირობებში არსებულმა შეზღუდვებმა მოახდინა ზეგავლენა მოსწავლე ახალგაზრდობის ჯანმრთელობაზე. აღინიშნა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ეფექტები, შემცირდა დერმატოლოგიური, სასუნთქი სისტემის და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მხრივ ჩივილები. გაიზარდა ძვალ-სახსროვანი, ნერვული, ენდოკრინული, ფსიქო-ემოციური და მხედველობის ორგანოების მხრივ ჩივილები.

დასკვნა: COVID-19-ის პანდემიის პირობებში ონლაინ მეცადინეობა შეიძლება ჩაითვალოს სწავლების უალტერნატივო მეთოდად. სასურველია გათვალისწინებული იყოს მისი უარყოფითი გავლენა მოსწავლე ახალგაზრდობის ჯანმრთელობაზე და ოპტიმიზაციის მიზნით დაინერგოს სათანადო რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: COVID-19, პანდემია, ონლაინ სწავლება, ბავშვი და მოზარდი, ჯანმრთელობა.

**Karaman Pagava¹, Irma Korinteli¹,
Helen Phagava²**

¹Department of Child and Adolescent Medicine,
Tbilisi State Medical University

²Department of Epidemiology and Biostatistics,
Tbilisi State Medical University
Georgia, Tbilisi

Effect of COVID-19-related Academic Regulations and Restrictions on Child and Adolescent Health (Preliminary Data) Summary

Aim of the research was to study the effect of COVID-19-related academic regulations and restrictions on health of the academic youth and to determine emerging trends.

Materials and Methods: The cross-sectional study design was used. Sample consisted of 67 students and 104 public school pupils' parents selected by snowball sampling. Anonymous questionnaire which contained 14 questions was used.

Study Results: Restrictions due to COVID-19 pandemic have affected the health of the academic youth. There were seen positive as well as negative effects. Frequency and intensity of dermatological, respiratory and GI complaints have decreased, but incidence and intensity of osteoarticular, nervous, endocrine, psychoemotional and vision-related complaints have increased.

Conclusion: Over the period of COVID-19 pandemic online lessons can be regarded as the only alternative for education. It is advisable to take into account its negative impact on health and implement the relevant recommendations to mitigate the health-related damage in children and adolescents.

Kew words: Covid-19, Pandemic, Online learning, child and adult, health.

ნოდარ ბარამიძე,

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ემერიტუსი პროფესორი
საქართველო, ბათუმი

აქსელერაცია და პიროვნული ქცევა სკოლამდელ ასაკში

აქსელერაცია – ბავშვთა და მოზარდთა დაჩქარებული ფსიქოფიზიკური განვითარებაა, რომლის შესახებაც საუკუნეზე მეტია ლაპარაკობენ და რომელიც ბევრი ასპექტით კვლავ გამოცანად რჩება, დიდი ხანია უკვე დადასტურებული ფაქტია. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ინტელექტუალური განვითარების სფეროში ამ ფაქტის ექსპერიმენტულად შესწავლა-დადგენაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელმა მ. ზარანდიამ [3].

პიროვნულ ქცევაში ჩვენ ვგულისხმობთ ადამიანის ისეთ აქტივობას, რომელიც ორგანიზებულია მისი ნებისყოფისეული თვისებების საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პიროვნული ქცევა ეს არსებითად ნებელობითი ქცევაა, ხოლო პიროვნება – შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებელობითი ქცევის სუბიექტი.

შორეულ მოტივაციურ ქცევას ჩვენ ისეთ აქტივობას ვუწოდებთ, რომელსაც უშუალო კავშირი არა აქვს ადამიანის აქტუალურ მოთხოვნილებებთან. ეს ქცევა არასდროს ეყრდნობა იმ მოთხოვნილების იმპულსს, რომლის დაკმაყოფილების პირობებსაც თვითონ ქმნის. იგი მიმართულია ისეთი შედეგისაკენ, რომელიც ახლა, ამავე ქცევაში კი არ მოიხმარება, არამედ მომავლისათვის არის განკუთვნილი. ამასთანავე, შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე პიროვნული ქცევის შედეგი შეიძლება გამიზნული იყოს, როგორც თვით ქცევის სუბიექტის მომავლისათვის, ისე სხვა ადამიანების ინტერესებისათვისაც. ეს მომავალი კი შეიძლება გაიზომოს საათებით, დღეებით და წლებითაც. შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე პიროვნული ქცევის წამყვანი ფაქტორია ნებისყოფა, როგორც სპეციფიკურ-ადამიანური აქტივობის წყარო.

შორეული მოტივაციური ქცევა, ცხადია, განსხვავდება იმ ქცევისაგან, რომელიც განსაზღვრულია აქტუალური მოთხოვნილების იმპულსით. პირველი არის ნებელობითი ქცევა, მეორე – იმპულსური, რომლის სუბიექტის ერთადერთი მიზანია დაიკმაყოფილოს მისი აღმძვრელი მოთხოვნილება. ამიტომ იმპულსური ქცევის მოქმედების სფერო ვერ წყდება ახლანდელ დროს. ნებელობითი, ანუ პიროვნული ქცევა კი პირიქით – ზრუნავს ხვალისდელ დღეზე, ითვისწინებს სხვის ინტერესებს, საზოგადოების მოთხოვნებს. ამისთვის ნებელობითი ქცევის სუბიექტს ხშირად უხდება დაძლიოს უძლიერესი მოთხოვნილებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენ შევეცადეთ ექსპერიმენტულად შეგვესწავლა პიროვნული (შორეული მოტივაციური ანუ ნებელობითი) ქცევის განხორციელების შესაძლებლობები და, გარკვეულად, პიროვნების განვითარების დონეც სკოლამდელ ასაკში.

პირველად ცდები ჩატარებული იყო 1973 წელს [1]. აქსელერაციის ფაქტის შესასწავლად ზუსტად იგივე ექსპერიმენტი გავიმეორეთ 32 წლის შემდეგ – 2005 წელს [2], ჩემმა დიპლომანტმა ი. ჯაყელმა კი ეს გააკეთა 2019 წელს.

ექსპერიმენტი ჩატარდა 4-6 წლის ბავშვებზე რამდენიმე ვარიანტად. ჩვენ აქ შევჩერდებით მხოლოდ ერთი ვარიანტის ცდებზე:

ექსპერიმენტატორს საბავშვო ბაღში აღსაზრდელი შეჰყავს ცალკე ოთახში და შეჩვევისათვის საჭირო ხანმოკლე საუბრის შემდეგ ეუბნება მას: „მე სულ ახლახან შემატყობინე, რომ დედაშენი გამხდარა ავად. იგი ისედაც მორჩება, მაგრამ თუ გინდა, რომ შენი დედიკო მალე მორჩეს, წაუღე ეს კანფეტი (დათუნია) მას. კანფეტი შეგიძლია შეჭამო თვითონვე, მაგრამ თუკი არ შეჭამ და მიუტან დედას, იგი მალე მორჩება. როგორც გინდა ისე მოიქეცი: გინდა შეჭამე კანფეტი, გინდა შეუნახე დედას, ოღონდ გახსოვდეს, თუკი არ შეჭამ ამ კანფეტს და მიუტან დედას, იგი მალე მორჩება“. შემდეგ ბავშვი ბრუნდებოდა ჯგუფში, სადაც მის ქცევაზე წარმოებდა დაკვირვება.

ცდებში მონაწილეობა მიიღო 60-მა ბავშვმა, რომელთა ნახევარს შეადგენდნენ 4-5 წლის ბავშვები, მეორე ნახევარს კი – 5-6 წლიანები. 4-დან 5 წლამდე ასაკის 30 ბავშვიდან მხოლოდ 4-მა ბავშვმა შეძლო კანფეტის დედისთვის შენახვა, 5-6 წლიანებიდან კი ეს მოახერხა 11-მა ბავშვმა. სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ამ მონაცემებზე და თვით ექსპერიმენტის მიმდინარეობაზე, მოვიყვანთ ამონაწერს ერთი ცდის პირის ოქმიდან:

ი. ლ. (5 წლისა და 11 თვის) – ექსპერიმენტატორთან საუბრის შემდეგ იღებს კანფეტს და მიდის ჯგუფში. რამდენიმე ხნით დგას განმარტოებით, ათვალიერებს კანფეტს, შემდეგ იღებს ჯიბეში და უერთდება ამხანაგებს, მაგრამ მალე წყვეტს თამაშს. ჯიბიდან ამოიღებს კანფეტს და თავისთვის ჩურჩულებს: „რა კარგი კანფეტია“. შემდეგ კვლავ იღებს ჯიბეში და გარედან უსვამს ხელს, თითქოს ეფერება. ერთხანს უყურებს ამხანაგების თამაშს, მაგრამ როგორც ჩანს კანფეტი მაინც არ ასვენებს. სწრაფად ამოიღებს ჯიბიდან, ნაწილობრივ გახსნის და ცოტას მოკბეჩს. შემდეგ ისევ ახვევს ქაღალდში, იღებს ჯიბეში და ზემოდან აფარებს ცხვირსახოცს. უერთდება ამხანაგებს, მაგრამ მაინც ვერ ისვენებს. ბოლოს იგი მიდის აღმზრდელთან, აჩვენებს კანფეტს და თხოვს: „შემინახეთ ეს სახლში წასვლამდე, დედას უნდა წაუღო“. აღმზრდელი ალერსით ეუბნება „შენი კანფეტი შენ თვითონ უნდა შეინახო“. შეწუხებული ბავშვი შორდება მასწავლებელს და იწყებს თამაშს. ცოტა ხნის შემდეგ გამოდის ოთახიდან, ორიოდ წუთში ბრუნდება და ჯდება განცალკევებით. აღმზრდელის შეკითხვაზე: „სადაა კანფეტი?“ – პასუხობს: „შემომეჭამა“ და იწყებს ტირილს.

ის ბავშვები, რომლებმაც ბოლომდე შეინახეს კანფეტი ასევე არ იყვნენ მშვიდად. მათ უხაროდათ თავიანთი გამარჯვება და წასაყვანად მოსულ დედებს აღტაცებით ეუბნებოდნენ: „დედიკო, ბიძიამ მე კარგი კანფეტი მომცა. მე ის არ შევჭამე, შენთვის შევინახე“.

როგორც აღნიშნული ჩანაწერიდან ჩანს, ექსპერიმენტში იქმნება კონფლიქტური სიტუაცია, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ორი ქცევა – იმპულსური და ნებელობითი. უკანასკნელს უსიამოვნების მეტი არაფერი მოაქვს ბავშვისთვის, მაგრამ ის მაინც ცდილობს განახორციელოს იგი. ბავშვი, როგორც პიროვნება, სრულიად განსხვავებულ მიმართებაშია ამ ორ ქცევასთან. ის ებრძვის აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს, ცდილობს შეაკავოს იგი და შეინახოს კანფეტი დედისთვის. აქტუალური მოთხოვნილება კი პირიქით, ანგარიშს არ უწევს ბავშვის პიროვნებას, მიისწრაფვის დაძლიოს მისი წინააღმდეგობა და რაც შეიძლება სწრაფად დაკმაყოფილდეს. როდესაც ამ ბრძოლაში ბავშვი მარცხდება (ჭამს კანფეტს) ის წუხს, ზოგჯერ ტირის კიდეც და საკუთარ მარცხს მიაწერს კანფეტს, როდესაც ამბობს: „შემომეჭამა“, ნაცვლად იმისა, რომ თქვას: „მე ის შევჭამე“. ეს გამონათქვამი იმაზე მიუთითებს, რომ ბავშვი არ თვლის თავს იმ ქცევის მიზეზად (ავტორად), რომლის შედეგადაც შეიჭამა კანფეტი.

ჩვენი ექსპერიმენტების რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები ადასტურებენ, რომ სკოლამდელ ასაკში ისახება მოქმედი პიროვნება, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მას არ ჰყოფნის ძალა დაძლიოს აქტუალური მოთხოვნილების იმპულსების მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი

წინააღმდეგობა და განახორციელოს ნებელობითი, ანუ პიროვნული (შორეული მოტივაციური) ქცევა – გააკეთოს ის, რასაც თვლის უფრო მიზანშეწონილად.

ექსპერიმენტმა ერთმნიშვნელოვნად აჩვენა, რომ პიროვნული ქცევის განხორციელება გარკვეულ კავშირშია ბავშვის ასაკთან. კერძოდ, რაც უფრო პატარა ბავშვი, მით უფრო ძნელია მისთვის ასეთი ქცევის განხორციელება, და პირიქით, ასაკის მატებასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება მისი განხორციელების უნარიც. თუ გავიხსენებთ სტატიის შესავალშივე ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, ცხადი იქნება, რომ ეს ასეც უნდა ყოფილიყო. იმის გამო, რომ პიროვნული ქცევა არსებითად ნებელობითი ქცევაა, ბუნებრივია, მისი განხორციელება ბევრადაა დამოკიდებული ნებისყოფაზე. რამდენადაც განუვითარებელია ნებისყოფა, იმდენად ძნელია ასეთი ქცევის განხორციელება. ამიტომაც ძნელად მისაწვდომია იგი უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის.

ასეთი იყო 1973 წელს ჩატარებული ექსპერიმენტის ერთი ვარიანტის ძირითადი შედეგები, რომლებიც კარგად ასახავენ საერთო სურათს და გვიჩვენებენ პიროვნული ქცევის განხორციელების შესაძლებლობებსა და თავისებურებებს სკოლამდელ ასაკში. როგორც თვითავე იყო აღნიშნული, ამ სფეროში აქსელერაციის ფაქტის შესასწავლად ჩვენ იგივე ექსპერიმენტი გავიმეორეთ 2005 წელს, ხოლო ჩვენმა დიპლომანტმა ანალოგიური ცდები ჩაატარა პირველი კლასის (6-7 წლის) მოსწავლეებზე 2019 წელს. მისმა მონაცემებმა კიდევ უფრო გაამყარა 2005 წლის მაჩვენებლები.

აღმოჩნდა, რომ გონებრივი განვითარებისაგან განსხვავებით, სადაც აქსელერაციის ფაქტი დიდი ხანია დადასტურებულია, პიროვნული განვითარების სფეროში, ე.ი. ნებისყოფის განვითარებაში აქსელერაცია არ ჩანს, უფრო მეტიც, აქ გამოვლინდა აქსელერაციის საწინააღმდეგო ტენდენცია – რეტარდაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1975 წელს, შ. ჩხარტიშვილი გამოთქვამდა ერთობ საინტერესო მოსაზრებებს [4, 5]. მისი აზრით, უკანასკნელი 40-50 წლის მანძილზე მოზარდების ცხოვრების პირობებში, განსხვავებით ინტელექტუალურ გარემოსაგან, არ ყოფილა ისეთი ცვლილებები, რომლებსაც შეეძლოთ მათი ნებისყოფის განვითარებისა და სოციალურ-პიროვნული მომწიფების პროცესის დაჩქარება. ეს მოსაზრება შემდეგში ექსპერიმენტულად დაადასტურა ი. იმედაძემ, რომელმაც აჩვენა, რომ აქსელერაციას ნებისყოფის განვითარების სფეროში (სკოლისადმი მზაობის გათვალისწინებით) არ ჰქონია ადგილი [6].

რაც შეეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ სპეციალურ ექსპერიმენტებს, მათ საფუძველზე შეიძლება ერთმნიშვნელოვნად დავასკვნათ: თუ აქამდე არსებული მონაცემების მიხედვით ცნობილი იყო, რომ აქსელერაცია შეეხო მოზარდების ფიზიკური, ბიოლოგიური და ინტელექტუალური განვითარების სფეროებს, ხოლო ნებისყოფის განვითარებაში ამას არ ჰქონია, ან საეჭვოა ჰქონოდა ადგილი, ამიერიდან ექსპერიმენტულად დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ნებისყოფის განვითარების სფეროში გამოვლინდა აქსელერაციის საწინააღმდეგო ტენდენცია – რეტარდაცია. ჩვენი დღევანდელი ბავშვების ნებისყოფის განვითარების დონე საკმაოდ ჩამორჩება 40-45 წლის წინანდელთა დონეს. შესაბამისად, პიროვნული (შორეული მოტივაციური) ქცევის განხორციელებისთვის საჭირო ნებისყოფითი ძალისხმევის უნარი ჩვენს ბავშვებში შესამჩნევად დაქვეითებულია.

ცხადია, აღნიშნული მდგომარეობის მიზეზები უნდა ვეძიოთ ობიექტურ ფაქტორებში – ცხოვრების პირობებში, მოზარდების ფიზიკურ და სულიერ გარემოში, მათი ღირებულებების ცვლილება-დინამიკაში, საოჯახო (და არა მხოლოდ საოჯახო) აღზრდის დეფიციტში. ინტერნეტმა, სწავლა-სწავლების პროცესისა და თამაშების კომპიუტერიზაციამ, ჭარბმა და მზამზარეულმა ინფორმაციამ... რამდენადაც განავითარა ჩვენი მოზარდების თვალსაწიერი და გააფართოვა მათი ინტერესების სფერო, ეკრანზე მიჯაჭვულობამ (ეკრანომანია) იმდენად დააშორა ისინი წიგნს, შეასუსტა და შეზღუდა ჯანსაღი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის საჭირო

დამოუკიდებელი აქტივობისა და ნებისყოფითი ძალისხმევის უნარი. აწმყოზე ორიენტაციის თავისებური აქტივაციის ფონზე შესუსტდა ხვალინდელ დღეზე, მომავალზე ფიქრი და ზრუნვა. უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მოთხოვნილებისა და მოხმარების სუბიექტის ფორმირებისათვის და გაცილებით არახელსაყრელი – პიროვნების, ნებისყოფის, შრომისა და წარმოების სუბიექტის ფორმირება-ჩამოყალიბებისთვის (ინტელექტუალურად განვითარებულ და მრავალმხრივი ინტერესების მქონე ახალგაზრდობას დღეს ხშირად ნებისყოფა ღალატობს). ყოველივე აღნიშნული აისახა კიდევ ჩვენს ექსპერიმენტულ მონაცემებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამიძე ნ., 1995, შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი.
2. ბარამიძე ნ., 2008, აქსელერაცია და შორეული მოტივაციური ქცევა, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი.
3. ზარანდია მ., 1985, ბავშვის განვითარების აქსელერაციის კანონზომიერებანი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
4. ჩხარტიშვილი შ., 1975, ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების პრობლემა, პედაგოგიური ფსიქოლოგია, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, გვ. 32-46.
5. ჩხარტიშვილი შ., 1980, ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების საკითხები, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.
6. Имедадзе И., 1978, Изучение мотивационно-волевой готовности шестилеток к шлольному обучению(автореферат кард.Диссертации), Тбилиси.

რეზიუმე

პიროვნული ანუ ნებელობითი ქცევის სფეროში აქსელერაციის ფაქტის შესასწავლად ავტორმა ჩაატარა ლონგიტუდური კვლევა, ერთნაირი პროცედურით, 32-წლიანი შუალედით (1973 და 2005 წლები). მისმა დიპლომანტმა 2019 წელს გაიმეორა იგივე ექსპერიმენტი, რომლის შედეგებმა კიდევ უფრო გაამყარა ადრინდელი მაჩვენებლები. კერძოდ, გამოვლინდა აქსელერაციის საპირისპირო მოვლენა – რეტარდაცია: დღევანდელ სკოლამდელებში პიროვნული ქცევის განხორციელებისათვის საჭირო ნებისყოფითი ძალისხმევის უნარი შესამჩნევად ჩამორჩება 40-45 წლის წინანდელი თანატოლების შესაბამის უნარს. ნაშრომში ავტორი მსჯელობს აღნიშნული მდგომარეობის განმსაზღვრელ მიზეზებსა თუ ფაქტორების შესახებაც.

საკვანძო სიტყვები: აქსელერაცია, პიროვნული ქცევა, რეტარდაცია, შორეული მოტივაცია, მოთხოვნილება, ნებისყოფა.

Nodar Baramidze,
Doctor of Psychology,
Batumi Shota Rustaveli
State University, Emeritus Professor
Georgia, Batumi

Acceleration and Personal Behavior in Preschool Age Summary

To study the fact of acceleration in the field of personal or volitional behavior, the author conducted a longitudinal study by using the same procedure, with a 32-year interval (1973 and 2005 years). The author's graduate student in 2019 repeated the same experiment, the results of which further strengthened the earlier indicators. In particular, the opposite phenomenon of acceleration - retardation was revealed: in today's preschool, the ability to make the voluntary effort necessary to carry out personal behavior is significantly lower than the corresponding ability of peers 40-45 years ago. The author also discusses the causes or factors that determine this condition in the present work.

Key words: acceleration, personal behavior, retardation, remote motivation, need, willpower.

იმერი ბასილაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორი

ნინო ჭოხონელიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ასისტენტ - პროფესორი

ნინო ყანჩელი

განათლების აკადემიური დოქტორი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტის მოწვეული

სპეციალისტი

საქართველო, ქუთაისი

On – Line სწავლება და კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პრობლემები (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე)

განათლების სისტემის გაციფრულება თანამედროვე საგანმანათლებლო სამყაროს ერთ - ერთ პრორიტეტს წარმოადგენს. ამ მიმართულებით საქართველოშიც გარკვეული ნაბიჯები გადაიდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეულმა პანდემიამ, კიდევ უფრო აქტუალური გახადა ტექნოლოგიების საჭიროება განათლების პროცესში. პანდემიით გამოწვეულმა შედეგებმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ვალდებული გახადა ახალ რეალობას მორგებოდა და დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადასულიყო [2, 1].

პანდემიის გამოცხადებისთანავე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა On – Line სწავლებაზე გადასვლისათვის დაიწყო საჭიროებების კვლევა, რათა სწავლების პროცესის On – Line ფორმატში გადაყვანა უზრუნველყო. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ - ერთი პირველი იყო საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტთა შორის, რომელიც 2020 წლის მარტში გადავიდა On – Line სწავლებაზე. ელექტრონული On – Line სწავლების განხორციელება დაიწყო უნივერსიტეტში მრავალწლიანი თანამშრომლობიდან გამომდინარე არსებულ On – Line პლატფორმაზე (Microsoft teams, moodle)[www.atsu.edu.ge].

კორონავირუსის (COVID-19) გამო გამოწვეულმა პრობლემებმა სერიოზული დისკუსია გამოიწვია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ადმინისტრაციამ მოამზადა ბრძანება კორონავირუსის (COVID 19) თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარებისა და აწსუ-ში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, როგორც აღვნიშნეთ, 2019 – 2020 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში გამოყენებულ იქნა სწავლა/სწავლების On – Line, შერეული და ჰიბრიდული ფორმები [www.atsu.edu.ge].

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციამ სასწრაფოდ გაატარა ქმედითი ღონისძიებები პანდემიის დასაწყისშივე აკადემიური პერსონალის უმრავლესობა, ფაქტობრივად წინააღმდეგი წავიდა დისტანციური სწავლების შემოტანსთან დაკავშირებით. მათი მოსაზრება ეფუძნებოდა შეხედულებას, რომ On – Line სწავლების პროცესში სწავლა/სწავლების ხარისხის დონე დაეცემა, ნაკლები იქნება სტუდენტთა აქტივობა. პირისპირ სწავლებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე On – Line. ასეთმა დამოკიდებულებამ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დააყენა იმის წინაშე, რომ შეესწავლა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მზადყოფნა On –

Lineსწავლებასთან დაკავშირებით, რამდენად ხელმისაწვდომი იყო ელექტრონული რესურსები. მასწავლებელთა გარკვეული რაოდენობა მზად არ აღმოჩნდა შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებისა და სასწავლო კურსის ინტერნეტის მეშვეობით სწავლებისათვის [3, 54-55].

უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გაითვალისწინა უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის ასოციაციის ENQA-ს მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპები. ადმინისტრაციის ძალისხმევით აწსუ-ში მოხდა საინფორმაციო ვიდეო რგოლების მომზადება, ვებ-გვერდზე განთავსება და სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კორპორაციულ ფოსტებზე დაგზავნა. სტუდენტთა ინტერესებიდან და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მოხდა ინდივიდუალური დროებითი ცხრილების ფორმირება, მოქნილი სასწავლო საშუალებების, მრავალფეროვანი პედაგოგიური მეთოდების გამოყენება, უსაფრთხოების ზომების დაცვა ელექტრონული თვალსაზრისით, სტუდენტებში ავტონომიურობის შეგრძნების განვითარება [3, 54-55]. ფაკულტეტების მიხედვით შეიქმნა On - Line სწავლების მხარდაჭერის ჯგუფი. გადამზადდა აკადემიური პერსონალი, მომზადდა ვიდეო რგოლები და გზამკვლევები, როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტებისათვის.

დაფიქსირდა შემთხვევები, რომ აკადემიურ პერსონალს არ ჰქონდა შესაბამისი დონის კომპიუტერი, ინტერნეტი. ასეთი შემთხვევებისათვის ფაკულტეტის დეკანებმა გამოყვეს სათანადო სივრცეები, შესაბამისი რეკომენდაციების დაცვით, საიდანაც დამტკიცებული სასწავლო ცხრილების მიხედვით წარიმართა ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები. ვიდეოლექციები განთავსდა აწსუ-ს ონლაინ სივრცეში, რათა სტუდენტებს მისცემოდათ შესაძლებლობა მათი ნახვისა, ნებისმიერ დროს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ხელი შეუწყო აკადემიური პერსონალის ციფრულ ტექნოლოგიებში დაოსტატებას და განვითარებას სხვადასხვა ტრენინგ-კურსების ჩატარებით On - Line ან „ონ-ლაინ“ სწავლების მხარდაჭერის ჯგუფის სპეციალისტების ხელმძღვანელობით [3, 54-55].

დროთა განმავლობაში გამოიკვეთა კვლევის ჩატარების აუცილებლობა. კვლევა ჩავატარეთ შუალედური გამოცდების ჩატარებისთანავე. კვლევა განხორციელდა კორპორაციული ფოსტების საშუალებით. კვლევის მიზანს წარმოადგენდა თუ, რა პრობლემები გამოიკვეთა On – Line სწავლა/სწავლების პროცესში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა 60%-მა.

მიუხედავად უნივერსიტეტის მიერ გაწეული ძალისხმევისა, კვლევის შედეგად გამოვლინდა On – Line სწავლების ცალკეული პრობლემები. კერძოდ:

- სტუდენტთა 40% -ს არ ჰქონდა კომპიუტერი და ტელეფონებით მათ ვერ მოახერხეს ლექციების მოსმენა და გამოცდების ხარისხობრივად მაღალ დონეზე ჩაბარება.
- სტუდენტთა 20%-ს ჰქონდა შეზღუდული ინტერნეტ-კავშირი.
- აკადემიური პერსონალი ნაკლებად ფლობდა და იყენებდა ციფრულ ტექნოლოგიებს.
- სტუდენტებს გაუჭირდათ დროის გაკონტროლება. ვერ მოახერხეს დროულად ნაშრომის გადმოგზავნა. პროგრამამ არ შეინახა პასუხგაცემული კითხვები.
- დაეცა სწავლების ხარისხი. სტუდენტები ვერ ახერხებდნენ აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში.
- ონლაინ სწავლების დროს ნაკლები იყო უშუალო კომუნიკაცია აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტს შორის.
- დაეცა აკადემიური მოსწრება. ონ-სწავლებაზე გადასვლამ გაართულა სწავლის შედეგების მიღწევა.
- სტუდენტებს არ ეყოთ დრო ტესტირებზე პასუხის გასაცემად, ინტერნეტის პრობლემების, ან გამოცდაზე სხვა მიზეზით დაგვიანების შემთხვევაში. ვინაიდან ტესტის დროის

ათვლა იწყება არა იმ წუთიდან, როცა სტუდენტი იწყებს გამოცდას, არამედ აკადემიური პერსონალის მიერ მონიშნული კონკრეტული საათიდან კონკრეტულ საათამდე.

- სტუდენტთა გარკვეულმა ნაწილმა მოახერხა გადაწერა (პლაგიატის პრობლემა). ამ კუთხით კონტროლი თითქმის არ არსებობდა.
- სტუდენტის მიერ წერის უნარების ნაკლებად ფლობა.

მიუხედავად აღნიშნული პრობლემებისა, მთლიანობაში კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პერიოდში შესაძლებელი გახდა ინტერნეტზე დაფუძნებული სწავლება. გარკვეულ წილად გამოიკვეთა ონლაინ სწავლების დადებითი მხარეები. კერძოდ:

- სტუდენტს შეუძლია ისწავლოს მისთვის სასურველ დროს.
- სტუდენტს მეტი დრო მიეცა ფიქრისათვის.
- სტუდენტები უფრო დამოუკიდებელნი გახდნენ. ნაკლებია აკადემიური პერსონალის ჩარევის შემთხვევები.
- ყველას თანაბრად ეძლევა საშუალება ჩაერთოს დისკუსიაში.
- შესაძლებელია მოქნილი სასწავლო ცხრილების არსებობა. იმ სტუდენტებისათვის ვისაც განათლების მიღება მუშაობის პარალელურად სურს.
- დააჩქაროს ინტერნეტიზაციის პროცესი რეგიონებში.
- ღირს შედარებით იაფი, ნაკლებია ყოველდღიური ხარჯი.
- სასწავლო წელი უმაღლეს სასწავლებლებში არ გამოცხადდა აკადემიურ წლად.

მთლიანობაში უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ტოტალური სახე ცვლილებისათვის განათლების სისტემა მთლიანად მზად არ აღმოჩნდა. ფაქტიურად On – Line სწავლება მიმდინარეობდა სამი სემესტრის განმავლობაში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩვენ დავიწყეთ გამოკვლევა რამდენად მოხდა ტრანსფორმაცია 2019-2020 სასწავლო წელსა და 2020-2021 სასწავლო წელს შორის ტრადიციულ(პირისპირ) სწავლებასა და On – Line სწავლებას შორის.

როგორც გამოიკვეთა, დროის ამ მონაკვეთმა საშუალება მისცა აკადემიური პერსონალის 80%-ს გაემართა დისტანციური სწავლების სისტემა და მორგებულიყო არსებულ რეალობას რამაც, ჩვენი აზრით, გამოწვია რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა:

- აკადემიურ პერსონალს, რომელთაც გარკვეული პრეტენზიები ჰქონდათ On – Line სწავლებასთან დაკავშირებით, უკვე აღარ სურთ სასწავლო მუშაობა წარმართონ ტრადიციულად სასწავლო აუდიტორიებში.
- ნაკლებად სურთ უნივერსიტეტში მოსვლა და მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულება, რადგან მოახერხეს გაემართათ დისტანციური სწავლების სისტემა და მოერგნენ არსებულ რეალობას; ნაკლები აქვთ დანახარჯები.
- შესაძლებელია, რომ 2021-2022 სასწავლო წლის დასაწყისში გაჭირდეს უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის მოსვლა სასწავლო აუდიტორიებში, რადგან ისინი უკვე კომფორტულად გრძნობენ თავს საკუთარ სახლებში და შეეჩვივნენ დისტანციურად სასწავლო პროცესის წარმართვას. შეიმუშავეს ისეთი სტრატეგიები, რომელიც მათ საჭიროებებზე არის მორგებული.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ :

- თუ აკადემიური პერსონალი On – Line სწავლების პროცესში შეიმუშავენ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიებს, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია On –

Line სწავლების გამოყენება, რომ მთლიანად არ შეწყდეს სწავლა/სწავლების პროცესი.

- On – Line პროცესი აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსაპოვებელია ელექტრონული რესურსები და სტუდენტებს სჭირდებათ შესაბამისი რჩევები და რეკომენდაციები.
- ჩვენი აზრით ტრადიციულ სააუდიტორიო მუშაობას On – Line სწავლების პროცესი ვერ ჩაანაცვლებს, რადგან სტუდენტსა და ლექტორს შორის აუდიტორიაში წარმოშობილ სასწავლო თანამშრომლობას, უშუალო კომუნიკაციას უფრო მეტი შედეგის მოტანა შეუძლია სწავლის შედეგების გაუმჯობესების საქმეში.
- ტრადიციულ და On – Line სწავლების საგანმანათლებლო პროგრამებს ხარისხის უზრუნველყოფის განსხვავებული სტანდარტები და შეფასების განსხვავებული მიდგომები ესაჭიროება. შესაძლებელია ასეთი სტანდარტები.
- ასეთ შემთხვევებში ჩვენ მაინც უპირატესობას ვანიჭებთ შერეულ სწავლებას, ვინაიდან შერეული სწავლება პირისპირ სწავლებასაც გულისხმობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შვანგირაძე 2020: შვანგირაძე თ., დისტანციური განათლების გამოწვევები და პერსპექტივა, 28 ოქტომბერი, 2020, www.forbes.ge
2. ბაქრაძე 2020: ბაქრაძე ლ., ახალი საგანმანათლებლო რეალობა, ტერმინები, გამოწვევები და რეკომენდაციები, თბილისი 2020, erasmusplus.org.ge
3. ბასილაძე 2020: ბასილაძე ი., კირთაძე შ., კორონავირუსი (COVID 19) და ონ-ლაინ სწავლების პროცესში სტუდენტთა უფლებების დაცვა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საერთაშორისო კონფერენცია: ბავშვთა უფლებების საკითხების ჩართვა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებსა და კურიკულუმებში“, 1-2 ოქტომბერი, კონფერენციის მასალები, ქუთაისი, 2020.
4. კვლევა 2020: „აწსუ-ს სტუდენტების ელექტრონული სწავლებით კმაყოფილების კვლევა“(მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, www.atsu.edu.ge).
5. David D. Curtis 2001: David D. Curtis, Michael, Michael J. Exploring Collaborative Online Learning, 2001, www.researchgate.net
6. საქართველოს მთავრობის დადგენილება № 369, 2020 წლის 15 ივნისი.
7. მოსაზრებები ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველსაყოფად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) სამუშაო ჯგუფის ანგარიში, ხარისხის უზრუნველყოფისა და ელექტრონული სწავლების შესახებ, <http://www.enqa.eu/index.php/publications/papers-reports/occasional-papers>, ბრიუსელი, ბელგია, 2018.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პრობლემები სასწავლო პროცესში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე. პანდემიამ, კიდევ უფრო აქტუალური გახადა ტექნოლოგიების საჭიროება განათლების პროცესში.

პანდემიის დასაწყისში აკადემიური პერსონალი და სტუდენტების გარკვეული ნაწილი მზად ვერ აღმოჩნდა შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებისა და სასწავლო კურსის ინტერნეტის მეშვეობით სწავლებისათვის (ინტერნეტის და კომპიუტერის არ ქონა და სხვ).

გამოკვეთილი სხვადასხვა პრობლემების და მიუხედავად, მთლიანობაში კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პერიოდში შესაძლებელი გახდა ინტერნეტზე დაფუძნებული სწავლების შემოტანა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, ტექნოლოგიები, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, ონლაინ სწავლება.

Imeri Basiladze

Professor of Akaki Tsereteli State
University

Nino Tchokhanelidze

Assistant Professor of Akaki Tsereteli
State University

Nino Kancheli

Doctor of Education, Invited Specialist
of Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

Online Teaching and Problems Caused by the Coronavirus Outbreak (COVID-19)

(Based on the experience of Akaki Tsereteli State University)

Summary

The article refers to the teaching problems caused by the coronavirus outbreak (COVID-19) based on the experience of Akaki Tsereteli State University. The pandemic further triggered the need for digital technologies in the teaching process.

At the onset of the pandemic the academic staff and part of the students could not readily accept the use of appropriate technology in order to conduct the academic course online. (Reasons: not having any access to computers or internet).

Despite several apparent challenges, internet-based teaching was successfully introduced in Akaki Tsereteli State University during the coronavirus outbreak (COVID-19).

Key words: Pandemic, digital technologies, student-oriented, online teaching.

ლალი ბოჭორიშვილი
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი

მანანა თოფურია
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის ასისტენტ-
პროფესორი
საქართველო, თბილისი

უმაღლესი სასწავლებლებში ონლაინ სწავლების თავისებურებანი, თეორია და პრაქტიკა

დისტანციური სწავლება, კერძოდ, განათლებაში, მიუხედავად მთელი რიგი უარყოფითი სტერეოტიპებისა, იძენს პოპულარობას, როგორც უმაღლესი განათლების მიღების ფორმა. იგი გულისხმობს დისტანციურ ურთიერთობებს სტუდენტებსა და უნივერსიტეტების პედაგოგებს შორის. ამ არცთუ ისე ახალმა განათლების ფორმატმა, საყოველთაო პანდემია - კოვიდ19-თან დაკავშირებით, შეიძინა მომხრეები. თუ ვიმსჯელებთ ზრდის ტენდენციებით განათლებაში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მითითებული სწავლების ფორმა, რომელიც გულისხმობს დისტანციურ კონტაქტს განათლების სისტემაში, სავარაუდოდ, კარგა ხანს დამკვიდრდება [1].

ზოგადად, განათლებაში ონლაინ სწავლების პედაგოგიური პოტენციალი და პრობლემები მუდმივად არის ანალიზისა და კონტროლის ზეგვლენის ქვეშ. ზოგიერთი სასწავლო დაწესებულება, სიტუაციის გაანალიზების შედეგად, ძნელად ეგუება სწავლების ამ ფორმას. პოსტკოვიდ-19-ის პერიოდში მზად არის უარი თქვას ონლაინ სწავლებაზე, ასაბუთებს იმას, რომ კონკრეტულად ონლაინ კონტაქტით სწავლება არაეფექტურია. უმაღლესი სასწავლებლების უმეტესი ნაწილი, საკმაოდ ადვილად ჩაერთო სწავლების ამ ფორმატის გამოყენებაში და მიაღწია გარკვეულ შედეგს.

ონლაინ სწავლებაში ელექტრონული საგანმანათლებლო მასალები წარმოდგენილია აღქმადი ოპტიმალური: აუდიო, ვიდეო და სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების სახით, განათლების ხარისხი საქართველოს დისტანციურ სწავლებაში მხარდჭერილია სახელმწიფოს მიერ. კურსდამთავრებული სტუდენტები გარანტირებულად იღებენ დიპლომს სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად. ტესტირება, გამოცდების ჩაბარება, დიპლომის დაცვა, სადიპლომო პროექტის დაცვა ან გამოსაშვები ნაშრომის წარდგენა, აგრეთვე დიპლომის მიღების პროცედურა, წარმოებს დისტანციურად. ნებისმიერი საკითხი, რომელიც შეიძლება წამოიჭრას სწავლების პროცესში უმოკლეს ვადაში უნდა იყოს გადაწყვეტილი მხარდამჭერი ჯგუფის სპეციალისტების მიერ. ელექტრონული სწავლება საშუალებას აძლევს სტუდენტს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენისას, ყველა სერვისი მიიღოს მისთვის მოსახერხებელ დროს მობილურის, პლანშეტის, კომპიუტერის მეშვეობით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას არა აქვს წვდომა კომპიუტერთან.

დისტანციური სწავლება სულ უფრო და უფრო მეტად პოპულარულია მათთვის, ვისაც სურს მიიღოს საკმაოდ ეფექტური განათლება. თანამედროვე ტექნოლოგიებმა სწავლის მსურველებს უამრავი ახალი შესაძლებლობა მისცა და პრაქტიკულად მოუხსნა ყველა შეზღუდვა. ამასთანავე დისტანციურად იღებენ განათლებას, როგორც ახალგაზრდები, ისე სწავლების ასაკოვანი მსურველები, რომლებიც მიისწრაფიან გააფართოონ თავისი მოქმედების სფერო და მიაღწიონ გარკვეულ წარმატებას [2].

ცხადია, განათლების პროცესის ორგანიზაციისათვის უმაღლეს სასწავლებლებსა და ბიზნეს ცენტრებს დასჭირდებათ საკმაოდ დიდი ძალისხმევა, რათა დაამუშავონ ახალი სასწავლო პროექტები, პროგრამები და შექმნან მულტი-მეთოდური კურსები, ელექტრონული ბიბლიოთეკები. ამასთან, პედაგოგები ვალდებული არიან, თავისი მეთოდური მითითებები მიუსადაგონ დისტანციურ ფორმატს, ტესტებს და ლექციების კომპლექტებს. სპეციალისტები ვალდებული არიან ყურადღება მიაქციონ დისტანციური განათლების ხარისხს, სრულად გააკონტროლონ პროცესი. დიდი მოთხოვნა ონლაინ სწავლებაზე კონკრეტულ სფეროში წარმოშობს მიწოდებას. მაგალითად, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა (სტუ) გაითვალისწინა, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, დიდი მოთხოვნა დისტანციურ სწავლებაზე და მთლიანად უზრუნველყო მიწოდება. სხვა უმრავლესი უნივერსიტეტები არ ჩამორჩებიან დროს და იძულებული არიან სწრაფად გადაეწყონ ახალ მოთხოვნებზე. ამრიგად, უმრავლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უკვე მზად არიან შესთავაზონ სწავლის მსურველებს არა მხოლოდ პირველი საფეხური, არამედ მეორე და მომდევნო სწავლება დისტანციურად. აგრეთვე ხაზგასასმელია, რომ სტუდენტები ღებულობენ ცოდნას სტანდარტების შესაბამისად და ამასთანავე უდავოდ უპირატესია ის ფაქტი, რომ დისტანციური სწავლების დროს, ნებისმიერი პიროვნება იოლად იპოვნის თავისთვის საინტერესო და წამყვან სპეციალობას. აღნიშნოთ დისტანციური სწავლის ზოგიერთი უპირატესობა [2].

- აღნიშნული სწავლების ფორმა პრიორიტეტულია ყველა მსურველისათვის, ვისაც უნდა მიიღოს ორი უმაღლესი განათლება ერთად, ან დაიწყოს მეორე უმაღლესი განათლების მიღება. შესაძლებელია წარმატებით შეათავსოს სხვადასხვა პროგრამა და დაგეგმოს სწავლების ცხრილი, რომელიც გაითვალისწინებს ნებისმიერი სტუდენტის ინდივიდუალურ მოთხოვნას. ამ შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა შესანიშნავი შესაძლებლობა შეადგინოს თავისი სწავლების გრაფიკი და არ დახარჯოს დრო უქმად, იმუშაოს მაქსიმალურად ეფექტურად და გამოიყენოს ყოველი თავისუფალი წუთი ცოდნის გასაღრმავებლად.
- დისტანციური ფორმით განათლების მიღება ხდება მაქსიმალურად ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის, აფართოებს მათ შესაძლებლობებს გახდნენ უფრო მობილურნი და დამოუკიდებელნი. ნებისმიერი ადგილი, სადაც შესაძლებელია წვდომა ინტერნეტთან, მყისიერად გადადის იმპროვიზებულ სასწავლო კლასად.
- დაუძლეველი პრობლემაა ემოციური კონტაქტის დამყარება ლექტორთან. საკმაოდ მძიმედ მიდის პროცესი დაფასთან პასუხის, გამოცდების, პრაქტიკული მეცადინეობებისა და სემინარების დროს. ე.ი, მაშინ როცა საჭიროა სტუდენტმა გამოავლინოს თავისი თავი, იყოს თვითდაჯერებული. ყველა სტუდენტს გამოადგება ასეთი ცოცხალი ურთიერთობა, მაგრამ ექსტრემალური პირობები, როცა სტუდენტი ვალდებულია გაიხსენოს ყველაფერი, რაც ისწავლა, აჩვენოს თუ რა შეუძლია მას, ან რამდენად აითვისა გავლილი მასალა, სულაც არ არის საუკეთესო მომენტი თავისებური ტრენინგისათვის. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დისტანციურად შეიძლება შესანიშნავად შევამოწმოთ სტუდენტის ნამუშევარი, ხოლო თვით სტუდენტი თავისუფალია სტრესისაგან.
- დისტანციური სწავლება შესაძლებლობას გვაძლევს ეფექტურად დავხარჯოთ დრო და სახსრები, რომელიც გამოყოფილია სწავლების პროგრამისთვის. არ არის საჭირო, რომ საათობით ვიდგეთ საცობებში, დავხარჯოთ საათები გზაზე და უამრავი თანხა გადაადგილებაზე.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეები კომფორტულად მიიღებენ განათლებას სახლში.

- დისტანციურად შეიძლება მიიღოს განათლება სტუდენტმა, მცხოვრებმა პროვინციაში, ცნობილ და პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში.
- დადებითად მიიღეს სწავლების აღნიშნული ფორმატი ახალგაზრდა ოჯახებმა, ფეხმძიმე ქალებმა, პატარა ბავშვების დედეებმა, ისინი იოლად უთავსებენ სწავლას, ბავშვების მოვლასა და საშინაო საქმეებს.
- სწორედ დისტანციური სწავლება აძლევს შესაძლებლობას სტუდენტებს სრულად გაუკეთონ რეალიზაცია თავიანთ ინდივიდუალურ მოთხოვნებს, მიიღონ პერსონალური კონსულტაციები ლექტორებისგან და მოითათბირონ სასწავლო ფორუმებზე, სხვადასხვა საკითხებზე და აგრეთვე ხელმისაწვდომი გახადონ სასარგებლო წიგნები და სხვადასხვა ლიტერატურა.
- დისტანციური ინტერნეტსწავლება მოხერხებულია მომუშავე პერსონალისათვის, რადგანაც ისინი დაინტერესებულნი არიან არა მხოლოდ მიიღონ განათლება, არამედ პარალელურად გაიჩინონ შემოსავალი.

დისტანციური განათლების უპირატესობების ჩამონათვალი შეგვიძლია განვაგრძოთ, მაგრამ უკვე ჩამოთვლილი პუნქტებიც კი ნათელს ხდის, თუ რატომ იზრდება ასე სწრაფად ამგვარი განათლების პოპულარობა. როგორც აღინიშნა, დისტანციური სწავლება ეს არის განათლების პროცესი, რომელშიც გამოიყენება ტელეკომუნიკაციის ტექნოლოგიები და რომლის მიზანიც არის მიაწოდოს სტუდენტს ძირითადი საჭირო ინფორმაცია მასწავლებლისა და სტუდენტის უშუალო კონტაქტის გარეშე. თანამედროვე დისტანციურ სწავლებაში გამოიყენება შემდეგი ძირითადი ელემენტები: 1. ინფორმაციის გადაცემის საშუალებები - ტელევიზია, რადიო, კომუნიკაციური ქსელი; 2. ტექნიკურ საშუალებებზე დამოკიდებული ინფორმაციის გაცვლის მეთოდები.

დისტანციური სწავლების ფორმატის ერთ-ერთი სახეობაა ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია. ურთიერთობის კომუნიკაციური მხარე ვლინდება ინფორმაციის გაცვლის პროცესში მოსაუბრეებს შორის. იგი გულისხმობს ცოდნის, მოსაზრებისა და წინადადების გაზიარებას. ამ ურთიერთობაში ინფორმაციის გადაცემის პროცესი შექცევადია. ვერბალური ურთიერთობა შეიძლება იყოს სიტყვიერი და არასიტყვიერიც [3, 4].

რა არის ვებინარი. ვებინარი ეს არის ვებ-კონფერენციის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც გულისხმობს ონლაინ შეხვედრების ან პრეზენტაციების ორგანიზაციას ინტერნეტის მეშვეობით. სხვა სიტყვებით, ეს არის სასწავლო ონლაინ-მეცადინეობა ან კორპორაციული ონლაინ-თათბირი, ლექცია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მასტერ-კლასი ან ინსტრუქტაჟი დისტანციურად მყოფი თანამშრომლებისათვის. ყველაფერი ეს შეიძლება ჩატარდეს ონლაინ-ვებინარის ფორმატში. ვებ-სემინარში ყოველთვის ღებულობს მონაწილეობას ორი მხარე: წამყვანი და მსმენელი. ჩვეულებრივ, ვებ-სემინარის მონაწილეებს შეუძლიათ წამყვანის ვიზუალურად დანახვა და პირიქით – არა. ეს ბუნებრივია, რადგან თუ მსმენელი ოთხ-ხუთზე მეტია, ყოველი მონაწილის დანახვა საკმაოდ ძნელია. ამიტომ ვებ-სემინარისთვის საჭიროა პლატფორმის შექმნა (ასი მსმენელის სტანდარტულ მესინჯერში ვიდეო ზარებით მეცადინეობის ჩატარება საკმაოდ ძნელია, თუ არა შეუძლებელი).

როგორ მიმდინარეობს ვებინარი და ვებ-სემინარი.

- პირველ ეტაპზე ორგანიზატორი აწარმოებს ვებინარში მსურველთა მონაწილეების რეგისტრაციას.
- რეგისტრაციის შემდეგ მონაწილეებს ეგზავნება შეხსენება მომავალ ვებინარზე.
- შეტყობინებაში მითითებულია ინდივიდუალური ღონისძიებები და ამის მიხედვით მომხმარებელი მოხვდება სპეცპლატფორმაზე (ვებინალურ ოთახში).

- ვებინალურ ოთახში მომხმარებელი ხედავს პატარა სარკმელს წამყვანის სახის ვიდეო ტრანსლაციით, ხოლო დიდი ეკრანი მთლიანად განკუთვნილია პრეზენტაციისა და ჩათისათვის, სადაც შეიძლება კომუნიკაცია სხვადასხვა მონაწილეებთან ან შესაძლებელია კითხვის დასმა მომხსენებელთან.
- წამყვანი ხშირად ზეპირი გადმოცემისას იყენებს ვიზუალურ პრეზენტაციას, რათა მონაწილეებისათვის იოლი იყოს ინფორმაციის აღქმა. პრეზენტაცია შედგება თემიდან მოკლე ინფორმაციული ამონარიდებისაგან. გარდა ამისა, შეიძლება ახლდეს გრაფიკული ვიდეო და ყველაფერი, რაც ძნელად აღსაქმელია მხოლოდ სმენით.
- ეს ანალოგიურია სასკოლო დაფისა: მასწავლებელი სწერს ძირითად თეზისებს და წესებს, რომლებიც ეხმარებათ მოსწავლეებს მასალის დამახსოვრებაში.
- მეცადინეობის შემდეგ, ორგანიზატორი, როგორც წესი, უგზავნის მონაწილეებს ვებინარის ჩანაწერებსა და პრეზენტაციას, რათა შესაძლებელი იყოს ნებისმიერ დროს დაუბრუნდნენ მასალას და გაიხსენონ განვლილი.

ვებინარის ფორმატი აწყობს:

- მას, ვინც გეგმავს ჩაატაროს ფასიანი ან უფასო ონლაინ-კურსები. არსებობს პლატფორმები ვებინარებისათვის, რომლებიც იძლევიან შესაძლებლობას შექმნან მიმზიდველი და ეფექტური ფორმის ღონისძიებები და მიიღონ შესაბამისი საფასური სერვისისათვის.
- კომპანიებს, რომლებიც ატარებენ სწავლების ორგანიზაციას თანამშრომლებისათვის სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში და უნდათ თავი აარიდონ რთულ ლოჯისტიკას და აგრეთვე მთელი განყოფილების მივლინების ზედმეტ ხარჯებს.

აღსანიშნავია, რომ ონლაინ სწავლების ზემოთ აღწერილი ფორმატი საკმაოდ ეფექტურად დაინერგა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

დასკვნა

ამრიგად, დისტანციური სწავლება, სრულად ან ნაწილობრივ უნივერსიტეტის გარეთ სწავლებაა, რომელიც მიმდინარეობს მიმოწერით, კორესპონდენციის ან ვებინარის სახით. სწავლების ამ პროცესში სტუდენტს მოეთხოვება, კონკრეტულ შემთხვევაში, პერიოდულად დაესწროს ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს უშუალოდ უნივერსიტეტში.

დისტანციურად, სტუ-ში მობილური (M-learning) ტექნოლოგიებით სწავლის მიღება ხდება ელექტრონულად (E-learning). სწავლება მოიცავს სამ სახეს:

დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით;

ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), როდესაც სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში;

დაუსწრებელი ანუ მთლიანად დისტანციური სწავლება, გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად, ელექტრონული ფორმატით მდინარეობს პრეზენტაციების საშუალებით, რაც თვალსაჩინოების საუკეთესო მაგალითია.

მიუხედავად ბევრი დადებითი მხარეებისა, ონლაინ სწავლებამ პანდემიის პირობებში გამოავლინა რიგი არადამაკმაყოფილებელი მხარეები. მათ შორის, შევჩერდებით ზოგიერთ ნაკლოვანებაზე, რომელიც, ჩვენი აზრით, დამახასიათებელია უმაღლესი სასწავლებლებისათვის. მაგალითად: ა) დისტანციური ონლაინ სწავლების დროს, სახლის პირობებში, საკმაოდ რთულია დაცული იყოს თვითკონტროლი და დისციპლინა, ეს განპირობებულია, როგორც ფსიქოლოგიური ფაქტორით, ისე მოტივიზაციით; ბ) რიგ შემთხვევაში, სახლის პირობებში, არასრულყოფილი ტექნიკური უზრუნველყოფით; გ) სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების ობიექტური კონტროლის შეუძლებლობით.

როგორც ზემოთაღნიშნა, საკმაოდ რთულია ემოციური კონტაქტის დამყარება ლექტორთან. მძიმედ მიდის პროცესი დაფასთან პასუხის, გამოცდების, პრაქტიკული მეცადინეობებისა და სემინარების დროს და სხვ. [4, 5, 6].

გამოყენებული ლიტერატურა:

covid-19 და განათლების სისტემის გამოწვევები <http://geoeconomics.ge/?p=13512tamari.tsertsv-adze109@eab.tsu.edu.ge>.

1. Дистанционное образование в вузе <https://cyberleninka.ru/article/n/distantcionnoe-obucheniye-v-vuze/viewer>.

Jishkariani M. (2020). Safety Rules for Power Engineering Companies. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/342233298_Safety_Rules_for_Power_Engineering_Companies.

2. ბოჭორიშვილი ლ., თოფურია მ., ჯიშკარიანი მ., საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია, 26,12,2020, კონფერენციის კრებული, საქართველო, თბილისი;

განათლება | პანდემია და ციფრული უფსკრული. თათაბურდული, geowel research-ის <https://eufordigital.eu/geo/digital-skills-in-focus-as-vocational-education-adapts-in-the-face-of-coronavirus/>.

Jishkariani M. (2020). Failure Mode and Effect Analysis in Energy Companies. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/341914208_Failure_Mode_and_Effect_Analysis_in_Energy_Companies.

რეზიუმე

ობიექტურმა რეალობამ, რომელიც დაკავშირებულია დღევანდელ პანდემიასთან, მოითხოვა პრაქტიკულად ყველა სასწავლო დაწესებულების გადაყვანა ონლაინ სწავლებაზე. ამასთან, მოცემულ მომენტში პედაგოგიურ მოღვაწეობაში არ არის დამუშავებული ონლაინ სწავლების სპეციალური მეთოდიკა. ონლაინ სწავლება წარმოადგენს სწავლების პროგრესულ და დინამიურად განვითარებად ფორმატს. იგი საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად განვითარდეს სწავლების პროცესის სივრცული და დროითი საზღვრები და ხდის მას საგრძნობლად მოქნილს. ონლაინ-ტექნოლოგიები სულ უფო და უფრო აქტიურად იკიდებს ფეხს ნებისმიერ პროფესიულ განათლებაში და აქვს განვითარების დიდი პერსპექტივები. სტატიაში აღწერილია დისტანციური სწავლების ფორმატის ერთ-ერთი მეთოდი - ვებინალური კომუნიკაცია, რაც მოიცავს ინფორმაციის

გაცვლას მოსაუბრეებს შორის, მოკლედ არის მიმოხილული ონლაინ-სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

საკვანძო სიტყვები: ონლაინ სწავლება, ონლაინ-ტექნოლოგიები, დისტანციური სწავლება, სწავლების ფორმატი, ონლაინ-ვებინარი, ვებ-სემინარი.

Lali Bochorishvili

Professor of Georgian
Technical University

Manana Topuria

Assistant Professor of Georgian
Technical University
Georgia, Tbilisi

Peculiarities, Theory and Practice of Online Teaching in Higher Educational Institutions Summary

Objective reality, associated with current pandemic, required the transfer of virtually every educational institution to online learning. However, at the moment there are no special methods of online teaching in pedagogical work. Online learning is a progressive and dynamically evolving format of learning. It allows to significantly expand the spatial and temporal boundaries of the teaching process and makes it significantly more flexible.

Online technologies are becoming more and more active in any vocational education and have great prospects for development. Webinar communication, or one the methods of the distance teaching and learning format, is described in the article. It involves exchange of the information among the speakers. The pros and cons of the online teaching and learning are briefly reviewed as well.

Key words: online teaching and learning, online technologies, distance learning, teaching format, online webinar, web-workshop.

მაია ახვლედიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი
საქართველო, ქუთაისი

ლალი აბდალაძე

შოთა მესხიას სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
საქართველო, ზუგდიდი

თანამედროვე გამოწვევები - დამოუკიდებელი აზროვნებისა და ღირებულებების სწავლების შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში

კოვიდ-19-მა ახალი რეალობის წინაშე დააყენა სრულიად მსოფლიო, გამონაკლისი ამ კუთხით არც საქართველოა და არც ჩვენი განათლების სისტემა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სერიოზული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. მაგრამ გამოინახა ალტერნატიული გზა იმისათვის, რომ სტუდენტებს სასწავლო დაწესებულებებში მიუსვლელად, დისტანციურად მიეღოთ განათლება.

პანდემიის პირობებში საგანმანათლებლო პროცესის გასაგრძელებლად ონლაინ სწავლება უალტერნატივო გზა აღმოჩნდა. საქართველოში ამ კუთხით გამოცდილება თუ ძალიან მცირე იყო შეიძლება ითქვას, რომ დღეს გამოცდილება უკვე არსებობს, თანაც ვფიქრობთ მეტნაკლებად წარმატებულიც.

პანდემიის დროს მიმდინარე საგანმანათლებლო გამცდილებამ აჩვენა განათლების სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეები. დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობაზე სასწავლო პროცესში ჩართულთა განსხვავებულმა შესაძლებლობებმა სწავლის შედეგებით ცხადი გახდა ცენტრსა და რეგიონებს შორის არსებული ეკონომიკური უთანასწორობა. მიუხედავად ამისა დისტანციურმა სწავლებამ გამოამჟღავნა დადებითი მხარეებიც: სტუდენტთა მიერ ინფორმაციის წვდომის მოპოვების, გაცნობის, დამუშავების, ონლაინ სივრცის მრავალფეროვნად გამოყენების შესაძლებლობები. ვფიქრობთ დისტანციური სწავლების ის სასიკეთო მხარეები, რომლებმაც სხვადასხვა კუთხით საინტერესო გახდა სწავლების პროცესი, შენარჩუნდება მოთხოვნების შესაბამისად (მაგ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტების სწავლებისას...). ტექნოლოგიურმა განვითარებამ მსოფლიოს მისცა შესაძლებლობა სასწავლო პროცესში დაენერგა ელექტონული, დისტანციური, შერეული თუ ჰიბრიდული სწავლება. იგი ეპოქის მოთხოვნების ნაწილი გახდა, პანდემიამ კი ტექნოლოგიების განვითარების შედეგი - ელექტრონული სწავლების მასიური დანერგვა-გამოყენება დააჩქარა.

XXI საუკუნის კურიკულუმების პარადიგმა უპირისპირდება გასული საუკუნის სწავლების შინაარსის ხედვებს. წინა თაობის კურიკულუმები ორიენტირებული იყო სტუდენტზე - სწავლის ობიექტზე და მას განიხილავდა ცოდნის მიმღებ, ცოდნის დამგროვებელ ობიექტად, რამდენიმე ათწლეულია ე.წ. შესასწავლ მასალაზე, ანუ ცოდნაზე ორიენტირებული სწავლების იდეა, თანდათან ჩაანაცვლა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ხედვამ, რომელიც სტუდენტს განიხილავს, აქტიურ, ცოდნის ამგებ სუბიექტად. ახლი ხედვით წარმართულ სასწავლო პროცესში სტუდენტი აქტიურადაა ჩართული. პარადიგმა სწავლების პედაგოგიკა შეიცვალა სწავლის პედაგოგიკით.

ლექტორი, რომელიც ეყრდნობა შესასწავლ მასალაზე ორიენტირებული სწავლების იდეას, მთავარ მიზნად ისახავს მასალის სრულყოფილად გადაცემას და ნაკლებ ყურადღებას აქცევს სტუდენტის აზროვნებისა და სწავლის პროცესს. იგი მიიჩნევს, რომ აზროვნება ბუნებრივად განვითარდება დროთა განმავლობაში და ამიტომ არ კარგავს დროსმის დახვეწაზე. ხოლო ის პედაგოგი, რომელიც სტუდენტის აზროვნების განვითარებაზე აკეთებს აქცენტს, ცდილობს გაააქტიუროს სტუდენტი სასწავლო პროცესში და მაქსიმალურად ჩართოს ინტერაქციაში.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ბენჯამენ ბლუმისა და მისი კოლეგების (1956) მიერ შემუშავებულ იქნა სქემა, რომელიც სტუდენტს აზროვნების განვითარებაში ეხმარება. იგულისხმება საწყისი და მაღალი დონის უნარები. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება: ცოდნა, გაგება და გამოყენება; ხოლო მეორე კატეგორიას - ანალიზი, სინთეზი და შეფასება.

რამდენიმე წლის წინ ანდერსონმა, კრათვოლმა და მათმა კოლეგებმა (2001) მოახდინეს ბლუმისეული კლასიფიკაციის რედაქტირება და შემოგვთავაზეს საკუთარი სქემა:

მაღალი დონის უნარები: შექმნა - გარდაქმნით ელემენტები ახალ მოდელად, სტრუქტურად, ან მიზნად. (შექმნით, დაგეგმეთ, აწარმოეთ), შეფასება - გააკეთეთ დასკვნა (შემოწმება, განხილვა, განსჯა). ანალიზი - დაყავით მასალა ნაწილებად და კონცენტრაცია მოახდინეთ მათ შორის კავშირზე (შეპირისპირება, ორგანიზება). გამოყენება - გამოიყენეთ პროცედურები პრობლემის გადასაჭრელად და დავალებების შესასრულებლად (განხორციელება, შესრულება). გაგება - ჩამოაყალიბეთ ახალი იდეა ძველი და ახალი მასალის შერწყმის შედეგად (ინტერპრეტაცია, მაგალითის დასახელება, კლასიფიკაცია, შეჯამება, შედარება, ახსნა).

მათი შეხედულებით საწყისი დონის უნარია: გახსენება - მიიღეთ შესაბამისი ინფორმაცია ხანგრძლივი მეხსიერებიდან (შეიცანით, გაიხსენეთ).

აზროვნების ხარისხის გასაუმჯობესებლად აუდიტორიაში უნდა შევქმნათ სათანადო ატმოსფერო, შესაძლებლობა იმისა, რომ სტუდენტმა აქტიურად იაზროვნოს. სტუდენტის პასუხს დავურთოთ კომენტარი და მივცეთ ამომწურავი შეფასება. პასუხის მოსაფიქრებლად გამოვყოთ საკმარისი დრო.

აზროვნების უნარების განვითარება არ არის იოლი. სტუდენტი ვერ აჩვენებს პროგრესს სპეციფიკური ვარჯიშის გარეშე. მან აქტიურად უნდა იფიქროს თავისი გამოცდილების, წარმატების, მარცხის, გეგმების, მიზნების, არჩევანისა და მისი შედეგების შესახებ. ამიტომ, პედაგოგს ევალება სასწავლო კურსის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმოს დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების სტრატეგიების სწავლებას.

XXI საუკუნის ადამიანისათვის, უბრალოდ, სასიცოცხლოდ და უცილებელია ჰქონდეს კრიტიკული აზროვნების უნარი.

დამოუკიდებელი აზროვნების განსახორციელებლად სტუდენტმა უნდა განიხილოს სასწავლო ინფორმაცია, გადაწყვეტილების მისაღებად მოიძიოს საჭირო არგუმენტები და კონტრარგუმენტები, ივარაუდოს, იმსჯელოს, დააზუსტოს, შეაჯამოს საკითხი და გამოიტანოს დასკვნა. დამოუკიდებელი აზროვნების პროცესის წარმართვისათვის მნიშვნელოვანია ვარაუდების იდენტიფიცირება, გადამოწმება და ალტერნატივების მიგნება შესწავლა-შეფასება.

ასევე, სტუდენტის აქტიური ჩართულობა აზროვნების პროცესში, მთლიანად მიმართული უნდა იყოს დაუსაბუთებელი ვარაუდების აღმოფხვრაზე, რადგან ვარაუდების იდენტიფიცირების გარეშე პროცესი დაკარგავს მიმართულებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით კრიტიკული აზროვნების განმარტებას, სადაც იგი განხილულია „როგორც ინტელექტუალურად მოწესრიგებული პროცესი, „ემყარება ინტელექტუალურ ღირებულებებს, მაგალითად სიცხადეს, სისწორეს, სიზუსტეს, თანმიმდევრულობას, შესაბამისობას, ანგარიშგასაწევ მტკიცებულებებს, საფუძვლიან მიზეზებს,

სიღრმეს, სიფართოვეს და სამართლიანობას, რომლებიც უნივერსალურია მიუხედავად საგნობრივი დაყოფებისა“ (M. Scriven, 1987).

ღირებულებების სწავლებაში, გამოცდილების თვალსაზრისით საინტერესოა ბრუსტერ სმიტი. მისი აზრით ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებას გარკვეული ღირებულებები წარმართავს, ამიტომ მათი სწავლების საკითხი აქტუალურია ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში. უნივერსალური ცნებები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს თითოეული ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენს შესაძლებლობებში, გავუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი შეხედულებები და პატივი ვცეთ მათ, რათა ერთად მივუახლოვდეთ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას.

ვასწავლოთ თუ არა ღირებულებები? დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ავარიდებთ თავს ღირებულებების სწავლებას, რადგან ჩვენი პედაგოგიური საქმიანობის ქვაკუთხედი სწორედ ღირებულებებია. მაგრამ ისმის კითხვა: „სტუდენტებს მოვახვიოთ თუ არა თავს ჩვენი ღირებულებები? კითხვაზე ორი პასუხია: პირველი - რასაკვირველია სტუდენტის უფლებების დარღვევა არ იქნება ისეთი ღირებულებების სწავლება, როგორიცაა პატიოსნება და პატივისცემა. პედაგოგის ძალისხმევას სასურველი შედეგი არ ექნება, თუ ჩვენი სტუდენტები არიან პლაგიატორები, აყალბებენ კვლევების შედეგებს და იყენებენ „შპარგალკას“. ვერ შევქმნით ნორმალურ სასწავლო გარემოს, თუ არ არსებობს მეგობრული, ურთიერთ პატივისცემაზე დამყარებული ატმოსფერო. მეორე - სტუდენტებმა ღრმად უნდა გაიაზრონ ზემოთ აღნიშნული ღირებულებების მნიშვნელობა. ეს მიიღწევა გულახდილი საუბრებისა და ამომწურავი დისკუსიების გზით.

შეგვიძლია ღირებულებების სწავლება? შეგვიძლია. ჩვენი პედაგოგიური საქმიანობის შედეგად სტუდენტებს მართლაც უყალიბდებათ ახალი შეხედულებები, განსაკუთრებით იმ სტუდენტებს, რომლებიც არ არიან სასწავლო პროცესის პასიური მონაწილეები და მათთან მუშაობისას პედაგოგი აქტიური სწავლების მეთოდებს იყენებს.

ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა პატიოსნება, ურთიერთპატივისცემა და რაციონალიზმი, ყველა აღიარებს და თავსმოხვეულად არავინ მიიჩნევს. სტუდენტებს სწორედ ამ ღირებულებებისადმი ერთგულება უნდა შთავაგონოთ.

რაც შეეხება სოციალურ-პოლიტიკურ იდეებს, რა თქმა უნდა, არ გვაქვს უფლება ბოროტად გამოვიყენოთ ჩვენი მდგომარეობა და იდეოლოგიური ზეგავლენის ქვეშ მოვაქციოთ სტუდენტი. პირიქით, იგი უნდა მივაჩვიოთ კრიტიკულ დამოკიდებულებას ნებისმიერი საკითხის მიმართ.

ლექტორის მოვალეობაა სტუდენტს გააცნოს არამარტო თავის დისციპლინაშიმეცნიერულად ცხადი საკითხები, არამედ გადაუჭრელი და ბუნდოვანი პრობლემები, ამსჯელოს ისინი. სტუდენტმა კი მსჯელობისას თავის ნებისმიერ პოზიციას მყარი არგუმენტაცია უნდა დაუდოს საფუძვლად.

ჰოლანდიელი ფსიქოლოგის ჟან ელშოუტის (1987) მიხედვით არსებობს პრობლემათა სამი დონე. ვფიქრობთ, რომ იგივე შეიძლება ითქვას ღირებულებების შესახებაც.

პირველი დონე ეხება პრობლემებს, რომელთა გადაჭრა ხდება ავტომატურად, ყოველგვარი ფიქრის გარეშე, არსებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე. შესაბამისად, არსებობს სიტუაციები, როცა ჩვენ არ ვფიქრობთ ღირებულებებზე და ავტომატურად ვპოულობთ სწორ გამოსავალს.

მეორე დონე მოიცავს პრობლემებს, რომელთა გადაჭრა მოითხოვს ალტერნატივების განხილვას და არჩევანის გაკეთებას. საბოლოოდ ვპოულობთ გამოსავალს არსებული უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების მეშვეობით. სწორედ მსგავს ალტერნატივებთან გვაქვს საქმე ღირებულებების საკითხის მოგვარებისას.

მესამე დონეზე სიტუაცია იმდენად რთულია, რომ თავს ვარიდებთ მასზე ფიქრს, რადგან ჩვენი ცოდნისა და გამოცდილების ბაზა არ არის საკმარისი პრობლემის გადასაჭრელად. ლექტორები მუდმივად უნდა ცდილობდნენ შეამცირონ მესამე ზონა და ბუნდოვანი საკითხები სისტემატური დისკუსიის საგნად აქციონ.

ღირებულებები პედაგოგიური საქმიანობის ყველა ასპექტში იკვეთება: სილაბუსის შედგენაში, ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებაში, შეფასებაში, კომენტარებში, სტუდენტებთან ურთიერთობაში, ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტის ინდივიდუალიზმის პატივისცემა, ლექციაზე სახელით მიმართვა, ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენივე ობიექტურობასა და ეთიკურ საქციელს.

აუცილებელია სასწავლო კურსი შეესატყვისებოდეს ალტრუსტულ მიზნებს და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისაკენ მოუწოდებდეს სტუდენტს.

პედაგოგმა სტუდენტს უნდა გააცნოს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული მრავალი მოსაზრება. მთავარია სტუდენტმა დაადგინოს აღნიშნული ალტერნატიული პოზიციებიდან რომელს გააჩნია უფრო მყარი არგუმენტაცია.

ალტერნატიული მოსაზრებების განხილვისათვის კარგია გამოვიყენოთ თუნდაც კლასიკური სავარჯიშო: „სხვადასხვა მოსაზრებების ოთხი კედელი: „სავსებით ვეთანხმები“, „ვეთანხმები“, „არ ვეთანხმები“ და „კატეგორიულად ვეწინააღმდეგები“. სტუდენტები იკავებენ პოზიციის შესატყვის ადგილს. აყალიბებენ შესაბამის არგუმენტებს. დისკუსიისას შესაძლოა სტუდენტმა პოზიცია შეიცვალოს. დასასრულს სტუდენტები წერენ „ერთწუთიან ნაშრომს“ განხილული საკითხის შესახებ.

სასწავლო ონლაინ პლატფორმებს ჯგუფებად დაყოფის და ერთობლივად დისტანციური მუშაობის შესაძლებლობები აქვს. თუმცა აღნიშნული აქტივობები პანდემიის დროს მეტ-ნაკლებად მოუხერხებელი გახდა. ლექტორები და სტუდენტები ტექნიკური სირთულის გამო ხშირად თავს არიდებენ ჯგუფურ და წყვილებში მუშაობას. უპირატესობას ანიჭებენ მსჯელობას, დისკუსიას, კვლევის შედეგების პრეზენტაციებს და ა.შ.

ჩვენ განვიხილეთ, როგორ ჩაანაცვლა ცოდნაზე ორიენტირებული სწავლების იდეა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ხედვამ. ვფიქრობთ მნიშვნელოვან აუცილებლობას წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნებისა და ღირებულებების სწავლება. მიგვაჩნია, რომ ეს თანამედროვე მნიშვნელოვანი გამოწვევაა და ვფიქრობთ ამ საკითხზე მუშაობა მეტად აქტუალურია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Wilbert J. Mckeachie TeachingTips, 2002, Strategies, Research, and Teory for College and University Teachers.
2. ჯ.დიუი, როგორ ვაზროვნებთ, (ბოსტონი: Houghton Mifflin, 1998).
3. პროგრამის კონცეფცია - „ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობა“
<https://mes.gov.ge/uploads/files/zogadi-ganatlebis-xelshecyoba.pdf>
4. (Critical Thinking as Defined by the National Council for Excellence in Critical Thinking, 1987. A statement by Michael Scriven & Richard Paul, presented at the 8th Annual International Conference on Critical Thinking and Education Reform, Summer 1987).

რეზიუმე

პანდემიამ და ონლაინ სწავლების პირობებმა ახალი გამოწვევების წინაშე დაგვყენა საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები.

ნაშრომში განვიხილავთ ცოდნაზე ორიენტირებული სწავლების იდეის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ხედვით ჩანაცვლების მნიშვნელობას და 21-ე საუკუნის უნარების ჩამოყალიბებისათვის დამოუკიდებელი აზროვნებისა და ღირებულებების სწავლების აქტუალობას და აუცილებლობას.

მიგვაჩნია, რომ ცოდნაზე ორიენტირებული სწავლების პარადიგმის ცვლილება სწავლაზე ორიენტირებული ხედვით გააუმჯობესებს სტუდენტთა დამოუკიდებელი აზროვნების ხარისხს, თუნდაც დისტანციური სწავლებისას.

ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებას გარკვეული ღირებულებები წარმართავს, ამიტომ დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების, უნივერსალური ცნებებისა და ღირებულებების სწავლება აქტუალურია ყველა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ისინი საფუძვლად უნდა დაედოს თითოეული ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. უმაღლესმა სასწავლებლებმა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობები, გავუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი შეხედულებები და პატივი ვცეთ მათ, რათა ერთად ავამაღლოთ სწავლების ხარისხი.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, აზროვნება, ღირებულებები, გამოცდილება, ალტერნატივა, უნარები, დონე.

Maia Akhvlediani

Associate Professor Akaki
Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

Lali Abdaladze

Associate Professor Shota
Meskhia State
Teaching University
Georgia, Zugdidi

Modern Challenges – Teaching Independent Thinking and Values in Higher Educational Institutions Summary

The pandemic and the conditions of online education have posed new challenges for the representatives of the educational field.

In this paper, we discuss the importance of replacing the idea of knowledge-based learning with a student-centered vision and the relevance and necessity of teaching independent thinking and values to shape 21st century skills.

We believe that changing the paradigm of knowledge-based teaching with a learning-oriented vision will improve the quality of students' independent thinking, even in distance learning.

Certain values govern the life of any human being. Therefore, teaching independent, critical thinking, universal concepts and values are relevant in all educational institutions. They should be the basis of each person's life and work. Higher education institutions should make the most of opportunities, share our views and respect each other in order to improve the quality of teaching together.

Key words: Pandemic, Thinking, Values, Experience, Alternative, skills, level.

ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები

გლობალური პანდემიის პირობებში, ახალი ვირუსის, COVID 19-ის გამო მთელს მსოფლიოში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტი, განათლების ჩათვლით, არც საქართველო არის გამონაკლისი. საქართველოს მთავრობას მოუხდა საგანმანათლებლო სისტემაში გარკვეული ცვლილებების შეტანა, მათ შორის, ახალი კორონა ვირუსის საქართველოში გავრცელების თავიდან ასაცილებლად სწავლება გადავიდა დისტანციურ ფორმატში. ასევე, როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოს სკოლების მასწავლებლებს ახალი რეალობა დაუდგათ: გაკვეთილები გრძელდება დისტანციურად. სამწუხაროდ, არსებული მდგომარეობის გამო საჯარო სკოლებს ხშირად უწევთ ონლაინ გაკვეთილების ჩატარება.

მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული სწავლების მეთოდი საკმაოდ პოპულარულია და ფართოდ გამოიყენებოდა მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში, საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებები ამისათვის კარგად არ იყვნენ მომზადებულნი. სასწავლო პროცესის ონლაინ სივრცეში გადატანამ შექმნა რიგი განსაკუთრებული საკითხები, როგორიცაა პროცესში მოსწავლის ჩართულობა, მათი მოტივაცია და თვითრეგულირების უნარების განვითარება მუშაობის დროს.

საქართველოში ელექტრონული სწავლების დანერგვა აქტიურია 2008 წლიდან, როდესაც იგი ჩართული იყო პროექტში „ელექტრონული სწავლება კავკასიაში“. ამ პროექტის ფარგლებში შემუშავდა და განხორციელდა ელექტრონული სწავლების პილოტური კურსები სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს 20-ზე მეტ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. თუმცა, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯები იყო.

საქართველოს მთავრობა აგრძელებდა ამ თემაზე მუშაობას და ყველა რაიონში შეიქმნა დამხმარე ჯგუფები, რომლებიც მასწავლებლებს ეხმარება ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიის გააზრებაში, ასევე 2019 წლიდან „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტი აქტიურად მუშაობდა სკოლის რეფორმაზე, სადაც მნიშვნელოვანი კომპონენტია დისტანციური სწავლების დანერგვა და სხვა სკოლებსა და მასწავლებლებთან გამოცდილების გაზიარება.

სწავლის ახალ მოდელზე გადასვლამ მრავალი პრობლემა გამოავლინა. თავდაპირველად, როგორიცაა კომპიუტერის ცუდი ცოდნა და ინტერნეტით სარგებლობის პრობლემა, მაგრამ მოგვიანებით გამოქვეყნდა კვლევა ორგანიზაციის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ, სადაც აღმოჩნდა, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველომ საკმაოდ კარგად გაართვა თავი პრობლემას.

ზოგადი განათლების სისტემამ სწრაფად შეძლო რესურსების მობილიზება და დისტანციური სწავლების რეჟიმში გადასვლა, უზრუნველყვეს მოსწავლეებისთვის განათლების

უწყვეტი პროცესი. გასული წლის მარტის თვიდან სწავლა განახლდა ელექტრონული სწავლების რეჟიმში. ჩვენ ვიყენებთ სწავლების ონლაინ ფორმას, რიგ სკოლებს შესაძლებლობა ეძლეოდათ სწავლების ეს ფორმა შეეცვალათ ჰიბრიდული ფორმით, ეს პროცესი მიმდინარეობდა ურთიერთდახმარებისა და ერთმანეთს შორის გამოცდილების გაზიარების გზით.

დღეისათვის ზოგადი განათლების დაწესებულებები იყენებენ სხვადასხვა პროგრამებსა და ონლაინ პლატფორმებს დისტანციური სწავლების ხელშესაწყობად: Zoom, Microsoft Teams, Moodle და Google Classroom. შემუშავებულია შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებები და ვიდეო ინსტრუქციები მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციისა და მოსწავლეებისათვის, ასევე განხილულია სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემები.


ერთი შეხედვით დისტანციური გაკვეთილები, მსოფლიო ქსელის, ინტერნეტის, ეპოქაში არ უნდა გამხდარიყო რაიმე განსაკუთრებული პრობლემის საწყისი, მაგრამ შედეგად მაინც ის მივიღეთ, რომ „ონლაინ გაკვეთილი“ მაინც არ აღმოჩნდა ის გამოსავალი, რაც მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობებს სჭირდება. ონლაინ გაკვეთილის დროს, სლაიდების პრეზენტაციების ჩვენება უფრო ადვილიც კი არის, ვიდრე კლასში. მასწავლებლების უმრავლესობა ალბათ დამეთანხმება და იტყვის, რომ „ამ ონლაინ სწავლებაში მაინც რაღაც ვერ არის ისე, როგორც უნდა იყოს...“ ფაქტია რომ ონლაინ სწავლება რომ განხორციელდეს საჭიროა გამართული ინტერნეტი და შესაბამისი ტექნიკა. ამის გარდა მასწავლებლებისთვის ახალი ტექნოლოგიის შეთვისება ერთგვარი გამოწვევა და სტრესია, რადგან სასწავლო რესურსების მომზადებას უფრო მეტი დრო სჭირდება.

2021 წლის აპრილ-ივნისში საჯარო სკოლების მასწავლებლებთან ჩავატარეთ კვლევა თემაზე: **„ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები“**. კვლევის მიზანია, დავადგინოთ, თუ რა გამოწვევები აქვს ონლაინ/online სწავლებას და როგორ მიმდინარეობს მათზე რეაგირება. ჩვენი კვლევის მიზანი არავითარ შემთხვევაში არ არის გააკრიტიკოს რომელიმე საგანმანათლებლო დაწესებულება ან განათლების სისტემა. გვსურს გავარკვიოთ რა გამოწვევები არის ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით საჯარო სკოლებში და როგორ ახერხებენ მასწავლებლები მის გადაჭრას. მიღებული შედეგები პირველ რიგში სასარგებლო იქნება საქართველოში საგანმანათლებლო პოლიტიკის შემქმნელებისთვის.

კვლევა ჩავატარეთ ქ. ქუთაისის საჯარო სკოლებში, ასევე ტყიბულის, წყალტუბოს, ზესტაფონის, თერჯოლის, ჭიათურის, ხონის, სამტრედიის, ხარაგაულისა და ონის მუნიციპალიტეტების რაიონული ცენტრისა თუ სოფლის საჯარო სკოლებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო **945**-მა მასწავლებელმა. მასწავლებლებს ვკითხეთ სად უფრო მაღალი იყო დასწრება, პირისპირ თუ ონლაინ სწავლების დროს? პასუხი ასე გადანაწილდა: პირისპირ სწავლების დროს უფრო მაღალი დასწრება იყო, აირჩია **910**-მა მასწავლებელმა, ონლაინ სწავლება აირჩია **35**-მა მასწავლებელმა.

ჩვენ დავინტერესდით გაგვეგო თუ როგორ შეაფასებდა მასწავლებელი მის ტექნიკურ უნარებს ონლაინ სწავლებისას. პასუხები ასე გადანაწილდა: ძალიან კარგი პასუხი აირჩია **187**-მა მასწავლებელმა, კარგი აირჩია **49** მასწავლებელმა, საშუალო აირჩია **703**-მა მასწავლებელმა, ხოლო ცუდი მხოლოდ **6**-მა მასწავლებელმა. ეს ძალიან კარგია, რადგან გასულ წელს მსგავსი კვლევის დროს ცუდი ტექნიკური უნარი ჰქონდა გამოკითხულთა **64%**-ს, ხოლო ძალიან კარგი მხოლოდ **3%**-ს.


№1 ტექნიკური უნარები



ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო გაგვეგო თუ როგორია მოსწავლეებში სწავლის მოტივაცია ონლაინ სწავლების დროს. მასწავლებლებმა ასეთი არჩევანი გააკეთეს: მაღალი, აირჩია **69** მასწავლებელმა, საშუალო აირჩია **724**-მა რესპოდენტმა, ხოლო დაბალი, აირჩია **152**-მა მასწავლებელმა.

ჩვენ დავინტერესდით გაგვეგო თუ რა მიზეზით ვერ ესწრებიან მოსწავლეები ონლაინ გაკვეთილებს. აქაც გვქონდა პასუხების არჩევის რამდენიმე ვარიანტი, იმ განსხვავებით, რომ მათ უფლება ჰქონდათ შემოეხაზათ რამდენიმე (კერძოდ 2 ან 3) პასუხი. საერთო ჯამში ასეთი შედეგები მივიღე: ტექნიკური ხარვეზის გამო, დაგროვდა **703** პასუხი, ტექნიკური უნარ-ჩვევების არქონის გამო, დაგროვდა **168** პასუხი, ინტერნეტის არქონის გამო, გვაქვს **598** პასუხი, სურვილის არ არსებობის გამო **223** პასუხი, მშობლის უყურადღებობის გამო **218** პასუხი, მასწავლებლებს დამატებით ჰქონდათ ასეთი გრაფა – სხვა, სადაც დაფიქსირდა ასეთი მიზეზები: მაგ., ყველაზე მეტი მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ოჯახში არის რამდენიმე მოსწავლე და აქვთ 1 კომპიუტერი, შესაბამისად ვერ ახერხებენ შემოსვლას; ხშირ შემთხვევაში მშობლები არიან ემიგრაციაში და მოსწავლეები პასუხისმგებლობით ვერ ეკიდებიან სწავლას; არის შემთხვევები ონლაინ გაკვეთილებს არ თვლიან სავალდებულოდ და ა.შ.


№2 ონლაინ გაკვეთილების გაცდენის მიზეზი



ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო გაგვეგო თუ რა ფორმით ახდენდა მასწავლებელი იმ მოსწავლეების ინფორმირებას, რომლებიც ვერ ესწრებიან ონლაინ გაკვეთილს. მასწავლებელთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ ასეთ მოსწავლეთა ინფორმირებას ახდენენ სოციალური ქსელით, კერძოდ: პირადი მიმოწერით თიშში ან მესენჯერში, რიგ შემთხვევაში ტელეფონის საშუალებით. მათი განმარტებით არც ერთი მოსწავლე არ რჩება ინფორმირების გარეშე. საჭიროების შემთხვევაში საქმეში ერთვება კლასის ხელმძღვანელი, მას აწვდიან ინფორმაციას, ზოგჯერ უკავშირდებიან მშობლებს. ბოლო ორი გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ პირადად ვერ აგვარებენ სრულ ინფორმირებას.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო გაგვეგო თუ რა ფორმით არიან მშობლები ჩართული ონლაინ სწავლების პროცესში. აქაც მასწავლებლებისათვის მიცემული იყო რამდენიმე ვარიანტი და მათ უნდა შემოეხაზათ ერთი. პასუხები ასე გადანაწილდა: უზრუნველყოფენ ინტერნეტ კავშირს შემოხაზა –**162**-მა მასწავლებელმა, ხელს უწყობენ შვილებს კომპიუტერის/თიშის ჩართვაში შემოხაზა –**236**-მა მასწავლებელმა, მონიტორინგს უწევენ გაკვეთილებზე დასწრებას შემოხაზა – **93**-მა მასწავლებელმა; ზედა სამი აირჩია –**382**-მა მასწავლებელმა; არ არიან ჩართული – აღნიშნა **72**-მა მასწავლებელმა.

№3 მშობელთა ჩართულობა




ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო შეგვესწავლა მასწავლებლების აზრი იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთონ მათ, რათა მშობლები უფრო მეტად ჩართულიყვნენ შვილების ონლაინ სწავლების პროცესში. მასწავლებლები შემდეგ ვარიანტებს გვთავაზობენ: მასწავლებელთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ საჭიროა მშობელთა ცნობიერების ამაღლება; მშობლებთან ხშირი კომუნიკაცია – დავარწმუნოთ ონლაინ გაკვეთილის აუცილებლობასა და საჭიროებაში; მასწავლებლები ცდილობენ მისცენ ისეთი დავალებები, სადაც აუცილებელი იქნება მშობელთა ჩართულობა; ზოგჯერ ცდილობენ ჩართონ მშობლები ონლაინ გაკვეთილებზე სახალისო აქტივობებში და ა. შ.

ჩვენ დავეინტერესდით გაგვეგო კმაყოფილი არიან თუ არა მშობლები ონლაინ გაკვეთილებით. პასუხები ასე გადანაწილდა: „დიახ“ დააფიქსირა – **162**-მა მასწავლებელმა, „არა“ აღნიშნა –**93**-მა მასწავლებელმა, ხოლო „ნაწილობრივ“ აირჩია – **690**-მა მასწავლებელმა.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ასევე გაგვეგო თუ როგორ აფასებენ მასწავლებლები მოსწავლეებს ონლაინ სწავლების დროს. აღმოჩნდა რომ **364** მასწავლებელი იყენებს განმსაზღვრელ შეფასებას, **550** მასწავლებელი იყენებს განმავითარებელს, ხოლო **31** საერთოდ არ აფასებს მოსწავლეებს.


#4 მოსწავლეთა შეფასება



ჩვენ ასევე დავინტერესდით თუ რა ტიპის აქტივობებით ახერხებდნენ მასწავლებლები მოსწავლეთა შეფასებას ონლაინ სწავლების დროს ან მომავალში რა ტიპის აქტივობებს დაგეგმავდნენ. მასწავლებელთა უმეტესობა აღნიშნავდა, რომ მოსწავლეებს აფასებენ ტესტების (ქვიზი) დახმარებით, კომპლექსური დავალებების საშუალებით, ონლაინ პრეზენტაციებით, განმავითარებელი კომენტარებითა და აქტივობებით, T და ვენის დიაგრამებით, ჩანახატებისა და ესეების წერით. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შეფასება უნდა მოხდეს ისეთი აქტივობებით, რომელიც აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას, რათა მიიღონ მაღალი შეფასებები. მასწავლებლებმა ასევე დაწერეს რომ ისურვებდნენ მეტ ინტერაქციულ მეთოდებს, დისკუსიებს და პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

ჩვენ შევეცადეთ გაგვეგო რა სახის უკუკავშირი აქვთ მასწავლებლებს მოსწავლეებთან. გაკვეთილის პროცესში, ეტაპობრივად უკუკავშირს აძლევს **-539** მასწავლებელი, ინდივიდუალურად, პირად მიმოწერას ახერხებს - **362** მასწავლებელი, საერთოდ არ აქვს უკუკავშირი **24** მასწავლებელს.

№5 მოსწავლეებთან უკუკავშირი



საინტერესო იყო გაგვეგო, თუ რას შეცვლიდნენ მასწავლებლები ონლაინ სწავლებაში მოსწავლეთა დასწრების გაზრდის მიზნით. მასწავლებელთა დიდი ნაწილის აზრი ასეთი იყო: მოვიფიქრებთ უფრო მეტ სახალისო აქტივობებს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, ეს უფრო საინტერესო იქნება და მეტი მონდომებაც ექნებათ, აუცილებელია მრავალფეროვანი ინტერნეტრესურსების გამოყენება. მასწავლებელთა ნაწილი აღნიშნავს, რომ დასწრების გაზრდისათვის აუცილებელია საინტერესო და სახალისო გაკვეთილების დაგეგმვა, იყოს მეტი მრავალფეროვნება და ა. შ.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ძალიან დაგვცხმარა გაგვერკვია, რა გამოწვევები აქვს ონლაინ/online სწავლებას და როგორ ახერხებენ მათზე რეაგირებას. გამოკითხული მასწავლებლები პირისპირ სწავლების ფორმას ანიჭებენ უპირატესობას. აღსანიშნავია, რომ ამჯერად 187 გამოკითხულს აქვს ძალიან კარგი ტექნიკური უნარები, 49-ს კარგი და მხოლოდ 6 მასწავლებელს აქვს ცუდი უნარები. კვლევამ აჩვენა, რომ ხშირად მოსწავლეები ვერ ესწრებიან ონლაინ გაკვეთილებს, მრავალ მიზეზთაგან ძირითადად „გამოიკვეთა ტექნიკური ხარვეზები“ და „ინტერნეტის არ ქონა“. აქვე გამოიკვეთა მოსწავლეთა უმეტესი ნაწილის 724 მოსწავლის მოტივაცია არის საშუალო. კვლევამ აჩვენა რომ მშობელთა უმეტესი ნაწილი რაღაც ფორმით ჩართულია ონლაინ გაკვეთილებში, მხოლოდ 72 არ არის ჩართული. მოსწავლეთა შესაფასებლად მასწავლებელთა დიდი ნაწილი იყენებს განმავითარებელ შეფასებას, ნაწილი კი განმსაზღვრელ შეფასებას. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები ინტესიურად აძლევენ მოსწავლეებს უკუკავშირს. მასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსწავლეებს უკეთ ჩაერთონ ონლაინ გაკვეთილებში. ვფიქრობ, აქ მიღებული მიგნებები დიდად დაეხმარება მასწავლებლებს უკეთ დაგეგმოს ონლაინ გაკვეთილები, რათა იყოს უფრო საინტერესო და მიმზიდველი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დოლიძე თამთა, დისტანციური სწავლების გამოწვევები გაკვეთილებზე და როგორ გავართვათ მათ თავი//მასწავლებელი, თბილისი, 2020წ.
2. ვალიშვილი თეა, ბალანჩივაძე იაგორ, გენელიძე ლიკა, საგანმანათლებლო სისტემის გამოწვევები პანდემიურ პირობებში და მათი გადაჭრის გზები, საქართველოს გამოცდილება//ეკონომიკური პროფილი, ქუთაისი, 2020წ.
3. ინგოროყვა ნატო, გაკვეთილები დისტანციური სწავლებისათვის//მასწავლებელი, თბილისი, 2021წ.
4. ოსიაშვილი ქეთევანი, დისტანციური სწავლების ფსიქოლოგია//მასწავლებელი, თბილისი, 2020წ
5. ViewPoint, 2020, The specialization of distance learning of universities, imagine, different application and online platforms can, Tbilisi, Georgia
Reimers Fernando M., Schleicher Andreas, 2020. A framework to guide an education response to the COVID-19 Pandemic of 2020. Organisation for Economic Co-operation and Development (OECD)
https://globaled.gse.harvard.edu/files/geii/files/framework_guide_v2.pdf

რეზიუმე

სტატიაში საუბარია მნიშვნელოვან გამოწვევებზე, რომლის წინაშეც არის დღეს მთელი მსოფლიო. სამწუხაროდ, არსებული პანდემიის გამო საჯარო სკოლებს ხშირად უწევთ ონლაინ გაკვეთილების ჩატარება. ზოგადი განათლების სისტემამ სწრაფად შეძლო რესურსების მობილიზება და დისტანციური სწავლების რეჟიმში გადასვლა, უზრუნველყვეს მოსწავლეებისთვის განათლების უწყვეტი პროცესი. დღეს სწავლების ონლაინ ფორმასთან ერთად ვიყენებთ ჰიბრიდულ ფორმასაც.

ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით ჩავატარეთ კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო **945**-მა მასწავლებელმა. გამოკითხული მასწავლებლები პირისპირ სწავლების ფორმას ანიჭებენ უპირატესობას. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მასწავლებელთა ტექნიკური უნარები, გაიკვია თუ რატომ ვერ ერთვებიან მოსწავლეები ონლაინ გაკვეთილებს, მაგრამ მასწავლებლები ახერხებენ მათ ინფორმირებას. მშობლების უდიდესი ნაწილი არის ჩართული შვილების სწავლაში. მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას და სისტემატურად აწვდიან უკუკავშირს. ვფიქრობ აქ მიღებული მიგნებები დიდად დაეხმარება მასწავლებლებს უკეთ დაგეგმონ ონლაინ გაკვეთილები, რათა იყოს უფრო საინტერესო და მიმზიდველი.

საკვანძო სიტყვები: გაკვეთილი, პირისპირ, ონლაინ, მასწავლებელი, შეფასება, მოტივაცია, მოსწავლე.

Iagor Balanchivadze

Akaki Tsereteli State
University
Associate Professor
Georgia, Kutaisi

Challenges Related to Online Learning and Ways to Solve Them

Summary

The article discusses the important challenges that the whole world is facing today. Unfortunately, due to the existing pandemic, public schools often have to conduct online lessons. The general education system was able to quickly mobilize resources and switch to distance learning mode, ensuring a continuous process of education for students. Today, in addition to the online form of teaching, we also use the hybrid form.

We conducted a survey on online teaching in which 945 teachers participated. The interviewed teachers prefer the form of face-to-face teaching. It is noteworthy that the technical skills of the teachers have been significantly improved, the reason why the students are not involved in the online lessons was revealed, but the teachers are able to inform them. Most parents are involved in their children's learning. Teachers use formative and informative assessment and systematically provide feedback. We consider the findings provided in the present article will greatly help teachers to better plan online lessons to be more interesting and engaging.

Key words: lesson, face to face, online, teacher, assessment, motivation, student.

თეიმურაზ გიორგაძე
მამული ბუჭუხიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორები
საქართველო, ქუთაისი

ფასილიტაციის როლი საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისას

ახალმა საუკუნემ და ტექნიკურმა პროგრესმა საზოგადოების წინაშე დააყენა კრიტიკული და კრეატიული აზროვნების განვითარების, გამოწვევების წინაშე მოქნილი სისტემის შემუშავებისა და სიახლეების შესათვისებლად საჭირო მიმდებლობის აუცილებლობა. თანამედროვე სამყარო სწრაფად ცვალებადია, რაც ითხოვს სწორი გადაწყვეტილების მიღებისა და ცხოვრებაში გატარების აუცილებლობას ნებისმიერ სფეროსთან მიმართებაში.

ფასილიტაციას განსაკუთრებული როლი ენიჭება საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისას, რამდენადაც ის არის ისეთი აქტივობა, რომელიც გულისხმობს პროცესის ხელშეწყობას, ან სხვის მიერ მოცემული დავალების გაადვილებას იმ დონემდე, რომ ის გასაგები გახდეს მსმენელისათვის. პიროვნება რომელიც ამ როლს შეასრულებს ვუწოდებთ ფასილიტატორს („ფასილიტაცია“ „facilitate“ გაიოლება, დახმარება). განათლების სისტემაში ფასილიტატორი უნდა იყოს ისეთი სპეციფიკური გამოცდილების მქონე, რომელიც მოსწავლეს (სტუდენტს) დაეხმარება სასწავლო მიზნების მიღწევაში. ასევე დიდია ფასილიტატორის როლი სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის.

სწავლების პროცესში გადამწყვეტია კარგად დასმული შეკითხვა, ფასილიტატორის მიერ დასმული შეკითხვების ძირითადი ნაწილი არის კითხვითი წინადადებები.

დღევანდელი პანდემიით გამოწვეული სირთულეების გამო, სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის პირობებში კიდევ მეტად გაიზარდა ფასილიტაციის როლი, რადგან წინა პლანზე წამოიწია ლექციების, პრაქტიკუმებისა და სემინარების ჩატარების სხვადასხვა ასპექტებმა (რომლებიც ნაკლებად გამოიყენებოდა ცოცხალი სალექციო პროცესის წარმართვის პროცესის დროს).

ზემოთქმულიდან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა აქვს ჯგუფური (ორგანიზაციული, კოლოზორაციული) ქმედების ეფექტურობის ამაღლებას. ჯგუფური მუშაობისას გასათვალისწინებელია ამ პროცესის სხვადასხვა მხარე (მაგალითად, შინაარსი - რა საკითხებზე მუშაობენონლაინსწავლების დროს აუცილებელია ამის დადგენა), ურთიერთდამოკიდებულებები - როგორ წარიმართება მათ შორის ურთიერთქმედებანი და ა.შ.). გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომ იოლი და ეფექტური იყოს.

ფასილიტაციის პროცესის წარმართველი (ფასილიტატორი) ანუ ფოკუს-ჯგუფის წამყვანი, შეიძლება იყოს თავად მკვლევარი (ლექტორი), ასევე ჯგუფის ნებისმიერი წევრიც. იგი აწესრიგებს ურთიერთდამოკიდებულებებს დაპირისპირებულ მხარეებს შორის, რითაც ხელს უწყობს მათ მუშაობას პრობლემის შინაარსის წვდომაში, ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია (ფასილიტაციის პროცესით წარმართვა განსაკუთრებით მიზანშეწონილია ლექცია-სემინარების დროს); მაგალითად, ვთქვათ, განსახილველი თემაა ვაჟა ფშაველას ლექსი - „არწივი“, აქ ჯგუფი ორი შეხედულების მიხედვით არის გაყოფილი, ერთი ასაბუთებს, რომ ვაჟა არწივში სამშობლოს გულისხმობს, ხოლო მეორეთა შეხედულებაა - ვაჟამ მართლა ნახა დაჭრილი

არწივი და მას გულისხმობს (შეიძლება მესამე შეხედულებაც არსებობდეს), ორივე შეხედულება ერთი საგნის მიმართ სხვადასხვაა (დაპირისპირებულია), რომელთაგან თითოეულს გააჩნია თავისი არგუმენტები მტკიცებისას). როგორც ცნობილია, პრობლემურ საკითხებზე მუშაობისას ადამიანებს შორის ურთიერთობა სხვადასხვა დონეზე წარიმართება. ფასილიტატორი აფიქსირებს პროცესს, უსმენს მონაწილეთა მიერ გამოთქმულ ფაქტებს და უყურადღებოდ არ ტოვებს მათ; იგი ამახვილებს ყურადღებას ისეთ მომენტებზე, როგორიცაა საუბრის დაწყება, რეგლამენტი, პარტნიორების მიერ ერთმანეთის მოსმენა-არმოსმენა და ა.შ.

ფასილიტატორი ხელს უწყობს თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნას. იგი უნდა იყოს მიუკერძოებელი, ობიექტური, ნეიტრალური; მას არა აქვს უფლება, ჩაერთოს კამათში და გამოთქვას საკუთარი შეხედულებები. ფასილიტატორი ეხმარება მხარეებს პრობლემების ჩამოყალიბებაში და აფიქსირებს პრობლემის გადაწყვეტის პროცესში მიღწეულ ეტაპებს.

ფასილიტატორი უნდა მოერიდოს:

- ა) მონაწილეთა მიერ გამოთქმული იდეების გაკრიტიკებას და საკუთარი აზრის გამოთქმას;
- ბ) საკუთარი აზრის ჯგუფისათვის თავზე მოხვევას;
- გ) მონაწილეთა შეთანხმების გარეშე სერიოზული გადაწყვეტილებების მიღებას პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებითაც კი;
- დ) ხანგრძლივი კომენტარის გაკეთებას და ამით მონაწილეთა დროის შეზღუდვას.

ფასილიტატორის დახმარებით მნიშვნელოვნად იზრდება ჯგუფში პრობლემის მოგვარების, პოტენციური დაპირისპირების თავიდან აცილებისა და პარტნიორული დამოკიდებულების ჩამოყალიბების შანსი.

ფასილიტაცია ამაღროულად კომუნიკაციის პროცესიცაა, რადგან იგი პროცედურას სწორედ კომუნიკაციის დახმარებით მართავს.

ფასილიტაციის ტექნოლოგია, ანუ თავად ფასილიტაცია რეზულტატისა და პროცესის მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ შემდეგნაირად - ფასილიტაცია ეს არის:

ა) პროცესი, რომლის შედეგადაც ადამიანებს უადვილდებათ განსხვავებული პოზიციების მშვიდობიანი გზით მოგვარება (ინდივიდუალური ან ჯგუფური პრობლემის გადაწყვეტა: სიტუაციების მართვა და რეგულაცია; პიროვნებათშორისი და ჯგუფთაშორისი ურთიერთობების მოგვარება; დიალოგის წარმართვა);

ბ) ნებისმიერი პროცესის არადირექტიულად, სამართლიანად, ჰუმანისტურ ფასეულობებზე დაფუძნებულად წარმართვის უზრუნველყოფა;

გ) ნებისმიერი აქტივობა, რომელიც გულისხმობს რაიმე პროცესის ხელშეწყობას, ან დავალებების შესრულების გაადვილებას;

დ) ჯგუფური სტრუქტურებისა და პროცესების მართვა, რომელიც ეხმარება ჯგუფს სამუშაოს ეფექტურად შესრულებაში, მინიმუმამდე დაჰყავს პრობლემები;

ე) ესაა პროცესი, რომელიც ფოკუსირებას ახდენს შემდეგ კითხვებზე: რის მიღწევას აუცილებელი? რომელი მოსაზრებაა უკეთესი?

ვ) პროცესი, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას ღებულობს მთელი ჯგუფი;

ზ) დაცულია შესასრულებელი დავალებების თანმიმდევრობა;

თ) შესაბამისი დონე მიიღწევა ყველა რესურსის გამოყენებით;

ი) ჯგუფური ენერგიის, მამოძრავებელი ძალის, აზროვნების და მონაწილეთა შესაძლებლობების წინ წამოწევა.

ფასილიტაციის ძირითად მიზნად კი გამოიკვეთება:

1. აამაღლოს ჯგუფური ეფექტიანობა;

2. დაეხმაროს ჯგუფს, რათა გახდეს უკეთესი;
3. აამაღლოს გადაწყვეტილების ხარისხი;
4. გააუმჯობესოს ურთიერთობები ჯგუფში;
5. უზრუნველყოს ორგანიზაციული განათლება;
6. გაზარდოს ჯგუფის თითოეული წევრის დამოუკიდებლობა და თვითგამაყობილება;
7. დაეხმაროს ჯგუფს მიზნებისა და სპეციფიკური დავალებების განსაზღვრაში;
8. დაეხმაროს ჯგუფის წევრებს პრობლემის გადაწყვეტის გეგმის შემუშავებაში;
9. აწარმოოს ისეთი პროცესი, რომელიც დაეხმარება ჯგუფს, ეფექტურად გამოიყენოს დრო ხარისხოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში;
10. მართოს პროცესი და წაიყვანოს ჯგუფი საჭირო გადაწყვეტილებებისაკენ;
11. წარმართოს ჩანიშნვები, რომლებიც ასახავს ჯგუფის წევრთა იდეებს;
12. წინასწარ გათვალისწინებს ყველა შესაძლებლობა;
13. დაეხმაროს მონაწილეებს არსებულის შეფასებასა და ახლის შემუშავებაში;
14. დროის მნიშვნელოვნად შემცირება გადაწყვეტილების რეალიზაციისას;
15. გადაწყვეტილების მისაღებად გამოიყენოს კონსენსუსი (ჯგუფის თითოეული წევრის აზრის გათვალისწინებით);
16. დაეხმაროს მონაწილეებს პიროვნებათშორისი დინამიკის მართვაში.

საგანმანათლებლო პროცესი და ცოდნის დაგროვება შეიძლება განხორციელდეს დინამიურად. ცოდნა არ გადაეცემა მემკვიდრეობით, ის უნდა შეიძინო დიდი შრომისა და სწორად წარმართული სასწავლო პროცესის მიმდინარეობით. ცოდნის შეძენა მარტო სურვილი არ არის, აქვე აუცილებელია შესაძლებლობაც, ამიტომ, სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი და წამახალისებელი რჩევები აუცილებელია ცოდნის შესაძენად, სადაც ფასილიტაცია ერთ-ერთ სწორ მეთოდურ გზად გვეჩვენება.

ფასილიტაციისას პრიორიტეტულია პროდუქტიულობა. ამ მეთოდის დროს ჯგუფს საშუალება აქვს მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი პოტენციალი საერთო მიზნების მისაღწევად. აღნიშნულ მეთოდს შეუძლია ჯგუფის ყველა წევრის მონაწილეობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, იდეების გენერირებასა და შეფასებაში, რაც თავის მხრივ არის კიდევ ჯგუფის ყველა წევრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

<https://www.etaloni.ge/geo/main/index/6546>

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა.

რეზიუმე

ფასილიტაციას განსაკუთრებული როლი ენიჭება საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისას, რამდენადაც ის არის ისეთი აქტივობა, რომელიც გულისხმობს პროცესის ხელშეწყობას, ან სხვის მიერ მოცემული დავალების გაადვილებას იმ დონემდე, რომ ის გასაგები გახდეს მსმენელისათვის. „ფასილიტაცია“ „facilitate“ ნიშნავს გაიოლებას, დახმარებას. პიროვნება რომელიც ამ როლს შეასრულებს ვუწოდებთ ფასილიტატორს. ფასილიტატორი ხელს უწყობს თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნას. იგი უნდა იყოს მიუკერძოებელი, ობიექტური, ნეიტრალური; მას არა აქვს უფლება, ჩაერთოს კამათში და გამოთქვას საკუთარი შეხედულებები.

ფასილიტაციისას პრიორიტეტულია პროდუქტიულობა. ამ მეთოდის დროს ჯგუფს საშუალება აქვს მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი პოტენციური საერთო მიზნების მისაღწევად.

საკვანძო სიტყვები: კრეატიული, ფასილიტაცია, დისტანციურად, დაპირისპირებულია, გენერირება.

Mamuli Butchukhishvili

Associate Professor

Teimuraz Giorgadze

Associate Professor

Akaki Tsereteli State

University

Georgia, Kutaisi

The Role of Facilitation in Guiding the Educational Process

Summary

Facilitation plays a special role in guiding the educational process, as it is an activity that involves facilitating the process, or making the task given by someone else easy enough to make it understandable to the listener. ("Facilitate" – help, make it easy), the person who will play this role is called a facilitator. The facilitator helps to create a collaborative atmosphere. The person should be impartial, objectively neutral, and has no right to engage in debate and express own views.

Productivity is a priority during facilitation. With this method, the group has the opportunity to use the most of its potential to achieve common goals.

Key words: creative, facilitation, on line, is opposite, knowledge.

მოსწავლეთა იმუნიტეტის ამაღლების მნიშვნელობა კოვიდ 19-ის პირობებში

დღეს, როცა მთელი მსოფლიოს ყველა დარგის წამყვანი მეცნიერი თავდაუზოგავად იბრძვის მსოფლიოში შექმნილი უმძიმესი პანდემიის, კოვიდ 19-ის წინააღმდეგ და მის შესაჩერებლად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადამიანის ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობას, კერძოდ იმუნიტეტის ამაღლებას. ვინაიდან მაღალი იმუნიტეტი არის ორგანიზმის დამცავი ბარიერი სხვადასხვა ვირუსებისაგან და იგი იცავს ორგანიზმს მასში მოხვედრილი სხვა ბაქტერიებისაგან. იმუნიტეტი მრავალსახოვანია. იგი შეიძლება იყოს თანდაყოლილი-მშობლებისაგან, მემკვიდრეობითი ან შეძენილი, ხელოვნური გზით. უმეტეს შემთხვევაში იგი ადამიანის ორგანიზმში წარმოიქმნება ინფექციური ავადმყოფობის გადატანის შედეგად და ორგანიზმში გარკვეული დროის მანძილზე რჩება. „ხელოვნური იმუნიტეტის ვაქცინაციით მიღწევა, რადგან ვაქცინაციის დროს ადამიანის ორგანიზმს „აიძულებენ“ ანტისხეულები გამოიმუშაოს. ამიტომ აცრილ ადამიანს აღნიშნული დაავადება ან არ შეხვდება, ან თუ შეხვდა, იოლ ფორმებში გადაიტანს“ [1]. ისმება კითხვა – როგორ გავიმძლიეროთ იმუნიტეტი, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ადამიანის ჯანმრთელობაში, მისი სიცოცხლისა და შრომისუნარიანობის ამაღლებაში? იმუნიტეტის ამაღლება ნიშნავს, ადამიანი გაუმკლავდეს ნებისმიერ ინფექციურ ავადმყოფობას. ამისათვის კი სხვა გამაჯანსაღებელ და სამკურნალო ფაქტორებთან ერთად, უპირველესად აუცილებელია რეგულარული, მსუბუქი ფიზიკური ვარჯიშების ყოველდღიური შესრულება, ფეხით, ველოსიპედით სიარული, ცურვა და სუფთა ჰაერზე დიდხანს ყოფნა, ჯანსაღი კვება, სისტემატური ტურისტული მოგზაურობები ტყეში და პარკში, განსაკუთრებით სასკოლო ასაკში. ამ მიზნით, სკოლაში ტურისტული და სხვა გამაჯანსაღებელი საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენებით, რამაც გამოიწვია მოსწავლეთა გაჯანსაღება და გამოწრთობა, საინტერესო გამოცდილება დაგროვდა ცნობილი უკრაინელი პედაგოგის კიროვოგრადის ოლქის, ონუფრევსკის რაიონის სოფელ პავლიშის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის, 400-ზე მეტი სამეცნიერო პედაგოგიური შრომის ავტორის, ვასილ სუხომლინსკის პედაგოგიურ ნაშრომებში. მისი სახელი ფართოდაა ცნობილი მსოფლიო პედაგოგიური საზოგადოებისათვის. სუხომლინსკის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა მოსწავლე ახალგაზრდობის ყოველმხრივი აღზრდის საქმეში მისაბამია და დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. იგი აღზრდის ცალკეულ მიმართულებათა შორის მეტად მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა მოზარდთა შორის ისეთი კომპონენტების გამოყენებას, რომელიც ხელს შეუწყობდა მოსწავლეთა როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ სრულყოფას. ამ მიზნით ვ.სუხომლინსკი აღზრდის სხვადასხვა საშუალებათა შორის გამოყოფდა და განსაკუთრებულ ადგილზე აყენებდა სასკოლო ტურიზმს, როგორც ჯანმრთელობის განმტკიცების, ორგანიზმის თავდაცვითი უნარის გაუმჯობესების, ბავშვთა ერთიან კოლექტივად ჩამოყალიბების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას. მან, როგორც სკოლის

დირექტორმა, სპეციალურად შეისწავლა რა სასკოლო ასაკობრივი ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია, ანატომია, ჰიგიენა, იმუნიტეტი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სუფთა ჰაერზე, ტყეში, მდინარის პირზე თუ მთაში, მოსწავლეთა ტურისტული გასვლის დროს ძლიერდება კუნთური, ძვლოვანი და ნერვული სისტემა, უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა და ნივთიერებათა ცვლა. ბავშვის სწორი რეჟიმი, სუფთა ჰაერზე ყოფნა, სრულყოფილი კვება და ტურისტული ლაშქრობა ტყეში თუ მდინარის პირას, სჭირდება მოზარდს ავადმყოფობისაგან თავის დასაცავად, იმუნიტეტის ასამაღლებლად. ამიტომ, ვ. სუხომლინსკის მისწრაფებაა – ბავშვები აზიაროს ბუნებას. თუმცა, მისი ასეთი მოთხოვნა ზოგიერთი სკოლის მასწავლებელს ახირებად მიაჩნდა. „მართლაც და, ამბობენ დაეჭვებით, – რად ესაჭიროებათ მთელი ეს ლაშქრობები ტყეში, მინდორ-ველად, ბუნების წიაღში სოფლის ბავშვებს, ისედაც ხომ მთელ წელიწადს ბუნების წიაღში ცხოვრობენ? ქალაქელებისათვის ეს საკვირველებაა, ჩვენი ბავშვები კი რას ნახავენ მინდორში, ბაღში ან ტყეში? [2]. მაგრამ ვ.სუხომლინსკი თანდათან არწმუნებდა სკოლის მასწავლებლებს და მშობლებს, რომ ასეთი გასვლები ბავშვთა ჯანმრთელობისათვის, მათი ყოველმხრივი აღზრდისათვის აუცილებელი იყო. და იგი წინასწარ გრძნობდა საკუთარ მისწრაფებას და დარწმუნებული იყო, რომ სწორი გზით მიდიოდა. ვ.სუხომლინსკის ეს წამოწყება თანდათან ფეხს იკიდებდა პავლიშის საშუალო სკოლაში და უფრო და უფრო მასიურ ხასიათს იღებდა.

მშობლიური მხარის შესწავლის მიზნით იგი სისტემატურად აწყობდა ტურისტულ გასვლებს მდინარე დნეპრის ნაპირზე. შესვენების დროს ბავშვებს უტარებდა საჭირო აღმზრდელობით საუბარს. „სადაც არ უნდა ვყოფილიყავით ჩვენ ბანაკში თუ მოგზაურობაში, მე ყოველთვის ვნახულობდი შესაძლებლობას ბავშვებისათვის მიმეცა დასვენების საშუალება, არ გადამეტვირთა ისინი“ [5]. ასეთი მოგზაურობის, თუ ლაშქრობის დროს იგი ყოველთვის ახერხებდა ბავშვებთან სიახლოვეს, მათთან ახლოს ყოფნას, ბავშვებისათვის გულის მიცემას. „ო, ყველანი როგორ გაზრდილხართ ამ ორ თვეში? უხარია მას. რას აკეთებდით აქ უჩემოდ? ყველაფერი მოასწარიტ, რასაც დამპირდით? ახალი ლაშქრობისათვის მზად ხართ?“ [2]. იგი ცდილობდა, ისე შეეყვანა პატარები გარესამყაროში, რომ მათ იქ ყოველდღე ეპოვათ რაღაც ახალი. იგი ამბობდა, რომ „ ჩვენი თითოეული ნაბიჯი იყოს მოგზაურობა აზროვნებისა და მეტყველების სათავეებისაკენ, ბუნების მშვენიერებისაკენ“ [3]. მას სწამდა, რომ ბავშვი თავისი ბუნებით ცნობისმოყვარე, მკვლევარი, სამყაროს აღმომჩენია, რომ ბავშვის გულისაკენ მიმავალი გზა ზღაპარზე, ფანტაზიაზე, თამაშზე, განუმეორებელ ბავშვურ შემოქმედებაზე გადის. უფრო მეტიც, ბავშვთა ერთ მთლიან კოლექტივად ჩამოყალიბებაში ვ.სუხომლინსკი დიდი როლს ანიჭებდა „მოგზაურობას, ტურისტულ გადასვლას, თამაშს და ა.შ.“ [6]. ამით იგი ისევ და ისევ წინ წამოწევდა ტურისტულ გასვლებს ბავშვის თავისუფალი აზროვნების გასაუმჯობესებლად, მათ გასაჯანსაღებლად. ლაშქრობის დროს ბავშვები ერთმანეთს უახლოვდებიან, ერთად ძლევენ წინააღმდეგობებს და ა.შ.

სკოლაში ოცი წლის მუშაობის მანძილზე, მოსწავლეებზე გულმოდგინე დაკვირვებით ვ.სუხომლინსკიმ გამოიკვლია სწავლაში მოსწავლეთა ჩამორჩენის მიზეზები და დაადგინა, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი, ვერ ასწრებდა გაკვეთილების მომზადებას ცუდი ჯანმრთელობის გამო. გამოიკვთა აზრი, რომ ცუდი ჯანმრთელობა ეს იყო, მოსწავლეთა ჩამორჩენის და მეორეწლიანობის მიზეზი. მისი დაკვირვებით, მიზეზი ოთახში ხნგრძლივი ყოფნა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევა იყო. ამისგან თავის დასაღწევად ვ.სუხომლინსკიმ შეცვალა მეცადინეობისა და დასვენების რეჟიმი. დღის რეჟიმში აღზრდის სხვა ელემენტებთან ერთად, გაძლიერებულად ჩართო სუფთა ჰაერზე ყოფნა, ტყეში გასვლა და ტურისტული გადაადგილება. უპირველეს საზრუნავად, მისთვის, როგორც სკოლის დირექტორისათვის ბავშვთა ჯანმრთელობა დადგა. „მე არ მემინია და ისევ და ისევ ვიმეორებ, რომ ჯანმრთელობაზე ზრუნვა აღმზრდელის

უმნიშვნელოვანესი ვალია... თუ ვიანგარიშებთ ჩემს ზრუნვას და საფიქრალს სწავლების პირველ ოთხ წელიწადზე, მეტი მათ ჯანმრთელობაზე მოვა“ [4]. მან წესად შემოიღო, შემოდგომისა და ზაფხულის დღეებში ბავშვები ერთი წუთითაც არ გაჩერებულიყვნენ შენობაში, მოძრაობა, ფეხით სიარული, დაბრკოლებათა დაძლევა მას ბავშვთა სულიერი და ფიზიკური წრთობის კარგ საშუალებად მიაჩნდა. ამის გამო, პავლიშის საშუალო სკოლაში ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და იმუნიტეტის ამაღლების ნაცად ფორმად სუფთა ჰაერზე შრომა გამოიკვეთა. ბავშვები სიამოვნებით ეხმარებოდნენ უფროსებს თიბვაში, ამავე დროს შრომას კარგად უთავსებდნენ ტურისტულ ლაშქრობებს.

საშუალო და უფროსი ასაკის მოსწავლეებს სუფთა ჰაერზე ყოველდღიურად ორი-სამი საათი უნდა ეშრომათ. ზაფხულობით სკოლის მოსწავლეები თავისი ხელით მოწყობილ საველე ბანაკებში ცხოვრობდნენ. გულმოდგინედ შრომობდნენ. ბანაკებს აწყობდნენ ტბის ან მდინარის სიახლოვეს. აქ დიდი ყურადღება ექცეოდა ბუნებრივი საშუალებებით სხეულის წრთობას, რაც შრომასაც მეტ ხალისს მატებდა.

ვ. სუხომლინსკიმ მოსწავლეთა მშობლებთან ახლო კავშირით მიაღწია დღის რეჟიმის სწორად დაცვას. „მისი აღსაზრდელები საგაზაფხულო და საზამთრო არდადეგებს ატარებდნენ სუფთა ჰაერზე, ბუნების წიაღში, ლაშქრობებში, ტყეში. იგი ხშირად ბავშვებთან ერთად მიდიოდა ტყეში, ტურისტულ ლაშქრობაში, თუმდინარეზე“ [4]. ბავშვთა ყველა ტურისტულ გადაადგილებას აძლევდა ორგანიზებულ ხასიათს. კოლექტიური შრომის და ტურისტული გადაადგილების პროცესში ბავშვები უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და იკაჟებდნენ ჯანმრთელობას. ამის გამო, იგი ამბობდა: „ტურიზმის დროს მტკიცდება ფიზიკური ძალები, რაც ხელს უწყობს ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებას. ბავშვები ხედავენ ბუნებას მთელი თავისი სილამაზით“ [4].

ვასილ სუხომლინსკის მეცნიერული ცოდნის დაუფლების გარეშე შეუძლებლად მიაჩნდა შრომა, ადამიანურ ურთიერთობათა ელემენტარული კულტურა და მოქალაქეობრივი მოვალეობაც. იგი აღნიშნავდა, რომ „სწავლა ვერ იქნებოდა სიტკბოს მომნიჭებელი ადვილი და სასიამო თამაში. მოზარდი მოქალაქის ცხოვრებისეული გზა კი ლაღი გასეირნება გათელილ ბილიკზე... ბავშვების მდებლობაზე გაყვანა, მათთან ერთად ტყესა თუ პარკში გასეირნება გაცილებით ძნელი საქმეა, ვიდრე გაკვეთილის ჩატარება“ [3]. ამით იგი ხაზს უსვამს შრომას, სწავლას, ბავშვის მდებლობაზე, ტყესა თუ პარკში გასეირნების აუცილებლობას, მათ ურთიერთკავშირს. თუმცა ეს კავშირი აღმზრდელისათვის შეიძლება ძნელიც კი იყოს. უფრო მეტიც, იგი ითვალისწინებდა იმასაც, რომ ბავშვის გარემომცველი სამყარო უპირველესად მოვლენებითა და ამოუწურავი სილამაზით უსაზღვროდ მდიდარი ბუნების სამყაროა და აქ, ბუნებაში ბავშვის გონების მარადიულ სათავეს ხედავდა. ამის გამო იყო რომ დიდი აღმზრდელი ბავშვთა ყოველმხრივი აღზრდის საქმეში განუზომელ როლს ანიჭებდა მოსწავლეთა ორგანიზებულ გაყვანას სუფთა ჰაერზე, მდინარის პირას, ტყეში. თითოეულ ტურისტულ მოგზაურობას ბუნების წიაღში, საკლასო ოთახში გაკვეთილის ჩატარებაზე, უფრო ძნელ საქმედ მიიჩნევდა. და კიდევ, ამბობდა იგი: „მე მშურდა კლასის დამრიგებლის-ისინი მუდამ ბავშვებთან არიან... გულწრფელად საუბრობენ ისინი, ანდა ტყეში, მდინარეზე, თუ ველზე გასასვლელად სამუშაოთი არიან გართულნი. ბავშვები მოუთმენლად ელიან იმ დროს, როცა ექსკურსიაზე წავლენ, მოადულებენ ფაფას და დაიჭერენ თევზს, ღია ცის ქვეშ გაათევენ ღამეს და დაუდარაჯებენ ვარსკვლავთა ციმციმს“ [3]. აქცევდა რა განსაკუთრებულ ყურადღებას ბუნების სიმშვენიერის აღქმას, ამასვე მოითხოვდა კოლეგებისაგან. ცდილობდა, ტყეში თუ მდინარის პირას ბავშვებთან მოგზაურობის დროს, მოსწავლეები ღრმად ჩასწვდომოდნენ ბუნების გარე სამყაროს, დაენახათ ის ესთეტიკური მშვენიერებანი რაც მათ ირგვლივ იყო.

პავლიშის საშუალო სკოლაში წინასწარ ადგენდნენ ტურისტული ლაშქრობის გეგმას, რომელსაც წარუდგენდნენ პედაგოგიურ საბჭოს. ტურისტულ გასვლაში ჩართული იყო

სკოლის მოსწავლეები კლასებისა და ასაკის მიხედვით. ასევე, ყველა მასწავლებელი სკოლის ხელმძღვანელობიდან ექიმის ჩათვლით. მათ შორის იყვნენ გეოგრაფიის, ისტორიის, ფიზიკური აღზრდის, მათემატიკის, მშობლიური ენის მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელები. ტურისტულ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად მოსწავლეებს ჰყოფდნენ ორ ნაწილად, ჯანსაღი-ჯანმრთელი და სუსტი ბავშვები. მათთვის სპეციალურად იყო შერჩეული ლაშქრობის მანძილი და ხანგრძლივობა.

ვასილ სუხომლინსკი მოგზაურობისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბავშვთა ფეხშიშველა სიარულს. ამისათვის იგი სპეციალურად არჩევდა სამოგზაუროდ ტყის ბილიკს ან მდინარის ნაპირს, სადაც ბავშვები თავისუფლად შეძლებდნენ გადაადგილებას. ფეხშიშველი სიარული მას ფიზიკური წრთობისა და ვირუსული სურდოს თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა. „რატომ ცდილობენ მშობლები დაიცვან ბავშვის ფეხები დილის ნამისა და ცხელი, მზით დახეთქილი მიწისაგან? ისინი ამას კეთილი განზრახვით სჩადიან, ცუდათ კი გამოსდით. ყოველწლიურად სულ უფრო მეტი სოფლელი ბავშვი ავადმყოფობს გრიპით, ანგინით, ყივანახველით, საჭიროა ისინი აღზარდოთ ისე, რომ არც პაპანაქებისა და არც სიცივის არ ემინოდეთ,“ მიუთითებდა იგი[3]. აღნიშნულ თემაზე ვ.სუხომლინსკი ბავშვების მშობლებთან პერიოდულად ატარებდა საუბარს ფეხშიშველი სიარულის აუცილებლობაზე. იგი განუმარტავდა და არწმუნებდა მშობლებს რომ ფეხშიშველი სიარული სხეულისა და სულის გაკაშვების უტყუარი საშუალებაა, რომ ცნობილი ფილოსოფოსი სოკრატე „აზრის გამოხატვის მიზნით“ ხშირად ფეხშიშველი დადიოდა და ამასვე მოითხოვდა თავისი მოსწავლეებისაგან. ასეთი საუბრების მოსმენის შემდეგ მშობლები თანდათან რწმუნდებოდნენ ფეხშიშველი სიარულის აუცილებლობაში.

პავლიშის საშუალო სკოლაში აღსაზრდელთა ათამდე საგანმანათლებლო და თვითმოქმედი შრომისუნარიანი კოლექტივი იყო. დირექტორი ამ კოლექტივების საღმზრდელო საქმიანობის აქტიური მონაწილე, ორგანიზატორი, მეგობარი და ამხანაგი იყო. მათ შორის ყველაზე მასიური ტურიზმის სექციაში, სკოლის თითქმის ყველა შრომისმოყვარე პედაგოგი, მშობელი იყო გაერთიანებული. როცა ვ.სუხომლინსკის სურდა შეექმნა მტკიცე შრომისუნარიანი პედაგოგიური კოლექტივი იგი წინასწარ სახავდა ამის მიღწევის გზებს და არწმუნებდა პედაგოგებს, ამ გზით ვიაროთ და კარგ შედეგს მივიღებთო. როცა მას უნდოდა აღმზრდელმა შეასრულოს ესა თუ ის სასწავლო აღმზრდელობითი ღონისძიება, იგი არწმუნებდა ამ საქმის სიკეთეში და შემდეგ ითხოვდა მის შესრულებას. ასევე იგი ჯერ არწმუნებდა მოსწავლეებს და მათ მშობლებს მათდამი წაყენებული მოთხოვნების მართლზომიერებაში, სარგებლიანობაში და შემდეგ ყველა ზომით აღწევდა მის შესრულებას. ვ.სუხომლინსკის მთელი პედაგოგიური მოძღვრება დაფუძნებულია დარწმუნებაზე და სწორედ ამაშია მისი სიძლიერე და მიმზიდველობა.

ვ. სუხომლინსკი დარწმუნდა მთელი მისი პედაგოგიური კოლექტივის წევრთა, თანამედროვე აღზრდის მეთოდების გამოყენების მიზანსწრაფვაში, მართლზომიერებაში და აქედან გამომდინარე, ინტერესით ახასიათებს თავისი სკოლის სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს, რომლებიც ბავშვთა ყოველმხრივად აღზრდისათვის გონივრულად იყენებდნენ ტურისტულ გასვლებს, ექსკურსიებს, საინტერესო ადგილების შესასწავლად. ალექსანდრე ფილიპოვი 19 წელი მუშაობდა პავლიშის სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად. იგი ამავე დროს ხელმძღვანელობდა უფროსკლასელთა სასწავლო ტექნიკურ წრეს. მისი ხელმძღვანელობით მოზარდები, ვაჟები და გოგონები ეუფლებოდნენ ფიზიკის პრობლემებს, ტელემექანიკას, რადიოელექტრონიკას, მსჯელობდნენ და განიხილავდნენ სტატიებს სამეცნიერო ჟურნალებიდან. „ ა.ფილიპოვი ამავე დროს მუსიკოსიც იყო. მისი საყვარელი ინსტრუმენტი ბაიანი. ტურისტული გადასვლების და ექსკურსიების დროს ხელმძღვანელობს მომღერალთა გუნდს, გატაცებით უკრავს ბაიანზე“ [6].

მარია ლისაკს, მათემატიკის მასწავლებელს 28 წლის მუშაობის გამოცდილებით ძალიან უყვარს თავისი საგანი, წერდა ვ.სუხომლინსკი. იგი „სისტემატიურად აწყობს მათემატიკურ თამაშებს, სადამოებს, ოლიმპიადებს, კონკურსებს, უშვებს კედლის გაზეთს, მათემატიკურ ჟურნალს და სხვ. მარია ლისაკს უყვარს ბუნება და ბავშვებთან ერთად ხშირად მიემგზავრება ტყეში, მდინარის პირას, მონაწილეობს ტურისტულ გასვლებში. იგი ბუნებაში აჩვენებს ბავშვებს როგორ გავზომოთ მანძილი დაშორებული ადგილიდან მიუდგომელ საგანამდე“ [6].

ვ.სუხომლინსკის სკოლაში მხატვრულ და დრამატულ წრეს ხელმძღვანელობს რაისა კარპეს ასული „იგი ბავშვებთან ერთად გასეირნების, ექსკურსიების, ტურისტული გასვლების დროს ასწავლის და მოუთხრობს ბავშვებს მასზე, რასაც ისინი ხედავენ, გრძნობენ ტყეში. გადმოსცენ სიტყვიერად ის, რასაც ისინი ისმენენ, გრძნობენ ტყეში: ჩიტების გალობა, კოდალას კაკუნი, ფოთლების ფაჩუნი, მხეცების მიერ ხმელი ტოტების მტვრევის ხმა ფეხქვეშ და სხვ“ [6]. ასეთი ტურისტული გასვლების შემდეგ ბავშვებს უჩნდებათ სურვილი მხატვრული სიტყვებით გადმოსცენ ყოველივე ის, რასაც ისინი გრძნობენ და განიცდიან ბუნების სიმშვენიერეში ყოფნის დროს.

სკოლაში ნაყოფიერად მუშაობდა უმცროსკლასელთა მხარეთმცოდნეობის წრე. ამ წრეს ხელმძღვანელობდნენ გეოგრაფიისა და ისტორიის მასწავლებლები მატრენა სიროვატკო და ეკატერინა რეზნიკი. ტურისტული მოგზაურობის დროს მათი ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა აღწერეს და შეადგინეს მშობლიური მხარის სურათი. მასში „აღწერილია ყველაფერი რაც ცნობილია მშობლიური სოფლის და რაიონის ისტორიის შესახებ. ასახულია ყველა ის დოკუმენტი და ისტორიული ცნობა, იმ ადამიანებისა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც სამოქალაქო, ისე დიდ სამამულო ომში“ [6]. უფრო მეტიც, „ტურისტული გასვლის დროს მეექვსე კლასელები შეხვდნენ დიდი სამამულო ომის მონაწილეებს-დნეპრის ბრძოლების გმირებს. დაამყარეს მიმოწერა რუსეთის, ბელორუსიის, საქართველოს, უზბეკეთის, სომხეთის მშრომელებთან, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ უკრაინის განთავისუფლებაში ფაშისტი დამპყრობლებისაგან“ [6]. ხოლო, „ერთ-ერთი გადასვლის დროს მოსწავლეებმა აღმოაჩინეს ბუნებრივი სიმდიდრე რკინის მადანი. ამის შემდეგ მათ ინტენსიურად დაიწყეს მშობლიური მხარის სიმდიდრეების გამოკვლევა“ [6]. ვასილ სუხომლინსკი, ასევე ახასიათებს თავისი სკოლის მასწავლებლებს და წერს: „ჩვენი მასწავლებლები ნ.ვერხოვინინა, კ.ზაზა, პ.ნოვიცკაია ატარებენ სპეციალურ ექსკურსიებს მინდორში და ტყეში. მთავარი მიზანი ბავშვთა ფორმირებაა“ [6].

ვ. სუხომლინსკის პედაგოგიური თხზულებების სრულყოფილად შესწავლა, მის მიერ სხვადასხვა პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული შრომები მეტად საინტერესო ხასიათის მასალას შეიცავს ცალკეული ტურისტული გადასვლების, ახალ-ახალი გზებისა და საშუალებების კიდევ უფრო ღრმად წარმოსაჩენად, რომელშიც მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა სულ უფრო გამოკვეთილ ხასიათს ატარებს.

ვ. სუხომლინსკიმ თავისი პედაგოგიური მოძღვრებით, წინ წამოწია და პირველ ადგილზე დააყენა მოსწავლეთა გაჯანსაღება. მოზარდთა სხეულის გაკაჟება, პავლიშის საშუალო სკოლაში უმნიშვნელოვანესი წინაპირობა გახდა, მაღალი აკადემიური მოსწრების, ზნეობის, შრომისმოყვარეობის, ესთეტიკური სრულყოფის მიღწევისათვის. ყოველივე ამას, მან მიაღწია სკოლაში მრავალწლიანი პედაგოგიური მუშაობით, ხანგრძლივი მეცნიერული დაკვირვებით. შეიმუშავა და სკოლის მთელ პედაგოგიურ კოლექტივს შესთავაზა ტურიზმის საშუალებით მოსწავლეთა ყოველმხრივი აღზრდის აპრობირებული ფორმები, მეთოდები, ტურისტული საქმიანობის გზები და საშუალებები. ამან ხელი შეუწყო და გააუმჯობესა სკოლაში მოსწავლეთა ჯანმრთელობა, აამაღლა აკადემიური მოსწრება.

შრომა ღია ცის ქვეშ, ტურიზმი, ესთეტიკური გრძნობების გამოვლენა, ბუნების სიმშვენიერის აღქმა, მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების ურთიერთსიყვარული, რასაც სუხომლინსკიმ თავისი პედაგოგიური მოღვაწეობით მიაღწია, ერთმანეთთანაა შერწყმული და პედაგოგიკის სამყაროში კომპასის როლს ასრულებს.

ვასილ სუხომლინსკის პედაგოგიური მოძღვრება, მისი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა, მოსწავლეთა ყოველმხრივი აღზრდის მეთოდების, გზებისა და საშუალებების კვლევით, რაც სხვადასხვა საქმიანობასთან ერთად მიმართული იყო მოსწავლეებში ტურიზმის საშუალებით ჯანმრთელობის განმტკიცებასა და მაღალი იმუნიტეტის ამაღლებისაკენ ზრუნვაზე, უდიდესი შენაძენია არა მხოლოდ ფართო პედაგოგიური საზოგადოებისათვის, არამედ მათთვის, ვისაც ევალება ადამიანის ჯანმრთელობაზე კონტროლი. ვ.სუხომლინსკის პედაგოგიურ მემკვიდრეობა დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. მისი იდეები საუკუნეებს გაუძლებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კუჭაიძე ნ., ვაქცინაციის მნიშვნელობა და როლი კაცობრიობის ისტორიაში, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „პროფესიონალის ხმა“ № 1-2(20) გვ.41, 2021 წ. ქუთაისი.
2. ტარტაკოვსკი ბორის, ამბავი მასწავლებელ სუხომლინსკისა, თბილისი, „განათლება“, 1982 წ. გვ. 76; 78; 80; 75.
3. სუხომლინსკი ვ., გულს ვუძღვნი ბავშვებს, თბილისი, „განათლება“, 1980 წ. გვ. 13; 5-6; 27; 29.
4. ცხადაძე ო., „საზრისი“, თბილისი, შრომების კრებული, № 8, გვ. 44; 45; 46.
5. Сухомлинский В.А., т.1, М. 1979 г. Ст. 342
6. Сухомлинский В.А., т. 2. М. 1980 г. Ст. 25; 59-60; 58; 62; 68; 66; 160; 271.

რეზიუმე

ნაშრომში საუბარია იმის შესახებ თუ, როგორ გავიმდიეროთ იმუნიტეტი, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ადამიანის ჯანმრთელობაში, მისი სიცოცხლისა და შრომისუნარიანობის ამაღლებაში. იმუნიტეტის ამაღლება ნიშნავს, ადამიანი გაუმკლავდეს ნებისმიერ ინფექციურ დაავადებას. ამისათვის კი სხვა გამაჯანსაღებელ ფაქტორებთან ერთად, აუცილებელია რეგულარული, მსუბუქი ფიზიკური ვარჯიშები, ტურისტული მოგზაურობები ტყეში, სუფთა ჰაერზე. ამ მიზნით, სკოლაში ტურისტული და სხვა გამაჯანსაღებელი საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენებით, რამაც გამოიწვია მოსწავლეთა გაჯანსაღება და იმუნიტეტის ამაღლება, საინტერესო გამოცდილებას ვპოულობთ ცნობილი უკრაინელი პედაგოგის ვასილ სუხომლინსკის პედაგოგიურ შრომებში. მისი მოღვაწეობა მისაბამია და დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

საკვანძო სიტყვები: იმუნიტეტი, ჯანმრთელობა, მოსწავლე, სუხომლინსკი, ტურიზმი.

Omar Tskhadadze

Rector of the Teaching
University of the
Georgian Academy of
Tourism Sciences, Doctor
of Pedagogy
Georgia, Kutaisi

The importance of Boosting Pupils' Immunity Under Covid-19

Summary

Labor talks about how to strengthen immunity, which plays a major role in human health, improving a person's life and ability to work. Boosting immunity means a person can deal with any infectious disease. For this, along with other health factors, it is necessary to have regular, light physical exercises, tourist trips in the woods, in the fresh air. To this end, by setting a high level of tourism and other recreational activities at the school, which have led to the recovery and immunity of pupils, we find interesting experiences in the pedagogical works of the famous Ukrainian teacher Vasil Sukhomlinsky. His work is a role model and still remains relevant today.

Key words: immunity, health, Pupils, Sukhomlinsky, tourism.

იზოლდა ჩხოზაძე

შოთა მესხიას სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
საქართველო, ზუგდიდი

სოფიო მორალიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი
საქართველო, ქუთაისი

მობილური ტექნოლოგიები ენის სწავლებაში

*„იმისათვის რომ ვასწავლოთ, აუცილებელია ემოცია“
ჰერბერტ პუჩტა*

რთულია არ დავეთანხმოთ ჰერბერტ პუჩტას ამ გამონათქვამს, რადგან ენის სწავლება ციფრულ საუკუნეში, თაობა „ზეტი“-სათვის დაკავშირებული უნდა იყოს ნაცნობ ემოციებთან, რომელიც ასოცირდება ციფრულ მოწყობილობებთან, პლატფორმებთან, სოციალურ ქსელებთან, ბლოგებთან, ონლაინ თამაშებთან და ა.შ. ყველა მათგანს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ინგლისური ენის სწავლებაში, რადგან ნებისმიერ ადამიანს ზედმეტი ძალისხმევით გარეშე შეუძლია გაიმდიდროს ლექსიკური მარაგი, ეკონტაქტოს ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე რეალურ ადამიანებს რეალურ დროში და ა.შ. ამ დროს ენის სწავლება იქცევა სრულიად ბუნებრივ პროცესად. ამრიგად, ინგლისური ენის პედაგოგებმა სულ უფრო აქტიურად უნდა ჩართონ თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები სწავლებაში, მათ შორის მობილური ტექნოლოგიებიც.

მობილური ტექნოლოგიები ენის სწავლებაში

მობილური მოწყობილობები (სმარტფონები, ტაბლეტები, ელექტრონული წიგნები და ა.შ.) ფართოდ გამოიყენება ენის სწავლების საშუალებად. მრავალი კვლევა მხარს უჭერს ასეთი ტექნოლოგიური მოწყობილობების ინტეგრირებას სწავლებასთან, განსაკუთრებით ენის შესწავლისას.

ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვნად გაიზარდა ენის შესწავლა მობილური მოწყობილობების გამოყენებით, როგორცაა მობილური ტელეფონები ან პერსონალური ციფრული თანაშემწეები (Personal Digital Assistants PDA). ამ კვლევების უმრავლესობამ აჩვენა, რომ სტუდენტები დადებითად აღიქვამენ საკუთარი მობილური ტელეფონის, როგორც სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენებას. ინტერნეტით გაერთიანებული უსადენო კავშირის ეს საშუალებები - მობილური ტექნოლოგიები ქმნიან მთელ რიგ შესაძლებლობებს ენების სწავლებისა და სწავლისთვის (როგორც მშობლიური, ისე უცხოური). მობილური ტელეფონები ან სმარტფონები, საშუალებას გვაძლევს განვაფიქროთ არა მხოლოდ ლექსიკური [7,4] და გრამატიკული უნარები [5], არამედ მეტყველების და მოსმენის უნარებიც [3] და ფორმალური და არაფორმალური კონტექსტებიც. სტუდენტებმა სცადეს მობილური ტელეფონების საგანმანათლებლო პოტენციალის გამოყენება და, როგორც აღმოჩნდა, ტექნოლოგია მათთვის ბარიერს არ წარმოადგენს. ფაქტობრივად, დღესდღეობით მოსწავლეები მუდამ თან ატარებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. მობილურ ტელეფონებს ახლა აქვთ GPS, ტექსტური, ხმოვანი და

მულტიმედიაური შესაძლებლობები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ენის შესწავლის გასაუმჯობესებლად.

ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტი სტუდენტი უთავსებს სასწავლო დავალებებს სხვა მრავალფეროვან აქტივობას. ეს სხვა საქმიანობები (სამუშაო, სტიპენდიების მოპოვება, სხვა მოვალეობები და ა.შ.) არანაკლებ მნიშვნელოვანია და მოითხოვს მათ ყურადღებას დღეში რამდენიმე საათის განმავლობაში. ეს გარკვეულწილად ამცირებს დროის იმ პერიოდს, რომელიც მათ შეუძლიათ სწავლას დაუთმონ. მთელი დღის განმავლობაში, სხვა დანარჩენ მრავალ საქმიანობას შორის მათ უწევთ დროის მონაკვეთის პოვნა დავალების შესასრულებლად (მაგალითად: სახლში, უნივერსიტეტში, ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში). სწორედ ამას აღნიშნავს ტერმინი „ყოველისმომცველი სწავლება“ *ubiquitous learning* [8]. ზოგადი სტატისტიკის მიხედვით მობილური ტელეფონების გამოყენების სიხშირე აღემატება პერსონალური კომპიუტერის სასწავლო პროცესში ჩართვის სიხშირეს.

როგორ ვასწავლოთ თაობა Z-ს

ისტორიის მანძილზე მილენიალები დიდი ყურადღების ობიექტები იყვნენ. თუმცა მათ უკვე პოსტმილენიალები ცვლიან, რომლებიც წინა თაობისგან ძლიერ განსხვავდებიან. მათ ასევე უწოდებენ თაობა „ზეტს“, ან ლინკსტერებს (*linksters*) [9] ტექნოლოგიებთან და გაჯეტებთან დიდი კავშირის გამო. ეს ადამიანები, რომლებიც 1996 წლის შემდეგ დაიბადნენ, სულ უფრო მეტი ხდებიან. პროგნოზის თანახმად, 2020 წელს ამ თაობის წარმომადგენლები დედამიწის მოსახლეობის მესამედი და ყველაზე მრავალრიცხოვანი მომხმარებელთა ჯგუფი შეიძლება იყოს [10].


რა თვისებებით გამოირჩევიან თაობა „ზეტის“ წარმომადგენლები?

თაობა „ზეტს“ ინდივიდუალიზმი გამოარჩევს, რადგან მათთვის სტანდარტული ქცევის მოდელი უცხოა, და მათი აზრით ეს არ შეიძლება იყოს ეფექტური. ინდივიდუალიზმს თან თავისუფლება ახლავს. ისინი ეძებენ ინდივიდუალიზმს არა მხოლოდ სოციალური ცხოვრების სტილში, არამედ სწავლაშიც. ისინი რეალისტები არიან, გაურკვევლობას და ცვლილებებს მიჩვეული მსოფლიოში არასტაბილური მდგომარეობის გამო. ამასთან თაობა „ზეტი“ პატიოსნებას, რეალიზმს და გულახდილობას ყველაზე მეტად აფასებს. ასეთივე ურთიერთობას ელოდება საგანმანათლებლო დაწესებულებაში ლექტორთან, ადმინისტრაციასთან, თანაკურსელებთან. პოსტმილენიალებს სურთ ფული თავად გამოიმუშაონ და საკუთარი თავი უზრუნველყონ უფრო ადრე, ვიდრე მათ მშობლებს სურდათ (სწორედ ამის გამო უხდებათ მათ სწავლისა და შრომის შეთავსება). თაობა „ზეტი“ უკვე გლობალური ქსელის ეპოქაში დაიბადა, ამიტომ ცხოვრება ინტერნეტის გარეშე ვერ წარმოუდგენია. მოზარდების უმეტესობა ამბობს, რომ ისინი მიჯაჭვულნი არიან გაჯეტებზე, ამასთან უფრო ხშირად იყენებენ სმარტფონებს, ვიდრე ტელევიზორებს.

როგორი სასწავლო გარემო უნდა შევუქმნათ თაობა „ზეტს“?

რა თქმა უნდა ეს უნდა იყოს ინტერაქტიული სწავლება, პერსონიზებული, სადაც ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს და როგორც ციფრულად მოაზროვნენი აუცილებელ პირობად მიიჩნევენ ტექნოლოგიების ჩართვას სასწავლო პროცესში. მართალია, ჩვენ ვერ უგულველყოფთ ტრადიციულ სახელმძღვანელოებს, თუმცა საგანმანათლებლო ტექნოლოგიების მომავალიც გარდაუვალია. კვლევა, რომელიც ჩატარდა თაობა „ზეტის“ უმაღლესი განათლების შესახებ მოლოდინების გამოსავლენად, წარმოგვიდგენს სტუდენტების დამოკიდებულებას საგანმანათლებლო ტექნოლოგიების მიმართ [11]:

ცხრილი 1 საგანმანათლებლო ტექნოლოგიები სწავლებაში



როგორც ცხრილიდან ჩანს სტუდენტების უმეტესობა ტექნოლოგიებს ყველაზე მნიშვნელოვან და დამხმარე საშუალებად მიიჩნევს. გამოკითხულთაგან 81% მოსწონს „Do it yourself learning“, რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტები თვითონ წყვეტენ როგორ ისწავლონ, რა ისწავლონ, როდის ისწავლონ, სად და რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ. სტუდენტები იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე, აქტიურად მონაწილეობენ საკუთარი ცოდნისა და შესაძლებლობების შექმნაში, რაც მათ საშუალებას აძლევს იყვნენ დარწმუნებული და ინოვაციურად მოაზროვნენი და მომავალი პროფესიონალები.

როგორ შევქმნათ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო? მასწავლებელმა უნდა მოახერხოს მართოს სტუდენტის ქცევები და ემოციები მიზნების მისაღწევად ან პირადი შესაძლებლობების პერსონალიზების მიზნით. „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელოში“ [12] მოცემულია წარმატებული განმანათლებლების მახასიათებლები, რომლებიც ეფექტურად და ეფექტიანად მუშაობენ, რათა შექმნან და შეინარჩუნონ სტუდენტზე ორიენტირებული კონტექსტი. ამ მიზნისათვის ისინი:

- იყენებენ განათლებისადმი ოსტატურ მიდგომას;
- შეფასებას და მონაცემებს იყენებენ როგორც სწავლის ხერხებს;
- თითოეულ ადამიანს არგებენ სწავლის პროცესს;
- ხელს უწყობენ სტუდენტების მიერ საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღებას;
- ნებისმიერ დროს და ნებისმიერი პირისთვის უზრუნველყოფენ რეალური სამყაროს შეცნობის შესაძლებლობებს სწავლის მიზნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში;
- ნერგავენ და ხელს უწყობენ პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას;
- იყენებენ თანამშრომლობით ჯგუფურ სამუშაოებს;
- სწავლის პროცესში იყენებენ ტექნოლოგიებს.

თანამეროვე კვლევების მიხედვით ენის სწავლის მოტივაციის გაზრდა პირდაპირ დაკავშირებულია ემოციების და დოფამინის მზარდ გამოყენებასთან სწავლების პროცესში. დოფამინი ტვინის მნიშვნელოვანი ქიმიური ნივთიერებაა და ბევრ სასარგებლო ფუნქციას ასრულებს. ის განაპირობებს ისეთ შეგრძნებებს, როგორებიცაა ბედნიერება, სიამოვნება, ეიფორია, მოტივაცია, კონცენტრირების, შემეცნების, დასწავლის უნარი, განსაზღვრავს ქცევას, გუნება-განწყობას, აკონტროლებს ძილს, სხეულის მოძრაობას. როდესაც დოფამინი დიდი რაოდენობით

გამოიყოფა, ადამიანი სიამოვნებას და სიხარულს განიცდის და სურვილი უჩნდება, კვლავ გაიმეოროს ესა თუ ის ქცევა.

მობილური ტექნოლოგიები გვეხმარება ემოციებით გავამდიდროთ ინგლისური ენის სწავლება არა მხოლოდ აუდიტორიაში, არამედ სტუდენტისათვის მისაღებ ნებისმიერ გარემოში [13]. „მშობლიური“ ტექნოლოგიები დადებით ემოციებს იწვევს სტუდენტებში და გვეხმარება მათი მოტივაციის ამაღლებაში, ინტერესის გაღვივებაში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწავლების და სწავლის განზომილება იცვლება. ხანგრძლივდება სწავლების დრო, რადგან სტუდენტები აქტიურად იყენებენ აპლიკაციას აუდიტორიის გარეთაც და ხშირად გამეორება ხელს უწყობს მასალის უკეთ დასწავლას, განმტკიცებას და გამოყენების ავტომატიზაციას. აღსანიშნავია ისიც, რომ აპლიკაციების გამოყენება საკმაოდ მარტივია და არ მოითხოვს სპეციალურ მომზადებას ან ცოდნას არც ლექტორის და არც სტუდენტის მხრიდან.

მოგესხენებათ, რომ ფრაზული ზმნების შესწავლა ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს ინგლისური ენის შემსწავლელთათვის. ინგლისურში ათი ათასზე მეტი ფრაზული ზმნაა და ფაქტობრივად გვიწევს მათი დაზეპირება, რაც საკმაოდ მოსაბეზრებელიც შეიძლება იყოს [14]. წარმოგიდგენთ ერთ-ერთ აპლიკაციას, რომელიც ეფექტურად შეიძლება გამოიყენოთ ინგლისური ენის სწავლებაში. მათში გაერთიანებულია 2000-ზე მეტი ფრაზული ზმნა ძალიან საინტერესო და სახალისო ინტერფეისით, რაც მათი შესწავლის პროცესს ხდის მარტივს და ხალისიანს. აპლიკაციის დახმარებით შესაძლებელია დაისწავლოთ 900-ზე მეტი ფრაზული ზმნა ზედმეტი ძალისხმევის გარეშე და გაიუმჯობესოთ თქვენი საკომუნიკაციო უნარები.

აღნიშნული აპლიკაცია ფრაზულ ზმნებს გვაცნობს სათანადო დეფინიციებით, თითოეულ მათგანს ახლავს დაახლოებით გამოყენების 10 შემთხვევა/მაგალითი, მოსმენის შესაძლებლობა და კიდევ მრავალი დეტალი. სწავლების უნიკალური ტექნიკის გამოყენებით, რომელიც აპში არის ინტეგრირებული, შესწავლილი მასალა დიდი ხნის მანძილზე რჩება მეხსიერებაში. თითოეული ფრაზული ზმნა მოცემულია სათანადო კონტექსტში, რაც ეხმარება შემსწავლელს გამოიყენოს შესაფერის რეალურ სიტუაციაში. აღნიშნული აპლიკაცია არის სრულიად უფასო და მისი გადმოწერა და დაინსტალირება სრულიად მარტივია [15].

ფრაზული ზმნების შესწავლის პარალელურად ხდება ცოდნის შემოწმება ორი გზით: პირველი სახის ტესტი ამოწმებს ფრაზული ზმნების ცოდნას ზმნის მიხედვით, მეორე ტიპის ტესტი კი, ფრაზული ზმნის მეორე ნაწილის მიხედვით. ტესტის დასრულების შემდეგ თქვენი ცოდნა შეფასდება სხვადასხვა კრიტერიუმით. აპლიკაცია გვთავაზობს ენის სწავლების სამ დონეს: საწყისი, საშუალო და მაღალი, ასევე გვთავაზობს ფრაზულ ზმნებს კონკრეტული მაგალითებით კონტექსტში.



შესაძლებელია წერის, კითხვისა და მოსმენის უნარების პრაქტიკა, საკუთარი პროგრესის შემოწმება და ტესტირებაც.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეფექტური და ეფექტიანი სწავლისათვის, ასევე იმ მიზნით, რომ მეტი ემოცია ჩავრთოთ სწავლების პროცესში აუცილებელია სტუდენტებს მივცეთ შესაძლებლობა უფრო მრავალმხრივად და შემოქმედებითად გამოიყენონ მობილური ტექნოლოგიები. ჩვენ უკვე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მობილური არის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის ნაწილი და ის უნდა გავხადოთ ენის სწავლების ნაწილიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. New perspectives on teaching and working with languages in the digital era, Edited by Antonio Pareja-Lora, Cristina Calle-Martínez, Pilar Rodríguez-Arancó, Published by Research-publishing.net, 2016
2. Kukulska-Hulme, A. (2012). Language learning defined by time and place: a framework for next generation designs. In J. E. Díaz-Vera (Ed.), *Left to my own devices: learner autonomy and mobile assisted language learning. Innovation and leadership in English language teaching*, 6 (pp. 1-13). Bingley, UK: Emerald Group
3. Lys, F. The development of advanced learner oral proficiency using IPADS. *Language Learning and Technology*, 17(3), 94-116, 2013
4. Moura, A., & Carvalho, A. A. (2013). Framework for mobile learning integration into educational contexts. In L. B. Zane & M. Lin (Eds.), *Handbook of mobile learning*(pp. 58-69). London: Routledge, 2013
5. Wang, S., & Smith, S. Reading and grammar learning through mobile phones. *Language Learning & Technology*, 17(3), 117-134. 2013
6. <http://www.herbertpuchta.com/>
<https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/j.1365-2729.2008.00289.x>
http://dx.doi.org/10.1163/9781780526478_002
<https://www.accelawork.com/who-are-the-linksters/>
<https://blog.ttisi.com/10-defining-characteristics-of-generation-z>
<http://next.bncollege.com/wp-content/uploads/2015/10/Gen-Z-Research-Report-Final.pdf>
http://old.sabauni.edu.ge/images/PDF/manual_geo.pdf
<https://www.fluentu.com/blog/educator-english/best-apps-for-esl-teachers/>
https://play.google.com/store/apps/details?id=com.arturagapov.phrasalverbs&hl=en_US

რეზიუმე

ენის სწავლება ციფრულ საუკუნეში თანამედროვე სტუდენტებისათვის დაკავშირებულია ნაცნობ ემოციებთან, რომელიც ასოცირდება ციფრულ მოწყობილობებთან, პლატფორმებთან, სოციალურ ქსელებთან, ბლოგებთან, ონლაინ თამაშებთან და ა.შ., რაც ენის სწავლებას აქცევს სრულიად ბუნებრივ და სასიამოვნო პროცესად. ამრიგად, ინგლისური ენის პედაგოგებმა სულ უფრო აქტიურად უნდა ჩართონ თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები სწავლებაში, მათ შორის მობილური ტექნოლოგიებიც. ცხადია, უარს ვერ ვიტყვით ტრადიციულ

სახელმძღვანელოებზე, თუმცა საგანმანათლებლო ტექნოლოგიების მომავალიც გარდაუვალია. ნაშრომში განხილულია კვლევა, რომელიც ჩატარდა თაობა “ზეტის“ უმაღლესი განათლების შესახებ მოლოდინების გამოსავლენად.

სტატია გვთავაზობს ერთ-ერთ მობილურ აპლიკაციას, რომელიც ეფექტიანად შეიძლება გამოვიყენოთ ინგლისური ენის სწავლებაში, კერძოდ, ფრაზული ზმნების დაუფლებისას, რაც დიდ სირთულეს წარმოადგენს ინგლისური ენის შემსწავლელთათვის.

საკვანძო სიტყვები: მობილური აპლიკაციით სწავლება, თაობა “ზეტი“, ფრაზული ზმნები.

Izolda Chkhobadze

Shota Meskhia State
Teaching University
Associate Professor
Georgia, Zugdidi

Sophio Moralishvili

Akaki Tsereteli State
University Associate
Professor
Georgia, Kutaisi

Mobile Technologies in ELT Summary

Language learning in the digital age for modern students is connected with familiar emotions associated with digital devices, platforms, social networks, blogs, online games, etc., making language learning a completely natural and enjoyable process. Thus, English language teachers need to become more and more actively involved in modern means of communication in teaching, including mobile technologies. Noticeably, we cannot put traditional textbooks aside, but the future of educational technology is also inevitable. The present paper discusses a study conducted to identify expectations for the higher education of Generation Z.

The article offers one of the mobile applications that can be used effectively in teaching English, in particular, in mastering phrasal verbs, which is a great difficulty for English language learners.

Key words: mobile learning, generation Z, mobile apps, phrasal verbs.

დავით ჯალაღონია,

იური პაპასკუა

სოხუმის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორები

საქართველო, თბილისი

განათლება და დასაქმება: გამოწვევები, გადაწყვეტის გზები

შესავალი

კორონავირუსით გამოწვეულმა ეპიდემიამ მთელ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში, საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სექტორი მოიცვა. Covid-19-მა ადამიანის ჯანმრთელობისა და ეკონომიკის გარდა, განათლების სფეროც დააზიანა, დასაქმების ბაზარზე პრობლემები შექმნა. ახალ მოცემულობაში, ცოდნის მიღების ფორმებისა და მეთოდების ციფრულ ტექნოლოგიებზე გადაწყობასთან ერთად, საჭირო გახდა სპეციალისტების მომზადება ისეთიუნარ-ჩვევებით, რომელიც პასუხობს დამსაქმებლის მოთხოვნებს, ტრანსფერულია და მოთხოვნადია შრომის ბაზარზე.

კორონავირუსთან გამკლავების გლობალურმა ძალისხმევამ ცხადყო, რომ პანდემიით გამოწვეული პრობლემები უფრო მასშტაბური აღმოჩნდა, ვიდრე დასაწყისში ვარაუდით იყო წარმოდგენილი და მოითხოვს საკითხების უფრო თამამ, კომპლექსურ, არაორდინალურ გადაწყვეტას ყველა მიმართულებით. მათ შორის, განათლების სფეროეყვეების მიმართ მეტად მგრძნობიარე და განსაკუთრებით საყურადღებოა, რამდენადაც აქ მომავლი (ცოდნა, ახალი ტექნოლოგიები, ინოვაციები, განვითარება) იღების სათავეს, - განათლების პროცესის უმნიშვნელო ჩავარდნაც კი ხანგრძლივი ვადით ნეგატიურად აისახება პერსპექტივაზე.

გადასინჯვას არ საჭიროებს წესრიგი, რომ დისტანციური სწავლებისთვის ციფრული ინსტრუმენტების შერჩევა პროფესორსევალება. სავსებით ლოგიკურია, რომ მას უწევს შესასწავლი საგნის სპეციფიკისა და მატერიალურ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფის გათვალისწინება. სწავლების პროცესში პედაგოგიური მეთოდების წარმატების საწინდარი სტუდენტების მოტივაცია და მათი ჩართულობაა ონლაინ სწავლებაში [1]. მაგრამ ამ პროცესმა უნდა უზრუნველყოს დღეს არსებული საგანმანათლებლო პროგრამებით სტუდენტების მიერ მიღებულ უნარებსა და პოტენციური დამსაქმებლის კონკრეტული საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო უნარებს შორის დარღვეული დისბალანსის თანდათანობითი აღმოფხვრა. ამისათვის, აუცილებელია არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გადამუშავება და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან მათი ჰარმონიზაცია. საკითხების გადაწყვეტაში აქტიურად უნდა ჩაერთოს სახელმწიფოს შესაბამისი ინსტიტუტები და დამსაქმებელი.

პირველი და უმთავრესი, რომელმაც საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტად და ხარისხიანად შენარჩუნების ეფექტიანობა უნდა უზრუნველყოს, სწავლა/სწავლების განხორციელების ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფაა. ამასთან, პანდემიის პირობებში ცოდნის მიღების ფორმებისა და მეთოდების შერჩევისას აუცილებელია უნივერსიტეტების სააუდიტორიო ფონდის, ჰიბრიდული მოდელის, მათ შორის: სწავლა/სწავლების შერეული და ონლაინ, დისტანციური ფორმების გამოყენება [2].

თავიდანვე ცხადი იყო, რომ ცოდნის მიღების დისტანციური ონლაინ პლატფორმა მთლიანობაში ვერ უზრუნველყოფდა ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას, თუმცა პანდემიის პირობებში მას ალტერნატივა არ გააჩნდა. ვფიქრობთ, რომ Covid-19-

ის ეპიდემიის პირობებში დისტანციური სწავლება ვითარების შესაბამისი, აუცილებელი დროებითი ინსტრუმენტია, რომლის ორგანიზება და მოქმედების ხარისხი დამოკიდებულია ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების ჰარმონიულ თანხვედრაზე, ლექტორისა და სტუდენტის უნარებსა და განწყობით მზაობაზე. ვინც ამ პროცესში ჩართულია, კარგად იცის, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო, ლექტორისა და სტუდენტის დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებები (ლექტოპი, პლანშეტი, მობილური ტელეფონის აპარატი, ყურსასმენი) ერთნაირად მაღალი ხარისხის, სიძლიერის, შესაძლებლობების ვერ იქნება; ტექნიკასთან ურთიერთობა ყველამ თანაბრად კარგად არ იცის; ინტერნეტის საკომუნიკაციო პლატფორმის უწყვეტობისა და სამუშაო გარემოს (იზოლირების, ხმაურისგან დაცვის, მინიმალური კომფორტის) პირობები სრულყოფილად ყველას არ გააჩნია; ქალაქსა და სოფელს შორის ჯერ კიდევ არსებობს უთანასწორობა და ოჯახების განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი; მსმენელის გამორთული მიკროფონი და ეკრანი ლექტორს აუდიტორიასთან თავისუფალ კომუნიკაციას და მათზე კონტროლის საშუალებას უზღუდავს; მონიტორზე სტუდენტის გვარისა და სახელის დაფიქსირება ყოველთვის დასწრებას არ ნიშნავს; სწავლების მიმართ მოტივაცია და მზაობითი განწყობა განსხვავებულია; ყოველდღიური ურთიერთობისთვის იდეალურ საკომუნიკაციო პარამეტრებს ვერავის შეუკვეთავ; პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლების ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების მასობრივი უზრუნველყოფისთვის სახელმწიფოსა და საგანმანათლებლო დაწესებულებების რესურსები შეზღუდულია. ჩამოთვლილი, ასევე სხვა ანგარიშგასაწევი გარემოებები დისტანციურ განათლებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და ცალკეულ ხარვეზებზე მიუთითებს. თუმცა მისი არგამოყენება განათლების სისტემის ჩამოშლის და, მაშასადამე, განვითარების ხანგრძლივად დამუხრუჭების კატალიზატორად გადაიქცეოდა. კაცობრიობამ უნდა შეძლოს გადარჩენა კრიზისულ ვითარებაში, ისწავლოს თანაცხოვრება მოულოდნელობებთან. განათლების სისტემაში სწავლა/სწავლების პროცესის ციფრული ტრანსფორმაცია განვითარების თანმდევი აუცილებლობაა. პანდემიების გარეშე საჭიროა საიმედო კომუნიკაციები, მაღალი ხარისხის ციფრული ტექნოლოგიებით საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო აუდიტორიების აღჭურვა.

გამოცდილებით ჩამოყალიბებული აზრია, რომ სწავლა/სწავლება აუცილებლად უნდა ხორციელდებოდეს აუდიტორიაში, სასწავლო პროცესისთვის სპეციალიზებულ ერთ სივრცეში, სადაც სტუდენტს და პროფესორს შეუძლიათ ერთმანეთთან ვერბალური ურთიერთობა, სალექციო, სემინარული, პრაქტიკული მასალის საფუძვლიანი განხილვა, წერილობითი ფორმით ან სხვა სახის თვალსაჩინო დემონსტრირება, კითხვა-პასუხის ინდივიდუალური კორექტირება და მყისიერი გადაწყვეტილებების მიღება, რაც ჩვენთან არსებულ ტექნიკურ თუ ტექნოლოგიურ მოცემულობაში რეალურად ძნელი მისაღწევია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ ნაშრომში ასახულია უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის უწყვეტი ფუნქციონირებისთვის სწავლების დისტანციური ფორმატით განხორციელების შესაძლებლობების ანალიზი, სწავლა/სწავლების პროცესში სინქრონული, ასინქრონული, შერეული მეთოდების გამოყენების საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება, აგრეთვე განათლებასა და დასაქმებას შორის კორელაციური კავშირი. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დამსაქმებლის როლს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამუშავების საქმეში.

პრობლემის განსჯა

საზოგადოების მდგრადი და სტაბილური განვითარების საფუძველი ქვეყანაში შედეგზე ორიენტირებული, მაღალი ხარისხის უწყვეტი განათლების სისტემის ჩამოყალიბებაა. განათლება, როგორც აღმზრდელობითი და სწავლების პროცესის ერთიანი სისტემა, ცოდნის, უნარების, გამოცდილების, კომპეტენციების, ღირებულებებითი ფასეულობების ერთობლიობაა და მიზანმიმართულად უზრუნველყოფს საზოგადოების განვითარებას. Covid-19-ის ეპიდემიამ მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, ადამიანთა ჯანმრთელობასა და ეკონომიკასთან ერთად, მრავალმხრივი საფრთხე შეუქმნა განათლების სისტემის უწყვეტად და ხარისხიანად ფუნქციონირების პროცესს. პანდემიის პირობებში, ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღების ტრადიციული ფორმებისა და მეთოდების პრაქტიკულად, დღის წესრიგში დადგა ცოდნის მიღების ახალი, არსებულ რეალობასთან ადაპტირებული, განათლების ციფრული ტრანსფორმაციის მექანიზმის დანერგვის აუცილებლობა. დროის მცირე მონაკვეთში მიღებულმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ ნათლად დაადასტურა სწავლა/სწავლების განხორციელებასთან ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციის გარდაუვალობა. ამასთან, პროცესის დაჩქარებისთვის აუცილებელია ციფრული ტრანსფორმაციის წინასწარი დაგეგმვა; ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალის გადამზადება; მოძველებულ ტექნოლოგიებზე უარის თქმა; უნივერსიტეტების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფაში სახელმწიფოს ჩართულობა; საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზარზე ორიენტირება და მათ შემუშავებაში დამსაქმებლის აქტიური მონაწილეობა.

ცხადია, რომ სტუდენტის მიერ უმაღლესი განათლების მიღება თვითმიზანი არაა, ცოდნის მიღების მთავარი არსი და დანიშნულება დასაქმება და შესაბამისად, სარგებლის მიღებაა. ამ ნიშნით, შესაძლოა, ტოლობის ნიშანიც კი დაისვას განათლებასა და დასაქმებას შორის. თავის მხრივ, შრომის ბაზარი მოთხოვნებს აჩენს ახალ პროფესიებსა და უნარ-ჩვევებზე. შესაბამისად, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები, ცოდნის მიღების ფორმები და მეთოდები მუდმივ სრულყოფას საჭიროებენ.

პანდემიით განპირობებული ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის გარდაუვალ მოცემულობაში, საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის შეფასებით, ადამიანებსა და მანქანურ ტექნოლოგიებს შორის შრომის დაჩქარებული დანაწილების ტენდენცია იკვეთება, შედეგად, 2025 წლისთვის მოსალოდნელია დღეს მოთხოვნადი 85 მილიონი სამუშაო ადგილი განიდევენოს შრომის ბაზრიდან და, იმავდროულად, მას 97 მილიონი ახალი სპეციალობა ჩაენაცვლოს. ასეთი ცვლილებები შრომის ბაზარზე უნივერსიტეტებს „აიძულებს“ შექმნან ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ თვისებრივად ახალი, შრომის ბაზარზე ორიენტირებული ცოდნის და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

საერთაშორისო კვლევებით დასტურდება, რომ პოსტპანდემიური პერიოდის ბიზნესში წარმატებული კარიერისთვის, საჭირო გახდება ფინანსური მრჩევლების, მარკეტოლოგების, კომპანიების მენეჯერთა კონსულტანტების, ტექნოლოგიურ პროცესებში კომპიუტერული პროგრამების უნარ-ჩვევებით სპეციალისტების მომზადება.

აქედან გამომდინარე, ბიზნესისა და ტექნოლოგიური ფაკულტეტების კურს-დამთავრებულთა დასაქმებისა და მათი კარიერული წინსვლისთვის აუცილებელია აქედანვე დაიწყოს სამზადისი აღნიშნული უნარების გამომუშავების ზრუნველსაყოფად. შრომის ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებისა და შედეგების პროგნოზებიდან გამომდინარე იკვეთება, რომ ანალიტიკური უნარ-ჩვევებით სპეციალისტებზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზრდება. ამ მიმართულებით კი უნარ-ჩვევების გამომუშავების პირობები სოციალურ, მათ შორის, ეკონომიკის მეცნიერებათა საგანმანათლებლო პროგრამებში უნდა ჩაიდოს.

განათლების ერთიანი უწყვეტი სისტემის ფორმირებაში სახელმწიფოს გადამწყვეტი როლი აკისრია. ეს კარგად გამოჩნდა პანდემიის პირობებში, როდესაც ვირუსის გავრცელების პრევენციისა და პროცესების ეფექტიანი მართვისთვის აუცილებელი გახდა სამართლებრივი, ეკონომიკური თუ ინტელექტუალური რესურსების ამოქმედების თანხვედრა. ხელისუფლებამ, როგორც ძალაუფლების უმაღლესმა ინსტიტუციამ უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო სისტემის ინოვაციური, თანამედროვე ტექნოლოგიურ შესაძლებლობებზე გათვლილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით აღჭურვა და მისი ხანგრძლივადიანი, სტაბილურად ეფექტიანი ფუნქციონირება.

წარმატებული ქვეყნების გამოცდილებაც სწორედ იმას მოწმობს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სახელმწიფო პოლიტიკისა და სახელისუფლებო აღსრულების პირობებში უზრუნველყოფენ უწყვეტობის შენარჩუნებას. ამ ქვეყნებმა პანდემიამდეც დაიწყეს ონლაინ-კურსების შემოღება, სწავლების ასეთი ფორმებისთვის სპეციალური პლატფორმების შემუშავება და დანერგვა. ცალკეულ ქვეყნებს, ფაქტობრივად, უკვე ჰქონდათ შექმნილი ონლაინ დისტანციური სწავლებისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პანდემიის პერიოდში განსაკუთრებული ძალსხმევა არ დასჭირდათ - პრობლემებს თავი შედარებით მარტივად გაართვეს.

ამ მხრივ, სხვათა შორის, საინტერესოა ინდოეთის მთავრობის გამოცდილება. განათლების სამინისტროს და განათლების კვლევებისა და სწავლების ნაციონალური საბჭოს ერთობლივი ძალისხმევით ინდოეთში ჯერ კიდევ 2015 წელს დაიწყო **e-Pathshala პლატფორმის** საგანმანათლებლო რესურსების შესახებ აუცილებელი ინფორმაციით მასწავლებლების, აკადემიური პესონალის, მეცნიერ-მკვლევარების, სტუდენტების, მშობლებისა და ყველა სხვა დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა. ინდოეთის განათლების სამინისტროს ინიციატივით, მისმა სტრუქტურულმა ერთეულმა - გრანტების საუნივერსიტეტო კომისიამ პლატფორმა **e-PG Pathshala**-ის ბაზაზე შეიმუშავა სასწავლო პროგრამების 70 საგნის მაღალი ხარისხის ინტერაქტიული ელექტრონული კონტენტი (საიტზე განთავსებული ინფორმაცია ტექსტის, ფოტოების, ვიდეო-რგოლების, ცხრილების, ლინკების სახით), რამაც შემდგომ უდიდესი როლი შეასრულა ქვეყანაში ონლაინ საგანმანათლებლო ქსელისდამკვიდრების, ნიჭიერი, მიზანსწრაფული ახალგაზრდობისთვის ცოდნის მიღების უზრუნველსაყოფად. მოგვიანებით, ტრადიციული ვიდეო ლექციების კურსის მიწოდებასთან ერთად, დაინტერესებულ პირთა ფართო წრისთვის შესაძლებელი გახდა საკითხების (ტესტების, სიტუაციური შემთხვევების, ამოცანების, კვლევების) ინტერაქტიური განხილვა და მასალების ურთიერთგაცვლა. პროექტში ჩაერთვნენ სატელევიზიო არხებიც, რამაც ხელი შეუწყო ონლაინ საკომუნიკაციო ფორმატის შემდგომ განვითარებას, მომხმარებელთა თანასწორობას, მასალის მიწოდების ოპერატიულობას, საბოლოო ჯამში კი, ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობის გაფართოებას.

განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ სწავლა/სწავლების ელექტრონულ ფორმატზე გადასავლა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (სსუ) წარმატებით შეძლო. საერთაშორისო და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდილების გათვალისწინებით, განისაზღვრა სწავლა/სწავლების ფორმები და მეთოდები; დისტანციური სწავლების ძირითად პლატფორმად **Zoom**-ი შეირჩა; შეფასების სისტემა მთლიანად სწავლების დისტანციურ ფორმატზე გადაეწყო. ამასთან, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს მიეცა სრული აკადემიური თავისუფლება დასწავლა/სწავლების სინქრონული, ასინქრონული ან შერეული მეთოდის¹ გამოყენების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, როდესაც ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდებათ ელექტრონული ფოსტით,

¹ **სინქრონულია** სწავლება, როდესაც სტუდენტები და ლექტორები ერთდროულად სხვადასხვა ლოკაციიდან ონლაინ პლატფორმების საშუალებით არიან ჩართულნი; **ასინქრონულია** სწავლება, როდესაც სტუდენტებს ონლაინ ლექციებში არ მოეთხოვებათ მონაწილეობა და უნივერსიტეტის სწავლების მართვის სისტემის მეშვეობით მათ მიეწოდებათ სასწავლო მასალა; **შერეულია** - როდესაც გამოიყენება ერთდროულად სინქრონული და ასინქრონული მეთოდის ელემენტები.

საღეჭიო მასალები წინასწარ ჩაწერილი ვიდეო ფორმატით, სწავლა/სწავლების პროცესში ადგილი აქვს ასინქრონული მეთოდის გამოყენებას; სხვადასხვა პლატფორმებით ლექცია, სემინარული, პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებისას, როდესაც პედაგოგი პირდაპირ ამყარებს ვიდეოკავშირს ცალკეულ ჯგუფთან, წინასწარ განსაზღვრულ დროში, ამასთან ერთდროულად შესაძლებელია ჯგუფის ურთიერთობა ერთმანეთთან და პედაგოგთან, საქმე გვაქვს სწავლა/სწავლების სინქრონულ მეთოდთან [3].

საზოგადოებრივი საქმიანობის ნებისმიერ პროცესში, მათ შორის განათლებაში, მნიშვნელოვანია სტაბილურობის განცდა. ცოდნის მიღებას, ინდივიდების ქცევასთან და განწყობასთან ერთად, განათლების ერთიანი სისტემის სტაბილურობა განაპირობებს. „საგანმანათლებლო სისტემაში აუცილებელია სტაბილურობის ჩაშენება“ [4], რაც საგანმანათლებლო სფეროში ინოვაციების ზრდას, სახელმწიფო და კერძო სექტორის ურთიერთანამშრომლობის გაღრმავებას, ციფრული ტექნოლოგიების შემდგომ განვითარებას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, სწავლების დისტანციურ ფორმატზე გადასვლისთვის სასწავლო პროგრამების მოდიფიცირება, სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადებაც გახდა საჭირო. თუმცა, გამოცდილებამ აჩვენა, რომ, მიუხედავად საყოველთაო ძალისხმევისა, სწავლების დისტანციური ფორმატი მთლიანობაში ვერ უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიღებას, ვერ პასუხობს კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადების თანამედროვე მოთხოვნებს. ასეთ განზოგადებულ შეფასებას სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარებული კვლევებიც მოწმობს. ელექტრონული ფორმატით სასწავლო პროცესის შეფასებისას, ინდოეთის „**A**“ შეფასების მქონე, რეიტინგული **მიზორამის უნივერსიტეტის** ერთმა ასოცირებულმა პროფესორმა შენიშნა: „აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის გრძელვადიან პერიოდში ინტერაქტიური ურთიერთობა აჩენს მრავალ პრობლემას. სწავლების ონლაინ ფორმატის შემთხვევაში, ცალკეული საგნის შინაარსის აბსტრაქტულობიდან გამომდინარე, აუცილებელია ურთიერთობა პირისპირ, აუდიტორიაში. ამასთან, ონლაინ ზემოქმედება უარყოფითად მოქმედებს თვალის და მთლიანად ორგანიზმის ჯანმრთელობაზე“ [5]. ამავე უნივერსიტეტში გამოკითხულ სტუდენტებსა და პროფესორებს მიაჩნათ, რომ „პანდემიის პირობებში ონლაინ სწავლების, როგორც უალტერნატივო ფორმატის გამოყენება, შესაძლებელია მხოლოდ საგანგებო, გარდამავალ პერიოდში“ [5]. კვლევამ აჩვენა, რომ აკადემიური პერსონალი სწავლების პროცესში სხვადასხვა (**Google classroom, Zoom/Ciso WebEx, Google Meet/Skype**) პლატფორმის მეშვეობით სტუდენტებს სასწავლო მასალას აწვდიდა, თუმცა სტუდენტთა 28%-მა გამოხატა დაინტერესება მოწოდებული პრეზენტაციებით; აკადემიური პერსონალის მხოლოდ 6% იყენებდასწავლების ვირტუალურ საშუალებად **Yotube-ს და Facebook-ს**, მაშინ როდესაც სტუდენტთა 18% იყო დაინტერესებული სწავლების ამ ონლაინ-პლატფორმებით; აკადემიური პერსონალის 87% სატელეფონო კომუნიკაციით სარგებლობდა და სტუდენტებს ინფორმაციას ინტენსიურად აწვდიდა, თუმცა სტუდენტთა მხოლოდ 23% იყო კმაყოფილი კომუნიკაციის ასეთი ფორმით [5].

სტაბილური და ხარისხიანი განათლების მიღების შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენის მიზნით, აშშ-ს არიზონას შტატის ერთ-ერთ მსხვილ სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის პროგრამის 1500 სტუდენტი გამოიკითხა. აღმოჩნდა, რომ, კორონავირუსით შექმნილი სიტუაციის გამო, მათმა 13%-მასტატუსი შეიჩერა; 11%-მასწავლა შეწყვიტა; 12%-მა კი სპეციალობის შეცვლა გადაწყვიტა. გამოკითხულთა დაახლოებით 50% თვლის, რომ სასწავლო დატვირთვის (სასწავლო საათები) შემცირება მოუწევს; სტუდენტთა ერთმა მეოთხედმა ოთხი და მეტი საათით გაზარდა კვირეული სასწავლო დატვირთვის დრო, მეორე მეოთხედმა კი პირიქით, - შეამცირა ხუთი და მეტი საათით. უკიდურესობის მიზეზი პანდემიით შექმნილი მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობაა. ამასთან, კვლევით გამოვლინდა, რომ დაბალ შემოსავლიანი სტუდენტები, მაღალშემოსავლიან სტუდენტებთან შედარებით, 55%-

ზე მეტ შემთხვევაში ახდენენ სწავლის პროცესის გადავადებას, რაც პირდაპირ მიუთითებს განათლების მიღების უშუალო კავშირს ქვეყნების, ოჯახების, სოციალური ჯგუფების, მათ შორის, ცალკეული ინდივიდების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან [6]. აშშ-ს განათლების საბჭოს მონაცემებით, 2020 წლის შემოდგომის სემესტრში მოსალოდნელია სტუდენტთა საერთო რაოდენობის 15%-იანი შემცირება, ამასთან, უნივერსიტეტების მნიშვნელოვან ნაწილს, როგორც იძულებითი ღონისძიება, ონლაინ-სწავლების პირობებში სწავლის ქირის შემცირება მოუწევს [6].

როგორც მოსალოდნელი იყო, Covid-19-ის ეპიდემიამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა სწავლის დამთავრების შემდგომ პერიოდში სტუდენტთა დასაქმების ბაზრის ფორმირებასა და დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე. აშშ-ს არიზონას უნივერსიტეტში ჩატარებული იგივე კვლევით დასტურდება, რომ დასაქმებული სტუდენტების 37%-ს კვირაში გამომუშავებული საათების რაოდენობა, ხოლო 31%-ს შრომის ანაზღაურება შეუმცირდა; გამოკითხულთა 40%-მა სამუშაო ადგილი, სტაჟირების ან მომავალში დასაქმების პერსპექტივა დაკარგა; 29%-ს მიაჩნია, რომ 35 წლის ასაკში გამოიმუშავენ გაცილებით ნაკლებს, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში შეძლებდა. ამით ისიც დასტურდება, რომ სტუდენტთა განწყობა მკვეთრად შეიცვალა და მათ გაუჩნდათ განცდა, რომ პანდემიით გამოწვეული შედეგები ხანგრძლივად იმოქმედებს მათი დასაქმების ბაზრის სტრუქტურასა და შემოსავალზე. გამოკითხულთა 61%-ს მიაჩნია, რომ ოჯახის წევრის/წევრების შრომის ანაზღაურების შემცირება, საბოლოო ჯამში, იმოქმედებს მათი განათლების მიღების პერსპექტივაზეც.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულმა კვლევამ (2020 წლის ნოემბრის თვე) გვიჩვენა, რომ ახალი კორონავირუსის Covid-19-ის ეპიდემიის პირობებში სწავლა/სწავლის პროცესის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით დისტანციურ ონლაინ სწავლების ფორმატზე გადასვლა იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. ზოგადად, გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს პირად, ოჯახურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ შეგრძნებას [7].

სწავლა/სწავლების დისტანციური ფორმატის პლატფორმებს (**Zoom, Microsoft Team, Messenger, Messenger/Facebook, Ft, ვიზერი**) შორის უფრო მისაღები და მოხერხებული ვარიანტის გამოვლენის მიზნით, გამოკითხული სტუდენტებიდან 99.2%-მა პლატფორმა **Zoom-ს** მიანიჭა უპირატესობა.

კვლევაში სტრუქტურულიზებული ინტერვიუს რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებამ გამოკვეთა, რომ ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის 1458 გამოკითხული სტუდენტი დანდისტანციურ ონლაინ სწავლების ფორმატში სრულად ჩართულია 83.4%, თუმცა ფაქტობრივად, მეცადინეობებს ესწრება გაცილებით ნაკლები. ამავე კვლევით მყარდება აზრი მასზედ, რომ დისტანციურ ონლაინსწავლების ფორმატზე მასობრივი გადასვლა დროებით, საგანგებო ვითარებისთვისაა ხელსაყრელი და ხარისხიანი განათლების მისაღებად გრძელვადიან პერიოდშივერ შეცვლის სწავლების სააუდიტორიო ფორმატს. გამოკითხულ სტუდენტთა მხოლოდ 36.6% უჭერს მხარს ონლაინ-სწავლების დისტანციურ ფორმატს, მაშინ როდესაც სწავლების სააუდიტორიო ფორმატს მხარს უჭერს 42.7%. გამოკითხულთა შორის აღმოჩნდა სტუდენტთა 20.7%, რომლებმაც მხარი დაუჭირეს სწავლების სააუდიტორიო და დისტანციური ფორმატების ერთდროულად გამოყენების მიზანშეწონილობას.

სასწავლო პროგრამის ცალკეული კომპონენტის მიღწევა დისტანციურ ფორმატში, ფაქტობრივად, შეუძლებელია ან შედეგი მინიმალურზე დაბალი იქნება. ეს პოზიცია გამოკითხვითაც დასტურდება - გამოკითხულ სტუდენტთა 55.2%-სვერ წარმოუდგენია ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარება სწავლების ონლაინ ფორმატით; საწარმოო პრაქტიკის ფორმიდან და შინაარსიდან გამომდინარე, გამოკითხულ სტუდენტთა 50.8% თვლის, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ამ კომპონენტის განხორციელება თითქმის შეუძლებელია, 49.4% კი აღიარებს პრაქტიკული მეცადინეობების კომპონენტის ჩატარების არაეფექტიანობას;

შესაბამისად, გამოკითხულთა მხოლოდ 19.9% და 23.1% მიუთითებს ონლაინ სწავლების ფორმატით სემინარული მეცადინეობების და ლექციების ჩატარების მიზანშეუწონლობას.

ჩართული დაკვირვების თვისებრივი და სტრუქტურული გამოკითხვის რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებამ გამოავლინა, რომ დისტანციური ონლაინ სწავლება მთლიანობაში ვერ უზრუნველყოფს ობიექტური, სამართლიანი შეფასების სისტემის ეფექტიანობას - გამოკითხულ სტუდენტთა 40.8%-ს მიაჩნია, რომ დისტანციური სწავლებისას შეფასება ობიექტური და სამართლიანია; 38.3%-მა უპასუხა „ნაწილობრივ“; 20.9% კი, შეფასების ობიექტურობას და სამართლიანობას ეჭვქვეშ აყენებს.

მაღალია უნდობლობა დისტანციური ფორმატით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების დაცვის შეფასების ობიექტურობის და სამართლიანობის მიმართაც - გამოკითხულ სტუდენტთა 50.3%-ს ამ ფორმატით საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის მომხრეა, 49.7% კი - მას არაეფექტიანად მიიჩნევს.

დისტანციური სწავლება კომპიუტერული ტექნოლოგიებითა და ინტერნეტ-რესურსით სტუდენტთა უზრუნველყოფის გარეშე წარმოდგენილია. ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისაგან განსხვავებით, განვითარებადებში, მათ შორის საქართველოში, აღნიშნული ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. სსუ ჩატარებული კვლევით აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 25.5%-ს არ აქვს წვდომა ინტერნეტთან; 53.7%-ს არ გააჩნია აქსესუარები დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ტექნიკისთვის.

Covid - 19 პანდემიით გამოწვეული შედეგების შესწავლის მიზნით, ჩვენ მიერ ჯერ კიდევ პანდემიის საწყის ეტაპზე განხორციელდა ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სწავლა/სწავლების პროცესში სტუდენტთა ჩართულობაზე დაკვირვება. ჩართული დაკვირვების პირობებში სტრუქტურული გამოკითხვის რაოდენობრივი მეთოდით მიღებული შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ (იხ. ცხრილი 1; ცხრილი 2)² ბაკალავრიატის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კურსის 392 გამოკითხული სტუდენტიდან დაახლოებით 22%-ს ინტერნეტი მიეწოდება ხარვეზით (აქედან ცუდად მიეწოდება - 11.7%-ს; საერთოდ არ მიეწოდება - 10.7%-ს), ან საერთოდ არა აქვს წვდომა ინტერნეტ-რესურსთან; 34.4%-ს კი კომპიუტერული ტექნიკა არ გააჩნია.

დისტანციური ონლაინ სწავლების პროცესში ჩვენი ჩართულობა გვაფიქრებინებს, რომ რეალური მონაცემები განსხვავებულია კვლევით მიღებული შედეგებისაგან. აღნიშნული აიხსნება იმ გარემოებით, რომ სტუდენტთა გარკვეული რაოდენობა, სხვადასხვა მიზეზებთან ერთად, ერიდება მათი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამხელას.

ცხრილი 1

ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა უზრუნველყოფა

ინტერნეტ-რესურსით

კურსი	რაოდენობა	ინტერნეტ-რესურსი					
		მიეწოდება		ცუდად მიეწოდება		არ მიეწოდება	
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
1	114	93	81.6	9	7.9	12	10.5
2	112	89	79.5	12	10.7	11	9.8
3	84	64	76.2	11	13.1	9	10.7
4	82	58	70.7	14	17.1	10	12.2
სულ	392	304	77.6	46	11.7	42	10.7

2 კვლევა ჩატარდა 2020 წლის მაისში

**ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა უზრუნველყოფა
კომპიუტერული ტექნიკით**

კურსი	რაოდენობა	კომპიუტერული ტექნიკა			
		უზრუნველყოფილია		არაა უზრუნველყოფილი	
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%
1	114	80	70.2	34	29.8
2	112	74	66.1	38	33.9
3	84	44	52.4	40	47.6
4	82	59	71.9	23	28.1
სულ	392	257	65.6	135	34.4

ცხრილის მონაცემებში საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო მონაცემებს შორის არსებული განსხვავება დაკავშირებულია გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების, მათი ოჯახების არათანაბარ ეკონომიკურ მდგომარეობასთან, სტუდენტების ფსიქოლოგიურ განწყობასთან, პროფესიის სპეციფიკასთან, დასაქმების კუთხით მიღებული სპეციალობის უპირატესობასთან. ზოგადად, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მიმართ დამსაქმებელთა მოთხოვნა გაცილებით მეტია, რაც ხშირ შემთხვევაში განაპირობებს აღნიშნული ფაკულტეტის სტუდენტთა მოტივაციას - არსებული სირთულეების მიუხედავად განსაზღვრულ დროში დაასრულონ სწავლის პროცესი.

დასკვნა

ამრიგად, საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევებით დასტურდება, რომ Covid-19 ეპიდემიამ განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა იქონია სახელმწიფოს მდგრადი და სტაბილური განვითარების ისეთ ფუნდამენტზე, როგორიცაა განათლების ერთიანი სისტემა. სიტუაციის ნორმალიზების მიზნით ლექციების, სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობების ტრადიციული, საუნივერსიტეტო-სააუდიტორიო ფორმატი დისტანციური ონლაინ-სწავლების პლატფორმამ დროულად ჩაანაცვლა. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გააზრებულად შეიმუშავეს და წარმატებით იყენებენ სწავლა/სწავლების სინქრონულ, ასინქრონულ და შერეულ მეთოდებს.

შეიძლება ითქვას, რომ ცივილიზებულმა სამყარომ კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსავალი - განათლების მიღების უწყვეტობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა გამოძენა. თუმცა, ცალკეული ქვეყნების პანდემიასთან ბრძოლის გამოცდილება და განათლების უწყვეტობის შენარჩუნების პროცესში ჩართულობა გვიქმნის საფუძველს დისტანციური სწავლების დამკვიდრებულ ფორმატს კრიტიკულად შევხედოთ - ამ მიმართულებით ჩატარებულ კვლევებსა და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შევაფასოთ ფაქტობრივი შედეგი. მით უფრო, ეს აუცილებელია ზოგადი დასკვნებისთვის, რომლებიც დაედება საფუძველად განათლების უწყვეტობისა და ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავებას.

ზემოწარმოდგენილმა კვლევებმა და პროცესში ჩართულმა ჩვენმა დაკვირვებამ დაგვანახა, რომ დისტანციური სწავლა/სწავლების ფორმატის მასობრივად შემოღება ან ძირითად რანგში წარმოდგენა არაა ხარისხიანი განათლების მიღების საუკეთესო საშუალება, არც მისი სრულყოფილი, ეფექტიანი პრაქტიკა. ეს მხოლოდ საგანგებო ან მიზნობრივი ჯგუფებისთვის განსაზღვრული მოცულობით ინფორმაციის მიწოდების სახელდახელო, ინდივიდუალური მოხმარების ალტერნატიული ვარიანტია, რომელიც არაპანდემიურ, არასაგანგებო, არაფორს-

მაჟორულ მდგომარეობაშიც უნდა გამოიყენებოდეს, როგორც სწავლების, ინფორმაციის მიღების, კვლევების ჩატარებისთვის მასალის მოპოვების დამატებითი შესაძლებლობა.

ანგარიშგასაწევია, რომ კვლევის მიზნებისთვის გამოკითხული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის უმეტესი ნაწილი დისტანციური სწავლების ფორმატისა და ხარისხის მიმართ უკმაყოფილებას ღიად გამოხატავს.

საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების კვალდაკვალ სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიის არგამოყენება აწ უკვე წარმოდგენილიც კია. უდავოა, რომ ტრადიციული სწავლების ფორმატიც სულ უფრო მეტი ციფრული ტექნოლოგია და რესურსი შემოდის. ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და ციფრული რესურსების ინტეგრირება ტრადიციული სწავლების პროცესში გარდაუვალი, სულ უფრო მიმზიდველი ხდება.

ამასთან, ელექტრონული სწავლება არ არის სრულიად ახალი და არც მხოლოდ პანდემიის პერიოდისთვის გათვლილი ფორმა. ის ადრეც გამოიყენებოდა და მომავალში, შესაძლოა, უფრო პოპულარული, მოთხოვნადი გახდეს, როგორც სწავლების პროცესში მეტი პირის ინდივიდუალურად ჩართვისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის საფასურის შემცირების წყარო.

დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ Covid-19-ის ეპიდემიის პირობებში, სწავლა/სწავლების დისტანციურ ფორმატზე გადასვლა იყო სწორი, გონივრული გადაწყვეტილება, რომელმაც, ცხადია, დადებითი შედეგებიც გამოიღო - იხსნა სისტემა განადგურებისგან და მომავალ თაობებს შეუნარჩუნა განვითარების პერსპექტივა.

ცხადად გამოჩნდა ისიც, რომ ციფრული ტექნოლოგიებისა და წიგნიერების განვითარება ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა ჩვენი, აგრეთვე ბევრი სუსტი ეკონომიკის ქვეყნისთვის; ჯერ კიდევ არ გვაქვს საკმარისი, სათანადო, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო რესურსები, ელექტრონული სწავლების ადაპტირებული პლატფორმები; დიდია საკომუნიკაციო შესაძლებლობების უთანასწორობა ცენტრსა და რეგიონებს შორის; ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური საერთო მდგომარეობა და, აქედან გამომდინარე, მოქალაქეების, მოსახლეობის, ოჯახების საარსებო შემოსავლები არ იძლევა საშუალებას საკმარისი რესურსი გამოინახოს თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების შეძენაზე, მათ განახლებაზე, მთლიანად ხარისხიანი განათლების მიღებაზე. მწირი რესურსული უზრუნველყოფა, სამუშაო ადგილების ნაკლებობა, დასაქმების პრობლემები, მკვეთრად პოლარიზებული სოციალური და გახანგრძლივებული პანდემიის გამო შექმნილი მძიმე ფსიქოლოგიური ფონი, ერთობლიობაში ქმნიან აქტიურობის არამოტივირებულ განწყობას, რაც კორელაციურ დამოკიდებულებაშია განათლების მიღებასთან, აგრეთვე ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფასთანაც.

განათლება, განათლებული მოქალაქე და ინტელექტუალური პოტენციალი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უკიდევანო რესურსია. განათლების ხარისხი მრავალ ფაქტორზე, მათ შორის, ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების ხელმისაწვდომობაზე, მაღალი მოტივაციების გაჩენასა და მათ რესურსულ უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული. ამასთან, ხარისხიანი განათლების მიღება დანახარჯებთანაცაა დაკავშირებული და მწირი შემოსავლების მქონე მოსახლეობის დიდ ნაწილს, აგრეთვე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ამის შესაძლებლობა არ გააჩნიათ და სახელმწიფოს მიერ მიზნობრივი ინიექციების გარეშე პრობლემის გადაწყვეტა ვერ მოხერხდება.

ჩატარებული კვლევა, შეხედულებებისა და მოსაზრებების განზოგადება გვიმყარებს პოზიციას, რომ პიროვნული ზიზლის, იმპროვიზაციის შესაძლებლობის, სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის, აუდიტორიის ვითარების შესაბამისად მართვის გავლენა სწავლების ხარისხზე, ყველა სხვა შესაძლო ალტერნატივასთან შედარებით, განუზომლად მაღალია. სწავლა/სწავლება უნდა ხორციელდებოდეს აუდიტორიაში, სასწავლო პროცესისთვის სპეცილიზებულ ერთ სივრცეში, სადაც სტუდენტს და პროფესორს შეუძლიათ ერთმანეთთან

ვერბალური ურთიერთობა, სალექციო, სემინარული, პრაქტიკული მასალის საფუძვლიანი განხილვა, წერილობითი ფორმით ან სხვა სახის თვალსაჩინო დემონსტრირება, კითხვა-პასუხის ინდივიდუალური კორექტირება და მყისიერი გადაწყვეტილებების მიღება, რაც ჩვენთან არსებულ ტექნიკურ თუ ტექნოლოგიურ მოცემულობაში ხარისხიანად ჯერ კიდევ ვერ ხერხდება. მით უფრო, შრომის საერთაშორისო დანაწილების მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, მომავალში მოთხოვნადი, დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი ცოდნის და უნარების მქონე სპეციალისტების მოსამზადებლად, სახელმწიფო ინსტიტუტების, დამსაქმებელთა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა შორის სულ უფრო მჭიდრო, ცოცხალი კონტაქტია საჭირო.

სტუდენტების მიერ ხარისხიანი განათლების მიღების უწყვეტი პროცესის შესანარჩუნებლად სწავლა/სწავლების პროცესის ფორმებისა და მეთოდების მუდმივ სრულყოფასთან ერთად აუცილებელია პრიორიტეტული გახდეს:

- სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების მაქსიმალური უზრუნველყოფა, შრომის ბაზარზე მოთხოვნილი სპეციალობების მომზადებასა და სასწავლო პროცესში შესაბამისი უნარების გამომუშავებაზე ორიენტირება, კურსდამთავრებულებისთვის დასაქმებაში ხელშეწყობა;
- დანახარჯების/ხარჯების ეფექტიანი მართვა, სასწავლო ჯგუფებისათვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის მიწოდება, პროდუქტიულობის, შედეგიანობის ამაღლება;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება, უნივერსიტეტებში არსებული ტექნიკური პოტენციალის გაზრდა და მაღალხარისხიანი ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და დისტანციური სწავლებისთვის მათი ინოვაციური ტექნოლოგიებით რესურსული უზრუნველყოფა;

პოსტანდემიური პერიოდისთვის უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლითაც სტუდენტები მაღალი კონკურენციის პირობებშიც კი შეძლებენ შრომის ბაზარზე მოთხოვნილი, შრომის დანაწილების პროცესში გამოყენებადი უნარ-ჩვევების გამომუშავებას და დასაქმებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Yuk Ming Tang, Pen Chung Chen, Kris M.Y. Law, C.H. Wu, Yui-yip Lau, Jieqi Guan, Dan He, G.T.S. Ho - Comparative analysis of Student's live online learning readiness during the coronavirus (COVID-19) pandemic in the higher education sector; Computers & Education, Volume 168, July 2021, 104211; journal homepage: <http://www.elsevier.com/locate/compedu>);
2. Hodges, C., Moore, S., Lockee, B., Trust, T., & Bond, A. (2020). The difference between emergency remote teaching and online learning. Retrieved from Educause Review website: <https://er.educause.edu/articles/2020/3/the-difference-between-emergency-remote-teaching-and-online-learning>);
3. Santiago Iglesias-Pradas, Angel Hernandez-García, Julian Chaparro-Pelaez, Jose Luis Prieto - Emergency remote teaching and students' academic performance in higher education during the COVID-19 pandemic: A case study; Computers in Human Behavior Volume 119, June 2021, 106713; journal homepage: <http://www.elsevier.com/locate/comphumbeh>);

4. Tam, G. & El-Azar, D. (March 13, 2020). 3 ways the coronavirus pandemic could reshape education. World Economic Forum: Global agenda. Retrieved from <file:///D:/COVID/>;
5. Dr. Lokanath Mishra , Dr. Tushar Gupta , Dr. Abha Shree , Online Teaching-Learning in Higher Education during Lockdown Period of COVID-19 Pandemic, International Journal of Educational Research Open (2020), doi: <https://doi.org/10.1016/j.ijedro.2020.100012>;
6. Esteban M.Aucejo; Jacob French; Maria Paola Ugalde Araya; Basit Zafar - The impact of COVID-19 on student experiences and expectations: Evidence from a survey; ELSEVIER-Journal of Public Economics; Volume 191, November 2020, 104271; <https://doi.org/10.1016/j.jpubeco.2020.104271>;
7. Nana Akhalaia, David Jalagonia, Nino Liparteliani; **Teaching Some Issues of Problem Solving and Decision Making in the Social Science**; 2012 IV International Conference „Problems of Cybernetics and Informatics“ (PCI); 12-14 Sept. 2012; Date Added to IEEE Xplore: 28 March 2013; <https://ieeexplore.ieee.org/document/6486483>.

რეზიუმე

Covid-19-ის ეპიდემიით გამოწვეულმა კრიზისმა განსაზღვრა განათლების სფეროში ცოდნის უწყვეტად და ხარისხიანად მიღების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, აგრეთვე ახალი ცოდნის და უნარების გამომუშავების აუცილებლობა.

სტატიაში შეფასებულია განათლების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლების მნიშვნელობა; ამასთან, დასაბუთებულია ხარისხიანი ცოდნის მიღების ტრადიციული საუნივერსიტეტო-სააუდიტორიო ფორმატის უალტერნატივობა; განხილულია სწავლა/სწავლების სინქრონული, ასინქრონული და შერეული მეთოდების გამოყენების საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება; გამოკვეთილია ცოდნასა და დასაქმებას შორის პირდაპირი კორელაციური კავშირი, დამსაქმებლის როლი შრომის ბაზარზე მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და მომზადებაში.

საკვანძო სიტყვები: განათლება, დასაქმება, სწავლა/სწავლების ფორმები, მეთოდები, შრომის ბაზარი, დამსაქმებელი.

David Jalaghonias, Iuri Papaskua

Professors of Sokhumi State University
Georgia, Tbilisi

Education and Employment: Challenges, Solutions Summary

The crisis caused by the Covid-19 epidemic has identified the need to improve the forms and methods of continuous and quality acquisition of knowledge in the field of education, as well as to develop new knowledge and skills.

The article assesses the importance of teaching using digital technologies to ensure the continuity of education. At the same time, the alternative of the traditional university-auditorium format for obtaining quality knowledge is substantiated. International and local experience in the use of synchronous, asynchronous and mixed teaching methods is discussed. There is a direct correlation between knowledge and employment, the role of the employer in the development and preparation of educational programs demanded in the labor market.

Key words: education, employment, teaching / learning forms, methods, labor market, employer.

Sophio Moralishvili
Associate Professor

Maia Akhvlediani
Associate Professor
Akaki Tsereteli
State University
Georgia, Kutaisi

Developing and Integrating Critical Thinking Skills in Teaching and Learning

Introduction

Creativity is essential skill for children, parents, employers, economies, and countries. It is currently acknowledged and appreciated as one of the most important skills for the children of today and tomorrow by organizations such as the World Economic Forum, the OECD, and Ministries of Education around the world. In times of rapid innovation, technological advances, and societal challenges, children need a variety of skills to face unpredictable challenges and modern opportunities – both in life and in work. The acquisition and enhancement of knowledge alone are no longer sufficient for them to survive and thrive in this new reality. There is a growing consensus that creativity can be beneficial not only for children but for their communities, societies, and economies at large. The creative thinking that children develop today can support them in everyday challenges, as they contribute to their communities, and eventually as they work to address the world's social, economic, and political issues.

Defining Critical Thinking

When considering Critical Thinking publications retrieved on electronic databases is impressive. The concept of critical thinking has been developing for the past 2500 years and is defined in many ways. This is a trans-disciplinary phenomenon, which makes its analysis even more complicated. Foundation for Critical Thinking [6] offers a very interesting conception of critical thinking. A statement by Michael Scriven & Richard Paul, presented at the 8th Annual International Conference on Critical Thinking and Education Reform, Summer 1987 [7].

“Critical thinking is the intellectually disciplined process of actively and skillfully conceptualizing, applying, analyzing, synthesizing, and/or evaluating information gathered from, or generated by, observation, experience, reflection, reasoning, or communication, as a guide to belief and action. In its exemplary form, it is based on universal intellectual values that transcend subject matter divisions: clarity, accuracy, precision, consistency, relevance, sound evidence, good reasons, depth, breadth, and fairness.”

Mike Kallet [3] in his book “Think Smarter, Critical Thinking to Improve Problem-Solving and Decision-Making Skills” describes critical thinking, as “thinking but in a different way”. From all the possible definitions, he prefers “thinking smarter”, which he paraphrased as “headscratching.” One thing is clear, it is not an ordinary or automatic thinking. Critical thinking is manual thinking (not automatic); purposeful; being aware of the partiality of your thinking; a process; and thinking that uses a tool et.

Some define critical thinking as a normative concept [1]. Moore [4] and Weissberg [5, 317-328] pointed out, that critical thinking is generally seen as something intrinsically good. Ennis [2] states

that critical thinking is "reasonable reflective thinking focused on deciding what to believe or do". This definition he believes captures the core of the way the term is used in the critical thinking movement. According to his analysis critical thinker is disposed to try to "get it right," to present a position honestly and clearly, and to care about others. Furthermore, he concludes, that the ideal critical thinker has the ability to clarify, to seek and judge well the basis for a view, to infer wisely from the basis, to imaginatively suppose and integrate, and to do these things with dispatch, sensitivity, and rhetorical skill [2].

Implications for Teaching

If teacher is not able to distinguish critical thinking when it occurs during teaching process, then pupils will not receive adequate support, fruitful feedback or a fair assessment. In other words, when are talking about critical thinking skill in a broader framework of teaching and learning, we need to consider within these frames not only students but teachers' abilities, dispositions and motivation. The teacher needs a disposition to recognize critical thinking in their students whenever it occurs, as well as the ability to distinguish arguments from opinions or sentiments in their students' work.

Children are born as creative thinkers. They have an incredible potential of curiosity to learn. Unfortunately, quite often this creativity is distorted and sometimes completely eradicated by conventional educational practices when young children enter school. The Torrance Test of Creative Thinking [11] provides the most interesting and noteworthy information about how children's divergent thinking diminishes over time. 98% of children in kindergarten are "creative geniuses". This ability is reduced drastically as children go through the formal schooling system and by age 25, only 3% remain creative geniuses. The most worrying is the fact that over the last 25 years, the Torrance Test has shown a decrease in originality among young children.

Does it mean that educators around the world have taken the wrong focus? The World Economic Forum [12] has just released its Human Capital Report [13] with the subtitle "Preparing People for the Future of Work". The report states that "many of today's education systems are already disconnected from the skills needed to function in today's labour markets".

Michigan State University Extension has some tips on helping children learn and practice critical thinking [14].

- Encourage pursuits of curiosity.
- Learn from others.
- Help children evaluate information.
- Promote children's interests.
- Teach problem-solving skills.

When dealing with problems or conflicts, it is necessary to use critical thinking skills to understand the problem and come up with possible solutions. Thus, it is important to teach students the steps of problem-solving and they will use critical thinking in the process of finding solutions to problems.

The critical thinking process is based on three main stages; observe the problem to build rational knowledge, ask questions to analyze and evaluate data, and find answers to the questions that can be formulated into a solution for the problem. These stages are translated into six steps [15]:

- Knowledge – Define the main topic that needs to be covered
- Comprehension – Understand the topic through researching the topic
- Application – Analyze the data and link between the collected data
- Analysis – Reach a solution for the problem or the topic investigated
- Synthesis – Turn the solution to an implementable action plan
- Evaluate – test and evaluate the solution

Some Practical Issues

For the universities to be competitive at the regional and international level having effective leadership, knowledgeable and professional staff, impressive learning and teaching facilities, innovative and relevant curriculum is not enough. The focus should be on students and their rights protected in all directions. One of them is critical thinking. Critical thinking protects students and in this rapidly changing world where there is abundance of both useful and irrelevant information, we need to be able to do more than remember fun facts. We have to have a very strong critical mind-set to be able to analyse information and make critical judgments. Today, there is not enough room to actively teach critical thinking at schools because educators have a standard curriculum that they have to teach and administrations have to ensure that this is successfully carried out. It is controversial whether critical thinking should be included in curriculums or be learned through social integration.


Akaki Tsereteli State University Pedagogy Department based on the eighty-five-year tradition of teacher training, educational and scientific research aims to educate professional teachers who will contribute to the development of Georgia through the accumulation and dissemination of innovative knowledge. The Department promptly responses to the challenges of a changeable environment and introduces changes to equip students with the necessary skills to better feel protected in various fields. Like other universities, before introducing changes in the curriculum we need to be sure that the education we offer meets the expectations of students and the requirements of labour market, both today and for the future.

At the Pedagogical Department professors are recommended to design critical thinking assignments with the following criteria in mind (retrieved from criticalthinking.org). Assignments must meet all four criteria to be considered “standard.”

- Critical thinking assignments should address fundamental and powerful concepts and should be substantive and meaningful.
- Critical thinking assignments should require students to use appropriate cognitive skills.
- Critical thinking assignments should hold students’ thinking to intellectual standards.
- Critical thinking assignments should ask questions requiring reasoned judgment.

Thus, critical thinking assignments are widely incorporated while teaching different disciplines.

In 2001, Paul and Elder introduced the critical thinking framework that helps students to master their thinking dimensions through identifying the thinking parts and evaluate the usage of these parts. The framework aims to add improving our reasoning through identifying its different elements by three main elements; elements of reasoning, intellectual standards, and intellectual traits [16].



Paul, R. and Elder, L. (2010). *The Miniature Guide to Critical Thinking Concepts and Tools*. Dillon Beach: Foundation for Critical Thinking Press.

According to Paul and Elder [5], there are two essential dimensions of thinking that students need to master in order to learn how to upgrade their thinking. They need to be able to identify the "parts" of their thinking, and they need to be able to assess their use of these parts of thinking.

Conclusions

Critical thinking, which is also called complex thinking and higher-order thinking, can be defined as the ability to think critically. It is the higher-order thinking than simply the ability to recall information. Our objective as educators should be to facilitate students in advancing from knowledge of concepts to application, analysis, synthesis, and evaluation. We can accomplish this goal by incorporating critical thinking within courses and by promoting culminating experiences that will further allow students to use and advance their skills in problem-solving.

For students to be prepared for practical application of knowledge beyond the university and to feel protected in a vibrant social environment, their critical thinking skills have to be regularly exercised in the day-to-day classroom experience, even when course content appears to be remote from real-world problems.

References:

1. Bailin, S. (2002). Critical thinking and science education. *Science & Education* 11, 361–375.
2. Ennis, R. (2015). Critical thinking: A streamlined conceptions. In M. Davies & R. Barnett (Eds.), *The Palgrave handbook of critical thinking in higher education* (pp. 31-48). New York: Palgrave Macmillan.
3. Kallet M., (2014) *Think smarter Critical Thinking to Improve Problem-Solving and Decision-Making Skills*, Published by John Wiley & Sons, Inc., Hoboken, New Jersey.
4. Moore, J. (2011). Critical thinking and disciplinary thinking: a continuing debate. *Higher Education Research & Development*, 30(3), 261-274. doi:10.1080/07294360.2010.501328
5. Paul, R. and Elder, L. (2010). *The Miniature Guide to Critical Thinking Concepts and Tools*. Dillon Beach: Foundation for Critical Thinking Press.
6. Weissberg, R. (2013). Critical thinking about critical thinking. *Academic Questions*, 26, 317-328. doi:10.1007/s12129-013-9375-2.
<https://www.legofoundation.com/en/why-play/skills-for-holistic-development/creativity-matters/>
<http://www.criticalthinking.org/pages/the-critical-thinking-community/744>
<https://www.criticalthinking.org/pages/defining-critical-thinking/766>
<https://motherhoodtherealdeal.com/parenthood/importance-teaching-critical-thinking-children/>
<http://www.criticalthinking.org/ctmodel/logic-model1.htm>
<https://www.testingmom.com/tests/torrance-test/>
<https://www.weforum.org/agenda/2017/09/skills-children-need-work-future-play-lego/>
http://reports.weforum.org/global-human-capital-report-2017/?doing_wp_cron=1597767215.9784369468688964843750
https://www.canr.msu.edu/news/the_importance_of_critical_thinking_for_young_children
<https://www.designorate.com/critical-thinking-paul-elder-framework/>
<http://louisville.edu/ideastoaction/about/criticalthinking/framework>

Summary

One of the top ten skills, which are going to have paramount importance for the future of our children is critical thinking. As it is stated in the World Economic Forum Global Human Capital report “Preparing People for the Future of Work”, the current focus is primarily on developing children’s cognitive skills (skills within more traditional subjects) rather than fostering skills like problem-solving and critical thinking. Unfortunately, this skill is often not prominently taught and developed at schools, though this is evident that preparing children for the future requires re-shaping concepts of learning and education.

Critical thinking, which is considered as the highest order thinking skill, cannot be defined as an isolated goal, which is not related to other important goals in education. On the contrary, it is closely related to other disciplines and facilitates their development. Students who are critical thinkers have higher achievements in all subjects and easily develop skills, abilities, and values to succeed in everyday life. The presented paper discusses the importance and strategies of teaching this skill and provides some suggestions on how to equip children with critical thinking skills to feel better protected in learning and social environment.

Key words: critical thinking, teaching and learning, assignments.

**სოფიო მორალიშვილი
მაია ახვლედიანი**

აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორები

კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება და ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში რეზიუმე

კრიტიკული აზროვნება წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს უნარს, რომელსაც ჩვენი სტუდენტების მომავლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ მომზადებულ გლობალური ადამიანური კაპიტალის ანგარიშში „მომზადება მომავლის პროფესიებისათვის“, აქცენტი გაკეთებულია ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, როგორიცაა პრობლემის გადაჭრა და კრიტიკული აზროვნება. სამწუხაროდ, ეს უნარ-ჩვევები სათანადოდ არ ისწავლება და ვითარდება, თუმცა აშკარაა, რომ ახალგაზრდების მომავლისთვის მომზადება, სწავლისა და განათლების კონცეფციების ხელახლა ჩამოყალიბებას მოითხოვს.

კრიტიკული აზროვნება, რომელიც უმაღლესი რანგის აზროვნების უნარად არის მიჩნეული, არ შეიძლება განისაზღვროს როგორც იზოლირებული მიზანი, რომელიც არ არის დაკავშირებული განათლების სხვა მნიშვნელოვან მიზნებთან. პირიქით, იგი მჭიდრო კავშირშია სხვა დისციპლინებთან და მათი განვითარების შესაძლებლობებთან. კრიტიკულად მოაზროვნე სტუდენტებს აქვთ უფრო მაღალი მიღწევები ყველა საგანში და ადვილად უვითარდებათ უნარ-ჩვევები, შესაძლებლობები და ღირებულებები ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად.

სტატია ეხება კრიტიკული აზროვნების უნარის სწავლების მნიშვნელობას, სტრატეგიას და გვთავაზობს რამდენიმე მოსაზრებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვახდინოთ ამ უნარების ინტეგრირება სასწავლო კურსებში.

ნაშრომში ასევე განხილულია, კრიტიკული აზროვნების განმავითარებელი ის კრიტერიუმები და რეკომენდაციები, რომლებსაც აქტიურად იყენებენ პედაგოგიური ფაკულტეტის პროფესორები სწავლა-სწავლების მეთოდების და აქტივობების შემუშავებისას.

საკვანძო სიტყვები: კრიტიკული აზროვნება, სწავლება და სწავლა, დავალებები.

თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლების ზოგიერთი თავისებურებანი

1. შესავალი

უკვე საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ თანამედროვეობა (პოსტინდუსტრიული, პოსტმოდერნისტული) განათლების კრიზისი სამწუხარო ფაქტის წინაშე დგას. გლობალიზმმა ინფორმაციის ლამის უმთავრეს კაპიტალად გადაქცევით, ინფორმირებულობის შესაძლებლობის გასაოცარი ზრდით პარადოქსული ვითარება შექმნა.

მსოფლიო საზოგადოებრიობა იმის მოწმეა, რომ ინფორმირებულობის ზრდისა და ხელმისაწვდომობის ვითარებაში უცნაურად, მაგრამ ერთგვარად კანონზომიერად მატულობს წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა (გამონაკლისს ამ მხრივ არ წარმოადგენს თვით მაღალგანვითარებული ქვეყნები), განათლების მიღების ხარისხი დაბლა იწევს; განათლება და გაუნათლებლობა ვეღარ უტოლდება კულტურასა და კულტურულობას. ერთმანეთს დაშორდა თანამედროვე განათლება და მეცნიერება, მეცნიერება უწინდებურად ვეღარ „კვებავს“ განათლებას ინოვაციური ცოდნით. განათლებულობა უწინდებურად აღარ ფასობს თანამედროვე საზოგადოებაში, ვეღარ განსაზღვრავს თანამედროვე საზოგადოების წევრის სოციალურ სტატუსს. ამის გამო, ძირფესვიანად შეიცვალა „სწავლის მძებნელის“ დამოკიდებულება (მოტივაცია) სასწავლო პროცესისადმი – ინერციული და უგულისყურო გახდა.

2. ძირითადი ნაწილი

აღნიშნულის მიზეზები ბევრია და თანაც მასშტაბური. განათლების კრიზისზე სერიოზულად გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ალაპარაკდნენ. ერთი მიზეზი (და ალბათ, უმთავრესი) ისაა, რომ განათლების სისტემა ძნელად ეგუება საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების სისწრაფეს, ფეხს ვერ უწყობს დროის მოთხოვნათა შეთავაზებებს. ვითარებას კიდევ უფრო ართულებს განათლების ფინანსირების პრობლემა. იგი დიდ ფინანსირებას ითხოვს (სულ უფრო მზარდს), რაც მდიდარი და მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვისაც კი ძნელად გადასაჭრელ ამოცანას წარმოადგენს. განათლების კრიზისის გამომწვევ სხვა ფაქტორებს შორის ასახელებენ:

- ცოდნის მოცულობის მკვეთრ ზრდასა და სწრაფ განახლებას (ცოდნა ყოველ 10 წუთში ძველდება [1, 398]).
- ინფორმაციულობის სიჭარბის პირობებში აზროვნების დეგრადაციას (დემუნდ უილსონი). აქ იგულისხმება, რომ ინფორმაცია (ინფორმირებულობა) არ უტოლდება ცოდნას, წიგნიერებას, სიბრძნეს;
- თანამედროვე განათლების შინაარსობრივი განახლების პროცესის ჩამორჩენილობას დროის მოთხოვნებთან (სამყაროს ცვლის პროცესთან);
- ჰუმანიტარული ცოდნის უკმარისობას თანამედროვე სპეციალისტის მომზადებაში, შედეგად ზნეობრივ-ეთიკური ნორმების დეგრადაციას და დეჰუმანიზაციის გამო

ტექნოკრატიზმის გაძლიერებას. აქედან გამომდინარე, ადამიანის სულიერების, ტრადიციული წარმოდგენებისა და ღირებულებების კრიზისს. ამის გამო პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში კულტურა გაცილებით მეტ მნიშვნელობას იძენს, ვიდრე უწინ ჰქონდა [2, 228].

აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე განათლების ამოცანებს შორის გამოყოფენ: საგანმანათლებლო გარემოს გამჭვირვალობის გაღრმავებასა და გაფართოებას; სწავლების ინდივიდუალიზაციისა და ურთიერთთანადგომის გაძლიერებას; თვითგანათლების, თვითსრულყოფისა და თვითორგანიზაციის გააქტიურებას; განათლების რელევანტურობისა და სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლებას; უწყვეტი განათლების სისტემის ფორმირებას და ა. შ. [3, 174-175]; მიუთითებენ ასევე იმაზედაც, რომ თანამედროვე განათლება თეორიულზე მეტად გამოყენებითი ხასიათისაა. ამას განაპირობებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების გაცნობიერების და კრიტიკული აზროვნების გაძლიერების საჭიროება.

განათლების სისტემაში ცვლილებებს ითხოვს დასაქმების სფეროც. განსაკუთრებულ (პრინციპულ) მნიშვნელობას იძენს ადამიანის შემოქმედებითი უნარი, პიროვნული მოტივაცია, გუნდური მუშაობის ჩვევები და ა. შ.

თანამედროვე განათლების ერთი თავისებურებაა მისი გლობალურობა. ონლაინ რეჟიმში სწავლა/სწავლება სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა (ამის ერთი მაგალითია სორბონის უნივერსიტეტის დოქტორანტის, დიანა ჭანკოტაძის სწავლა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის“ სადოქტორო პროგრამაზე).

თანამედროვე განათლების კიდევ ერთი თავისებურებაა **უწყვეტობა** (ე. წ. უწყვეტი განათლება), **მარადიული სტუდენტობა**. როგორც ცნობილია, უწყვეტი განათლების იდეა ფრანგმა პიერ ლენგრადმა იუნესკოს კონფერენციაზე ჯერ კიდევ 1964 წელს წამოაყენა.

გასათვალისწინებელია, რომ განათლება და განათლებულობა აბსოლუტური არასოდეს არ არის, რადგან იგი ყოველთვის დაუსრულებელია, რაც უფრო დიდია და ღრმა, მით მეტად იწვევს გაღრმავების, სრულქმნის მოთხოვნილებას.

თანამედროვე საზოგადოებაში კონკურენტუნარიანობა სპეციალისტისა და გროვილი ცოდნით კი აღარ განისაზღვრება, არამედ სწავლის, ახალ ვითარებასთან ადაპტაციის, სიახლეთა მიგნება-გამოყენების უნარით (ამჟამინდელი განათლება კი, თავისი არსით, ძველი ფაქტებისა და მოვლენების ძალდატანებითი სწავლებაა [4].

განათლების ტრადიციული სისტემა ამკარად საჭიროებს შეცვლას, რადგან ვეღარ შეესაბამება თანამედროვეობის მოთხოვნებს. ამჟამად უმაღლესი განათლების მიღების უმთავრესი მიმართულებები მსოფლიოს პრესტიჟულ უნივერსიტეტებში მოიცავს:

ფუნდამენტურ კვლევებს; შემოქმედებითი პოტენციალის გაძლიერებას; დისციპლინათშორის სწავლებას; ღიაობასა და გამჭვირვალობას; უცხოური ენების სწავლებას; სწავლება/სწავლის ინტერნაციონალიზაციას და ა. შ.

აქ გასათვალისწინებელია ერთი არსებითი მომენტიც: უკუსაგებია საზოგადოებაში დამკვიდრებული მცდარი აზრი თითქოს ცალკეული ქვეყნის უნივერსიტეტებშია შესაძლებელი მაინცა და მაინც კარგი განათლების მიღება და ჩვენში კი არა. ქართული უნივერსიტეტები (ჩართულნი ე. წ. „ბოლონიის პროცესში“) თანამედროვე მოთხოვნებს სრულიად აკმაყოფილებენ და საერთაშორისო სტანდარტების შესატყვის ცოდნას იძლევიან. როგორც მიუთითებენ, **საკუთარ განათლებაზე პასუხისმგებლობა თავად სტუდენტებმა უნდა აიღონ (ი. შრაიბერგი).**

განათლების წინაშე თანამედროვეობის მიერ დაყენებულ პრობლემათა ანალიზი საკონფერენციო ნაშრომის ფორმატში შეუძლებელია, დიდ დროსა და ძალისხმევასთან

ერთად, ამჟამინდელი საუნივერსიტეტო სწავლება/სწავლის სისტემის, პროცესების მეტნაკლებად ამომწურავ აღწერა-დახასიათებას საჭიროებს. ამიტომ ყურადღებას შევაჩერებთ ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც შეინიშნება **სტუდენტების მიერ საკუთარ განათლებაზე პასუხისმგებლობის გაცნობიერებისა და აღების თვალსაზრისით** (უმთავრესად 2020-2021 სასწავლო წლის საზაფხულო სემესტრის პერიოდის საკუთარი პედაგოგიური მუშაობის საფუძველზე).

ერთი საკითხია თანამედროვე განათლების პოლიტიკაში „სწავლის მიმბნელის“ მენტალობის (კულტურული კოდის) იგნორირება, რაც ჩვენს შემთხვევაში გამოიხატება შრომისადმი დამოკიდებულებაში (ფონს იოლად გასვლის მცდელობაში მუყაითობა-ბეჯითობის ნაცვლად), გენეტიკურ ნიჭიერებასთან პირდაპირპროპორციულ უწიგნურობასა და უცხოურის გაფეტიშებაში, საკუთარის უგულებელყოფის ხარჯზე. ასევე სწავლება/სწავლის თანამედროვე ფორმაზე არაეფექტური, უეცარ-უცაბედური გადასვლის ფსიქოლოგიურად შეუმზადებლობა აქედან გამომდინარე შედეგებით.

თანამედროვე ქართული ონლაინ სწავლება/სწავლის მტკივნეული პრობლემაა სასწავლო პროცესში მთავარი სუბიექტის – სტუდენტის ჩართულობის ფორმა (სტუდენტის უფლება „დაფაროს“ თავისი სახე), რაც არღვევს ცოდნის გადაცემის ბუნებრივ – ადამიანის შემეცნების გენეტიკურობას – მოსმენისა და ყურების (ცქერის) სინთეზს და რაც უზუსტესად არის შთაბეჭდილი ქართულ ტერმინოლოგიურ სიტყვაში „**მიყურე**“.

მხოლოდ აუდიო მონაწილეობა სტუდენტს საშინაო – არაფორმალურ გარემოში ყოფნის გამო უსუსტებს (უდუნებს) მოწესრიგებულობას, მზაობას და უქვეითებს ახალი ცოდნის გაცნობიერება-გათავისების ხარისხს, რადგან თავის როლს ასრულებს კომუნიკაციური პროცესის შედეგიანობის განმსაზღვრელი ფორმა („ფორმაში ყოფნა“ პირდაპირი თუმეტაფორული გაგებით). „ფორმაში ყოფნა“ გენეტიკური მოთხოვნილებაა „საქმის კურსში ყოფნის“ ანალოგიურად. ამის გამოხატულებაა მოღვაწეობის ის სფეროები, სადაც განსაკუთრებით აუცილებელია კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად მუდმივი მზადყოფნა (შეიარაღებული ძალები, სამართალდამცავი ორგანოები და ა. შ.). ამ გაგებით „ფორმაში ყოფნა“ სწავლის პროცესის გარემოს (კონტექსტს) მოიცავს და ვიზუალური ჩართულობა ანიჭებს სრულყოფილებას.

ოჯახური გარემო, მოშვებულობა, არაიშვიათად ლექციის მხარეთმშობე წამოწოლილად მოსმენა, რასაც ხელს უწყობს სწავლების პროცესში ვიზუალური მონაწილეობის უგულებელყოფა, რასაც ადასტურებს ამჟამინდელი (რასაც სტუდენტების უნებლიე შემთხვევითი ვიზუალური „ჩართვების“ შემთხვევები ცხადყოფს) თავის კვალს აჩნევს სწავლება/სწავლის ხარისხიანობას.

ონლაინ სწავლების ფორმატში სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემაა სტუდენტების მიერ სასწავლო ლიტერატურით სარგებლობა. სასწავლო ლიტერატურით ამჟამად ნებისმიერი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის უზრუნველყოფილი თუნდაც იმ მიზეზით, რომ უმისოდ სასწავლო პროგრამა-სილაბუსი ვერ მიიღებს აკრედიტაციას და ვერც სწავლება განხორციელდება. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს მოეპოვებათ სასწავლო ლიტერატურის ელექტრონული ვერსიები და შესაბამისი კატალოგები. ხელმისაწვდომობის მიუხედავად სტუდენტების მიერ მათით სარგებლობის მაჩვენებელი დაბალია. ამის გათვალისწინებით პროფესორი იძულებულია ლექციის სავალდებულო საპრეზენტაციო ტექსტები უკიდურესად „დატვირთოს“ ინფორმაციით (ხშირად საილუსტრაციო მასალის შეზღუდვის ხარჯზე – განსაკუთრებით ჰუმანიტარული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში), რათა ამ ფორმით უზრუნველყოს სტუდენტებისათვის სალექციო მასალის ხელმისაწვდომობა. ამ გარემოებას ჯერ-ჯერობით ვერ მოაქვს სასურველი შედეგი. სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობებზე

ზოგიერთი სტუდენტი პირწმინდად ითვისებს პროფესორის საპრეზენტაციო ტექსტებს, პერიფრაზირებითაც კი არ იწუხებს თავს და ამნაირ „წაკითხვებში“ ითხოვს აკადემიური აქტივობის ქულებს.

პრობლემურია სტუდენტის ცოდნის შეფასების ტესტური მეთოდიკა. საგანმანათლებლო პროცესის საუკუნოვანმა ტრადიციებმა საყოველთაოდ დაამტკიცა ცოდნის შეფასებაში „სწავლის მძებნელის“ თანამონაწილეობის განცდის შედეგიანობა. შეფასება მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შედეგიანი, რადგან იგი ნასწავლის მექანიკურ დამახსოვრებას კი არ ემყარება, არამედ მის გაცნობიერება-გათავისებებას. თანამონაწილეობის განცდის გაჩენა-დამტკიცებას კი ხელს (შე)უწყობს ნასწავლის საკუთარი სიტყვებით (ლექსიკა-ფრაზეოლოგიით) გადმოცემა, ანუ გამეორება (რეპრეზენტაცია). ამ შემთხვევაში გამეორება საკუთარი აზრის გამოთქმად განიცდება.

ამის გათვალისწინებით არ არის გამართლებული ცოდნის შემოწმება დახურული ტიპის ტესტირებით, რომელსაც თან ახლავს „შპარგალკა“ – რამდენიმე სავარაუდო პასუხი. ეს მეთოდი მეხსიერებას უფრო ამოწმებს, ვიდრე ცოდნას, რადგან სტუდენტს ართმევს აზროვნების გზით პასუხის ძიების პერსპექტივას, მსჯელობის, კრიტიკული აზროვნების საჭიროებას. ასეთი „პასუხები“ ზედაპირულია, მოკლებულია სიღრმისეულობას და ნაკლებპროდუქტიულია. მზამზარეულზე ორიენტირებულობით ტესტირება „აზარმაცებს“ გონებას, გამორიცხავს შემოქმედებითი ძიების და მიგნებული აზრის სიტყვიერად გაფორმების (მსჯელობის) საჭიროებას.

3. დასკვნა

ნაჩქარევმა და იძულებითმა გადასვლამ დისტანციურ სწავლა-სწავლებაზე, აღნიშნულს გარდა, არა ერთი სხვა პრობლემა გააჩინა, რომელიც კიდევ უფრო ამწვავებს განათლების ამჟამინდელ კრიზისს და ცხადყოფს, რომ მესამე ათასწლეულის დასაწყისი კაცობრიობის ისტორიაში ადამიანური ცივილიზაციის თვისებრივი გადასხვაფერების ზღურბლია.

ათასწლეოვანი ტრადიციები, დროის მოთხოვნათა გამო, კარგავენ თავის მნიშვნელობას, კაცობრიობა დგას საზოგადოებრივი ცხოვრების სრულად ახალ ღირებულებებზე დამყარების აუცილებლობის წინაშე, ხოლო საყოველთაო სიახლე, ახალი ღირებულებები განსხვავებულად აზროვნებას საჭიროებენ, რაც ბუნებრივად მოიცავს ტრადიციულთან დაშორებისა და ახლის (შეუცნობელის) დამკვიდრების მტკივნეულ პროცესს და რაც უპირველესად განათლებაზე აისახება მისი ტრადიციული ღირებულებების კრიზისის ფორმით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პიტერ დრუკერი, 2000, „მენეჯმენტის პრაქტიკა“, რუსულენოვანი თარგმანი.
2. ელვინ ტოფლერი, 1986, „ახალი ტალღა“/ახალი ტექნოკრატიული ტალღა დასავლეთში“, მ., რუსულ ენაზე.
3. ჯოლიაგ., 2021, „განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში“, თბილისი.
4. ჯონ დიუი, 2018, „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, II, თბილისი.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თანამედროვე (პოსტინდუსტრიული, პოსტმოდერნისტული) განათლების კრიზისის ზოგიერთი საკითხი, რომლებიც, ერთი მხრივ, გამოწვეულია თანამედროვე გლობალიზმის მოვლენებით, მეორე მხრივ, აშკარად აღსანიშნავი პანდემიით თავსმოხვეული იძულებითი რეგულაციებით – დისტანციურ სწავლებაზე უცაბედი – ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი – გადასვლით.

საკვანძო სიტყვები: განათლების კრიზისი, დისტანციური სწავლება, სწავლა-სწავლების პროცესი.

Temur Jagodnishvili

Georgian Technical
University, Professor
Georgia, Tbilisi

Some Peculiarities of Modern University Education

Summary

The article discusses some issues of the crisis of modern (post-industrial, postmodernist) education, which, on the one hand, are caused by the events of modern globalism, and on the other hand, by the forced pandemic regulations - a sudden transition to distance learning - psychologically unprepared.

Key words: education crisis, distance learning, teaching-learning process.

დისტანციური სწავლების ისტორიისა და თანამედროვეობის ზოგიერთი ასპექტი

ონლაინ სწავლა/სწავლება არის საგანმანათლებლო პროცესი სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, როცა პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ურთიერთობენ ტექნიკის მეშვეობით დისტანციურად. მისი მიზანია, სტუდენტები დაეუფლონ მათთვის საჭირო ინფორმაციის დიდ ნაწილს სწავლების პერიოდში, ფაქტობრივად, დამოუკიდებლად, თუმცა სრულყოფილად ასახავს საგანმანათლებლო პროცესში არსებულ ყველა კომპონენტს (მიზნებს, შინაარსს, მეთოდებს, ორგანიზაციულ ფორმებს, სასწავლო საშუალებებს).

დისტანციურმა (ონლაინ) სწავლებამ ინტერნეტის გაჩენისთანავე მოიხვეჭა პოპულარობა. ეს ცნება ჩვენთან საკანონმდებლო დონეზე 2011 წლიდან გვხვდება, როდესაც უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონს 47⁴-ე მუხლი დაემატა, რომელიც ელექტრონული სწავლების რაობას, ფორმატს და საგანმანათლებლო საფეხურებს განსაზღვრავს [1]. უწინ დისტანციური სწავლება აღიქმებოდა როგორც ცოდნის მიღების ან გამოცდებისთვის მომზადების დამატებითი გზა, ახლა კი კოვიდპანდემიის პირობებში მისი ფორმატი სრულფასოვანი სწავლების უნიკალური საშუალება გახდა. აღსანიშნავია ისიც, რომ დისტანციური სწავლების ფორმა სულაც არ არის ახალი გამოგონება - მას ხანგრძლივი გამოყენების ისტორია აქვს.

ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში დიდი ჩეხი პედაგოგი, იან ამოს კომენსკი (ლათ. Comenius) დიდაქტიკის უპირველეს მიზნად სწავლების ისეთი ხერხების/მეთოდების პოვნას მიიჩნევდა, რომელთა დახმარებითაც მოსწავლე მასწავლებლის ნაკლები ჩარევით მეტს ისწავლიდა. თუმცა ევროპაში დისტანციურ განათლებას საფუძველი მე-18 საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა რეგულარული და ხელმისაწვდომი საფოსტო კავშირგაბმულობის დანერგვით.

მასობრივი დისტანციური სწავლების პირველი დასაბუთებული ფაქტი 1728 წლიდანაა ცნობილი, როდესაც ამერიკელმა პროფესორმა კალეზ ფილიპსმა „ბოსტონის გაზეთის“ (Boston Gazette) მეშვეობით სტენოგრაფიის დაუსწრებელ სწავლებას ჩაუყარა საფუძველი - სწრაფი წერისა და ბუღალტერიის კურსებისთვის ქალაქის გარეუბნებიდან სტუდენტთა მოგროვება დაიწყო. მან გაზეთში ასეთი სარეკლამო წერილი გამოაქვეყნა: „... ყველა მოქალაქეს, ვისაც ამ უნარების მიღება სურს, შეუძლია ისევე შესანიშნავად იყოს განსწავლული, როგორც ბოსტონის მაცხოვრებლები, რამდენიმე გაკვეთილის დახმარებით, რომლებიც ყოველკვირეულად ფოსტით გაეგზავნებათ“ [4]. მართლაც, პედაგოგთა გადაწყვეტილ სასწავლო მასალებს მოსწავლეები კვირაში ერთხელ ფოსტით იღებდნენ, გამოცდებს კი ნდობით აღჭურვილ პირებს აბარებდნენ.

1840-იან წლებში დისტანციური სწავლება ორმხრივი გახდა: ცნობილმა ბრიტანელმა ენათმეცნიერმა სერ ისააკ პიტმანმა საფოსტო გზავნილების მეშვეობით დაიწყო სწრაფ წერასა და სტენოგრაფიაში სტუდენტთა დისტანციური სწავლება. ის ყველა მსურველს თავის გაკვეთილებს მხოლოდ საფოსტო გზავნილების ღირებულების გადახდის საფასურად უგზავნიდა, თავად ამაში ანაზღაურებას არ იღებდა, რადგან მიაჩნდა, რომ საზოგადოების დემოკრატიზაცია მოსახლეობის ყველა ფენის უმაღლესი განათლების მიღების მისაწვდომობით არის შესაძლებელი მათი მატერიალური და სოციალური მდგომარეობის, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების მიუხედავად. პიტმანი არა მხოლოდ დავალებებს აგზავნიდა, არამედ შესამოწმებლად მათ უკანვე იბრუნებდა.

1850-იან წლებში დისტანციური სწავლების მეთოდი სტენოგრაფიას გასცდა - გერმანელმა გუსტავ ლანგენშიდტმა გამოაქვეყნა ნაშრომები „Lehrbriefe“ - უფროსებისთვის ენის თვითმასწავლებელი. 1856 წელს კი უცხო ენების სწავლებისთვის ფრანგ შარლ ტუშენტან (ბერლინის უნივერსიტეტში ფრანგულს ასწავლიდა) ერთად ბერლინში შექმნა დისტანციურ სწავლებაზე დაფუძნებული პირველი ინსტიტუტი, რომელიც ძალიან წარმატებული აღმოჩნდა.

მე-19 საუკუნის 70-90-იან წლებში უკვე ბევრ უმაღლეს სასწავლებელში გაიხსნა დისტანციური სწავლების კურსები, რომლებზეც ათასობით ახალგაზრდა ეუფლებოდა პროფესიას. მაგალითად, ჩიკაგოს უნივერსიტეტში ყოველწლიურად 125 მასწავლებელი 3000-მდე სტუდენტს ასწავლიდა. ამის მიუხედავად, საუკუნის მიწურულისთვის ინგლისურ და ამერიკულ უმაღლეს სასწავლებლებში ენთუზიაზმის შენელებას და მსგავსი პროგრამების ხარისხის მიმართ შემოფოთებას მათი შეწყვეტის რეკომენდაციები მოჰყვა. ნაწილობრივ ეს ფინანსური მიზეზითაც იყო გამოწვეული.

მე-20 საუკუნის დასაწყისი სწრაფი ტექნოლოგიური აღმავლობით, ტელეგრაფისა და ტელეფონის ახალ საფეხურზე ასვლით ხასიათდება, თუმცა სწავლებაში მათი გამოყენების სანდო ფაქტები ჯერჯერობით ვერ იძებნება. რადიო-ტელევიზიის გამოჩენამ კი დისტანციური სწავლების მეთოდებში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. ბევრ ადამიანს, ალბათ, დღემდე ახსოვს საგანმანათლებლო სატელევიზიო პროგრამები, რომლებიც გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მაუწყებლობდა. სწავლების აუდიტორია საგრძნობლად გაიზარდა. ამის მიუხედავად, ტელევიზიასა და რადიოს მნიშვნელოვანი ნაკლი ჰქონდა - სტუდენტები უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას იყვნენ მოკლებული.

ყოფილ საბჭოეთში 1929 წელს რუსეთის ფედერაციის განათლების სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა უმაღლესი და საშუალო დაუსწრებელი განათლების ფუნდამენტური საფუძვლები, ანუ დისტანციური სწავლება იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც გარკვეული მიზეზების გამო გაკვეთილებსა და ლექციებზე დასწრება არ შეეძლოთ. 1960 წლისთვის საბჭოთა კავშირში უკვე მოქმედებდა 11 დაუსწრებელი უნივერსიტეტი და ტრადიციულ უმაღლეს სასწავლებლებში უამრავი დაუსწრებელი ფაკულტეტი, რომლებიც მე-20 საუკუნის მიწურულისთვის საქართველოში, ფაქტობრივად, ყველგან გაუქმდა.

მშრომელი ადამიანებისთვის დისტანციურად განათლების მისაღებად ინგლისში „ღია უნივერსიტეტის“ გახსნის იდეა ლორდ მაიკლ იანგს ეკუთვნის, რასაც 1963 წელს მხარი დაუჭირა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეიმს ჰაროლდ ვილსონმა. ექვსი წლის შემდეგ კი იდეას ფრთები შეესხა - 1969 წელს ბრიტანეთის დედოფალ ელიზაბეტა მე-2-ის ბრძანებულებით მსოფლიოში პირველი დისტანციური განათლების უმაღლესი სასწავლებელი - დიდი ბრიტანეთის ღია უნივერსიტეტი (The Open University) დაარსდა. სახელწოდებაც სათანადოდ შეირჩა, რომ შესატანის თვალსაზრისით საყოველთაო ხელმისაწვდომობა, ასევე, აუდიტორიულ მეცადინეობებზე დაუსწრებლობის შესაძლებლობა ეჩვენებინათ [5].

უნდა ითქვას, რომ მე-18 საუკუნიდან დღემდე დისტანციური განათლების კონცეფცია, ფაქტობრივად, უცვლელი დარჩა, მხოლოდ საკომუნიკაციო არხები და განხორციელების ტექნოლოგიები უფრო მობილური გახდა. მეცნიერები, საერთოდ, დისტანციური სწავლების განვითარების 3-5 ძირითად ეტაპს გამოყოფენ. ჩვენ უფრო მკვლევართა იმ ვარაუდს ვემხრობით, რომელშიც ოთხ ეტაპზე კეთდება აქცენტი. ისინი, უმთავრესად, ტექნიკური საშუალებების განვითარებას უკავშირდება.

პირველ პერიოდად მიჩნეულია მე-18 საუკუნიდან 1960-იანი წლები, როცა ძირითადად მხოლოდ ერთი სახის ტექნოლოგია გამოიყენებოდა: ბეჭდური პროდუქცია და საფოსტო გზავნილები ან რადიო-ტელევიზია.

მეორე ეტაპი 1965 წლიდან 1980 წლამდე გრძელდება. ამ დროს დისტანციური სწავლების განსახორციელებლად უკომპიუტეროდ გადაცემის რამდენიმე ახალ საშუალებას (აუდიო და ვიდეოკასეტები, ფაქსი და სხვ.) იყენებდნენ.

მესამე ეტაპი 1980 წლიდან 1995 წლამდე პერიოდს მოიცავს. დისტანციური სწავლების ეს თხუთმეტწლიანი მონაკვეთი ახალ საინფორმაციო-საკომუნიკაციო კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტტექნოლოგიის დანერგვას უკავშირდება. ამ საშუალებებით ძირითადი საქმიანობისგან მოუწყვეტლივ დისტანციურად განათლების მიღება გახდა შესაძლებელი.

მეოთხე ეტაპი 1995 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. ის აერთიანებს ყველა თაობის ტექნოლოგიებს თანამედროვე ვიდეოკონფერენციებისა და ვებინარების ჩართვით [6].

მეცნიერთა აზრით, დისტანციური სწავლების ტექნოლოგიათა ყოველი ახალი თაობა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის კონტაქტებისა და თანამშრომლობის შესაძლებლობებს ზრდის. XXI საუკუნეში კომპიუტერებისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა დისტანციური სწავლების გავრცელებას აადვილებს და აჩქარებს. ინტერნეტი გახდა უდიდესი მიღწევა, ბევრად უფრო დიდი, ვიდრე რადიო-ტელევიზია. ახლა სტუდენტთან კომუნიკაცია და უკუკავშირი ნებისმიერ სიტუაციაშია შესაძლებელი. 2020 წელს კოვიდპანდემიის გავრცელებამ დისტანციური (ონლაინ) სწავლების პროცესი უფრო მასშტაბური გახადა, რადგან მსოფლიოში უმაღლესი სასწავლებლების დიდი რაოდენობა დროებით დაიხურა.

დღეს ყველა ქვეყანაში დისტანციური სწავლების ბუმია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს მე-19 საუკუნის მიწურულის მწარე მაგალითები. მით უმეტეს, რომ ონლაინ სწავლების პროგრამების ხარისხის შესუსტების გამო უკვე იგრძნობა ერთგვარი უკამაყოფილება. მართალია, ონლაინ სწავლა/სწავლება ეფექტიანი გამოსავალია პანდემიისას სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად საგანმანათლებლო პროცესის შეუჩერებლად, მაგრამ, როგორც კვლევამ გვიჩვენა, სტუდენტებისა და მათი მშობლების უმრავლესობას სწავლა/სწავლების ტრადიციული მეთოდები ურჩევნია პირდაპირი კომუნიკაციითა და სააუდიტორიო დისკუსიებით. ჩვენ მიერ გამოკითხული სტუდენტთა 300-მდე მშობლიდან 225 მიიჩნევს, რომ მათი შვილები ბოლო ორი წელიწადია, შესაფერის განათლებას ვერ იღებენ. ზოგის მოსაზრებით, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, 2020 წელი საერთოდ აკადემიურ წლად გამოცხადებულიყო.

ცხადია, ამგვარ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით - მსგავსი პრეცედენტი დაუშვებელი იყო, რადგან სწავლების სისტემაში ეს უზარმაზარ პრობლემებს შექმნიდა, თუნდაც სასწავლო პროგრამების ჩავარდნით, მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდების გაზარდვით; მათ, ფაქტობრივად, ქუჩისთვის გავიმეტებდით.

ცნობილია, რომ პედაგოგიკა უძველესი დროიდან უდიდეს ყურადღებას აქცევდა ოჯახის როლს მოზარდის აღზრდაში. დღესაც იმ ოჯახებში, სადაც სწავლა პრიორიტეტულია, მშობლებიც აქტიურად არიან ჩაბმული სწავლების პროცესში და ყოველმხრივ უწყობენ ხელს ონლაინ სწავლებით უმაღლესი განათლების მიღებას, თუნდაც იმიტომ, რომ დისტანციურ სწავლებას ჩვეულებრივი სწავლების ფორმასთან შედარებით მრავალი მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს, კერძოდ;

*სტუდენტები განათლებას ღებულობენ მათთვის ხელსაყრელ დროსა და სივრცეში, ანუ სასწავლო პროცესი მორგებულია პროფესორებისა და სტუდენტების შესაძლებლობებსა თუ საჭიროებებზე;

*სტუდენტები შეზღუდული არ არიან მანძილით - შეუძლიათ ისწავლონ ყველგან, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, თანაც ძირითადი საქმიანობისგან მოუწყვეტლად; ვალდებული არ არიან, მკაცრად დაიცვან განრიგი. ლექციების ყურება შეუძლიათ ღამითაც, მეცადინეობაზე დასწრება - მგზავრობისას სმარტფონის გამოყენებით; სწავლების ადგილზე გასამგზავრებელი ხარჯები მნიშვნელოვნად მცირდება;

*პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ივითარებენ უნარებსა და ცოდნას თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სტანდარტების შესაბამისად;

*დისტანციური სწავლება რეალური საშუალებაა სასწავლო პროცესის ეფექტურად მოსაწყობად, რაც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, მისთვის სასურველი სწავლის დრო და ტემპი შეარჩიოს; შეიქმნას ერთიანი საგანმანათლებლო გარემო;

*სწავლების ეს ფორმა ერთობ მოსახერხებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის;

*ადამიანი ერთდროულად სწავლობს ერთზე მეტ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უწყვეტად იმაღლებს კვალიფიკაციის დონეს;

*საგანმანათლებლო მასალაში სურათების, ტექსტის, ხმისა და ვიდეოს აქტიური გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის ახალი ინფორმაციის ათვისების ხარისხს...

ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ დისტანციური სწავლების შედეგები არ ჩამოუვარდება, თუმცა არც აღემატება, ტრადიციული განათლების შედეგებს. მკვლევართა აზრით, ონლაინ სწავლებისას სასწავლო კურსის უმეტეს ნაწილს სტუდენტები თავად ამუშავებენ. ეს აუმაღლებს ნასწავლი თემების დამახსოვრებას, გაგებას და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დაუყოვნებლივ გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, უახლესი ტექნოლოგიები სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოსა და ცოცხალს ხდის.

ბოსტონში დაფუძნებულმა ერთ-ერთმა საკონსულტაციო ფირმამ (Eduventures, Inc., 2006) დაადგინა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების დაახლოებით ნახევარი დადამსაქმებელთა 60 პროცენტზე მეტი, ზოგადად, ეთანხმება მაღალხარისხიან ონლაინ სწავლებას, სტუდენტთა მოსაზრებები კი საკმაოდ განსხვავებულია. გამოკითხულ ონლაინ სტუდენტთა მხოლოდ 33 %-ს მიაჩნია, რომ დისტანციური სწავლება ხარისხიანი და კარგია, 36 % ამგვარი სწავლების გამო შემფოთებას გამოთქვამს.

საქართველოს განათლების კვლევების ასოციაციამ 2020 წლის ივნისში ელექტრონულ სწავლებაზე კონფერენცია მოაწყო სახელწოდებით „პანდემია და განათლება“. მთავარი საკითხი იყო, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს საქართველოს განათლების სისტემა კოვიდ პანდემიით გამოწვეულ მდგომარეობას, რა გავლენა ექნება ონლაინ სწავლებას სტუდენტთა განათლების ხარისხზე და როგორ აისახება ეს ყველაფერი მათი დასაქმების შესაძლებლობებზე, რადგან ჩვენთან ონლაინ განათლების არჩევისას მთავარ სირთულედ მოტივაცია და მენტალიტეტი მიიჩნევა. საერთოდ, ცნობილია, რომ თვითორგანიზებისა და პასუხისმგებლობის მაღალი დონე ადამიანის ხასიათის უძლიერესი თვისება არ არის. ამიტომაცაა, სტატისტიკის თანახმად, დღეს მსოფლიოში სტუდენტების 40%-მდე უარს ამბობს კურსის დასრულებაზე, უკმაყოფილოა დისტანციური სწავლა/სწავლებით. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მას დადებითთან ერთად უამრავი უარყოფითი მხარეც აქვს, რომლებიც განსაკუთრებით 2019-2020 სასწავლო წლის მეორე ნახევარში სწავლების ახალ ფორმატზე მოულოდნელმა იძულებითმა გადასვლამ გამოავლინა:

*უპირველესი ნაკლია „შინ ჩაკეტილი“ სტუდენტის სოციალურ გარემოში ადაპტირების პრობლემა; სტუდენტსა და ლექტორს შორის პირისპირ კომუნიკაციის ნაკლებობა, ანუ გამორიცხულია ყველა ასპექტი, რომლებიც დაკავშირებულია ინდივიდუალურ მიდგომასა და აღზრდასთან, სტუდენტის ცოდნის ემოციურად შეფასებასთან.

*დისტანციური სწავლა/სწავლება მკაცრ თვითდისციპლინასა და თვითკონტროლს მოითხოვს, ამიტომ მისი შედეგი პირდაპირ არის დამოკიდებული სტუდენტის სწავლებისადმი დამოუკიდებლობასა და ცნობიერებაზე, რაშიც ერთობ მოვიკოჭლებთ.

*მნიშვნელოვანი პრობლემაა არასაიმედო კომუნიკაცია, ინფორმაციის წყაროებზე მუდმივი წვდომა, კარგი ტექნიკური აღჭურვილობა, რადგან ყველას, ვისაც ონლაინ სწავლა სურს, არ აქვს კომპიუტერი და ინტერნეტი.

*დამატებითი სირთულეებია ასაკოვანი პროფესორ-მასწავლებლებისთვის თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების ათვისება;

*არ ხდება მუდმივი კონტროლი სტუდენტებზე, რაც ქართველი ადამიანისთვის, მენტალობიდან გამომდინარე, ძლიერი წამქეხებელი სტიმულია.

*დისტანციური განათლებისას სწავლა/სწავლების საფუძველი უმთავრესად წერაა, ამიტომ ცოდნის სიტყვიერად გამოხატვის შესაძლებლობის შეზღუდვა, არ არის გამორიცხული, მომავალში ზოგისთვის დაბრკოლებად იქცეს.

*ონლაინ სწავლებისას სტუდენტთა ცოდნის დონის შეფასების ობიექტურობა საგრძნობლად შემცირებულია, რადგან ეს დისტანციურად ხორციელდება და ლექტორი ხშირად ვერ ადგენს სტუდენტის მიერ კონკრეტული დავალების შესრულების დამოუკიდებლობის ხარისხს;

*მცირდება სტუდენტთა მოტივაცია: ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა, რომელსაც დასწრებული სწავლა/სწავლებისას მაღალი შედეგები ჰქონდა, სწავლების შეცვლილ პირობებში აკადემიური მოსწრება მკვეთრად გააუარესა [2].

მოგეხსენებათ, სტუდენტი მაქსიმალურად უნდა ჩაერთოს სალექციო პროცესში. ფრონტალური გამოკითხვისას მოისმინოს და გაიაზროს ინფორმაცია, „თანამშრომლობითი სწავლებისას“ იყოს აქტიური, არ ემინოდეს აზრის გამოთქმის, შეცდომების დაშვების, როგორც ჩვეულებრივი ლექციების ჩატარებისას. საამისოდ, სასურველია, რომ კამერა იყოს ჩართული. რადგან ამ დროს ლექტორი ნათლად ხედავს სტუდენტის გამომეტყველებას, მიმიკებს, მოძრაობას, ქცევას.

ვიზუალური კავშირი კი სტუდენტის ლექციაში ჩართულობის ხარისხის გამოცნობას აადვილებს. წინააღმდეგ შემთხვევისას წარმოუდგენელია, განისაზღვროს სად იმყოფება სტუდენტი და ლექციის მსვლელობისას რით არის დაკავებული. კამერის ჩართვის მოთხოვნამ კი, შესაძლოა, მას დისკომფორტი შეუქმნას (ლექტორის დისკომფორტზე არავინ ზრუნავს), რადგან ზოგს მიაჩნია, რომ არაფოტოგენურია და ეკრანზე ცუდად ჩანს. რის გამოც დაძაბულია,

ლექციაზე ვერ კონცენტრირდება, არ სურს მთელი საათი მონიტორს უყუროს.

ამერიკელი ფსიქოლოგი, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი კარლ როჯერსი ამბობს, რომ „ადამიანი, არსებითად, კარგი და კეთილი არსებაა თვითრეალიზაციის თანდაყოლილი მიდრეკილებით. იმისთვის, რომ იგი პიროვნულად გაიზარდოს, განსაკუთრებით სამი პირობაა მნიშვნელოვანი: გულწრფელობა, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და ემპათია“ [7]. ამიტომ გასათვალისწინებელია, რომ სტუდენტს, რომელსაც ონლაინ სწავლებით უნივერსიტეტი „შინ ეწვია“, ისეთი განცდა აქვს, მხოლოდ ლექტორი და თანაჯგუფელები კი არა, მის პასუხს უამრავი უცხო ადამიანი უსმენს, რის გამოც დათრგუნულია, ცდილობს, სემინარებზე იყოს პასიური, კითხვებზე პასუხებისას რამდენიმე სიტყვით შემოიფარგლოს, რომ შეცდომები ნაკლებად დაუშვას. ამას გრძნობს ლექტორი და სემინარის ხარისხზე მეტად მშვიდი გარემოს შექმნაზე ზრუნავს. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კამერის ჩართვის მოთხოვნა დროის დაკარგვას, ლექციის რიტმის ვარდნასა და მეცადინეობაში ნეგატიური ენერგიის შეტანას გამოიწვევს. ამიტომ სტუდენტებს არ ვთხოვ კამერის ჩართვას. თუმცა მგონია, რომ ამდენ დათმობაზე წასვლა მათს გაზარდვას, სასწავლო რიტმიდან ამოვარდნას იწვევს. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ დისტანციური სწავლა/სწავლებისას ლექტორი თავისი ჯგუფის წევრებს, ფაქტობრივად, ვერ ცნობს, ამიტომ უჭირს იმის განსაზღვრა, სემინარებზე ვინ პასუხობს – სტუდენტი თუ უცხო პიროვნება.

თვალსაჩინოებისთვის პირადი პრაქტიკიდან ორიოდ მაგალითს შემოგთავაზებთ:

წლეულს ფოთი-თბილისის მატარებელზე ორი გოგონა დამემგზავრა. ხაშურამდე მათ ყურადღება არავისთვის მიუქცევიათ, რადგან ლეპტოპზე გამალებით რაღაცას აწყობდნენ. დავინტერესდი და აღმოჩნდა, რომ სამიოდე საათის განმავლობაში ორ-ორი პრეზენტაცია გაუგზავნეს ლექტორებს. ნაშრომების ხარისხზე რომ ვკითხე, გაელიმათ – მთავარია, დავალება შევასრულეთ, არავინ გვისაყვედურებს და ქულებსაც დაგვიწერენო; ერთ-ერთი სემინარისას სტუდენტი გოგონა პირველად შემოგვიერთდა და მთხოვა, განვლილ მასალას ჩაგაბარებოთ. ეკრანზე მის სახეს ვერ ვხედავდი, ამიტომ ინტუიციით მივხვდი, რომ ლექციიდან მონაკვეთს ან ზეპირად ამბობდა, ან კითხულობდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ხმა შეწყდა. მისმა ჯგუფელებმა

მითხრეს, ალბათ, ინტერნეტი გაეთიშაო, რაც ჩემთვის უცხო არ ყოფილა. ათიოდე წუთში ის გოგონა ისევ ჩაგვერთო - მაპატიეთ, მომხმარებელი შემოვიდა და რომ არ მოვმსახურებოდი, არ შეიძლებოდაო.

ცხადია, წინააღმდეგ შემთხვევაში დამსაქმებელი სამუშაოდან დაითხოვდა, უმაღლეს სასწავლებელში ლექცია-სემინარებზე დასწრებას კი არავინ ავალდებულებს, გამსვლელ ქულებს, ფაქტობრივად, მაინც ყველა მიიღებს და უნივერსიტეტსაც დაამთავრებს. შემდეგ ასეთი სპეციალისტი საზოგადოებას უბრუნდება. ალბათ, მალე ჩვენთანაც დადგება დრო, როცა მსგავსი დიპლომიანები კონკურენციას ვერ გაუძლებენ და პროფესიონალების მოძიება უცხოეთში მოგვიწევს. მაშინ ახალგაზრდები სწავლაზე საერთოდ აიცრუებენ გულს, რისი ტენდენციებიც უკვე ნათლად შეინიშნება.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სპეციალისტების რაოდენობის მხრივ მე-19 საუკუნის მიწურულისა და დღევანდელი მდგომარეობის შედარებაც არ შეიძლება. მაშინ პროფესიონალების დეფიციტი იყო, ამის მიუხედავად, დისტანციურ სწავლებას უხარისხობის გამო უარი უთხრეს. დღეს კი დიპლომიანთა სიჭარბეა, ამიტომ ხვალინდელ დღესა და ონლაინ სწავლების ფორმატის დახვეწაზე მეტი დაფიქრება გვმართებს, რომ, ზოგადად, საგანმანათლებლო სისტემამ წარმატებით იფუნქციონიროს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=83>;
2. Артюхов А.А. Некоторые аспекты теории и практики организации дистанционного обучения при изучении географии в основной школе (рус.) // Международный научно-исследовательский журнал, 2021, Т.Выпуск 5, С. 51-52;
3. Зайченко Т. П. Основы дистанционного обучения: теоретико-практический базис : учебное пособие. — СПб.: Изд-во РГПУ им. А. И. Герцена, 2004, 167 с.;
4. Ибраева К.Ж., Хамидулина Д.М. Этапы развития дистанционного обучения // Молодой ученый. 2014. № 18. С. 669-671. (URL: <http://www.moluch.ru/archive/77/13200/>);
5. https://ru.wikipedia.org/wiki/Дистанционное_обучение, გადამოწმდა 10. 06. 2021;
6. <https://swsu.ru/sbornik-statey/distantsionnoe-obuchenie-istoriya-problemy-i-resheniya.php>, გადამოწმდა 25.06.2021;
7. Rogers, C. Client-centered Therapy: Its Current Practice, Implications and Theory. London: Constable: Sage, 1951; (კარლ როჯერსი, „პიროვნებაზე ცენტრირებული მიდგომა“);
8. Роджерс К. Р. Взгляд на психотерапию. Становление человека. М.: Издательская группа «Прогресс», «Универс», 1994, 480 с.;
9. Теория и практика дистанционного обучения: Учеб. пособие для студ. высш. пед. учебн. заведений / Е. С. Полат, М. Ю. Бухаркина, М. В. Моисеева; Под ред. Е. С. Полат // М.: Издательский центр «Академия», 2004, 416 с.- стр. 17;
10. Хусяинов Т. М. История развития и распространения дистанционного образования // Педагогика и просвещение, 2014. № 4, С. 30-41. DOI: 10.7256/2306-434X.2014.4.14288.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია დისტანციური განათლების სისტემის განვითარებისა და ფორმირების მთავარი ეტაპები მე-18 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული თანამედროვე ონლაინ განათლებით. კვლევის საგანია დისტანციური სწავლების განვითარების პროცესი. ნაშრომში გაანალიზებულია უცხოური და საშინაო გამოცდილება დისტანციური სწავლა/სწავლების განხორციელებისას, ონლაინ სწავლების განვითარების ძირითადი ეტაპები.

XXI საუკუნის ტექნიკური პროგრესი და ტექნოლოგიური პროცესები დიდ ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე განათლების პროცესებზე. გლობალიზაციისა და კონკურენციის პირობებში, ცხადია, აუცილებელია არსებული საგანმანათლებლო სისტემის ტრანსფორმაცია, ეს გზა ახალ ტექნოლოგიებზე გადის. მიზნის მისაღწევად საჭიროა არსებული პედაგოგიური გამოცდილებისა და მეცნიერული კვლევების შერწყმა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებთან.

უწყვეტი თვითგანვითარება და თვითგანათლება არის წარმატებული ადამიანის არჩევანი, რომელიც ცდილობს გააცნობიეროს თავისი პოტენციალი. ინტერნეტტექნოლოგიების ფართო გამოყენება თანამედროვე ადამიანებს ამ მიმართულებით უპრეცედენტო შესაძლებლობებს უქმნის.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური განათლება, დისტანციური სწავლება, ღია უნივერსიტეტი, ლექტორი, სტუდენტი, ონლაინ განათლება, საგანმანათლებლო ტექნოლოგიები, ხარისხი.

Vaja Danelia

Doctor of Social Sciences
Georgia, Tbilisi

Some Aspects of the History and Modernity of Distance Learning

Summary

The article discusses the main stages of development and formation of the distance education system from the beginning of the XVIII century to the present with modern online education implemented through the Internet. The subject of research is the process of development of distance learning. The paper analyzes international and domestic experience in distance learning / implementation, the main stages of online learning development.

The technical progress and technological processes of the XXI century have a great impact on the ongoing education processes in the country. In the conditions of globalization and competition, it is clear that it is necessary to transform the existing educational system, this pass leadsto new technologies. To achieve the goal, it is necessary to combine existing pedagogical experience and scientific research with modern information technologies.

Continuous self-development and self-education is the choice of a successful person who is trying to realize own potential. The widespread use of Internet technologies has created unprecedented opportunities for modern people in this area.

Key words: distance education, distance learning, open university, lecturer, student, online education, educational technologies, quality.

აკაკი ზოიძე,

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო
უნივერსიტეტის განათლების
სპეციალობის
პროგრამების ხელმძღვანელი,
პროფესორი
საქართველო, ბათუმი

ოჯახი, თემი, სააღმზრდელო დაწესებულება

ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდა-განათლებისა და განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოჯახის, თემისა და სკოლამდელი დაწესებულების ერთობლივ მუშაობას. სწორად მართული ურთიერთობები, მშობლებისა და აღმზრდელების თანამშრომლობა, ბავშვის მიმართ ჰოლისტიური (მთლიანობით) მიდგომის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და პოზიტიურად აისახება სააღმზრდელო პროცესზე.

როგორც ცნობილია, აღზრდის პირველადი კერა ოჯახია. აქ ეყრება საფუძველი მომავლის ღირსეული მოქალაქის ყოველმხრივ განვითარებას, მის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და შრომით აღზრდას. დედა და მამა ოჯახის პირველი, ისეთი სარკეა, რომელშიც ნათლად მოჩანს მათი ზნეობრივი სახე. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ ბავშვი მასში აუცილებლად ხედავდეს საუკეთესო ადამიანური თვისებების ანარეკლს. „მამისეულო სახლო, შენ ზნეობათა სკოლა ხარ“, - აღნიშნავდა პესტალოცი. მართლაც, ადამიანი მშობლებისგან იღებს ყოველივე კარგს და მშვენიერს, კეთილშობილურსა და ამაღლებულს, წმინდასა და ძვირფასს. ის ღირსებები, რასაც აღსაზრდელი ოჯახში მშობლების უშუალო ხელმძღვანელობით იძენს, საგზლად მიჰყვება მას მთელი ცხოვრების მანძილზე. ამიტომაცაა ოჯახი სახელმწიფოს, სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების პირველადი უჯრედი და დასაყრდენი, მისი წინსვლა-განვითარების აუცილებელი პირობა.

აღმზრდელ-პედაგოგები ყოველთვის უნდა ითვალისწინებდნენ ოჯახის განუსაზღვრელ როლს და მნიშვნელობას მოზარდების აღზრდაში. ისინი მშობლებთან ერთად მუშაობით, პასუხისმგებლობის განაწილებით, თანამშრომლური ურთიერთობით ადვილად სძლევენ პრობლემებს და აღწევენ დასახულ მიზანს. აღსაზრდელებისადმი განსაკუთრებული მზრუნველობა, მათი ინტერესების წინ წამოწევა და მუშაობაში გათვალისწინება მყარ საფუძველს ქმნის საბავშვო ბაღსა და ოჯახს შორის კეთილგანწყობისა და კარგი დამოკიდებულებისთვის.

სკოლამდელი დაწესებულების ოჯახთან მუშაობამ რომ ქმედითი შედეგი გამოიღოს და ხელი შეუწყოს მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლებასა და ერთიანობის დამყარებას ბავშვების აღზრდაში, საამისოდ აუცილებელია მუშაობა მიზანმიმართულად, გეგმაზომიერად და სისტემატურად ტარდებოდეს. ასევე მნიშვნელოვანია ინდივიდუალობა და დიფერენცირებული მიდგომა, რომელიც უნდა ემყარებოდეს ოჯახისა და ბავშვის ასაკობრივი განვითარების კანონზომიერების, ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას, მის სულიერ სამყაროში წვდომას. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ოჯახთან მუშაობა - აღმზრდელისა და საბავშვო ბაგა-ბაღის და სხვა მუშაკთა მნიშვნელოვანი საქმეა. იგი მიმართულია ოჯახური და საზოგადოებრივი აღზრდის ერთიანობის უზრუნველყოფისკენ. ბავშვის ბაგა-ბაღში ჩარიცხვის მომენტიდან მშობელსა და აღმზრდელს შორის მჭიდრო

კონტაქტი უნდა არსებობდეს. სასწავლო წლის დაწყებისთანავე, აღმზრდელი მშობელს უნდა აცნობდეს სამუშაო გეგმას, ისმენდეს მის მოსაზრებებს, იღებდეს ინფორმაციას აღსაზრდელის ინდივიდუალურ თავისებურებებზე და მას მუშაობის პროცესშივე ითვალისწინებდეს. ასევე აღმზრდელი მშობელს ბავშვის განვითარების პორტფოლიოს შესახებ უნდა ესაუბროს და გააცნოს იგი. მშობელმა უნდა იცოდეს, რომ პორტფოლიო მისთვის ნებისმიერ დროს იქნება ხელმისაწვდომი.

აღმზრდელი და მშობელი (საჭიროების დროს) ბაგა-ბაღის სხვა მუშაკებთან ერთად უნდა განიხილავდნენ აღსაზრდელის განვითარებისა და სააღმზრდელო დაწესებულებასთან ბავშვის ადაპტირებას, ქცევის მართვის პრინციპებს, მის რესურსებს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, სპეციალურ საჭიროებებს-კვების, დასვენების, გასეირნების, ძილის საკითხებს. მუშაობის ცხრილი, კვების მენიუ, დღის რეჟიმი თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს გამოკრული, რაც მშობლებს შესაძლებლობებს მისცემს ფლობდნენ ინფორმაციებს ყოველდღიური აქტივობების შესახებ.

თემთან შეხვედრები და მშობლების რესურსის გამოყენება. თემში მოიაზრება სააღმზრდელო დაწესებულება, ახლო პერიმეტრზე მცხოვრები მოსახლეობა - „მეზობლები“, ასევე ახლოს მდებარე დაწესებულებები და ორგანიზაციები: სკოლა, ბიბლიოთეკა, კლუბი, სამედიცინო დაწესებულება, ბანკი, მაღაზია, აფთიაქი, პოლიცია, მუნიციპალიტეტი, კინოთეატრი, კაფე-ბარი და ა.შ. აღმზრდელებს უფლება აქვთ თემატურ აქტივობებში გამოიყენონ თემში არსებული რესურსები, შეუძლიათ მოაწყონ ექსკურსიები, აღსაზრდელებს დაათვალიერებინონ და გააცნონ სკოლა. პატარები შეიძლება შეხვდნენ იმ პედაგოგებს, რომლებიც ახალი სასწავლო წლიდან პირველ კლასში მიიღებენ მოსწავლეებს, სადაც საბავშვო ბაღის აღსაზრდელებიც იქნებიან.

ბიბლიოთეკაში ექსკურსიის დროს ბავშვები გაეცნობიან ბიბლიოთეკარის საქმიანობას. მათი ყურადღება გამახვილდება წიგნის განუსაზღვრელ როლსა და მნიშვნელობაზე, პოლიციის შენობის დათვალიერებისას კი - პოლიციელების საქმიანობას. ერთ-ერთი მუშაკი შეიძლება ბაღშიც მიიწვიონ და თემატური აქტივობების ჩატარებაში დაეხმაროს აღმზრდელს. ამით პატარებს პოზიტიური განწყობა შეექმნებათ სამართალდამცავების მიმართ.

ასევე შესაძლებელია თემში არსებულ სამედიცინო პუნქტში, მაღაზიაში, აფთიაქში სტუმრობა და დათვალიერება. სასურველია თემში მცხოვრები მედიცინის მუშაკებთან შეხვედრა. თეთრხალათიანი ექიმი საჭირო ატრიბუტიკით პატარების განსაკუთრებულ ყურადღებას მიიპყრობს. მედმუშაკი დაეხმარება აღმზრდელს პროცესის წარმართვაში, ითამაშებს ბავშვებთან, ესაუბრება მათ თავის საქმიანობაზე, რაც პატარებს კეთილგანწყობას შეუქმნის ექიმის მიმართ და მოუხსნის მათთან ვიზიტის შიშს.

სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელებს შეუძლიათ თემთან ერთად დაგეგმონ და ჩაატარონ სახალხო, ტრადიციული თუ რელიგიური დღესასწაულები. მაგალითად, „დედის დღე“, „საქართველოს დამოუკიდებლობის დღე“, „ალილო“ და ა.შ. ბავშვები „ალილოს“ ჩატარების დროს შეგროვებულ ნობათს გადასცემენ მოხუცთა თავშესაფრებს ან შეჭირვებული ოჯახების ბავშვებს.

„ეკოლოგიის დღეს“ მშობლებისა და თემში მცხოვრები მოსახლეობის დახმარებით, მათი აქტიური ჩართულობით დასუფთავდება ბაღისა და მისი მიმდებარე ტერიტორია, შეიძლება დარგონ მცენარეებიც და შემდგომში იზრუნონ მათ მოვლა-პატრონობაზე.

სასურველია თემში მცხოვრები გამოჩენილი ადამიანების – მწერლების, პოეტების, ომისა და შრომის ვეტერანების მოწვევა, რასაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ასეთი შეხვედრები დიდხანს ამახსოვრდებათ ბავშვებს და კეთილ კვალს ტოვებს მათში.

ასევე სასურველია მშობელთა ჩართულობით, „კულინარიის დღის“ ორგანიზება. აღსაზრდელები საკუთარი ხელებით მოამზადებენ ტკბილეულს და დაპატიჟებენ სტუმრებს, რომლებსაც თავიანთი ნახელავით გაუმასპინძლდებიან [1, 13].

ასეთი ღრმაშინაარსიანი ღონისძიებები და შეხვედრები აფართოებს ნორჩი მოქალაქეების თვალსაწიერს, ხელს უწყობს თემთა შეხვედრების ორგანიზებას და საკუთარი განცდის აღქმას.

დავუბრუნდეთ საბავშვო ბაგა-ბაღისა და ოჯახის ერთობლივ მუშაობას.

ოჯახთან მუშაობაში წყდება შემდეგი ამოცანები:

- ბავშვების აღზრდაში ერთიანობის დამყარება;

- მშობლების პედაგოგიური განათლება;

- ცხოვრებისა და აღზრდის პირობების შესწავლა ყოველ ოჯახში, მოწინავე გამოცდილების გამოკვეთა და განზოგადება;

- მშობლების მიერ სკოლამდელი დაწესებულებებისა და მუშაობის გაცნობა.

ნორჩი მოქალაქეების სრულფასოვან მოქალაქეებად აღზრდა-ფორმირებაში, როგორც ითქვა, მეტად მნიშვნელოვანია საბავშვო ბაღისა და ოჯახის ერთობლივი, აღმზრდელობითი მუშაობა.

ერთიანობის დამყარება და ერთობლივი მოთხოვნების დაყენება ეხმარება ბავშვებს სწორი ქცევისა და შეხედულების გამომუშავებაში, ჩვევის, ცოდნისა და უნარის დაუფლებაში, ზრდის უფროსების ავტორიტეტს.

მშობლების პედაგოგიური განათლება - სკოლამდელი დაწესებულების უპირველესი მოვალეობაა. აღმზრდელები უნდა დაეხმარონ მშობლებს რათა დაეუფლონ ისინი ბავშვის განვითარების კანონზომიერებების ცოდნას, გაეცნონ ისეთ მეცნიერებებს, როგორიცაა: ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, ანატომია, ფიზიოლოგია და ჰიგიენა. მათ სრულყოფილი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ იმ გზებზე, მეთოდებსა და საშუალებებზე, რომლებიც დაეხმარება სკოლისთვის ბავშვების მომზადებასა და მომავლის ღირსეული მოქალაქეების აღზრდაში.

სასურველია, თეორიულ ცოდნასთან ერთად მშობლების ყურადღება გამახვილდეს პრაქტიკულ საკითხებზე. მაგალითად, როგორ ელაპარაკონ ბავშვებს, როგორ უპასუხონ მათ შეკითხვებს, როგორ შეაჩვიონ დავალებების შესრულებას, როგორ უხელმძღვანელონ პატარების ქცევის მთავარ ფორმას - თამაშს ისე, რომ იგი ემსახურებოდეს არა მარტო ნორჩების ფიზიკურ განვითარებას, არამედ აქტიურობდეს და ამაღლებდეს მათ შემეცნებით აქტივობას.

ოჯახური აღზრდისა და გამოცდილების შესწავლა-განზოგადება. როდესაც სხვას ვასწავლით, ჩვენც ვსწავლობთ“, - ამბობს ხალხური სიბრძნე. ასეა აღმზრდელისა და მშობლების ურთიერთობაშიც. როცა სკოლამდელი დაწესებულების მუშაკი ასწავლის აღსაზრდელის დედასა და მამას, იგი ამ პროცესში თავადაც სწავლობს. როდესაც აღმზრდელი მიდის ოჯახში, ესაუბრება მშობლებს, აკვირდება ბავშვებს, მშობლების ზეგავლენას პატარების ინტერესებსა და საქციელებზე, ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ზოგ ოჯახში წარმატებით ხორციელდება შრომითი აღზრდა, მეორეში - ესთეტიკური განვითარება, მესამეში კი - თვითმომსახურების ჩვევების დაუფლება და ა.შ. ის დაგროვებული ფაქტებით რწმუნდება იმ ჭეშმარიტებაში, რომ ბავშვის აღზრდაში მხოლოდ ის მშობლები აღწევენ წარმატებებს, რომელთაც ახლო კავშირი და ურთიერთობა აქვთ სკოლამდელ დაწესებულებასთან და აქ მიღებული ცოდნა-გამოცდილებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, გონივრულად წარმართავენ საკუთარი შვილების აღზრდას. აღმზრდელი არ უნდა დაკმაყოფილდეს ცალკეული ოჯახის მიერ აღზრდაში მიღწეული წარმატებების დაფიქსირებით, როდესაც მან იცის, თუ რომელი მშობელი წყვეტს ოჯახში სწორად აღზრდის ამა თუ იმ ამოცანას და ახორციელებს საბავშვო ბაღთან მჭიდრო ურთიერთკავშირს. ასეთი ოჯახების მუშაობა მან გულდასმით უნდა შეისწავლოს და განაზოგადოს მათი მოწინავე გამოცდილება. მეტად მნიშვნელოვანია ასეთი მშობლების გამოსვლა კრებებზე, კონფერენციებზე, კონსულტაციებზე ოჯახური აღზრდის გამოცდილების გასაზიარებლად. აღმზრდელმა უნდა შეავსოს და გაამდიდროს მშობლების გამოცდილება, საუბარში მოიყვანოს აღსაზრდელების ოჯახების ცხოვრებიდან დადებითი მაგალითები, საყურადღებო ფაქტები, რაც მშობლების თვალში მოტანილ არგუმენტებს უფრო საინტერესოსა და დამაჯერებელს გახდის.

სკოლამდელი დაწესებულებების ცხოვრებისა და მუშაობის გაცნობა. ნორჩი მოქალაქეების აღზრდაში სკოლამდელი დაწესებულებისა და ოჯახის მუშაობაში ერთიანობის დასამყარებლად აუცილებელია მშობლებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ საბავშვო ბაღისა და ბაგა-ბაღის შესახებ. მათ უნდა იცოდნენ, რას წარმოადგენენ ეს დაწესებულებები, როგორ არის ორგანიზებული მათში ბავშვების ცხოვრება, რა მიზნები აქვთ და რა ამოცანებს წყვეტენ აღმზრდელები, რას აკეთებენ, რით არიან დაკავებულნი პატარები მთელ დღეს, როგორი მოთხოვნებია წაყენებული აღსაზრდელებისადმი, როგორია მათი დღის რეჟიმი, როგორი წესებია შემოღებული მშობლებისთვის, რით არის განპირობებული ეს წესები და ა.შ.

აღმზრდელებთან ერთად მშობლებთან ახლო კავშირი და ურთიერთობა უნდა ჰქონდეს სკოლამდელი დაწესებულებების სხვა მუშაკებს - გამგეს, მუსიკის მასწავლებელს, მედდას. ისინი რეგულარულად უნდა ესაუბრებოდნენ მშობლებს საბავშვო ბაღის ცხოვრებაზე, მუშაობის ორგანიზაციაზე, სწავლა-აღზრდის პედაგოგიურ საფუძვლებზე, მოწესრიგებულ ოჯახურ გარემოზე, აქცენტი უნდა გაკეთდეს ოჯახთან ურთიერთმოქმედების აუცილებლობაზე, საჭიროა მშობლებს ნათლად და კარგად გავაცნოთ სკოლამდელი დაწესებულების ცხოვრების განსხვავებული მხარეები, ვაცნობოთ, რა მუშაობა ტარდება ბაღში ბავშვებთან, რაც კეთილად განაწყოფს მათ ამ სააღმზრდელო დაწესებულებისადმი და შეუქმნის იმის რწმენას, რომ მათი შვილების მომავალი საიმედო ხელშია.

სკოლამდელი დაწესებულების ოჯახთან წარმატებით მუშაობის პირობები. სააღმზრდელო დაწესებულების ოჯახთან გეგმაზომიერი და სისტემური მუშაობა ითვალისწინებს მის განუწყვეტლობას ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის, მისი ყოველმხრივი განვითარების პროცესისადმი კომპლექსურ მიდგომას, ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, შრომითი და ესთეტიკური აღზრდისთვის გამიჯნული ღონისძიებების რეგულარულად გამართვას, შესასწავლი საკითხების თანდათანობით გართულებასა და გაფართოებას.

მშობლების პედაგოგიური კულტურის ამაღლება შედარებით უფრო ქმედითი და შედეგია-ნია, როდესაც იგი კონკრეტულ ხასიათს ატარებს. ყოველი ღონისძიება, საუბარი, მოხსენება, კონსულტაცია, ინდივიდუალური ბარათები, მშობლებისთვის გაფორმებული სტენდი უნდა იყოს მიმართული გარკვეული მიზნისკენ. მაგალითად, „როგორ ჩავაცვათ გაზაფხულზე ბავშვებს“. საუბრის მიზანია მშობლებმა თავიდან აიცილონ ტიპური შეცდომა, მხედველობაში მიიღონ წელიწადის დროებისა და ამინდის ცვლილებები და ზამთრის ტანსაცმელი არ ჩააცვან ბავშვებს გაზაფხულზე, რაც გამოიწვევს მოძრაობის გაძნელებას.

აღმზრდელები მშობლებს უნდა დაეხმარონ, თუ როგორ გამოიყენონ ოჯახში თეორიული და მეთოდური დებულებები, რჩევები, რეკომენდაციები, რომლებიც გამოთქმულია მოხსენებაში, ლექციაზე, საუბარსა თუ კონსულტაციაზე. ამიტომ აღმზრდელმა კარგად უნდა იცოდეს თითოეული აღსაზრდელის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, ოჯახში მათი ცხოვრებისა და აღზრდის პირობები.

სასურველია, ცალკე ვესაუბროთ მშობელთა იმ ჯგუფს, რომლებსაც მხოლოდ ერთი შვილი ჰყავთ ან მარტოხელა დედები არიან. უნდა დაზუსტდეს ოჯახის მიმართ საერთო მოთხოვნები და რეკომენდაციები მშობლების პედაგოგიური განათლებისა და კულტურის დონის, მათი შესაძლებლობებისა და პირობების გათვალისწინებით. აღსაზრდელების ოჯახებისადმი დიფერენცირებული მიდგომა - ეს არის სკოლამდელი დაწესებულების ოჯახთან წარმატებით მუშაობის ერთ-ერთი პირობათაგანი.

ასევე გასათვალისწინებელია მშობლების დამოკიდებულება საბავშვო ბაღისა და ბაგა-ბაღის მუშაკებთან. ეს ურთიერთდამოკიდებულება უნდა იყოს კეთილსასურველი და მეგობრული. ოჯახისა და სკოლამდელი დაწესებულებების ინტერესები, მიზნები და

ამოცანები უნდა ემთხვეოდეს ერთიმეორეს და ემსახურებოდეს მომავლის სრულფასოვანი, ღირსეული ადამიანის აღზრდას. თუ მშობელი აღმზრდელში ხედავს ისეთ ადამიანს, რომელიც დაინტერესებულია მისი შვილის ბედით, მისი აღზრდა-განათლებით, ასეთ შემთხვევაში იგი მას ახლობელ ადამიანად, მეგობრად მიიჩნევს და მისდამი ნდობითა და პატივისცემით განიმსჭვალება.

აღმზრდელის ავტორიტეტი მაღალია მშობლების თვალში, თუ ისინი მასში ნამდვილ პროფესიონალს, კარგ, ტაქტიან სპეციალისტს, ადამიანური და პედაგოგიური ღირსეულობით შემკულ პიროვნებას ხედავენ. აღმზრდელის დამოკიდებულებას მშობლებთან საფუძვლად უდევს მათდამი პატივისცემა და დაფასება, როგორც მათი აღსაზრდელების დედებისა და მამებისა.

დასკვნის სახით შეიძლება დავსძინოთ, რომ მშობლებთან ურთიერთობაში აღმზრდელის მაღალი კულტურა და კვალიფიკაცია სასურველ ნიადაგს ქმნის ერთიანობის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთთანამშრომლობის დასამყარებლად ნორჩი მოქალაქეების აღზრდისა და სულიერი ფორმირების მეტად კეთილშობილური და ამავე დროს მეტად რთულ საქმეში.

ოჯახთან მუშაობის ფორმა და შინაარსი. სკოლამდელი დაწესებულების ოჯახთან მუშაობაში გამოიყენება ორი ძირითადი ფორმა და შინაარსი. ესენია:

- ოჯახთან მუშაობის ინდივიდუალური ფორმები;
- ოჯახთან მუშაობის კოლექტიური ფორმები.

ინდივიდუალური მუშაობის ფორმებია:

- საუბრები;
- კონსულტაციები;
- ცალკეული დედებისა და მამების მოწვევა;
- ინდივიდუალური სამახსოვროები;
- მოძრავი ბარათები.

მშობლებთან ან ოჯახის სხვა წევრებთან საუბრები ტარდება დილას ან საღამოს, როდესაც ბავშვები მოჰყავთ საბავშვო ბაღში და გამოჰყავთ ბაღიდან.

დილის შეხვედრა-საუბრები შედარებით ხანმოკლეა, თუმცა მეტად მნიშვნელოვანია ბავშვების გუნება-განწყობილების გასარკვევად. შეკითხვებით აღმზრდელი არკვევს, როგორ გაატარა ბავშვმა საღამო და ღამე, ასევე მშობლებს აწვდის მოკლე ინფორმაციებს იმ სიახლეებზე, რომლებიც აღსაზრდელებს ელოდებათ საბავშვო ბაღში - ექსკურსია, გასეირნება ბუნებაში, შეხვედრა მწერლებთან, ბავშვთა ნაკეთობების, ნახატების გამოფენა, მუსიკალური მეცადინეობა და ა. შ.

საღამოს საუბრები მეტი ხანგრძლივობით გამოირჩევა, თუმცა იგიც გარკვეულად შეზღუდულია. პედაგოგი ზოგიერთ მშობელს აწვდის ინფორმაციას, თუ როგორ გაატარა ბავშვმა დღე ბაღში, რას აკეთებდა, რაში გამოიჩინა თავი და რაზეა საჭირო უფრო მეტი ყურადღების გამახვილება. მაგალითად, მშობელს უყვება, რომ მისი შვილი აქტიურად იყო ჩართული მეცადინეობების პროცესში, გამორჩეულად აქტიურობდა ქართული ენის მეცადინეობაზე, რომ მას მიცემული აქვს დავალება - ჩამოთვალოს შინაური და გარეული ცხოველები და ფრინველები. მშობლები კი უნდა დაეხმარონ პატარას ამ დავალების შესრულებაში.

მშობლებთან საუბრის დროს შეიძლება გამოითქვას შენიშვნები, რომლებიც შეიძლება ეხებოდეს თვითმომსახურების ჩვევებს, ბავშვის გარეგნულ იერსახეს (მოშვებული, გაუკრეპავი თმა, ვიწრო ფეხსაცმელი, სეზონისთვის შეუსაბამო ტანსაცმელი...). ეს უნდა გაკეთდეს კეთილმოსურნე ტონით, ტაქტის დაცვით, ბავშვისა და მშობლის ღირსების შეუღალავად. რჩევა უნდა ემყარებოდეს პატარაზე ზრუნვასა დასიყვარულს.

კონსულტაციები ტარდება მშობლებთან იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელი ხდება გაანალიზდეს დარღვევები და შეცდომები, რომელთაც მშობლები უშვებენ შვილის აღზრდაში. მათ უნდა მიეცეს კვალიფიციური რჩევა-რეკომენდაციები მდგომარეობის გამოსასწორებლად,

არსებული პრობლემის გადასაწყვეტად. მაგალითად, დარწმუნდება რა პედაგოგი, რომ ბავშვის უქნარობა ოჯახში არასწორი აღზრდის შედეგია, მოიწვევს დედას ან მამას კონსულტაციაზე და გულდასმით განუმარტავს უქნარობის მიზეზს და ერთად დასახვეწს მისი გადაჭრის გზებს.

მშობლებთან კონსულტაციების ჩატარებაში აღმზრდელებთან ერთად მონაწილეობენ ბავშვის მუშაკები, ექიმი, დაწესებულების გამგე, ლოგოპედი, იურისტი. მნიშვნელოვანია შეიქმნას მშვიდი, საქმიანი ატმოსფერო, რომ მშობლებმა ყურადღებით მოუსმინონ კონსულტანტს, დაუსვან შეკითხვები, ჩაიწერონ ზოგიერთი რჩევა და რეკომენდაცია.

კონსულტაციის ჩატარების ინიციატორი შეიძლება იყოს როგორც აღმზრდელი, ისე მშობელიც. მისი ქმედითობა და დადებითი შედეგი დამოკიდებულია აღმზრდელის მიერ ბავშვის აღზრდის პრინციპების, მეთოდების, ასაკობრივი განვითარების თავისებურებების ცოდნასა და შესაბამისი კვალიფიციური რჩევებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბებაზე.

სასურველია პედაგოგი დაინტერესდეს, რა შედეგი გამოიღო ჩატარებულმა კონსულტაციამ, როგორ გამოიყენეს თავიანთ შვილებთან აღმზრდელობით მუშაობაში მიღებული ცოდნა, რჩევები და რეკომენდაციები. ამ მიზნით იგი პერიოდულად სტუმრობს იმ ოჯახებს, რომელთაც საჭიროდ მიიჩნევს, უშუალოდ ეცნობა იმ პირობებს, რომელშიც იზრდება ბავშვი და მოქმედებს სიტუაციის შესაბამისად, საჭირო დახმარებას უწევს ოჯახს.

აღმზრდელის მისვლა ოჯახში, მის მიერ მშობლებზე მიცემული მეგობრული რჩევები და რეკომენდაციები სკოლამდელი დაწესებულებისა და ოჯახის მჭიდრო კავშირის, კონტაქტების დამყარების, დახმარების აღმოჩენის საუკეთესო საშუალებაა.

აღმზრდელს მოეთხოვება: გულისხმიერება, ტაქტი, დელიკატურობა, კეთილმოსურნეობა, საკითხის საფუძვლიანი ცოდნა, გაცემული რეკომენდაციის კონკრეტულობა, ამიტომაც აუცილებელია აღმზრდელი საგანგებოდ მოემზადოს ოჯახში მისასვლელად, წინასწარ მოიფიქროს შეკითხვები, წინადადებები და დარიგებები. მაგალითად, შეიძლება შეადგინოს კითხვარი, რომელშიც იქნება კითხვები: „რისი გაკეთება უყვარს თქვენს შვილს შინ?“ „რაზე საუბრობთ თავისუფალ დროს?“ „რა გსურთ ისწავლოს თქვენმა შვილმა ბაღში?“ „როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებს იგი ბუნების, ცხოველებისა და ფრინველებისადმი?“ „ითვალისწინებთ თუ არა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს ბავშვის აღზრდაში?“ „აქვს თუ არა ოჯახში ბავშვს თავისი საქმე?“ „იცავს თუ არა ბავშვი რეჟიმს ოჯახში?“ „უკითხავთ თუ არა თქვენს შვილს ზღაპრებს, მოთხრობებსა და იგავ-არაკებს?“... აღნიშნული და მსგავსი შინაარსის კითხვები შესაძლებლობას აძლევს აღმზრდელს სწრაფად გაეცნოს აღსაზრდელებს და თან გაიგოს მშობელთა მოლოდინების შესახებ.

ოჯახთან ურთიერთობის მთავარი პრინციპებია:

გამოვყოთ დრო და შესაძლებლობა, მივცეთ მშობლებს საშუალება გამოთქვან საკუთარი აზრი, ისაუბრონ თავიანთ პრობლემებზე, მიზნებზე, მოლოდინებზე...

გამოვყოთ ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნება მშობელთან განცალკევებით საუბარი, დავარწმუნოთ მშობელი, რომ მოპოვებული ინფორმაცია არ გახმაურდება.

დავარწმუნოთ მშობელი ერთიანი მომთხოვნელობის პრინციპის გათვალისწინებით, ერთი პოზიციიდან, აღმზრდელთან ერთობლივი ძალისხმევით ეწეოდეს აღმზრდელობით მუშაობას.

მშობლებთან ურთიერთობის ერთ-ერთი საშუალებაა საინფორმაციო დაფებიც. დაფაზე გამოკრულია მშობელთა კრებების თარიღები, ბავშვთა განვითარების შკალები, კვების გრაფიკები, დღის რეჟიმი, სააღმზრდელო გეგმა. ასევე გამოფენილია ბავშვთა ნამუშევრები, ნახატები, ნამერწები, აპლიკაციები, ინფორმაციები და ა.შ. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ასეთი დაფები აუცილებლად უნდა იყოს ნათელი და მხიარული ფერებით გაფორმებული. ამასთან იგი ხშირად უნდა იცვლებოდეს. სასურველია საინფორმაციო დაფების გაფორმებაში ჩაერთონ მშობლებიც.

აღმზრდელს მართებს ფიქრი იმის შესახებ, რომ შესაძლებელია მშობლების ერთ ნაწილს ბავშვის განვითარების პროცესში აქტიურად ჩართვის სურვილი არ ჰქონდეს ან მისთვის დროს ვერ ანაწილებდეს. ასეთ შემთხვევებში აღმზრდელი მშობლის წახალისებას უნდა ცდილობდეს, ინდივიდუალურად უნდა შეხვდეს, ტელეფონით გაესაუბროს, აუხსნას, რამდენად მნიშვნელოვანია მისი ჩართვა აღსაზრდელის განვითარების პროცესში. საჭირო და აუცილებელია ბაგა-ბაღის ადმინისტრაციას მშობლებთან ურთიერთობის საკითხისადმი სისტემური მიდგომა და მშობლის ფასილიტაციის პროცესში აქტიური როლი ჰქონდეს.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოემზადოს აღმზრდელი ოჯახში პირველი ვიზიტისთვის. მასზე ბევრად არის დამოკიდებული ურთიერთგაგების დამყარება, ნდობა და კონტაქტი საბავშვო ბაღისა ოჯახთან. აღმზრდელს მოეთხოვება მშობლებთან შეხვედრამდე დააზუსტოს ოჯახის წევრების შესახებ ცნობები.

ოჯახში მისვლა უფრო ნაყოფიერი და ეფექტური იქნება, თუ პედაგოგი მისვლის წინ თავისთვის შეადგენს აღსაზრდელის დახასიათებას. აქცენტი უნდა გააკეთოს ისეთ მომენტებზე, რომლებიც მშობლებთან ერთად გარკვევასა და გაანალიზებას მოითხოვს. მაგალითად, თუ ბავშვი არაა შეჩვეული დამოუკიდებლობას, არ ფლობს დამოუკიდებელი თვითმომსახურების ჩვევებს, აღმზრდელმა ოჯახში ყოფნისას უნდა გაარკვიოს, რას აკეთებს ბავშვი სახლში, ასრულებს თუ არა იგი დავალებებსა და თავის მოვალებებს, შესაბამისად, აღმზრდელის რჩევები და რეკომენდაციები უნდა გამომდინარეობდეს მშობლების საუბრებიდან.

ოჯახში პირველმა მისვლამ, მშობლებთან და ოჯახის სხვა წევრებთან საუბარმა აღმზრდელს უნდა მისცეს სრული წარმოდგენა ოჯახის პირობებსა და იქ შექმნილ „კლიმატზე“, ცხოვრების წესზე, ნორჩი მოქალაქის აღზრდის სისტემაზე.

შემდგომი მისვლა ოჯახში აღმზრდელს საშუალებას აძლევს დაწვრილებით გაერკვეს ბავშვის აღზრდის კონკრეტულ საკითხებში. ამავე დროს იგი ინტერესდება, შეასრულებს თუ არა მისი რჩევები და წინადადებები. ოჯახში მისვლისას შედეგების აღრიცხვა მიზანშეწონილია წარმოებდეს სპეციალურ რეგულში და ბავშვის პორტფოლიოში.

ოჯახში საუბრის თემატიკა და შინაარსი განისაზღვრება ბავშვის ასაკით. პატარების აღზრდაზე საუბარი უპირველესად შეეხება თამაშით დამოუკიდებლობის აღზრდას, თვითმომსახურებას, ჰიგიენურ ჩვევებს და მეტყველების განვითარებას.

უფროსი ასაკის აღსაზრდელთა მშობლებთან საუბრის თემატიკა იქნება დიდაქტიკური თამაშები, ბუნების, შრომის, წიგნის სიყვარულის გაღვივება, ესთეტიკური განვითარება, ზნეობრივი, ნებისყოფითი და ეთიკური თვისებების ჩამოყალიბება და ასე შემდეგ.

იმ ოჯახების და მშობლებისთვის, რომლებიც ბავშვთა აღზრდაში აწყდებიან სიძნელეებს და სასურველ შედეგებს ვერ აღწევენ მათი მდგომარეობის გამოსწორების, არსებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, აღმზრდელი ადგენს **სამახსოვროს**, რომელშიც ნათლად, ცხადად და ლაკონურად არის გადმოცემული რჩევები და რეკომენდაციები განსაზღვრულ თემებზე. მაგალითად, როგორ გამოვუმუშავოთ პატარებს თავაზიანობა, გულისხმიერება, შრომისმოყვარეობა, ნებისყოფა; როგორ ვაზიაროთ სიკეთის კეთების მადლს; როგორ ჩამოვუყალიბოთ ბუნების, ცხოველებისა და ფრინველებისადმი მზრუნველობა [7, 256].

მშობლებთან ურთიერთობის ასევე ერთ-ერთი სტრატეგიაა ბარათები, რომლებიც ბავშვის ხელით ეგზავნება მშობელს. ეს ხერხი ხელს უწყობს მშობელთან ურთიერთობის გაღრმავებას. წერილის შინაარსი ზუსტად უნდა აღწერდეს ბავშვის საგანგებო წარმატებებს განვითარებასა და ქცევაში. ამ წერილით უნდა გამოვხატოთ მადლიერება მშობლისადმი, რომელიც დაგვეხმარა სააღმზრდელო პროცესში.

სასურველი იქნება თუკი ოჯახი საპასუხო ბარათს გამოგზავნის. ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია თუკი ბავშვს პრობლემები აქვს და აღმზრდელი განსაკუთრებულ ამოცანას უსახავს, ხოლო მშობელი ეცნობა და შინ ხელს უწყობს ბავშვს დასახული მიზნის მიღწევაში.

მშობელთა დასახმარებლად გამიზნული მასალა, რომელშიც დაწვრილებითაა გაშუქებული აღზრდის საკითხები, გაფორმებული უნდა იყოს შესაბამის საქალაქო ფოტომასალების დასახელებით. იგი გარკვეული ვადით ეძლევათ მშობლებს, რათა კარგად გაეცნონ მას და პრაქტიკულად გამოიყენონ მუშაობაში.

ოჯახთან მუშაობის კოლექტიური ფორმები. ოჯახთან მუშაობის კოლექტიურ ფორმებს მიეკუთვნება:

- მშობელთა კრებები;
- ჯგუფური კონსულტაციები;
- კონფერენციები;
- საღამოები მშობელთათვის.

მშობელთა კრებები. ოჯახთან მუშაობის დროს წამოიჭრება ისეთი პრობლემები და საკითხები, რომელთა შესახებ მსჯელობა და განხორციელება ყველას აინტერესებს. ასეთ საკითხებს განეკუთვნება: „მშობლის ავტორიტეტი“, „ოჯახის როლი ბავშვის აღზრდაში“, „სკოლისთვის ბავშვის მომზადება“, „თვითმომსახურების ჩვევების აღზრდა პატარებში“ და ა.შ.

კოლექტიური მსჯელობა ამ და ანალოგიურ საკითხებზე ხელს შეუწყობს მშობელთა დაახლოებას, შეკავშირებას, საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და სკოლამდელი დაწესებულების მუშაკთა დროის რაციონალურად გამოყენებას.

როგორც ცნობილია, მშობელთა კრებებზე იწვევენ აღსაზრდელების მშობლებს. მშობელთა საერთო კრების თემატიკა განისაზღვრება ბავშვთა აღზრდის ამოცანებით, რომლებიც დგას საბავშვო ბაღისა და ოჯახის წინაშე. მაგალითისთვის, საერთო კრების თემად შეიძლება დავასახელოთ „ბავშვის ესთეტიკური განვითარება ოჯახში“, „საბავშვო ბაღისა და ოჯახის ერთობლივი მუშაობა ბავშვების აღზრდისთვის“, „შრომისმოყვარეობის აღზრდა პატარებში“, „უფროსისადმი პატივისცემის აღზრდა ბავშვებში“ და ა.შ.

კრების წარმატება და ქმედითობა განისაზღვრება უპირველეს ყოვლისა, აღმზრდელებისა და მშობლების გულმოდგინე მომზადებაში. პედაგოგი ამზადებს მოხსენებას, შეარჩევს და გააფორმებს თვალსაჩინო საილუსტრაციო მასალას, სათანადოდ მოაწყობს დარბაზს. მაგალითად, თემის - „ბუნების სიყვარულის აღზრდა ბავშვებში“ მომზადებისას, აღმზრდელი შეისწავლის შესაბამის ლიტერატურას, გააანალიზებს საბავშვო ბაღში ჩატარებულ მუშაობას, ოჯახური აღზრდის გამოცდილებას. რამდენიმე მშობელს სთხოვს ამ მიმართულებით თავიანთი გამოცდილება გაუზიაროს კრების მონაწილეებს. ასევე მოეწყობა ბავშვების მიერ ბუნებაზე მიძღვნილი ნახატების გამოფენა. კრებას უფრო საინტერესოს და სასარგებლოს გახდის ბუნებაზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები, პეიზაჟების რეპროდუქცია, ვიდეომასალა მუსიკალური ნაწარმოებების ჩანაწერებით.

აღმზრდელის მოხსენება 20-25 წუთით განისაზღვრება. შინაარსი ლოგიკური და საინტერესო უნდა იყოს. თან უნდა ახლდეს თვალსაჩინო დიდაქტიკური და საგანმანათლებლო მასალების, ბავშვთა ნამუშევრების, შესაბამისი ლიტერატურის, კინოფილმების ჩვენება. მაგალითების გამოყენებისას მნიშვნელოვანია მშობელთა ფსიქოლოგიის გათვალისწინება. უნდა ჭარბობდეს დადებითი ფაქტები. რაც შეეხება უარყოფითს, აქ საჭიროა დავიცვათ სიფრთხილე და ტაქტი. არ შეიძლება გვარების დასახელება. კრების შემდეგ ინდივიდუალურ საუბრებში შეიძლება გაგრძელდეს ლაპარაკი და ინფორმაციის მიწოდება მშობლებზე იმის შესახებ, თუ როგორ დავძლიოთ პატარების აღზრდაში არსებული ნაკლოვანებები, თავად ბავშვის ნაკლი, შვილისადმი არასწორი დამოკიდებულება ოჯახში [6, 127].

შემოდგომაზე, როცა საბავშვო ბაღში განახლდება მუშაობა, მშობელთა პირველ ჯგუფურ კრებაზე აღმზრდელი ანგარიშს წარუდგენს მშობლებს ბავშვებთან ჩატარებული საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ. აგრეთვე აცნობს იმ ამოცანებს, რომლებიც უნდა გადაწყდეს მიმდინარე წელს და რომლებიც მოითხოვენ თემის, ოჯახისა და სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომლობას. ამავე შეკრებაზე მუშაობის ანგარიშს აბარებს მშობელთა აქტივიც და ირჩევს თავის ახალ შემადგენლობას.

მოხსენებები და ლექციები მშობელთათვის სასურველია ჩატარდეს არა მარტო საბავშვო ბაღის კედლებში, არამედ თემში არსებულ დაწესებულებებში, კერძოდ: კლუბში, ბიბლიოთეკაში, სამედიცინო პუნქტში, პოლიკლინიკაში. კრების, ასევე სხვა ღონისძიების ჩატარება გააერთიანებს და ხელს შეუწყობს მშობელთა დაახლოებასა და შეკავშირებას.

ჯგუფური კონსულტაციები. განსაზღვრულ საკითხებზე მშობელთათვის ტარდება საჭირო კონსულტაციები. მაგალითად, თემაზე „ბავშვების სახვითი საქმიანობა ოჯახში“ მიიწვევენ მშობლებს, რომლებიც ამ საკითხს არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას. ცხადია, კონსულტაცია მარტო ერთი საკითხით არ შემოიფარგლება. ბაღის გამგე, ექიმი, მუსიკის მასწავლებელი მშობლებს კონსულტაციას უწევენ და ესაუბრებიან მათთვის საინტერესო საკითხებზე. კონსულტაციის ჩატარება მოითხოვს მომზადებას, შემდეგ კი კონტროლს – გამოიყენებს თუ არა მშობელი ცოდნა-რჩევებს და რეკომენდაციებს შვილების აღზრდაში.

სადამოები და წრეები მშობლებისთვის. სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრაცია, აღმზრდელები, მშობლებისა და ოჯახის სხვა წევრებისთვის პერიოდულად მართავენ თემატურ სადამოებს. მაგალითად, „მუსიკა და ბავშვები“, „ბუნების როლი ბავშვების ესთეტიკურ აღზრდაში“, „ბავშვის ფრთები წიგნებია“, „შრომა ალამაზებს და აკეთილშობილებს ადამიანს“, „ბავშვის მომზადება სკოლისთვის“ და ა.შ.

ამ ფორმის მუშაობის თავისებურება ისაა, რომ საუბრების შინაარსი და თეორიული მასალა პრაქტიკული მაგალითებით არის განმტკიცებული. მაგალითად, მუსიკის მასწავლებლის გამოსვლის შემდეგ ბავშვები ასრულებენ შესწავლილ სიმღერებსა და ცეკვებს. შრომის მნიშვნელობაზე საუბრის შემდეგ საზოგადოებას აჩვენებენ ბავშვებისა და მათი მშობლების მიერ ერთობლივად დამზადებულ ნაკეთობებს, სახვითი საქმიანობის მასწავლებლის გამოსვლის შემდეგ წარმოადგენენ პატარების ნახატებს და ა. შ.

საინტერესო და ეფექტურია ჩატარებული სადამოები შემდეგ თემებზე: „ვიცნობთ თუ არა ჩვენს შვილებს“, „როგორ უნდა გიყვარდეს ბავშვი“, „წიგნის როლი ბავშვის აღზრდაში“, „ოჯახო, შენ ზნეობათა სკოლა ხარ“, „მშობლის პირადი მაგალითის როლი ბავშვების აღზრდაში“ და ა. შ.

ღია დღეები მშობლებისთვის. ოჯახთან მუშაობის, სკოლამდელი დაწესებულებისა და ოჯახის თანამშრომლობის ერთობ საინტერესო, დამაჯერებელი და პრაქტიკაში დამკვიდრებული ფორმაა „მშობელთა დღე“. იგი იგეგმება მთელი წლით. ამ დღეებში ისინი თვალყურს ადევნებენ და ეცნობიან აღმზრდელის ბავშვებთან მუშაობას, როგორ ატარებს იგი ბავშვებთან მეცადინეობას, თამაშს, შრომით საქმიანობას, გასეირნებას. მშობლები კარგად ხედავენ, რა მეთოდებს, ხერხებს და საშუალებებს იყენებს აღმზრდელი სწავლებისა და აღზრდის პროცესში.

მშობლები ასევე ეცნობიან სკოლამდელი აღზრდის ცხოვრების ცალკეულ ფრაგმენტებს, სპეციალურად ამ დღისადმი მოწყობილ გამოფენებს, სტენდებზე ფოტოვიტრინებს.

მშობლებისთვის დიდი სარგებლობა მოაქვს აღზრდის თემაზე მიმდინარე ფილმებს. ასეთი ფილმის ჩვენების შემდეგ მათ შორის იმართება მსჯელობა, კამათი და დისკუსია.

ცხოველ ინტერესს იწვევს თემატური გამოფენები, სადაც მშობლები ეცნობიან ბავშვების შემოქმედებას: ნახატებს, გამოძერწილ ფიგურებს, ბუნებრივ ნაკეთობებს და ასე შემდეგ.

მშობელთა საზოგადოება. მშობელთა საზოგადოებას თვალსაჩინო როლი აქვს დავის სრულყოფილი საბავშვო ბაგა-ბაღის ცხოვრებაში, სახელდობრ, ოჯახთან მუშაობაში. ყოველ სკოლამდელ დაწესებულებაში არსებობს მშობელთა კრებაზე არჩეული მშობელთა კომიტეტი. მასში შედიან ბავშვების მშობელთა წარმომადგენლები ბავშვთა ყველა ჯგუფებიდან. კომიტეტის მუშაობის მიზანია სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკთა და ოჯახების დახმარება. ასევე ყოველ ასაკობრივ ჯგუფს ჰყავს მშობელთა აქტივი, რომელიც დახმარებას უწევს აღმზრდელებს: ეხმარება მშობელთა კრების, საღამოების მოწყობაში, რთავს მშობლებს ცალკეული დავალებების შესასრულებლად.

მშობელთა კომიტეტი და საბავშვო ბაღის აქტივი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმ ოჯახებს, სადაც გარკვეული პრობლემები შეინიშნება აღზრდის საქმეში. სისტემატურად დადიან ასეთ ოჯახებში, ზემოქმედებას ახდენენ მშობლებზე, რომლებიც პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან თავიანთი შვილების აღზრდას, არ ასრულებენ საბავშვო ბაღის მოთხოვნებს და საერთოდ მშობლის უპირველეს მოვალეობას - შვილის აღზრდა განათლებასა და მის ღირსეულ მოქალაქედ ფორმირებას.

უპრიანია ითქვას იმის შესახებაც, რომ მშობელთა აქტივი აღმზრდელთან ერთად არა მარტო მოუწესრიგებელ ოჯახებთან მუშაობენ, არამედ სწავლობენ საოჯახო აღზრდის საუკეთესო გამოცდილებას, ახდენენ მის განზოგადებას და ზრუნავენ მისი პრაქტიკაში დანერგვისათვის.

განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრება მშობელთა აქტივს მშობელთა პედაგოგიური განათლების ორგანიზაციაში. საბავშვო ბაგა-ბაღის მუშაკებთან ერთად აქტივისტი მშობლები ცდილობენ აღსაზრდელთა მშობლები დააინტერესონ აღზრდის ხელოვნებით, ცხოვრებისათვის თავიანთი შვილების მომზადებით, აჩვენონ პედაგოგიური ცოდნის დაჟინებული დაუფლების მაგალითი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგია, თბილისი, 2011.
2. ბავშვის აღზრდა ოჯახში (კრებული), თბილისი, 1977.
3. ბასილაძე ნ., მშობლის სახელმძღვანელო, ბათუმი, 2019.
4. ბასილაძე ნ., ნარკვევები პედაგოგიური აზროვნების ისტორიიდან, ბათუმი, 2007.
5. ბერძენიშვილი მ., ოჯახის როლი ბავშვის აღზრდაში, ბათუმი 1962.
6. გობრონიძე ა., ბავშვის ზნეობრივი აღზრდა ოჯახში, ბათუმი, 1974.
7. ზოიძე ა., სკოლს, ოჯახისა და საზოგადოების ერთობლივი აღმზრდელობითი მუშაობა, თბილისი, 1980.
8. იადეშკო ვ., სოხინა ა., სკოლამდელი პედაგოგიკა, თბილისი, 1987.
9. ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის, თბილისი, 2011.
10. პინტი ა., თქვენთვის მშობლებო, თბილისი, 1976.
11. ტრისტერ დოჯი დ., კრეატიული კურიკულუმი საბავშვო ბაღისათვის, თბილისი, 1991.
12. ვებგვერდები

რეზიუმე

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდა-განათლებისა და განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოჯახის, თემისა და ბაგა-ბაღის ერთობლივ აღზრდებლობით მუშაობას. სწორად მართული ურთიერთობები, მშობლისა და აღზრდელის თანამშრომლობა, ბავშვის მიმართ ჰოლისტური მიდგომის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და პოზიტიურად აისახება სააღზრდო პროცესზე.

აღზრდელები და მშობლები ერთად მუშაობით ინაწილებენ პასუხისმგებლობას და თანამშრომლურ ურთიერთობებს აღწევენ. კონტაქტი, ურთიერთპატივისცემა განსაკუთრებული აზრის დაფასება და აღსაზრდელთა ინტერესების წინ წამოწევა მყარ საფუძველს ქმნის კეთილგანწყობისა და კარგი ურთიერთ დამოკიდებულებისათვის.

ოჯახთან გულწრფელ ურთიერთობებსა და ნდობის მოპოვებას დრო სჭირდება. საამისოდ საჭიროა მუშაობა ტარდებოდეს მიზანმიმართულად, გეგმაზომიერად და სისტემატურად. ასევე მნიშვნელოვანია კონკრეტულობა და დიფერენცირებული მიდგომა, რომელიც უნდა ემყარებოდეს ბავშვის ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებების ცოდნას და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას, მის სულიერ სამყაროში წვდომას.

საკვანძო სიტყვები: ოჯახი, ბაგა-ბაღი, აღზრდებლობითი მუშაობა, მშობლისა და აღზრდელის თანამშრომლობა, ჰოლისტური მიდგომა, კეთილგანწყობა და კარგი ურთიერთ-დამოკიდებულება, ნდობის მოპოვება, ყურადღებით მოსმენა, განვითარების კანონზომიერებები.

Akaki Zoidze,

Head of Education Specialty
Programs, Professor of St.
Tbel Abuseridze Teaching
University of the Georgian
Patriarchate
Georgia, Batumi

Family, Community, Educational institution

Summary

For the upbringing, education and development of preschool children, the joint educational work of the family, community and kindergarten is of great importance. A well-managed relationship, cooperation between parent and educator promotes holistic approach to the child and positively influences the upbringing of children.

Educators and parents work together to share responsibilities and achieve collaborative relationships. Contact, mutual respect, valuing dissenting opinions, and promoting the interests of children create a solid foundation for benevolence and good relationships.

It takes time to build sincere relationships and trust with one's family. For this, the work should be carried out purposefully, regularly and systematically. Furthermore, the specificity and differentiated approach is also important which should be based on knowledge of the patterns of the child's age-related development and consider the individual characteristics of access to his/her spiritual world.

Key words: Family, kindergarten, educational work, collaboration between parent and educator, holistic approach, benevolence and good relationship, gaining trust, listening carefully, regularity of development

ხარისხიანი განათლება და ბავშვთა უფლებები

საქართველოში განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება გარანტირებულია კონსტიტუციით.

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მიხედვით:

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.
2. სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.
3. აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია უზრუნველყოფილია.

საქართველოში მოქმედებს “ზოგადი განათლების შესახებ” კანონი, რომელიც ადგენს ზოგადი განათლების პრინციპებს და საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების წესებს.

ამ კანონის მიხედვით, “ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის. დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა.”

საქართველოში სრულ ზოგად განათლებას აქვს სამი საფეხური: დაწყებითი (6 წელი), საბაზო (3 წელი) და საშუალო (3 წელი).

ზოგადი განათლების მიცემის უფლებას სასწავლო დაწესებულებებს სახელმწიფო ანიჭებს. ამისთვის სასწავლო დაწესებულებამ სპეციალური პროცედურა - ავტორიზაცია უნდა გაიაროს.

სახელმწიფო ასევე ადგენს სასწავლო პროგრამის იმ აუცილებელ მინიმუმს, რაც ზოგადი განათლების მიცემისთვის არის საჭირო. მას ეროვნული სასწავლო გეგმა ეწოდება.

საქართველოში უზრუნველყოფილია სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების მიღების უფლებაც, რისთვისაც იქმნება “ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ან/და დამატებითი სასწავლო პროგრამა, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება [სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის] სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. ასეთ შემთხვევებში აღნიშნული მოსწავლის დაფინანსებას უზრუნველყოფს სახელმწიფო.”

სახელმწიფო განსაზღვრავს იმ ჩარჩოს, რომლებშიც ზოგადი განათლების გაცემა უნდა მოექცეს. რაც შეეხება ყოველდღიურ სასწავლო პროცესს და სკოლის ცხოვრების მენეჯმენტს, ამ საკითხებში სულ უფრო და უფრო მეტი სიტყვა, პედაგოგიური კოლექტივის გვერდით, უშუალოდ ზოგადი განათლების ბენეფიციარებს - მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ეკუთვნის.

ამგვარად, “ზოგადი განათლების შესახებ” კანონი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სავალდებულოს ხდის სამეურვეო საბჭოს არსებობას, რომელშიც, პედაგოგებთან და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნული წევრის გარდა, შედიან მშობლები

და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელიც, რომელსაც ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციები ენიჭება, როგორებიცაა დირექტორის არჩევა, სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება და მისი ხარჯვის კონტროლი, შინაგანაწესის დამტკიცება და მრავალი სხვ.

ხარისხიანი განათლება უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც კონკრეტული ინდივიდების, ასევე საზოგადოების განვითარებისთვის, რადგან ის ადამიანის წარმატებული და ნაყოფიერი მომავლის საწინდარია.

მიუხედავად ბოლო წლების მნიშვნელოვანი მიღწევებისა, საქართველოს განათლების სისტემა ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევის წინაშე დგას. საქართველოში განათლებაზე დახარჯული თანხა ბევრად ნაკლებია, ვიდრე ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის იგივე მაჩვენებლის მქონე სხვა ქვეყნებში. განათლების დაბალი ხარისხი ბავშვებისთვის უმთავრესი გამოწვევაა საქართველოში. ქართველი მოსწავლეების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი სასურველზე დაბალია მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საერთაშორისო კვლევებში.

მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების შედეგია ისიც, რომ ბევრი ახალგაზრდა არ იღებს სრულ საშუალო განათლებას და შესაბამისად, ახალგაზრდების დიდი ნაწილი ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. განათლების ხარისხს საგრძნობლად აუარესებს ასევე მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია და მასწავლებელთა დასაქმების არაეფექტიანი სისტემა.

ადრეულ ასაკში განათლება უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ის ქმნის საფუძველს ბავშვის შემდგომი ზრდისა და განვითარებისთვის. ბავშვების ადრეულ განვითარებაში ჩადებული ინვესტიცია დადებითად აისახება არა მხოლოდ მცირეწლოვანი ბავშვების ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობაზე, სწავლასა და დაცულობაზე, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზეც საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის მიღება და ადრეული და სკოლამდელი განათლების ეროვნული სტანდარტების შემუშავება ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპები იყო საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და ადრეული განათლების სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამებში ბავშვთა უფლებების ჩართვის თვალსაზრისით, რაც ხარისხიანი განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

იმერეთის რეგიონში პირველ ეტაპზე განხორციელდა სკოლამდელი დაწესებულებების მეთოდისტიკის გადამზადება. სულ გადამზადდა იმერეთის 12 მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების 130-მდე მეთოდისტი ადრეული განათლების ეროვნული სტანდარტებისა და ბავშვთა უფლებების მიმართულებით და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით.

შესაბამისად, აწსუ-ს პროფესიულ პროგრამაში „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“, სასერტიფიკატო კურსში „თანამედროვე მიდგომები სკოლამდელ განათლებაში“ და უნი-ვერსიტეტის საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამებში/სასწავლო კურიკულუმებში განხორციელდა ბავშვთა უფლებების ასახვა სასწავლო კურსების ჩაშენების საფუძველზე, კერძოდ, განხორციელდა:

- სკოლამდელი განათლების ეროვნული სტანდარტების დანერგვა, როგორც კერძო და საჯარო სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის წინაპირობა. 2020 წელს აწსუ-მა კონკურსის წესით მოიპოვა „ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების“ 66 საათიანი სასერტიფიკატო კურსის განხორციელების უფლება, რომლის ფარგლებშიც გადამზადებას გაივლის იმერეთის რეგიონის ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალი.
- 2019 წელს განხორციელდა სკოლამდელი დაწესებულებების მეთოდისტთა გადამზადება, სკოლამდელი განათლების ეროვნული სტანდარტების, მათ შორის ბავშვთა უფლებების დანერგვასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო იმერეთის რეგიონის ბაგა-ბაღების 130-მდე მეთოდისტმა.

- აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აღნიშნული გამოწვევებიდან გამომდინარე მოახდინა პროგრამების რევიზია და კურიკულუმებსა და სასერტიფიკატო კურსებში ჩააშენა ბავშვთა უფლებების საკითხები.
- 2020 წელს აწსუ-ში unicef-თან თანამშრომლობით დაარსდა პირველი ბავშვთა უფლებების ცოდნის ცენტრი, რომელიც მოემსახურება იმერეთის რეგიონს და გააძლიერებს რეგიონალურ უნივერსიტეტებს ბავშვთა უფლებების საკითხების თემატიკაზე სასწავლო კურსების, ტრენინგ-მოდულებისა თუ პროექტების გაზიარების მიზნით.

აწსუ-ს ბავშვთა უფლებების ცოდნის ცენტრის ინიციატივით უკვე მომზადდა ექვსი ტრენინგ-მოდული სხვდსხვა სამიზნე ჯგუფებისათვის: სკოლის მასწავლებლებისათვის, მოსწავლეებისათვის, ლექტორებისათვის, სტუდენტებისათვის, მშობლებისათვის და ბაგა-ბაღის აღმზდელებისათვის. აღნიშნული მოდულების განხორციელება დაგეგმილია მომავალი სასწავლო წლიდან.

აღნიშნული აქტივობები მიმართულია განათლების სფეროში ჩართული პირების ცნობიერების ამაღლებისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ბავშვთა უფლებების დაცვისა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>/საქართველოს კონსტიტუცია
2. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>/ბავშვთა უფლებების კონვენცია
3. [unicef.org/Georgia/ka/topics](https://www.unicef.org/Georgia/ka/topics)/განათლების- უფლებები
4. <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/3-28>
5. <https://www.atsu.edu.ge/index.php/pedagogic-news/2434-gaeros-bavshvta-fondis-leqciata-cikli>

რეზიუმე

ადრეულ ასაკში განათლება უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ის ქმნის საფუძველს ბავშვის შემდგომი ზრდისა და განვითარებისთვის. ბავშვების ადრეულ განვითარებაში ჩადებული ინვესტიცია დადებითად აისახება არა მხოლოდ მცირეწლოვანი ბავშვების ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობაზე, სწავლასა და დაცულობაზე, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზეც საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის მიღება და ადრეული და სკოლამდელი განათლების ეროვნული სტანდარტების შემუშავება ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპები იყო საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და ადრეული განათლების სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამებში ბავშვთა უფლებების ჩართვის თვალსაზრისით.

იმერეთის რეგიონში პირველ ეტაპზე განხორციელდა სკოლამდელი დაწესებულებების მეთოდისტების გადამზადება. სულ გადამზადდა იმერეთის 12 მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების 130-მდე მეთოდისტი ადრეული განათლების ეროვნული სტანდარტების მიმართულებით და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით.

შესაბამისად, აწსუ-ს პროფესიულ პროგრამაში „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“, სასერტიფიკატო კურსში „თანამედროვე მידგომები სკოლამდელ განათლებაში“ და უნივერსიტეტის საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამებში/სასწავლო კურიკულუმებში განხორციელდა ბავშვთა უფლებების ასახვა სასწავლო კურსების ჩაშენების საფუძველზე, კერძოდ, განხორციელდა:

- სკოლამდელი განათლების ეროვნული სტანდარტების დანერგვა, როგორც კერძო და საჯარო სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის წინაპირობა.
- იმერეთის რეგიონის სკოლამდელი დაწესებულებების მეთოდისტთა გადამზადების საკითხები და სტატისტიკა, სკოლამდელი განათლების ეროვნული სტანდარტების, მათ შორის ბავშვთა უფლებების დანერგვასთან დაკავშირებით.
- უნივერსიტეტის როლი/წართულობა ადრეული განათლების სასწავლო კურიკულუმებში/ სასერტიფიკატო კურსებში ბავშვთა უფლებების ასახვისა და გამლიერების მიზნით.
- უნივერსიტეტში ბავშვთა უფლებების ცოდნის ცენტრის შექმნა-ფუნქციონირება.

საკვანძო სიტყვები: უნივერსიტეტი, ბავშვთა უფლებები, პროფესიული და საუნივერსიტეტო სასწავლო კურიკულუმები, ტრენინგ-კურსები.

Nato Kobuladze

Akaki Tsereteli State University
Associate Professor
Georgia, Kutaisi

Quality Education and Children's Rights

Summary

Education at an early age is extremely important as it lays the foundation for the child's further growth and development. Investing in early childhood development has a positive impact not only on the health, well-being, learning and protection of young children, but also on the country's economic growth in the medium and long term.

Adoption of the Law on Early Childhood and School Education and the development of national standards for early and pre-school education were very important milestones in improving the quality and availability of pre-school education in Georgia. In terms of improving the quality and accessibility of pre-school education in Georgia and the inclusion of children's rights in early education curricula.

The article discusses the issues of training of Methodists of pre-school (130) institutions of Imereti region in the direction of national standards of early education, in order to implement them in practice. Accordingly, Children's rights were reflected in the inclusion in Akaki Tsereteli State University's vocational program "Kindergarten Teacher", in the certificate course "Modern Approaches in Preschool Education" and in the University's undergraduate and graduate programs / educational curricula in order to strengthen children's rights, namely:

- Law on Early Childhood and Preschool Education;
- Introduction of National Standards for Preschool Education as a Prerequisite for Authorization of Private and Public Preschool Education Institutions;
- Issues of training of Methodists of preschool institutions of Imereti region, statistics on the introduction of national standards for preschool education, including the introduction of children's rights;
- The role / involvement of the university in reflecting and strengthening children's rights in early education curricula and certification courses.

Key words: University, Children's Rights, the role of the university in the professional and university education curricula of children's rights in terms of reflection and strengthening.

ონლაინ სწავლების ფსიქოლოგიური მახასიათებლები

მსოფლიოში მიმდინარე კოვიდ-პანდემიამ, არსებითი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ჯანდაცვისა და ბიზნესის სფეროებზე, არამედ განათლების სფეროზეც, რომელიც ერთგვარ გამოწვევად იქცა არა მარტო მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის, არამედ პედაგოგებისა და მშობლებისთვისაც. გლობალურმა აკადემიურმა საზოგადოებამ მიმართა სწავლების ახალ ფორმატს, რამაც, იუნესკოს შეფასებით, 165 ქვეყნის დაახლოებით 1,5 მილიარდზე მეტ სტუდენტს შეუზღუდა სწავლების ჩვეული სტილი. მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა არსებითად შეცვალა ყოველდღიური ცხოვრების სტილი, დაირღვა რუტინა, სავალდებულო გახდა მეგობრებისგან, კოლეგებისგან და ნათესავებისგან იძულებითი დისტანცირება. შესაბამისად, განსხვავებულმა ვალდებულებებმა და ცხოვრების ონლაინ-რეჟიმმა, სერიოზული გამოწვევის წინაშე დააყენა ნებისმიერი ასაკის ადამიანი, რამაც თავის მხრივ, არსებითი საფრთხე შეუქმნა ადამიანების ფსიქიკის სიჯანსაღის ხარისხს. თუმცა, მეორე მხრივ, არსებულ ვითარებაში ეს იყო ერთადერთი შესაძლო სწორი, მნიშვნელოვანი და ადეკვატური გადაწყვეტილება, რომ დაინფიცირებისა და დაავადების თავიდან აცილების მიზნით, საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელებულიყო დროებითი და სრული გადასვლა დისტანციურ სწავლებაზე, რომელთან მიმართებაშიც, თავის მხრივ, ცალკე დადგა გარკვეული მოთხოვნები. კერძოდ: სისტემის საიმედოობა, ინტერნეტ არხების გამტარუნარიანობა(ანუ დატვირთვის რაოდენობა და ხარისხი), კონტენტის (შინაარსის) შექმნისა და განთავსების სიმარტივე, პედაგოგების, მოსწავლეების და სტუდენტების მიერ შესაბამისი სერვისებისა და პლატფორმების წვდომა, რაც იმას ნიშნავს, რომ დისტანციური სწავლების ტექნოლოგიები დაფუძნებული უნდა ყოფილიყო თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო შესაძლებლობების აქტიურ გამოყენებაზე.

ფაქტია, რომ მსოფლიოში განათლების სისტემა დადგა უსერიოზულებსი გამოწვევის წინაშე, რაშიც ვგულისხმობთ იმას, რომ სასწავლო პროცესის ინფორმაციული შინაარსის ხარისხის შეფასების მთავარი კრიტერიუმი გახდა გლობალურ ქსელებზე წვდომის შეუზღუდავი შესაძლებლობა, დისტანციური სწავლების სისტემაში გამოყენებული ინფორმაციული ტექნოლოგიები (ვიდეო და ტელე-კონფერენციები), ელექტრონული ფოსტა და ა.შ. დაბოლოს, ყველაზე მთავარი მიმდინარე პროცესებში მაინც იყო ის, რომ ძალიან მაღალ და აკადემიურ დონეზე უნდა მომხდარიყო ვირტუალური და ტრადიციული განათლების უპირატესობების შერწყმა.

მოცემულ ეტაპზე, დისტანციური სწავლების ძირითადი მახასიათებლები აღმოჩნდა:

- პედაგოგისა და მოსწავლე/სტუდენტის სივრცითი გამოიჯვნა;
- მოსწავლე/სტუდენტისა და სასწავლო დაწესებულების (სკოლა/უნივერსიტეტი) სივრცული გამოიჯვნა;
- მოსწავლე/სტუდენტთან უწყვეტი საგანმანათლებლო მუშაობა;
- მოსწავლე/სტუდენტისა და პედაგოგის(მასწავლებელი ან ლექტორი) ურთიერთობა;
- სპეციალურად შერჩეული სასწავლო მასალები.

კოვიდ-პანდემიამდე, ზოგიერთი უცხოელი მკვლევარის პროგნოზის თანახმად, ისედაც არსებობდა მოსაზრება, რომ ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ, უახლოეს მომავალში სტუდენტი განათლების მიღებაზე განკუთვნილი დროის 40%-ს დახარჯავდა განათლების დისტანციურ ფორმებზე, დაახლოებით იგივეს - სააუდიტორიო სივრცეში სწავლაზე, ხოლო დანარჩენ 20%-ს თვითგანათლებაზე. არსებულმა სიტუაციამ ეს პროცესები დააჩქარა და მიუხედავად იმისა, რომ დისტანციური სწავლება არსებითად განსხვავდება განათლების ტრადიციული ფორმებისგან, დისტანციურ სწავლებაზე საუბრისას, როდესაც ძირითადი აქცენტები კეთდება კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის მთელი რიგი ფსიქოლოგიური მახასიათებლები, რომელიც მას განასხვავებს ტრადიციული სწავლების ფორმებისაგან. კერძოდ:

- კომპიუტერიზაციის ფსიქოლოგიური და პედაგოგიური პრობლემები;
- სასწავლო პროცესის მონაწილეთა შორის ურთიერთობა;
- დიალოგის „ადამიანი-მანქანა“ თავისებურებები;
- სასწავლო პროცესში წარმოქმნილი ფსიქოლოგიური პრობლემები;
- აღქმის თავისებურებები;
- მოსწავლეებისა და სტუდენტების საგანმანათლებლო და შემეცნებითი მოტივაციის ხარისხი;
- შესასწავლი მასალის დაუფლების ფსიქოლოგიური და შემეცნებითი ბარიერების პრობლემა;
- სწავლისადმი შემეცნებითი მიდგომა;
- დასასწავლი მასალის აღქმის ემოციური ფაქტორები.

ონლაინ სწავლებაზე გადასვლის კვალდაკვალ, ბუნებრივია, ჩვენს ყოველდღიურობაში მკვეთრად გაიზარდა კომპიუტერული ტექნოლოგიების როლი, რამაც არსებითი ცვლილებები მოახდინა ადამიანის ფსიქიკაზე, რაც გამოხატულია სხვადასხვა ფსიქოლოგიური ფენომენებით, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ადამიანის მიერ ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დაუფლებასა და ათვისებასთან. კერძოდ:

- მოხდა კომპიუტერის პერსონიფიკაცია ანუ გაპიროვნება, რა დროსაც კომპიუტერი განიხილებოდა როგორც ცოცხალი ორგანიზმი;
- კომპიუტერთან(ინტერნეტთან) უწყვეტი ურთიერთობის მოთხოვნილება და მასზე დამოკიდებულება;
- კომპიუტერზე(ინტერნეტზე) შფოთვითი დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმები.

ინფორმატიზაციის პრობლემების ცნობილი მკვლევარი ვ. მინაკოვი თავის სტატიაში „ინტერნეტ დამოკიდებულებისკენ მიდრეკილი პირების ფსიქოლოგიური მახასიათებლები“[1] გამოთქვამს ვარაუდს, რომ ციფრულ სამყაროსთან დამოკიდებულების ჭარბმა ხარისხმა, განაპირობა ახალი ფსიქოლოგიური მახასიათებლების მქონე ადამიანების ფენის გაჩენა, რაც გამოწვეულია მათზე ინფორმაციული გარემოს ზემოქმედებით და მასთან ურთიერთქმედების სპეციფიკით. იგი ღიად საუბრობს ინფორმაციული ტექნოლოგიების იმ ნეგატიურ მხარეებზე, რომლებთან მუშაობაც უწევთ თანამედროვე ფსიქოლოგებსა და ფსიქოთერაპევტებს. ესენია: ტექნოსტრესი, კომპიუტერული ფობიები, დამოკიდებულება კომპიუტერულ თამაშებზე (ინდივიდუალური, ჯგუფური, როლური თამაში), ინტერნეტდამოკიდებულება, ჰაკერობა, ინტერესთა სპექტრის შევიწროება, ციფრული აუტიზაცია, იდენტობის ტრანსფორმაცია, სოციალური ინტელექტის განუვითარებლობა, კომუნიკაციის სოციალური კომპონენტის გაღარიბება/გასადავება და სხვ.[6, 57].

მკვლევარების ნაწილი, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს განიხილავს, როგორც ადამიანების ფსიქიკაში შეჭრას, რომელსაც თან ახლავს შემეცნებითი და ემოციური დარღვევები, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს ღირებულებების გადაფასება, მსოფლმხედველობის შეცვლა და ზოგადად, სამყაროში საკუთარი ადგილის განსაზღვრა და „მონიშვნა“, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლებელია გახდეს სერიოზული ფსიქიკური აშლილობის წინაპირობა[1].

იმ ადამიანებს, რომელთაც მრავალწლიანი მჭიდრო კონტაქტი აქვთ კომპიუტერთან, უფიქსირდებათ ისეთი პიროვნულ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები, როგორიცაა: სიჯიუტე, შეუპოვრობა, დამოუკიდებლობა, მიზანთან მიმართებაში სიმტკიცე, საკუთარი კრიტერიუმების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღების ტენდენცია, სოციალური ნორმების უგულებელყოფა, საკმაოდ მაღალი ინტელექტი, შემოქმედებითი საქმიანობისაკენ მიდრეკილება, სამუშაო პროცესზე უპირატესობის გაკეთება სასურველი შედეგის მისაღებად, ამავე დროს ინტროვერტულობა, საკუთარ განცდებში ჩაფლვა, პიროვნული სიცივე და ემოციების დეფიციტი კომუნიკაციის დროს, ემპათიის არარსებობა, კონფლიქტებისადმი მიდრეკილება, ეგოცენტრიზმი, დაბალი პასუხისმგებლობა და სხვ. და აქ მკვლევარები სვამენ კითხვას: გასარკვევია, კომპიუტერი იზიდავს კონკრეტული პიროვნული ჩვევების ადამიანებს თუ ჩვენ საქმე გვაქვს პიროვნულ ცვლილებებთან, რომელსაც იწვევს კომპიუტერთან ხანგრძლივი, მჭიდრო და მრავალწლიანი ურთიერთობა?[1].

სხვადასხვა ავტორები აღნიშნავენ, რომ დისტანციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიები, რომლებიც თავდაპირველად შექმნილი იყო ადამიანის თავისუფალი შემოქმედებითი თვითგანვითარებისა და მისი საქმიანობის ეფექტური თვითორგანიზაციისათვის, და ამავე დროს, პანდემიის პროცესში, ის უნდა ყოფილიყო საგანმანათლებლო პროცესში სუბიექტურობის მაღალი დონის უზრუნველყოფა, რეალურად ხომ არ იქცა ფორმალურ, პირადი მნიშვნელობებისგან დაცლილ, სწავლისადმი დამოკიდებულებად, რომელმაც გამოიწვია ცოდნის „დევალვაცია“, მისი გაუცხოება და მთლიანობაში გაჩნდა დეჰუმანიზაციის საშიშროება. და მთავარი კითხვა – რა გავლენას ახდენს დისტანციური სწავლება სტუდენტების კოგნიტურ, ემოციურ და პიროვნულ განვითარებაზე.

მოცემულ ეტაპზე, უნდა ვთქვათ, რომ ჯერჯერობით არ არსებობს ფუნდამენტური კვლევები ამ მიმართულებით, თუმცა, საკითხი თავისთავად, არის უაღრესად აქტუალური და საინტერესო. შესაბამისად, აქ ჩვენ შევხებით მხოლოდ ონლაინ სწავლების დადებით და უარყოფით მახასიათებლებს და აგრეთვე იმ ასპექტებს, რომლებსაც ერთდროულად გააჩნიათ როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ნიშნები. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ონლაინ სწავლების დადებითი ასპექტები:

- ❑ **დროის ეკონომია** – ბევრი სტუდენტი დისტანციური სწავლებით კმაყოფილია, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ არ უწევს უნივერსიტეტში წასვლა-წამოსვლაზე დროის და მგზავრობის საფასურის ხარჯვა, შესაბამისად, მას გამოუთავისუფლდა საკმარისი დრო და გარკვეული თანხები იმისათვის, რომ მისთვის საინტერესო საქმიანობით დაკავდეს.
- ❑ **სტუდენტი ეუფლება თვითგანათლების მიღების, დამოუკიდებლად სწავლის და მუშაობის უნარ-ჩვევებს**, რაც უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში; აგრეთვე აქვს საშუალება გაეცნოს და პრაქტიკულად გამოიყენოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ახალი, მანამდე უცნობი შესაძლებლობები;
- ❑ **ოჯახი შეიძლება იყოს მობილური და სტუდენტს აქვს ლექციაზე ჩართვის საშუალება ნებისმიერი ლოკაციიდან**, მთავარია ინტერნეტთან ჰქონდეს წვდომა;

- სტუდენტებისა და პედაგოგების უმრავლესობისათვის **ხელმისაწვდომია ყველა საჭირო ტექნიკური მოწყობილობა**, რაც სჭირდება დისტანციურ სწავლებას(კომპიუტერი, პერსონალური კომპიუტერი, პლანშეტი, მობილური ტელეფონი და სხვ.);
- უზარმაზარი ინტერნეტ-რესურსებიდან პედაგოგებს აქვთ **არჩევანის თავისუფლება** და შესაძლებლობა აირჩიონ მათთვის ყველაზე მოსახერხებელი სასწავლო პლატფორმა და კომფორტული აქტივობა;
- **ინტერნეტის შესაძლებლობები** შედარებით საინტერესოა ფერადი სადემონსტრაციო მასალის შერჩევისათვის, ვიდეო და აუდიო შინაარსების გამოყენებისათვის, რაც ხელს უწყობს არა მხოლოდ ყურადღების შენარჩუნებას, არამედ შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას;
- არსებულ პირობებში მშობლებს შეუძლიათ **შვილებთან ერთად მიიღონ მონაწილეობა სასწავლო პროცესში**, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს მშობელი/შვილის კომუნიკაციას ზოგადად, იმავე ფორმატში, გაუცხოების მაღალი ხარისხიდან გამომდინარე;
- **ცხოვრების ექსტრემალურ სიტუაციებში სწავლა-სწავლების უწყვეტობისა და განათლების მიღების შესაძლებლობა**, რაც გულისხმობს იმას, რომ ცხოვრების გართულებულ სიტუაციებშიც კი, ონლაინ სწავლება გვაძლევს ჩვენი ძირითადი საქმიანობის გაგრძელების საშუალებას;
- დისტანციური სწავლება და კონკრეტულად ონლაინ-ლექციები ცალკეული კატეგორიის (მორცხვი, დაკომპლექსებული, საკუთარ თავში ჩაკეტილი, შფოთიანი, დაბალი თვითშეფასების, ასევე თანატოლთა ჯგუფში დაბალი სოციალური სტატუსის მქონე) **სტუდენტებისათვის თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის კარგი საშუალება აღმოჩნდა**. თუ აუდიტორიაში ეს სტუდენტები შედარებით პასიურობდნენ და გაურბოდნენ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას, ონლაინ-სწავლების პროცესში, მართალია, ზედმეტი აქტიურობით არ გამოირჩევიან და შეიძლება ვიდეო-თვალიც გამორთული ჰქონოდათ, მაგრამ ჩართულობისა და აქტიურობის ხარისხი, ნამდვილად გაეზარდათ.

ონლაინ-სწავლების უარყოფითი ასპექტები:

- მრავალშვილიანი და იმ მასწავლებლების ოჯახები, რომელშიც მშობლები თავად არიან მასწავლებლები, **აღმოჩნდნენ არათანაბარ პირობებში**, ვინაიდან საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს წააწყდნენ, როდესაც აუცილებელი აღმოჩნდა ერთ სახლში, საკუთარი სამუშაო რეჟიმის ან სტუდენტი შვილებისათვის დისტანციური სწავლების რეჟიმის ორგანიზება, რაც ზოგჯერ, შეუძლებელიც კი იყო (შვილებიდან ერთი მოსწავლე იყო, ერთი – სტუდენტი ან ოჯახიდან 2-3 წევრს ერთდროულად უწევდა ონლაინ-რეჟიმში ყოფნა);
- სტუდენტების გარკვეულ ნაწილს, განსაკუთრებით რაიონებიდან ჩამოსულებს, შეექმნათ **ინტერნეტზე წვდომის პრობლემა**, შესაბამისად, ონლაინ სწავლება მათთვის იქცა სერიოზულ გამოწვევად. ყველაზე რთული იყო ის, რომ გარკვეულმა ნაწილმა საერთოდ შეწყვიტა სწავლა ამ პრობლემის გამო და ისინი ჩამორჩნენ სასწავლო პროცესს (რაიონიდან ჩამოსულები დაბრუნდნენ რაიონებში, რომ დაეზოგათ ქირის გადასახადი, თუმცა, ამ დროს შეექმნათ ინტერნეტთან წვდომის პრობლემა);
- ონლაინ პროცესში რთულია ყველა **სტუდენტის ჩართვა ზოგად დისკუსიაში**, თუნდაც დიალოგის თვალსაზრისით. არსებული კვლევების და პირადი გამოცდილების საფუძველზე, ჩვეულებრივ, როგორც წესი, დისკუსიაში მონაწილეთა 15-20% მონაწილეობს;
- პედაგოგთა უმრავლესობას არ გააჩნია **რეალური პრაქტიკა და გამოცდილება ონლაინსწავლების თვალსაზრისით** და მეტიც, მათი უმეტესობა ვერ განასხვავებს

ერთმანეთისაგან დისტანციურ და ელექტრონულ სწავლებას; აუცილებელი გახდა, რომ პედაგოგი დაეუფლოს შესაბამის, აქამდე მისთვის უცხო პროგრამას და თანაც ისეთ დონეზე, რომ ლექციის ჩატარების პროცესში პრობლემა არ შეექმნას, ეს ყველაფერი კი პედაგოგის მხრიდან, საკმაოდ სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს. გამომდინარე, რომ ელექტრონული სწავლების მეთოდი ტრადიციული მეთოდისგან სრულიად განსხვავებულია, პედაგოგების ნაწილს მოუწია ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების დაუფლება (Zoom; Teams; Skype დასხვ), აგრეთვე ვიდეო-კონფერენციების ჩაწერის, ეკრანის გაზიარების და სხვადასხვა ტექნიკური უნარების დაუფლება;

- ❑ **ჯგუფური მუშაობის ორგანიზების სირთულე**, რომელიც აუცილებელია ეფექტური სწავლებისათვის;
- ❑ დისტანციური სწავლებისას, ზოგიერთ საგნებში (ფიზიკა, მათემატიკა, სამედიცინო პროფილის სტუდენტები) **არაეფექტური აღმოჩნდა ზოგადად ონლაინ სწავლების ფორმატი**, რადგან შეუძლებელი იყო გარკვეული აქტივობებისა და უშუალოდ სტუდენტის მიერ პრაქტიკული სამუშაოს შესრულების განხორციელება.
- ❑ დისტანციური სწავლების რეჟიმში მუშაობის გამოცდილების არარსებობის გამო, საწყის ეტაპზე, **ლექციის ტექნიკურ ორგანიზებაზე იხარჯებოდა ძალიან დიდი დრო** (შემოდი, მიკროფონი ჩართე, კამერა გაასწორე და ა.შ.). შესაბამისად, ასათვისებელი მასალის რაოდენობაც შემცირებული იყო და ონლაინ ლექციის ხარისხიც, ვიდრე ბუნებრივ პირობებში ანუ რეალურ საუნისვერსიტეტო სივრცეში წარმართული ლექცია.
- ❑ მკვეთრად გამოიხატა სტუდენტების მიერ მარტივი, ერთსიტყვიანი და პრიმიტიული პასუხებისთვის უპირატესობის მინიჭება ანუ **ვერ ხდებოდა სტუდენტების მიერ თანმიმდევრული მონოლოგური მეტყველების განხორციელება**;

ინტერნეტდამოკიდებულების ხარისხის ზრდა;

- ❑ პედაგოგებისათვის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ სტუდენტები არ ან ვერ რთავდნენ ე.წ. ვიდეო-თვალს, რაც პედაგოგს უქმნიდა დისკომფორტს და უხერხულობის განცდას, რადგან **ვერ ხდებოდა ვიზუალური კონტაქტი**, რომელიც გაცილებით უადვილებდა პედაგოგს იმის გაგებას, რამდენად აღიქვეს ახსნილი მასალა სტუდენტებმა. გამორთული ვიდეო-თვალის შემთხვევაში კი, შესაძლებელია სტუდენტები სხვადასხვა საქმიანობით იყვნენ დაკავებული და ვერ ახერხებდნენ მასალაზე კონცენტრაციას;
- ❑ **ყველა სტუდენტს არ ჰქონდა პერსონალური კომპიუტერი**, უფრო მეტიც ოჯახის რამდენიმე წევრს უწევდა ერთი კომპიუტერის გაყოფა, რაც მთლიანობაში, უარყოფითად აისახებოდა სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასა და სწავლის პროდუქტიულობაზე;
- ❑ სტუდენტების აქტიურობა და სასწავლო პროცესში ჩართულობა, გარკვეულწილად შემცირდა, რაც **გამოწვეული იყო მათი დაბალი შემეცნებითი მოტივაციითა და ხასიათობრივი ცვლილებებით**;
- ❑ განსაკუთრებით რთული იყო **შუალედური და ფინალური გამოცდების ონლაინ-ჩაბარების რეჟიმი**, რაც დაკავშირებული იყო, როგორც სერიოზულ ტექნიკურ პრობლემებთან, ისე სტუდენტის ნდობისა და მასალის ათვისების ხარისხთან [7].

ზემოჩამოთვლილი ასპექტების გარდა, არსებობს ონლაინ-სწავლების გარკვეული თავისებურებები, რომლებსაც ერთდროულად გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ასპექტები. კერძოდ:

I – ონლაინ სწავლების პირველი (დადებით/უარყოფითი) მახასიათებელია ის, რომ ერთი მხრივ, საკმაოდ რთულია შემეცნებითი მოტივაციის სტიმულირება და მისი ზრდა გარედან ანუ პედაგოგს სერიოზული ძალისხმევა სჭირდება, რომ გაზარდოს სტუდენტის მოტივაცია და ინტერესი ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში, ხოლო მეორე მხრივ, სტუდენტს საშუალება აქვს მოიძიოს ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია ნებისმიერ საკითხზე სახლიდან გაუსვლელად, თუმცა, აქ პრობლემა თავს იჩენს ამ ინფორმაციის სანდოობაში, რამაც თავის მხრივ, შეიძლება ზიანიც კი მიაყენოს ასათვისებელი მასალის დაუფლებას – ვენდო თუ არა ამ ინფორმაციას? რამდენად სანდოა ეს წყარო? სად შეიძლება უფრო დაზუსტებული ინფორმაციის მოძიება და ა.შ. – ეს არის ის კითხვები, რომლებიც ყველაზე მეტად იჩენს თავს. აღნიშნული კითხვების დადებითობა გულისხმობს იმას, რომ სტუდენტის აზროვნებაში ვითარდება კრიტიკული, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება, ინფორმაციის მოძიების და მისი გადამუშავების უნარები.

II – ონლაინ სწავლების მეორე (დადებით–უარყოფითი) მახასიათებელია ის, რომ სტუდენტს აქვს თვითგანათლების არჩევანის ფართო სპექტრი, თუმცა ხარისხის კრიტერიუმების გარეშე და სწორედ ამ კრიტერიუმების განსაზღვრა უწევს თავად სტუდენტს ანუ რამდენად ხარისხიანად აითვისა ესა თუ ის ინფორმაცია და რა ხარისხის ცოდნას იღებს ონლაინ სწავლების ფორმატში. დისტანციური სწავლება სტუდენტებს საშუალებას აძლევს დაეუფლონ ინფორმაციული ტექნოლოგიის თანამედროვე საშუალებებს (კომპიუტერები, ინტერნეტი, თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფა). რაც შეეხება ეკონომიურობასა და ტექნოლოგიურ მხარეს (მოხერხებულობის ხარისხი), ეს უდავოდ ძალზედ მნიშვნელოვანია, რაც დროსთან ერთად კიდევ უფრო გაუმჯობესდება, თუმცა, ამავე დროს, ონლაინ განათლება ღირებულების თვალსაზრისით, შედარებით დაბალია, ვიდრე ტრადიციული და მისი მონაწილეები დროის და დამატებითი ფინანსური დანახარჯების გარეშე ახერხებენ დაეუფლონ თანამედროვე ტექნოლოგიურ და ინოვაციურ მიღწევებს.

III – ონლაინ სწავლების მესამე (დადებით–უარყოფითი) მახასიათებელია ის, რომ აღნიშნულ რეჟიმში აქტიურად ერთვებიან გაცილებით მაღალი დონის სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ ცოდნა თანამედროვე პროგრესული ტექნოლოგიების შესახებ. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ ონლაინ კომუნიკაციის მთავარ სირთულეებად რჩება კონტაქტისა და კომუნიკაციის დაბალი ხარისხი, ინტერაქციული ამოცანების არარსებობა, რომელიც ითხოვს აქტიურ დისკუსიას და მოსაზრებების გაცვლას. ეს ყველაფერი კი, სტუდენტებს აქცევს პასიურ მომხმარებლებად. თავს იჩენს აღქმის, გაგების და შემეცნების პრობლემები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სპეციალობებისათვის, რომელთა ათვისება პრაქტიკის გარეშე წარმოუდგენელია.

აღნიშნული საკითხის მკვლევარებმა გააკეთეს დასკვნა, რომ ყოველივე ეს იწვევს ყურადღებისა და ინტერესის დაკარგვას სწავლების პროცესის მიმართ, რამაც თავის მხრივ, გამოიწვია სტუდენტების განთესვა ანუ სწავლის პროცესის მიტოვება და ეს ციფრები მერყეობს 20%-დან 50%-მდე, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს სტუდენტები აღარ ასრულებენ დაწყებულ დისტანციურ კურსს.

IV – ონლაინ სწავლების მეოთხე (დადებით–უარყოფითი) მახასიათებელი არის ის, რომ სასწავლო პროცესისადმი ინტერესის შესანარჩუნებლად პედაგოგმა უნდა შექმნას და შეარჩიოს ის კურსები და ის მეთოდები, რომლებიც შეინარჩუნებს აქტიურ უკუკავშირს სტუდენტსა და პედაგოგს ან კონსულტანტს შორის. შედეგად კი, შესაძლებელი იქნება ონლაინ სწავლა ისეთივე ეფექტური იყოს, როგორც ტრადიციული, სააუდიტორიო სივრცეში ჩატარებული ლექცია [2].

დაბოლოს, საინტერესოა რას ფიქრობენ ონლაინ სწავლების შესახებ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და მისი სპეციალისტები აღნიშნული მიმართულებით.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO), ფსიქოაქტიური ნივთიერებების და ადიქტური ქცევის სფეროს სპეციალისტმა, ვ.პოზნიაკმა პირდაპირ განაცხადა, რომ COVID-19-ის პანდემიის გამო არსებულმა შეზღუდვებმა, მათ შორის ონლაინ განათლებაზე

გადასვლამ, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მოსწავლეების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და ამ პროცესების გრძელვადიანი შედეგები აუცილებლად შესასწავლი იქნება. ავტორი ასევე ამბობს, რომ ბავშვები და მოზარდები, განსაკუთრებით მგრძნობიარე არიან COVID-19-ის პანდემიის ფსიქოსოციალურ ზემოქმედებასთან მიმართებაში, რადგან ბავშვობა და მოზარდობა ნეირობიოლოგიური, ქცევითი და სოციალური განვითარების თვალსაზრისით, საკმაოდ კრიტიკული პერიოდებია. მოზარდობის პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანატოლებთან ურთიერთობა და მათთან მიკუთვნებულობის განცდა. ფიზიკური დისტანცირების ზომები და COVID-19-ით ინფიცირების შეჩერების ღონისძიებები კი, არსებითად ამცირებს თანატოლებთან ურთიერთობის შესაძლებლობას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

თუმცა, იგივე ავტორი ამბობს იმასაც, რომ ერთი მხრივ, ციფრული ტექნოლოგიის ფართო ხელმისაწვდომობამ შეიძლება შეამსუბუქოს ფიზიკური დისტანცირების ზოგიერთი უარყოფითი ეფექტი, რადგან თუნდაც ამ ფორმატში, შესაძლებელი ხდება მეგობრებთან კომუნიკაცია იქნება ეს ვიდეო-ჩათი თუ რომელიმე სასწავლო პლატფორმა; გარდა ამისა, სახლში ყოფნა, გარკვეულწილად ზრდის ოჯახის წევრებთან კონტაქტის შესაძლებლობებს. მაგრამ იმავე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) სტატისტიკის მიხედვით, პანდემიის პერიოდში არსებითად გაიზარდა ოჯახური ძალადობის სტატისტიკური მაჩვენებელი (მაგალითად, საფრანგეთში ოჯახური ძალადობის შესახებ შეტყობინების რიცხვი კარანტინის გამოცხადების შემდეგ 30%-ით გაიზარდა, არგენტინაში - 25%-ით, კვიპროსში - 30%-ით, სინგაპურში - 33%-ით. გარდა ამისა, ოჯახური ძალადობის შემთხვევების ზრდა დაფიქსირდა კანადაში, გერმანიაში, ესპანეთში, გაერთიანებულ სამეფოში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებშიც). საინტერესოა ისიც, რომ ე.წ. „დეპრესიის ბარომეტრმა“ ასევე აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა ხშირად ატარებდა დროს საწოლში და სახლში ხშირად ექმნებოდათ კონფლიქტური სიტუაციები ოჯახის წევრებთან [6].

მართალია, საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს რაიმე მასშტაბური კვლევა, რომელიც დაგვიდასტურებს ონლაინ სწავლების დადებით ან უარყოფით გავლენებს მოსწავლეებისა თუ სტუდენტების ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე, მაგრამ ძალზე საინტერესოა მსგავსი კვლევის შედეგები, რომლებიც ჩატარდა რუსეთსა და ამერიკაში. რუსეთში ჩატარდა მშობელთა გამოკითხვა, ხოლო ამერიკაში ჩატარდა განათლების სისტემის ოფიციალური პირების გამოკითხვა. მოსკოვისა და მოსკოვის ოლქში მშობლებთან საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებმა (გამოკითხვა ჩატარდა Telegram არხისა და პოპულარულ სოციალურ ქსელებში 2021 წლის 11 მარტიდან 11 აპრილამდე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 2306 მშობელმა), რომელიც იკვლევდა დისტანციური ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლის შედეგების შეფასებას და მშობლების დამოკიდებულებას განათლების ამ ფორმის მიმართ, დააფიქსირა ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 90,2% აღნიშნავს, რომ მათ შვილებს აღენიშნებოდათ გუნება-განწყობის მკვეთრი ცვლილებები, დეპრესიის ეპიზოდები, გაღიზიანების მაღალი ხარისხი, აგრესიულობა, დღის განმავლობაში ხასიათის ხშირი და მკვეთრი ცვლილება. ძილის პრობლემები აღენიშნებოდათ ბავშვების 77,5%-ს, ბავშვების 81,5%-ს კი ეწყებოდა თავის ტკივილი უშუალოდ სასწავლო პროცესის დასრულებისას, ხოლო მოსწავლეების 68,6% იტანჯებოდა ზურგის ტკივილით. მშობლების გარკვეული ნაწილი ასევე საუბრობდა ალერგიის, ჭარბი წონის, კვებითი ადიქციების, აპათიის, დიაბეტის გამწვავების, ცხვირიდან სისხლდენის, თავბრუსხვევის, მიმიკური ტიკების, მეხსიერების დაქვეითების და ა.შ. სიმპტომების შესახებ. მთლიანობაში, შედეგების ანალიზის მიხედვით, მშობლების უმეტესობა ამბობდა, რომ დისტანციურ სწავლებას უარყოფითი გავლენა ჰქონდა მათი ბავშვების ფსიქიკურ და სომატურ ჯანმრთელობაზე, ასევე შემცირდა მათი აკადემიური მოსწრება და ზოგადად, მკვეთრად შეეცვალათ სკოლის მიმართ დამოკიდებულება ნეგატიური თვალსაზრისით [5].

საგულისხმოა, რომ რუსული გამოკითხვის შედეგები, არსებითად ემთხვევა ამერიკაში ჩატარებული მშობლებისა და განათლების სპეციალისტების მსგავსი გამოკითხვის მონაცემებს. კვლევა ჩატარდა 2021 წლის თებერვალში საინფორმაციო სააგენტო Reuters-ის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების მთელ სკოლებში, რათა შეეფასებინათ სკოლის სრული ან ნაწილობრივი დახურვის გავლენა ბავშვების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. აღსანიშნავია, რომ შეერთებულ შტატებში 2,2 მილიონი მოსწავლეა. გამოკითხულ პირთა 74% აცხადებს, რომ მოსწავლეებში გაიზარდა ფსიქიკური ჯანმრთელობის დამაბულობის მაჩვენებელი, ხოლო გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა აღნიშნა, რომ გაიზარდა ფსიქო კონსულტანტებთან და ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტებთან ვიზიტების რაოდენობა. გამოკითხულთა თითქმის 90% -მა აღნიშნა გაკვეთილების გაცდენების სიხშირე და ონლაინ-საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ძალიან დაბალი რაოდენობა, რაც ირიბად მეტყველებს მოსწავლეთა არასასურველი ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ.

სიეტლის ბავშვთა კვლევითი ინსტიტუტის, ბავშვთა ჯანმრთელობის, ქცევისა და განვითარების ცენტრის დირექტორმა დიმიტრი კრისტაკისმა, განაცხადა, რომ Reuters-ის გამოკითხვამ დაადასტურა ის შეშფოთება და მოლოდინები, რომლებზეც ის საუბრობდა მას შემდეგ, რაც სკოლები გადავიდნენ ონლაინ სწავლებაზე [5].

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის შეჯერების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მოგვწონს თუ არ მოგვწონს, გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენ მოგვიწია იმ რეალობაში ცხოვრება, რომელშიც კოვიდ-პანდემიისგან თავის დასაცავად, ჩვენს ყოველდღიურობასა და ცხოველქმედების ყველა სფეროში, შემოვიდა ცხოვრებისა და სწავლა/სწავლების ონლაინ-რეჟიმი, თავისი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლებით, რამაც თავის მხრივ, სერიოზული გამოწვევის წინაშე დააყენა ნებისმიერი ასაკის ადამიანი. რაც შეეხება განათლების სისტემას, ფაქტია, რომ დღის წესრიგში ნამდვილად დადგა ვირტუალურ გარემოში სწავლა-სწავლების ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინების აუცილებლობის საკითხი, რომლის მთავარი მიზანი გახდა მოსწავლისა და სტუდენტის ფსიქიკური სიჯანსაღის ხარისხის დაცვა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ონლაინ სწავლება ნამდვილად ეხმარება სტუდენტებს შეიძინონ დამოუკიდებელი მუშაობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, ზრდის როგორც მათ შემოქმედებით და ინტელექტუალურ რესურსს თვითორგანიზების გზით, ისე კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან ეფექტურ კომუნიკაციას და დამოუკიდებლად საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობებს. ქმნის ხელსაყრელ პირობებს ცოდნის ათვისების პროცესში შემოქმედებითი თვითგამოხატვის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებისა და მოსწავლისა თუ სტუდენტის პიროვნების მრავალმხრივი განვითარების თვალსაზრისით. თუმცა, ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინტერნეტ-სივრცე ხასიათდება სპეციფიკური მახასიათებლებით, რომლებსაც შეუძლიათ პოტენციური საფრთხე შეუქმნან მოსწავლისა თუ სტუდენტის როგორც სწავლის, ისე პიროვნული განვითარების ხარისხს. შესაბამისად, ონლაინ სწავლებისა და დისტანციური პედაგოგიური პროცესების დაგეგმვისა და მართვის დროს, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ფსიქოლოგიებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტების მოსაზრებები და რეკომენდაციები, რაც თავის მხრივ, გაზრდის სწავლების ეფექტურობას და მოსწავლეებისა და სტუდენტების შემეცნებით მოტივაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Быкина Галина Николаевна Психолого-педагогические особенности дистанционного обучения <http://xn---btb1bbcge2a.xn--p1ai/blog/2020-08-26-1604> 26.08.2020.
Зимикина Ольга «Снова дистанционное образование» — 4 особенности онлайн обучения с точки зрения педагогики и психологии <https://zen.yandex.ru/media/id/5eb5ba25a19aea5aa92fe28f/snova-distancionnoe-obrazovanie--4-osobennosti-onlain-obucheniia-s-tochki-zreniia-pedagogiki-i-psihologii-5f6f90ce63b25d04cd0bcb4> 27.08.2020.
Исакова Елизавета В ВОЗ оценили влияние онлайн-обучения на психологическое здоровье детей <https://ria.ru/20201209/onlayn-obuchenie-1588324642.html> ЖЕНЕВА, РИА Новости, 09.12.2020
2. Минаков А.В., Гудошникова Ю.Ю. Психологические особенности лиц, склонных к Интернет-зависимости <http://hosting.vspu.ac.ru/~imago/publ5m.htm>
Потеряйко Ангелина Опросы родителей в России и США: дистанционное обучение вредно для детей <https://regnum.ru/news/society/3240977.html> 13.04.2021.
Ситуация хелп: как пандемия повлияла на психологическое здоровье людей и какими будут последствия изоляции ESQUIRE WEEKEND 2021 <https://esquire.ru/articles/187323-situaciya-help-kak-pandemiya-povliyala-na-psihologicheskoe-zdorove-lyudey-i-kakimi-budut-posledstviya-izolyacii/#part0>.
Электронное обучение: плюсы и минусы <https://externat.foxford.ru/polezno-znat/plyusy-i-minusy-ehlektronnogo-obucheniya> 09.07.2021.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ონლაინ სწავლების ფსიქოლოგიური მახასიათებლები, რომლებიც ერთგვარ გამოწვევად იქცა არამართო მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის, არამედ პედაგოგებისა და მშობლებისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ სწავლების აღნიშნულ ფორმატზე გადასვლა, უდავოდ ეფექტური აღმოჩნდა კოვიდ-პანდემიისაგან თავის დასაცავად, ონლაინ სწავლებას დადებით ასპექტებთან ერთად, ნამდვილად გააჩნია უარყოფითი ასპექტებიც, რამაც გამოხატულება ჰპოვა მოსწავლეთა თუ სტუდენტთა როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე მათ ფსიქო-ემოციურ სფეროში. მაგ., ინფორმაციზაციის პრობლემების მკვლევარი ვ. მინაკოვი ღიად საუბრობს ინფორმაციული ტექნოლოგიების იმ ნეგატიურ მხარეებზე, რომლებთან მუშაობაც უწევთ თანამედროვე ფსიქოლოგებსა და ფსიქოთერაპევტებს. ესენია: ტექნოსტრესი, კომპიუტერული ფობიები, ინტერნეტდამოკიდებულება, ინტერესთა სპექტრის შევიწროება, ციფრული აუტიზაცია, სოციალური ინტელექტის განუვითარებლობა და სხვ. შესაბამისად, ონლაინ სწავლების დაგეგმვისა და მართვის დროს, განათლების სფეროს სპეციალისტებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტების მოსაზრებები და რეკომენდაციები, რაც თავის მხრივ, შეამცირებს ონლაინ სწავლების რისკებს და გაზრდის სწავლების ეფექტურობას და მოსწავლეებისა და სტუდენტების შემეცნებით მოტივაციას.

საკვანძო სიტყვები: ონლაინ სწავლება, სტუდენტი, ფსიქოლოგიური მახასიათებლები, დადებითი და უარყოფითი მხარეები, ინტერნეტდამოკიდებულება, პიროვნულ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები.

Nana Gogichashvili

Associate Professor of Guram
Tavartkiladze Tbilisi Teaching
University
Georgia, Tbilisi

Psychological Characteristics of Online Learning

Summary

The paper discusses the psychological characteristics of online learning, which has become a challenge not only for pupils and students, but also for teachers and parents. Although the transition to this format of teaching has indisputably proved to be effective in protecting itself from the Covid-pandemic, online learning, along with the positive aspects, also has its negative aspects, which have been reflected in the daily life of students as well as their psycho-emotional sphere. For example, the researcher of computerization problems V. Minakov speaks openly on the negative aspects of information technology that modern psychologists and psychotherapists have to work with. These are: technostress, computer phobias, internet addiction, narrowing of the spectrum of interests, digital autism, underdevelopment of social intelligence, etc. Therefore, in the process of planning and managing online learning, education professionals should consider the opinions and recommendations of mental health professionals, which in turn will reduce the risks of online learning and increase the effectiveness of teaching and cognitive motivation of pupils and students.

Key words: online learning, Student, Psychological characteristics, Positive and negative qualities, Internet addiction, Personal-psychological characteristics.

დისტანციური სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები. კომუნიკაციურ-თანამშრომლობითი სწავლების მნიშვნელობა.

ბოლო რამდენიმე წელია, რაც დისტანციური სწავლება საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო. სწავლების ეს მეთოდი ეხება როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის და მასწავლებლის მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს.

დისტანციური სწავლება არის სწავლების ისეთი ფორმა, რომელიც შექმნილია სპეციალურად სტუდენტებისათვის და არა მხოლოდ მათთვის, არამედ იმათთვისაც, ვინც უშუალოდ უძღვება სასწავლო პროცესს. ეს არის პროცესი, რომელიც შეძლებისდაგვარად ქმნის და ხელმისაწვდომს ხდის სწავლას მაშინ, როდესაც ინფორმაციის მიმწოდებელი (ლექტორი) და მიმღები (სტუდენტები) დაშორებულნი არიან ერთმანეთისაგან.

დღევანდელ პირობებში სასწავლო პროცესი რომ უმაღლეს დონეზე წარიმართოს, საჭიროა და აუცილებელი, ლექტორმა სტუდენტებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია (სასწავლო მასალა), რათა მათი მხრიდანაც მოხდეს დროულად რეაგირება და უკუკავშირის დამყარება: რა გაიგეს და როგორ, ჩაწვდნენ თუ არა მოცემულ მასალას და კიდევ რას უნდა მიაქციონ ყურადღება, ანუ რა სასწავლო რესურსებს, რომ მათი ცოდნა გახდეს უფრო მყარი და დინამიური.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ დღეს დისტანციური სწავლების გამოყენება (ზუმის პლატფორმით) ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში ფრიად მნიშვნელოვან და სასიცოცხლო ფაქტორს წარმოადგენს, დადებით მხარეებთან ერთად თავი იჩინა უარყოფითმა მხარეებმაც.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ ვთვლით დისტანციური სწავლების უარყოფით მხარეებზე და მათ გამომწვევ მიზეზებზე ყურადღების გამახვილებას. პირველ რიგში ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში (სოფლებში) ინტერნეტის დაბალი ხარისხი და გაუმართაობა, რის გამოც სტუდენტები ვერ ახერხებენ ჩართვას როგორც სალექციო, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებზე. ყოველივე ეს კი იწვევს სტუდენტის ცოდნის დაბალ ხარისხს, რაც აისახება კიდევ სემესტრის ბოლოს განმსაზღვრელი შეფასებისას.

მეორე მიზეზი უარყოფითი მხარისა არის ის გარემოება, რომ სტუდენტთა გარკვეული ნაწილი სასწავლო პროცესში ერთვება მობილურის საშუალებით, რადგან არა აქვთ კომპიუტერები, რის გამოც ვერ ახერხებენ მიცემული დავალების დროულად და ხარისხიანად შესრულებას, ანუ უხდებათ ხელით წერა, შემდეგ სურათის გადაღება და მეილზე ან ე.წ. მესენჯერში გადმოგზავნა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ზოგიერთი სტუდენტი ვერ ფლობს კომპიუტერულ ტექნოლოგიას სათანადო დონეზე.

უარყოფითად შეიძლება ჩაითვალოს სალექციო დროის სიმცირე, რაც ნამდვილად არ არის საკმარისი, რომ ლექტორმა ამომწურავად მიაწოდოს ასახსნელი მასალა სტუდენტებს.

მიზეზთა ჩამოთვლამ შეიძლება კიდევ უფრო შორსაც წაგვიყვანოს, მთავარია, დროულად იქნას აღმოფხვრილი ის ხარვეზები, რაც ხელს უშლის დისტანციურ სასწავლო პროცესს.

რაც შეეხება დისტანციური სწავლების დადებით მხარეებს:

- 1) ბევრი სტუდენტი კმაყოფილია დისტანციური სწავლებით იმის გამო, რომ არ უწევს დროს დაკარგვა გზაში იქით-აქეთ და შეუძლია მეტი დრო დაუთმოს ამა თუ იმ დისციპლინის სრულფასოვან შესწავლას. რასაც ვერ ვიტყვით ლექტორებზე, რადგან მათი შრომა დისტანციური სწავლებისას ფაქტობრივად გაორმაგებულია. იგი გაცილებით უკეთესად უნდა დაეუფლოს კომპიუტერულ ტექნოლოგიას ისეთ დონეზე, რომ ლექციის ჩატარებისას პრობლემა არ შეექმნას. გარდა ამისა, მას ესაჭიროება არა მხოლოდ სალექციო მასალის მომზადება, არამედ დამატებითი ახალი სასწავლო რესურსების მოძიება, რადგანაც მის ხელთ არსებული რესურსი შესაძლოა უკვე არასაკმარისიც იყოს.
- 2) ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზეც, რომ დისტანციური სწავლება სტუდენტებს აძლევს საშუალებას დამოუკიდებლად გამოიმუშაონ მოქმედების უნარ-ჩვევები.
- 3) დისტანციური სწავლება სტუდენტებისათვის თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის კარგ საშუალებად იქცა.
- 4) ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზეც, რომ აკადემიური პერსონალი ინდივიდუალურ მიდგომას იყენებს იმ სტუდენტების მიმართ, რომლებსაც განსაკუთრებული პრობლემები აქვთ ინტერნეტსა და ელექტრონულ მოწყობილობებთან დაკავშირებით.

საგანი „ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდთა“ დისტანციური სწავლებისას მოითხოვს სასწავლო პროცესში სწავლების ახალი სტრატეგიებისა და შეფასების ახალი ხერხების დანერგვას. აქედან გამომდინარე, იცვლება სწავლების მიზანიც. იგი ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ ცოდნაზე, არამედ შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზეც. ამის გამო, პედაგოგიური ურთიერთმოქმედება თანამედროვე პედაგოგიკის საბაზო კატეგორიას წარმოადგენს. თანამედროვე პედაგოგიკის ძირითადი პარამეტრებია ლექტორსა და სტუდენტს შორის საღი ურთიერთმიმართება, მხარდაჭერა, დახმარება, ნდობა და სხვა.

სწავლება, ანუ პედაგოგიური ურთიერთობა, წარმოადგენს ლექტორისა და სტუდენტების აქტიური ურთიერთობის პროცესს, რომლის დროსაც, ლექტორი უზრალოდ კი არ გადასცემს ცოდნას, არამედ სწავლების პროცესში სტუდენტთა აზროვნებისა და სხვა ფსიქიკური ძალების ასამოძრავებლად იყენებს აქტიურ მეთოდებსა და სტრატეგიებს, თვალსაჩინო დიდაქტიკურ მასალას.

პედაგოგიური ურთიერთობა წარმოადგენს ლექტორისა და სტუდენტების ურთიერთ-კავშირს, რომლის მსვლელობაში აღმოცენდება ფსიქიკური კონტაქტი გამოვლენილი ინფორმაციის გაცვლაში, ურთიერთზეგავლენაში, ურთიერთგანცდაში, ურთიერთგაგებაში.

პედაგოგიური ურთიერთობა, ანუ კომუნიკაციურ-თანამშრომლობითი სწავლება დისტანციური სწავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს.

კომუნიკაციურ-თანამშრომლობითი სწავლება კი ისეთი სწავლებაა, რომლის ორგანიზება ხდება მხოლოდ კომუნიკაციური ამოცანების საფუძველზე. ასეთი სწავლების მთავარი მიზანია, პირველ რიგში, **ერთად სწავლება**, და არა მხოლოდ რაიმე დავალების ერთად შესრულება. ასევე მნიშვნელოვანია ლექტორმა ასწავლოს და დააუფლოს სტუდენტი კომუნიკაციას შესაბამისი ხერხებისა და მეთოდების გამოყენების გზით.

კომუნიკაციურ-თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს წარმოადგენს **აქტიური მოსმენა**.

აქტიური მოსმენის დროს მსმენელი ამახვილებს ყურადღებას მოსაუბრესა და მის ნათქვამზე. მსმენელს უნდა შეეძლოს მოსმენილის შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა. ეს ნიშნავს იმას, რომ მან კარგად გაიგო სხვისი ნათქვამი. ამისათვის აქტიურმა მსმენელმა უნდა

დაამყაროს უკუკავშირი მოსაუბრესთან კითხვების საშუალებით, რათა დააზუსტოს, ერთი მხრივ, გადმოცემულის შინაარსი და, მეორე მხრივ, მოსაუბრის ემოციური მდგომარეობა, მისი დამოკიდებულება საკითხისადმი [1, 19].

გარდა ამისა, აქტიური მოსმენისათვის აუცილებელია მოსმენის **გარე და შიდა ფაქტორების** გაცნობიერება. გარე ფაქტორებში იგულისხმება ზოგადად გადმოცემული საკითხის სირთულე, მოსაუბრე და გარემო. აქტიური მოსმენის დროს სტუდენტს უნდა შეეძლოს მოსმენის შიდა ანუ საკუთარ თავთან დაკავშირებული ფაქტორების გაკონტროლება. ასეთ დროს მან უნდა შეძლოს ყურადღების გამახვილება მოსაუბრეზე, შეწყვიტოს ყოველგვარი ქცევა მოსმენის დაწყებამდე და გააკონტროლოს თავისი ემოციური მდგომარეობა, წინასწარ უნდა ჰქონდეს გამზადებული შესაბამისი მასალა და ა.შ.

კომუნიკაციურ-თანამშრომლობითი სწავლების ანუ სხვანაირად **კომუნიკაციურ-ორიენტირებული სწავლების** ძირითადი პრინციპებია:

- **მეტყველებითი ურთიერთობა.** ეს პრინციპი ნიშნავს პრაქტიკულ-ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ისეთი სახის სავარჯიშოებს, რომელთა მეშვეობითაც სწავლება ხდება გაცილებით უფრო ეფექტური.
- **ფუნქციონალურობა.** აღნიშნული პრინციპი ითვალისწინებს როგორც სიტყვის, ისე გრამატიკული ფორმების ათვისებას სასწავლო პროცესში.
- **სიტუაციურობა, სასწავლო პროცესის როლური ორგანიზაცია.** ასეთ შემთხვევაში პრინციპულად აუცილებელია შესაბამისი მასალის შერჩევა და მისი ორგანიზება სიტუაციის საფუძველზე, ურთიერთობის პრობლემურობის გათვალისწინება.
- **სიახლე.** სიახლემ შეიძლება თავი იჩინოს სხვადასხვა კომპონენტებში, უპირველეს ყოვლისა კი, მეტყველებით სიტუაციებში (საურთიერთობო საგნის ცვლა, განსახილველი პრობლემები, ურთიერთობის პირობები და ა. შ.), გამოყენებულ მასალაში ინფორმაციულობის თვალსაზრისით, საგაკვეთილო მასალის ორგანიზაციისას (გაკვეთილის სახეები, ფორმები), საქმიანობის პროცესში სხვადასხვა მეთოდ-ხერხების გამოყენებისას.
- **ურთიერთობის პიროვნული ორიენტაცია.** როგორც ვიცით, მეტყველება მუდამ ინდივიდუალურია, თითოეული ადამიანი განსხვავდება მეორისაგან თავისი ბუნებრივი თავისებურებებითა და შესაძლებლობებით, სასწავლო და მეტყველებითი საქმიანობის განხორციელების უნარებით, ასევე პიროვნული მახასიათებლებითაც: გამოცდილებით, ინტერესებით, საქმისადმი მიდგომით და სხვა.
- **გუნდური ურთიერთმოქმედება.** სასწავლო პროცესის ასეთი ორგანიზაცია იწვევს სტუდენტთა აქტიურ ურთიერთობას ერთმანეთში, სადაც ერთის წარმატება ყველას წარმატებაა.
- **მოდელირება.** ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდულადაა შესასწავლი მასალა რაოდენობრივად საკმაოდ დიდია და შესაძლებელია სტუდენტებს გაუჭირდეთ კიდევ მისი ათვისება. ამიტომ, სწავლების შინაარსობრივ მხარეს უნდა წარმოადგენდეს პრობლემები და არა თემები. [3, 54-55].

აქვე საჭიროება მოითხოვს განვსაზღვროთ კომუნიკაციური სწავლების თავისებურებებიც:

- მეტყველებითი ქცევის სოციოკულტურული ადეკვატურობა;
- წარმოთქმულის აზრიანობა და შინაარსიანობა;

- სასწავლო დავალებების ჩატარების ფორმები;
- სასწავლო ურთიერთობის შინაარსიანობის „პიროვნულობა“;
- სტუდენტთა ესთეტიკურ-ემოციურ-ინტელექტუალური განვითარება;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმის შედგენა საგანთაშორისი კავშირების დამყარების გზით;
- პიროვნებათშორისი ურთიერთთანამშრომლობის განვითარებისათვის ხელშეწყობა.

მაშასადამე, საზოგადოდ, პედაგოგიური მოღვაწეობა, კერძოდ კი, ლექტორის სასწავლო საქმიანობა, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც კომუნიკაციური ამოცანების წყება. ეს ამოცანები იცვლება, ვითარდება, გარდაიქმნება და გულისხმობს პედაგოგიური ურთიერთმოქმედების ორგანიზაციას, მოცემული ამოცანების ადეკვატურად. ე.ი. პედაგოგიური ზემოქმედების შერჩეული მეთოდების პრაქტიკული რეალიზაცია ხორციელდება უშუალოდ ურთიერთობებში.

საჭიროა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან **ზოგადი კომუნიკაციური ამოცანები**, რომლებიც წინასწარ იგეგმება და **მიმდინარე კომუნიკაციური ამოცანები**, რომლებიც წარმოიშობა პედაგოგიური ურთიერთმოქმედების პროცესში [3, 57].

ზოგადი კომუნიკაციური ამოცანა დაიყვანება ორ ძირითად სახეზე: თხრობა და წაქეზება. თხრობა გამოიყენება შემდეგ მრავალსახეობებში: საკუთრივ თხრობა, განსაზღვრა, ახსნა, ჩამოთვლა, პასუხი, და სხვა; წაქეზებას შეიძლება შემდეგი სახეები ჰქონდეს: ბრძანება, მოთხოვნა, თხოვნა, გაფრთხილება, რჩევა, დავალება და სხვა. ასე რომ, პედაგოგიური ურთიერთმოქმედების პროცესში ლექტორი ახდენს ორი ძირითადი მიზნის რეალიზებას: გადასცემს სტუდენტებს რაიმე ცნობას, ან ზემოქმედებს მათზე, აქეზებს მათ მოქმედებისაკენ.

საერთოდ, როდესაც ვსაუბრობთ პედაგოგიური ურთიერთმოქმედების სტრატეგიებზე, აქ, ჩვენი აზრით, უნდა გამოიყოს ურთიერთმოქმედების ორი უმთავრესი ძირითადი სტრატეგია:

- **კოოპერაცია** (ლათ. **Cooperatio**) – თანამშრომლობა, რომელიც ხელს უწყობს ლექტორისა და სტუდენტის, სტუდენტისა და სტუდენტის ერთობლივ მოქმედებაში დადებითი შედეგების მიღწევას.
- **კონკურენცია** – საწინააღმდეგო მიზნების, პოზიციების, ინტერესების დაჯახება, კონფლიქტი.

ამ ორი სტრატეგიიდან უპირატესობა უნდა მიენიჭოს კოოპერაციულ, ანუ პიროვნულ-განმავითარებელ პედაგოგიურ ურთიერთმოქმედებას. საერთოდ, კოოპერაციული სწავლა სწავლების ისეთი ტიპია, როდესაც სტუდენტთა ჯგუფი მუშაობს ერთი საერთო მიზნის მისაღწევად. მთავარია პიროვნულ-განმავითარებელი პედაგოგიური ურთიერთმოქმედების პროცესში დაცული იყოს ურთიერთობის სპეციფიკური ფორმები, გათვალისწინებულ იქნეს სტუდენტის ფსიქოლოგიური განწყობა-მდგომარეობა, ინტერესები, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მისი პიროვნულობის ზრდა-განვითარებას.

კოოპერაციული სწავლებისას ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში [2, 137].

ასეთი მიდგომა სწავლებისადმი გამოიწვევს სტუდენტის გონებრივ განვითარებას. გონებრივი განვითარება კი ეს არის იმ ცოდნისა და უნარის ერთობლიობა, რომელთა ათვისება ხდება უშუალოდ გონებრივი მოქმედების დროს. გონებრივი მოქმედების დროს რეალიზაციის მიზნით გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოქმედების ის ეტაპები, რომლებიც აუცილებელია ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევების ფორმირებისათვის. ეს ეტაპებია:

- მოქმედების მიზნის განსაზღვრა;
- მოქმედების მეცნიერული საფუძვლების გარკვევა;

- მოქმედების მოდელის აგება კოლექტიური ან ინდივიდუალური, დამოუკიდებელი ძიების გზით. ეს მოდელი მოიცავს მოქმედების სტრუქტურის ანალიზს და განსაზღვრავს ოპერაციების შესრულების უფრო რაციონალურ თანმიმდევრობას;
- სტუდენტთა მიერ მოქმედების შესრულება;
- შესრულებულ მოქმედებაზე თვითკონტროლი;
- მოცემული მოქმედების სხვა სასწავლო სიტუაციებში დამოუკიდებლად ორგანიზაცია.

ამ ეტაპების მიზანმიმართული და სისტემატური დანერგვა ხელს შეუწყობს სტუდენტის გონებრივი მოქმედების აქტივიზაციას, ხოლო გონებრივი განვითარება კი თავისთავად ხელს უწყობს სტუდენტის, როგორც აქტიური პიროვნების ჩამოყალიბების პროცესს, რომელსაც შეუძლია საკუთარი ცოდნის კონსტრუირების უნარი.

პედაგოგიური ურთიერთმოქმედების ლოგიკის შესაბამისად საჭიროა გამოვყოთ კომუნიკაციის შემდეგი სტადიები:

- ლექტორის მიერ ურთიერთმოქმედებისთვის მომზადებისას სტუდენტებთან მოსალოდნელი ურთიერთობის მოდელირება (პედაგოგიური ამოცანის დასმა, მისი ამოხსნის მეთოდებისა და ხერხების შერჩევა, კომუნიკაციური ამოცანის გამოყოფა, საკუთრივ ურთიერთობის მოდელირება);
- სტუდენტებთან უშუალო ურთიერთობის მოდელირება;
- პედაგოგიური ურთიერთმოქმედების დროს ურთიერთობის მართვა;
- ურთიერთობის შედეგების ანალიზი და ახალი პედაგოგიური ამოცანის მოდელირება.

კომუნიკაციის ეს სტადიები ეტაპობრივად იშლება პედაგოგიური ურთიერთმოქმედების პროცესში.

მოსალოდნელი ურთიერთობის მოდელირების ეტაპზე ხორციელდება კომუნიკაციური ურთიერთმოქმედების სტრუქტურის თვისებრივი დაგეგმვა, რომელიც აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს პედაგოგიურ ამოცანებს, მოცემულ სიტუაციებს, ლექტორის ინდივიდუალურობას, თითოეული სტუდენტის თავისებურებებს.

მოდელირების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა. ეს კი პირველ რიგში განსაზღვრავს პედაგოგიური ურთიერთმოქმედების ასპექტებს, სადაც როგორც ლექტორს, ასევე თითოეულ სტუდენტს ეძლევა საშუალება გამოავლინოს საკუთარი კომუნიკაციური ქმედება და ემოციური მდგომარეობა.

უშუალო ურთიერთობის მოდელირების ეტაპზე ლექტორმა საკუთარ თავზე უნდა აიღოს ინიციატივა ურთიერთობის წარსამართავად. ამ ეტაპზე ორიენტირება ხდება მოსალოდნელ ურთიერთობასთან დაკავშირებით. ლექტორი ვალდებულია:

- მოიფიქროს და განსაზღვროს ურთიერთობის სტილი სტუდენტებთან მიმართებაში;
- გამოცდილების ხარჯზე სწორად წარმართოს ურთიერთობა სტუდენტებთან;
- ახალი კომუნიკაციის პირობებში გამოარკვიოს ურთიერთობის თავისებურებები.

ურთიერთობის მართვის მოდელირების ეტაპზე ხდება ურთიერთობის პირობებისა და სტრუქტურის გამორკვევა-დადგენა.

ურთიერთობის შედეგების ანალიზის მოდელირების ეტაპი ეს არის **უკუკავშირის** დამყარება პედაგოგიურ ურთიერთობაში, რომელიც შეიძლება დატვირთული იყოს შინაარსობრივი და ემოციური თვალსაზრისით. შინაარსობრივი უკუკავშირი იძლევა შესწავლილი მასალის კიდევ უფრო ხარისხობრივად ათვისების საშუალებას. იგი ხორციელდება კითხვების დასმის, ექსპრესიული და ფრონტალური გამოკითხვის გზით და ა. შ., რომლის შემდეგაც ხდება

ახალი პედაგოგიური ამოცანის მოდელირება. პედაგოგიური ურთიერთმოქმედების პროცესში სტუდენტებს უნდა გამოუმუშავდეთ შემდეგი კომუნიკაციური უნარები:

- მოსმენა (ინსტრუქციის მოსმენა, სხვების მოსმენა, ინფორმაციის მოსმენა);
- ლაპარაკი (ნათლად საუბარი, იდეების ნათლად და ლოგიკურად გამოხატვა, საკუთარი აზრების გამოთქმა);
- კითხვა (სხვადასხვა წყაროს კითხვა ინფორმაციისა და სიამოვნების მიღების მიზნით, წაკითხულის გაგება, წაკითხულიდან დასკვნის გამოტანა);
- წერა (ინფორმაციის ჩაწერა, პერიფრაზის გაკეთება, საკუთარი აზრის წერილობით გადმოცემა, დასკვნის დაწერა);
- არავერბალური კომუნიკაცია (მხედველობითი და ტაქტილური (შეხებითი) კომუნიკაციის მნიშვნელობის გაგება);
- ინფორმაციის ტრანსფორმაცია (მხედველობითი, ტაქტილური და სმენითი ინფორმაციის გარდაქმნა, სხვადასხვა სახის წერილობითი ინფორმაციის გარდაქმნა – თხრობითი ფორმიდან ცხრილში, სქემაში ან პირიქით);
- სპეციფიკური ენის ფლობა (სამეტყველო აპარატის ფლობა და სიმბოლოებით ოპერირება).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე ი., ახვლედიანი მ., სოხაძე ნ., დვალი ნ., მოკლე საგანმანათლებლო დიდაქტიკური ლექსიკონი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2009.
2. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., ქობულაძე ნ. სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2016.
3. ჯინჯიხაძე ლ., ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდოლოგია და ტექნოლოგია, თბილისი, 2014.

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია და წარმოჩენილია დისტანციური სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები. ყურადღება არის გამახვილებული საგნის „ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული დაწყებითი კურსის მეთოდოლოგიის სწავლების“ ძირითად პრინციპებზე, სტრატეგიებზე და შეფასების ახალი ხერხების დანერგვაზე.

წინა პლანზე არის წამოწეული კომუნიკაციურ-თანამშრომლობითი სწავლება, როგორც დისტანციური სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე. განსაზღვრულია კომუნიკაციური სწავლების თავისებურებები. საუბარია კომუნიკაციურ სტადიებზე, რომლებიც ეტაპობრივად იშლება პედაგოგიური ურთიერთმოქმედების პროცესში, ეს ეტაპებია: მოსალოდნელი ურთიერთობის მოდელირების ეტაპი, უშუალო მოდელირების ეტაპი, ურთიერთობის მოდელირების ეტაპი და ურთიერთობის შედეგების ანალიზის მოდელირების ეტაპი.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური სწავლება, საგანმანათლებლო სისტემა, კომუნიკაციურ-თანამშრომლობითი სწავლება, ერთად სწავლება, აქტიური მოსმენა, მოდელირება.

Levan Jinjikhadze,
Sokhumi State University
Associate Professor
Georgia, Tbilisi

Pros and Cons of Distance Learning.
The importance of Communicative-Collaborative Learning.
Summary

The article analyzes and presents the pros and cons of distance learning. The focus is on the main principles, strategies and introduction of new assessment methods of the subject "Teaching Methods of Integrated Primary Course of Georgian Language and Literature".

Communication-collaboration training is brought to the forefront as one of the important aspects of distance learning. The peculiarities of communicative learning are defined. The article discusses the communication stages that gradually unfold in the process of pedagogical interaction, these stages are: the expected relationship modeling stage, the direct modeling stage, the relationship modeling stage, and the relationship outcome analysis modeling stage.

Key Words: Distance learning, educational system, communicative-collaborative learning, learning together, active listening, modeling.

**ШКОЛА И ОБУЧЕНИЕ ВО ВРЕМЯ ПАНДЕМИИ:
ВЫЗОВЫ И РЕШЕНИЯ В РУМЫНСКОМ ОБРАЗОВАТЕЛЬНОМ ПРОСТРАНСТВЕ/
SCHOOL AND EDUCATION DURING THE PANDEMIC:
CHALLENGES AND SOLUTIONS IN THE ROMANIAN EDUCATIONAL SPACE**

Ludmila Bejenaru, Daniela Cojocaru, Bogdan Constantin Neculau*

ludbejenaru@gmail.com

dananacu@gmail.com

bogdan.neculau@yahoo.fr

Universitatea „Al.I.Cuza” din Iași

Ключевые слова: коронавирус, пандемия, образование, учебный процесс.

Abstract: The article examines the work of the Romanian education system during the pandemic with reference to legislative acts of various levels, as well as practices and innovations during the period of Covideducation - a new reality with new norms and opportunities in the history and practice of the world educational process.

Основными характеристиками современного мира сегодня выступают такие его качества, как развитие, изменчивость, динамизм, новизна. Именно такими данными можно охарактеризовать и переживаемый нами трудный период *ковидовой пандемии* из-за ситуации с Covid 19, в котором мы живем достаточно продолжительное время. Пандемия изменила не только нашу личную жизнь, но внесла коррективы и новизну в социальные, психологические, медицинские, образовательные, военные, политические нормы, изменения в правовом поле, в восприятие всех жизненных реалий.

В Румынии порядок функционирования учебных заведений в период пандемии был законодательно регламентирован, от указа президента до актов местного значения; были приняты как законы и приказы министра здравоохранения в соответствии с эволюцией пандемии, так и постановления сената и методологии на уровне высших учебных заведений. Мы будем ссылаться на некоторые законодательные акты разного уровня, чтобы создать представление о том, как работала система образования в Румынии во время пандемии.

Нужно отметить, что в Румынии с 16 марта по 16 мая 2020 было введено *чрезвычайное положение*. Указ Президента Румынии¹ №195 от 16 марта 2020 г. об учреждении *чрезвычайного положения* на территории Румынии учитывал эволюцию международной эпидемиологической ситуации, вызванной распространением коронавируса SARS-CoV-2 на уровне более 150 стран, объявленную Всемирной Организацией Здравоохранения 11.03.2020 ситуацию как «пандемия», решение Верховного Совета по обороне страны № 30/2020 о необходимости установления *чрезвычайного положения* и плана действий по установлению чрезвычайного положения, предложение правительства об установлении чрезвычайного положения, в соответствии с положениями Конституции Румынии, переизданной, ст.93 (1), и ст.100, и ст. 3 и 10, распоряжения правительства о чрезвычайной ситуации №. 1/1999 о режиме осадного положения и режиме чрезвычайного положения, утвержденной с поправками и дополненной законом 453/2004, с последующими изменениями и дополнениями.

Параграф № 1 Указа устанавливал чрезвычайное положение на всей территории Румынии в течение 30 дней, а в пункте № 2 отмечалось, что для предотвращения распространения COVID-19

¹ DECRET nr. 195 din 16 martie 2020 privind instituirea stării de urgență pe teritoriul României,

и управления последствиями, о которых сообщалось в ходе эпидемиологической ситуации, в период чрезвычайного положения **ограничивалось осуществление определенных прав** (свободное движение; право на частную жизнь; неприкосновенность места жительства; свобода собраний; право частной собственности; право на забастовку) и, в пункте d), **право на обучение**.

Интегрированная координация мер реагирования медицинского характера и гражданской защиты на чрезвычайную ситуацию, вызванную COVID-19, осуществлялась Министерством внутренних дел через Департамент по чрезвычайным ситуациям в сотрудничестве с Министерством здравоохранения и другими учреждениями, участвующими в соответствии с Постановлением Правительства № 2 от 23 декабря 2016 года. 557/2016 по управлению ситуациями риска.

Приложение пг. 1 Указа определяло чрезвычайные меры с прямой применимостью в сферах:

- * Общественного порядка (статьи 1-7)
- * Экономики (статьи 8 – 15)
- * Здоровья (16 – 29)
- * Сфера труда и социальной защиты (статьи 30 – 40)
- * Право и юриспруденция (статьи 41-48)
- * В главе 7 **Другие меры** статья 49 гласит **«Во время чрезвычайного положения курсы/занятия во всех учреждениях и учебных заведениях приостанавливаются».**

Решением Минобразования учебные заведения перешли на «дистанционное обучение». Университеты, исходя из университетской автономии, объявили переход на онлайн-обучение в разные сроки - некоторые с 24 февраля, с 11 марта, а наш Ясский университет приостановил занятия «лицом к лицу» 16 марта. 26 апреля Президент Румынии объявил, что учебные заведения откроются в сентябре-октябре 2020. Школы открылись в сентябре 2020 года, но университеты, в основном, вот уже пятый семестр занимаются в системе онлайн, в редких случаях – в смешанном режиме.

Одним из важных законодательных актов является Приказ 4.220/769/08.05.2020 по установлению мер по предупреждению и борьбе с заболеваниями с ОРВИ-2 в учреждениях / учебных заведениях.² Согласно ст.7 приказа, руководители учебных заведений отвечают за осуществление действий по предотвращению и борьбе с инфекцией с SARS-CoV-2, а также за организацию и проведение мероприятий, основанных на программе, в соответствии с действующим законодательством. Для выполнения возложенных на него обязанностей, руководство учебного заведения может консультировать, в случае необходимости, педагогический совет, совет родителей/ - ассоциацию родителей, совет учащихся, представителей профсоюзных организаций, органы местного самоуправления, а также представителей экономических субъектов, участвующих в поддержке профессионально-технического обучения. Статья 9 обязывало администрации учебных заведений в течение 5 дней с момента опубликования приказа разработать и утвердить **собственную ковидную процедуру** организации и осуществления деятельности, на основе собственного распорядка дня, в соответствии с действующим законодательством. Процедура предусматривала и способы проведения занятий, мероприятий по подготовке и проведению экзаменационных сессий и др.

Статья 9 предписывало выполнение всех требований, которые были описаны до мелочей в данном приказе в 18 пунктах данной статьи: **от санитарно-гигиенических норм** (измерение

² Ordinul 4.220/769/08.05.2020,

температуры медработником, который должен был обеспечивать всю медицинскую помощь на протяжении занятий: обеспечение защитными материалами защитные маски, дезинфицирующие вещества для рук, мылом) до **обязанностей администрации, учителей, родителей, медработников**, (ученики должны сопровождаться преподавателем от входа в учебное заведение до класса, а затем, после завершения деятельности, должны быть проведены к выходу и переданы родителям), **информационных** (продвижение по четко обозначенному маршруту, соблюдая нормы физического расстояния; во всех помещениях, где проводились занятия должны отображаться информационные сообщения о санитарно-гигиенических нормах и о предотвращении заражения SARS-CoV-2; входы/выходы, а также передвижение по коридорам, классам и другим помещениям устанавливаются образовательным учреждением, надлежащим образом обозначенным и регулярно дезинфицированным; школьные помещения (коридоры, канцелярия, туалеты и классные комнаты (мебель и пол) должны быть регулярно дезинфицированы биоцидами на основе хлора или алкоголя, в обязательном порядке между сменами (если применимо) и по завершении программы.)

Статья 12 обязывает преподавателей **строго следить за соблюдением мер физического расстояния между учениками и санитарно-гигиеническими мерами** по предотвращению инфекции SARS-CoV-2.

Приказ по принятию краткосрочных оперативных мер требовал еще и строгое соблюдение **принципов обеспечения качества и равенства шансов**. Из анализа принятых документов видим, что приоритетом на первом этапе пандемии для правительства и местных органов являлось **здоровье и безопасность** всех участников образовательного процесса.

В Ясском университете им. Александру Иоана Куза занятия в период применения специальных мероприятий проводились и проводятся на основе вышеперечисленных законодательных актов, Хартии /Устава UAIC, а также по результатам опроса академического сообщества UAIC и решений советов факультетов. Поэтому занятия в университете проводились в смешанном режиме – по решению советов факультетов (биологического, физического) лабораторные занятия проводятся в аудиториях, а Теологический Факультет вообще проводит все занятия **«лицом к лицу» / față în față**.

Администрация университета³, исходя из течения заболевания, составило и несколько «пандемических» сценариев. Эпидемиологический критерий, на основании которого учреждения / учебные заведения, в том числе и университет Ал.И.Куза, устанавливают один из трех сценариев, - это совокупный уровень заболеваемости, соответственно, общее количество новых случаев за последние 14 дней, зарегистрированных на 1000 жителей.

Сценарий 1: физическое участие (прямая деятельность, «лицом к лицу») всех студентов во всех учебных мероприятиях, в соответствии с программой их проведения, с соблюдением и применением всех норм защиты.

Сценарий 2: онлайн-курсы, семинары и другие мероприятия, частично организованные в интернете, практика, практические работы, лаборатории и проекты, организованные с физическим присутствием, с соблюдением всех норм защиты.

Сценарий 3: Участие всех студентов в онлайн-учебной деятельности.

Сейчас в Румынии идет интенсивный процесс вакцинирования, применяемые вакцины – это Pfizer, Moderna, Astra Zeneca, Johnson&Johnson. 16 марта 2021г. министр просвещения объявил, что более 135 000 сотрудников в области образования были вакцинированы против Covid, т.е.38%. Если говорить о педагогических кадрах, то этот процент приближается к 50%.

«Дистанционное образование» внесло свои коррективы, новые практики и нововведения в академической жизни университета. Проект Stop ABANDON/**Стоп отказу от школы, (ROSE)** помогает тем, которые самоустранились от школы во время пандемии и призван остановить абандон

³ Metodologia UAIC din 23 septembrie 2020 privind desfășurarea activităților didactice pe perioada stării de alertă,

школы. Проект включает дополнительные занятия с теми студентами, которые не всегда имели техническую возможность присутствовать на занятиях.

Университет «Ал.И.Куза» (UAIC) получил финансирование в размере 300 000 евро для создания учебного центра LEARN & CONNECT в рамках проекта по среднему образованию (ROSE). В рамках центра студенты получают консультации и доступ к **интерактивной учебной лаборатории**, которая будет обслуживать все факультеты университета, где доступны образовательные ресурсы, которые используют вклад технологии в оптимизацию университетских педагогических контекстов в многопрофильной перспективе. Целевая группа проекта состоит из 875 румынских и иностранных студентов из стран ЕС и не-ЕС, которые участвуют в совместных группах на семинарах и мероприятиях, ориентированных на межкультурную осведомленность.

«Длительные пандемические каникулы» (в университетах Румынии уже пятый семестр студенты обучаются в онлайн режиме) заставили всех нас **перенастроить нашу жизнь**. Преподаватели и учителя – из воспитателей и профессионалов обучающих своих подопечных **лицом к лицу (față în față)** превратились в онлайнпреподавателей в системе «дистанционного обучения». Хотя вначале работали используя «допандемическое» расписание», составленное университетами и школами, некоторые из нас составили для себя «виртуальное расписание» группы, когда встречи планировались исходя из возможностей учащихся и студентов войти на ту или иную образовательную платформу, так как у многих учебных заведений не было технического оснащения для обучения во время вынужденной самоизоляции. Министерство просвещения Румынии обязалось до осени 2020 г. обеспечить ноутбуками или планшетами 250 000 учащихся, а также предоставить учителям необходимую подготовку по онлайн-образованию. На эти цели были выделены 150 млн. леев/30 млн. евро, но...воз и ныне там. В настоящее время большинство преподавателей, учителей и родителей говорят о том, что «онлайн-школа в Румынии близка к **любительской** (на 2020 год). Хотя министерство предлагает свою онлайнплатформу Adversio.ro, она перегружена. Для учителей с **переходом на «дистанционное образование» реально возросла нагрузка (примерно в 2 раза)**. После длительного периода онлайнобучения учителями, учащимися, студентами, преподавателями и родителями, обществом в целом накоплен определенный опыт дистанционного обучения. К сожалению, хромает техническое оснащение процесса обучения.

Бурная жизнь «врага-невидимки» изменила и внесла коррективы и новизну в образовательный процесс. Длительные пандемические каникулы заставили всех нас **перенастроить нашу жизнь**, и вместе с тем, родительские и учительские, преподавательские инстинкты, навыки и умения. Из родителей с работой в городе родители наших студентов и учащихся превратились в родителей с полной рабочей неделей на дому, на так называемой «удаленке», а преподаватели и учителя – из воспитателей и профессионалов обучающих своих подопечных «лицом к лицу» превратились в **онлайнпреподавателей** в системе **дистанционного обучения**. Традиционное образование уходит в прошлое, а дистанционное обучение превращает образование в **миллиардный университет**.

Главные термины и выражения этого периода – **мытье рук, социальная дистанция, маска, масочный режим; полузанятость, дистанционная работа, удаленка; красная зона, работа/учеба в красной зоне; зеленый, желтый, красный сценарий, карта сценариев обучения; сдать анализы/тесты на коронавирус; онлайнобучение, дистанционное обучение, онлайнобразование и др.**, которые уже стали неотделимы от жизни общества, дополнили словарный состав нашей речи.⁴ Чаше стали использоваться в речи преподавателей, студентов, учащихся и их родителей названия платформ, использованных для организации учебного процесса - Zoom, MicrosoftTeams, Meet, Vebex, а также такие выражения как **национальные, внутриуниверситетские электронные ресурсов, банки учебных**

4 Беженару Л. Е. ВСЕ ТЕЧЕТ, ВСЕ МЕНЯЕТСЯ: НОВЫЕ СЛОВА И УСТОЙЧИВЫЕ СЛОВЕСНЫЕ КОМПЛЕКСЫ COVID-НОЙ ТЕМАТИКИ (на материале русскоязычных сми), Славянская фразеология и паремиология: традиционные и новаторские решения проблем : К 80-летию со дня рождения профессора В. М. Мокиенко / редкол.: Е. В. Ничипорчик (отв. ред.) [и др.] ; М-во образования РБ, Гом. гос. ун-т им. Ф. Скорины. – Гомель: ГГУ им. Ф. Скорины, 2020. – 264 с., ISBN 978-985-577-686-5, стр. 52-59,

программ, цифровые образовательные ресурсы, доступ к электронным библиотекам и др. Конечно, выражения **виртуальное расписание, образовательная платформа** прочно вошли в нашу жизнь, но проблему как учить детей и студентов дистанционно без ноутбука и интернета они не решили.

Если говорить об уроках, которые должна извлечь система подготовки учителей в нашей стране из создавшейся ситуации, то нужно обратить внимание на следующие аспекты:

Хотя мы и наши студенты оперативно получили пошаговые инструкции и рекомендации, наладить удобную связь преподавателя со студентами на образовательных платформах удалось с трудом, потому что большинство из нас не прошли курсы повышения квалификации по использованию дистанционных технологий в образовании. Кроме того, у многих университетов и школ **не было своей цифровой платформы**. Если даже **видеотрансляции, вебинары, чаты, форумы** стали новой реальностью учебы в вузе в нынешней ситуации, нужно признавать тот факт, что **учиться и учить стало сложнее**.

Государство должно обеспечить всех участников дистанционного образовательного процесса, как минимум, хорошими ноутбуками. Все будущие учителя должны освоить методику преподавания своего предмета **дистанционно**. Для сегодняшних учителей должны быть организованы курсы повышения квалификации.

